სახელმძღვანელო
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღებაზე

ქართული ვერსიის ადაპტირებაზე მუშაობდნენ:

მაია ბიბილეიშვილი
სიფიკო აფციაური
ეკატერინე მაღალდაძე
ნათია ფირაშვილი

ინგლისურიდან თარგმნა
ლევან ქარუმიძემ

რედაქტორი
ნინო ბარძიმიშვილი

დიზაინი, დაკაბადონება: გოგა დემეტრაშვილი
ბეჭდვა: შპს „ბატაშ პრინტი“

ISBN 978-9941-0-7707-4

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა ჩაითვალოს ევროკავშირის შეხედულებათა ამსახველად. პუბლიკაციის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ბრიტანეთის საბჭო.

© ბრიტანეთის საბჭო

სარჩევი

სახელმძღვანელოს შესახებ 5

ტერმინთა განმარტება 6

I ნაწილი **რა არის ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება და რატომაა ის მნიშვნელოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის?** 11
შემთხვევების მაგალითები 52
ტრენერებისათვის 66

II ნაწილი **რას ამბობს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკა?** 79
შემთხვევების შესწავლა 117
ტრენერებისათვის 121

III ნაწილი **როგორ ხდება ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღება** 131
შემთხვევების შესწავლა 205
ტრენერებისათვის 222

IV ნაწილი **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღებაში** 239
შემთხვევების შესწავლა 302

V ნაწილი **გამოყენებული მასალა** 327

დანართი 335

სახელმძღვანელოს შესახებ

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს მედიის წარმომადგენლებს, ჩაერთონ ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღებაში და ამ საქმიანობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც ჩართონ, ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის „არაფერი ჩვენ შესახებ, ჩვენ გარეშე!" პრინციპის განხორციელებას.

ვინც არ უნდა იყოთ — პოლიტიკოსი, მედიის წარმომადგენელი თუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წევრი — შშმ პირთა ჩართვა გაზრდის თქვენი საქმიანობის ეფექტიანობას.

სახელმძღვანელო ემყარება ზოგად პრინციპებსა და მიდგომებს, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო და ევროპული ადამიანის უფლებების დოკუმენტებში, მათ შორის — გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაში.

იგი გვიჩვენებს, თუ რას გულისხმობს ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა, ასევე შეიცავს კონკრეტული შემთხვევების შესწავლას სხვადასხვა ქვეყნებიდან, ტრენინგების გეგმებსა და სხვა რესურსებს.

სახელმძღვანელო იმ საქმიანობის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო სტრუქტურის შემუშავებას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში შშმ პირთა და მათი ინტერესების დამცველი ორგანიზაციების მონაწილეობის ხელშესაწყობად.

ეს სტრუქტურა ჩამოაყალიბა ევროპული კომისიის IDEAS პროექტზე ერთობლივად მომუშავე ექვსმა ქვეყანამ. პროექტი ემყარება შშმ პირთა უფლებების გაძლიერებაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პრაქტიკულ გამოცდილებას

და, ბრიტანეთის საბჭოსა და ექვს ეროვნულ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან პარტნიორობით, მიზნად ისახავს ადგილობრივი და სახელმწიფო გადაწყვეტილების მიღებისას ინკლუზიური მიდგომების პრაქტიკაში დაგროვილი გამოცდილების გაზიარებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.
IDEAS-ის ეგიდით მომუშავე ექვსი ქვეყანაა სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, იორდანია, ლიბანი და უკრაინა. პროექტი ინტენსიურად ეყრდნობა გაერთიანებული სამეფოს გამოცდილებას, მათ შორის — ამ სახელმძღვანელოს შემუშავებაში, რომელიც დაიწერა გაერთიანებული სამეფოს შეზღუდული შესაძლებლობის საკითხების პროფესიონალების მიერ, პროექტში ჩართული ექვსივე ქვეყნის წარმომადგენელ ექპერტებთან ერთად.

სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია 2014 წლის ივნისამდე პერიოდით თარიღდება.

ტერმინთა განმარტება

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები — ეს ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციებია, რომლებიც ან არაკომერციული სახისაა, ან მათ მიერ გამომუშავებულ მოგებას თუ ჭარბ შემოსავალს გაიღებენ იმ სოციალური საჭიროებებისათვის, რომლის მხარდასაჭერადაც ისინი მუშაობენ. ისინი არიან დამოუკიდებელი ხმა ადამიანებისა, რომლებსაც წარმოადგენენ. არსებობს მრავალი ფორმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, რომლებიც სხვადასხვა გზით არიან ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესებსა და პოლიტიკის შემუშავების ციკლებში. ეს მოიცავს ადვოკატირება-ლობირებას, კამპანიების ჩატარებას და ხელისუფლების ანგარიშგებით დავალდებულებას მის მიერ გატარებულ პოლიტიკასა და პრაქტიკულ საქმიანობაზე, ასევე

მთავრობის სახელით ან დამოუკიდებლად მოქმედი სერვისის პროვაიდერების მიერ მომსახურების უზრუნველყოფის სფეროებს.

კონსულტაცია

ეს ხშირად აღნიშნავს მარეგულირებელ პროცესს, რომელიც შესაძლებელს გახდიდა საზოგადოების მონაწილეობას სოციუმზე გავლენის მქონე პროცესებში. მისი ძირითადი მიზნებია ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის გაუმჯობესება ფართომასშტაბიან პროექტებში, კანონშემოქმედებასა და პოლიტიკაში.

თანაწარმოება

თანაწარმოებისას ცალკეული პირები გავლენას ახდენენ იმ მხარდაჭერასა და მომსახურებაზე, რომელსაც ისინი იღებენ, ან ადამიანთა ჯგუფები იკრიბებიან ერთად, რათა ზეგავლენა მოახდინონ პოლიტიკისა და გარკვეული სერვისების დაგეგმვაზე, ამუშავებაზე და მიწოდებაზე.

შეზღუდული შესაძლებლობა

ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობა“ ნიშნავს დარღვევების ქონით გამოწვეულ სოციალურ შედეგებს. დარღვევების მქონე ადამიანებს საზოგადოება უზღუდავს უნარებს: ისეთი დამატებითი ბარიერების შექმნით, როგორიცაა საზოგადოებრივი დამოკიდებულება და წინასწარი განწყობა; კანონთან და პოლიტიკასთან დაკავშირებული ინსტიტუციური ბარიერებით; ეკონომიკური ბარიერებით, რომლებიც გარიყავს მათ და არახელსაყრელ პირობებში აყენებს; გარემოებითი ბარიერებით, როგორიცაა ფიზიკური ხელმისაწვდომობა, აგრეთვე — ინფორმაციისა და კომუნიკაციის მიწოდების გზები; და იმ წყობით, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციები და სისტემები ოპერირებენ.

შეზღუდული შესაძლებლობის თანასწორობის ვალდებულება

2006-2011 წლებში გაერთიანებულ სამეფოში არსებობდა კანონით განსაზღვრული „შეზღუდული შესაძლებლობის თანასწორობის ვალდებულება“ საჯარო სექტორის ყველა ორგანიზაციისათვის – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ხელშესაწყობად.

შეზღუდული შესაძლებლობის თანასწორობის ზემოქმედების შეფასება

თანასწორობის ზემოქმედების შეფასება წარმოადგენს პროცესს, რომელიც შემუშავებულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ გარკვეულმა პოლიტიკამ, პროექტმა ან სქემამ არ დაუშვას ამა თუ იმ ჯგუფის დისკრიმინაცია და გამოიყენოს ნებისმიერი შესაძლებლობა თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშესაწყობად. შეზღუდული შესაძლებლობის თანასწორობის ზემოქმედების შეფასება დაკავშირებულია კონკრეტულად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციები

ეს არის ორგანიზაციები, რომლებიც ორიენტირებულია შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ საქმიანობაზე და რომელთაც აკონტროლებენ და მართავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. ისინი სხვადასხვანაირად არიან ორგანიზებული, მაგრამ, როგორც წესი, მათი არააღმასრულებელი საბჭოს წევრთა 50-დან 100%-მდე შეზღუდული შესაძლებლობის პირია და პერსონალადაც ბევრი ან უმრავლესობა შშმ პირი მუშაობს.

დარღვევები

პიროვნების ფიზიკური, სენსორული ან კოგნიტური განსხვავება (მაგალითად, უსინათლობა, ბიპოლარული აშლილობის ან გაფანტული სკლეროზის ქონა, დასწავლის შეზღუდვები).

ინკლუზია

მოქმედება ან მდგომარეობა, რომელიც გულისხმობს გარკვეულ ჯგუფში ან სტრუქტურაში ჩართვას — ვინმესას ან ვინმეს მიერ.

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების გასავლელი გზა

მოცემული ფრაზა აღწერს გადაწყვეტილების მიმღები პოლიტიკოსების, მედიაორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის განვითარებას ჩართულობის უფრო პასიური ფორმებიდან ძალაუფლების გაზიარებამდე — იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანთა ცხოვრებაზე. ამ გზის ეტაპები შესაძლოა სხვადასხვანაირად აღვწეროთ. აქ ჩვენ უმეტესწილად ვიყენებთ ტერმინებს „ინფორმირება“, „კონსულტაციის მიღება“ და „გადაწყვეტილების მიღების ინკლუზიური პროცესი“.

მეინსტრიმინგი

მეინსტრიმინგი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებების შეფასებას ხელისუფლების ყველა დონეზე. შეზღუდული შესაძლებლობის პირთა პრობლემები და ინტერესები უნდა განიხილებოდეს სხვა ადამიანების პრობლემ-ებთან ერთად, არა სპეციალური პროგრამების ფარგლებში, არა-მედ ქვეყნის ეროვნულ პროგრამებში, რომლებიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ სფეროებში ხორციელდება.

პერსონალიზაცია

პერსონალიზაცია წარმოადგენს მიდგომას სოციალურ დახმარე-ბაში, რომელიც ნიშნავს, რომ „დახმარების მიმღებ ყოველ პირს, მიუხედავად იმისა, ეს დახმარება უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი სამსახურებისა თუ თვითდაფინანსების მეშვეობით, შეუძლია, აირჩიოს და აკონტროლოს ამ დახმარების ფორმა სოციალური დახმარების ნებისმიერი მოცემულობისთვის“.

პოლიტიკის შემუშავების ციკლი

„პოლიტიკა“ შეიძლება ნიშნავდეს ეროვნულ კანონმდებლობას, ეროვნულ ან ადგილობრივ პოლიტიკას ან სამსახურებს. მოცემული ციკლი მოიცავს შემდეგს:

- მიზნების დადგენას;
- სხვადასხვა ვარიანტების განსაზღვრასა და შეფასებას;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესს;
- პოლიტიკის განხორციელებას;
- მონიტორინგს, შეფასებასა და გადაწყვეტილებას იმის შესახებ, შეიცვალოს არსებული პოლიტიკა თუ არა, და როგორი გზით.

წარმოჩენა

მოცემულ დოკუმენტში ეს ტერმინი, როგორც წესი, ნიშნავს იმას, თუ როგორ არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წარმოჩენილი, მაგალითად, ახალ ამბებში თუ შეთხზულ ნარატივებში.

შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი

შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი წარმოადგენს ისეთ მიდგომას, რომელიც მიიჩნევს, რომ დარღვევების მქონე ადამიანებს არახელსაყრელ პირობებში აყენებს მათ წინაშე აღმართული სოციალური, კულტურული, ეკონომიკური თუ გარემოს ბარიერები.

I ნაწილი

რა არის ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება და რატომაა ის მნიშვნელოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის?

ინსტრუმენტარიუმის ეს ნაწილი:

- მოხაზავს მოსაზრებებს, რომლებსაც ეყრდნობა ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების კონცეფცია;
- გვაწვდის ამ მოსაზრებების საილუსტრაციო მაგალითებს;
- გვთავაზობს მეცადინეობების გეგმას და სავარჯიშოებს ტრენერებისათვის.

საფუძვლები — იდეები, რომლებსაც ეყრდნობა ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება

შინაარსი

- ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების მოკლე განსაზღვრება
- რას და როგორ ფიქრობენ შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ?
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარიყვა
- სამოქმედო პოლიტიკის შემუშავება და მომსახურების მიწოდება — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ და/ან მათთან ერთად?
- ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების შესახებ
- ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღებისას გასავლელი გზა

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების მოკლე განსაზღვრა

ტერმინი „ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება“ აღწერს იმგვარ მიდგომას, როდესაც შესაძლებლობების განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში აქტიურადაა ჩართული ყველა, ვისაც ეს გადაწყვეტილება უშუალოდ შეეხება.

რას და როგორ ფიქრობენ შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ?

ტრადიციული შეხედულება შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ, რასაცხშირად „შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელს“ უწოდებენ, შეზღუდულ შესაძლებლობას პიროვნების პრობლემად და პირად ტრაგედიად განიხილავს. ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი, მათ შორის, ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირიც, ამგვარად აღიქვამს ამ მოვლენას.

შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისგან მოელიან, რომ მათ საკუთარი დარღვევა აღიქვან, როგორც მოცემულობა, რომელსაც უნდა გაუმკლავდნენ და შეეგუონ, რომ ბევრი რამის გაკეთება არ შეუძლიათ. ამ თვალსაზრისს თან სდევს გარიყვა და დამოკიდებულად ყოფნა, ის შეზღუდული შესაძლებლობის თაობაზე წუხილს და შიშს აძლიერებს. ეს „განკურნე ან იზრუნე“ მიდგომაა, მის საფუძველს წარმოადგენს ვარაუდი, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად ყოფნა ნიშნავს, რომ არ ხარ სრულფასოვანი, ხოლო იყო არასრულფასოვანი — არასასურველია.

შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი

შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი — ეს არის ამ მოვლენის სხვაგვარი გააზრება, რომელიც შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირებმა ბოლო 40 წლის განმავლობაში შეიმუშავეს.

შეზღუდული შესაძლებლობის სოციალურ მოდელში პიროვნებას „შესაძლებლობებს უზღუდავს“ არა მისი ბიოლოგია, ანუ დარღვევები, არამედ, უპირატესად, ჩვენი საზოგადოების შემზღუდავი ბუნება. სოციალური მოდელის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არახელსაყრელ პირობებში იმ ლიმიტების გამო ხვდებიან, რომელთაც მათ სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და გარემო ბარიერები უწესებს. სწორედ საზოგადოების მოწყობის ტიპი უწევს დისკრიმინაციას გარკვეული დარღვევების მქონე ადამიანებს და ხელს უშლის მათ ჩართულობას და მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
მოცემული მოდელი განასხვავებს „დარღვევებს“ — პიროვნების ფიზიკურ, სენსორულ და კოგნიტიურ თავისებურებებს (მაგ. უსინათლობა, ბიპოლარული დარღვევები, გაფანტული სკლეროზი ან ათვისების უნარის დაქვეითება) და „შეზღუდულ შესაძლებლობებს“.

„შეზღუდული შესაძლებლობები“ გარკვეული დარღვევების სოციალურ შედეგებია. დარღვევების მქონე ადამიანებს საზოგადოება ზღუდავს: დამოკიდებულებითი ბარიერებით, როგორიცაა საზოგადოებრივი განწყობა და შეფასება; ინსტიტუციონალური ბარიერებით, რაც კანონთან და პოლიტიკასთანაა დაკავშირებული; ეკონომიკური ბარიერებით, რომლებიც რიყავენ და არახელსაყრელ პირობებში აყენებენ მათ; გარემო ბარიერებით, როგორიცაა ფიზიკური მისაწვდომობა, ინფორმაციის მიწოდებისა და კომუნიკაციის ხერხები და ორგანიზაციებისა და სისტემების მუშაობის წესრიგი.

ბარიერების გამო დარღვევების მქონე ადამიანები დისკრიმინირებულები, გარიყულები და არახელსაყრელ პირობებში მოქცეულები ხდებიან.

შეზღუდულ შესაძლებლობასთან სოციალური მოდელით მიდგომა ნიშნავს, რომ ამ ბარიერების მოშლა შესაძლებელია. მაგალითად, შეიძლება წინ აღვუდგეთ დამქირავებელთა წისნასწარგანწყობასა და სამუშაო ადგილებზე ფიზიკური ბარიერების არსებობას და დავძლიოთ ისინი, ისე, რომ ფიზიკური შეზღუდვების მქონე ადამიანები სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციასა და უხერხულობას აღარ განიცდიდნენ.

სოციალური მოდელით მიდგომა გვთავაზობს შემზღუდავი ბარიერების გადალახვის პოზიტიურ და კონსტრუქციულ გადაწყვეტილებებს და ყურადღებას ამახვილებს ადამიანისა და სამოქალაქო უფლებებზე.

მაშ, რა არის შეზღუდული შესაძლებლობა და ვინ არიან „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები“?

ტერმინს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ (**შშმპ**) იყენებენ ადამიანთა იმ ჯგუფის მიმართ, რომელთაც რიგი დარღვევები და ჯანმრთელობის სპეციფიკური მდგომარეობა აღენიშნებათ. ზოგ შემთხვევაში მას გამიზნულად იყენებენ, როგორც პოლიტიკურ ტერმინს, რათა გარიყვის და დისკრიმინაციის სოციალურ საფუძველსა და ბუნებას გაუსვან ხაზი. ჩვენ გვზღუდავს არა ჩვენი დარღვევები, არამედ — საზოგადოებაში მოქმედი შემაფერხებელი ბარიერები.

სხვადასხვა ქვეყანაში ამ ჯგუფის ადამიანთა აღსაწერად და განსასაზღვრად გასხვავებულ ენასა და ხერხებს იყენებენ, ვთქვათ, იმ ადამიანებთან მიმართებაში, რომლებიც სარგებლობენ სოციალური უზრუნველყოფით, იღებენ სოციალურ დახმარებას, და მათთან მიმართებაში, ვისაც იცავს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა ან ვისაც აქვს განსაკუთრებული იურიდიული უფლებები მათი შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

გაერთიანებულ სამეფოში, მაგალითად, 2010 წლის თანასწორ-უფლებიანობის აქტით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი განიმარტება, როგორც პირი „ფიზიკური ან მენტალური დარღვევებით, რომელსაც აქვს არსებითი და ხანგრძლივი დამაზიანებელი ეფექტი პიროვნების უნარზე, განახორციელოს სრულფასოვანი ყოველდღიური საქმიანობა“.

ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები“ მოცემულ ინსტრუმენტარიუმში გამოყენებულია იმ იდეის თანმიმდევრული გადმოცემისათვის, რომ ადამიანები „საზოგადოების მიერ არიან შეზღუდულები“. სხვა ავტორები უპირატესობას ანიჭებენ ტერმინს „ადამიანები შეზღუდული შესაძლებლობით“, რათა ხაზი გაუსვან, რომ მოხსენიებული პირები „უპირველესად ადამიანები“ არიან. ტერმინს „ადამიანები შეზღუდული შესაძლებლობით“ იყენებენ შეერთებულ შტატებში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინგლისურენოვან დოკუმენტებში.

ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები“ უნდა გამ-ოვიყენოთ დარღვევების მქონე ყველა ადამიანის მიმართ, მა-მაკაცების, ქალების, ბავშვების ჩათვლით, თუ ეს სხვაგვარად არაა განსაზღვრული; ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წევრ, ჰეტეროსექსუალ თუ ჰომოსექსუალ პირთა მიმართ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, როგორც ჯგუფი, გამოავლენს მახასიათებლების იგივე სპექტრს, რასაც ქვეყნები და თემები, საიდანაც ისინი გამოვიდნენ.

„ჩვენგან უმრავლესობა შეჯახებია შეზღუდული შესაძლებლობის პრობლემას თავისი ცხოვრების რომელიმე ეტაპზე, ან პერსო-ნალურად, ან ოჯახზე თუ მეგობრებზე ზრუნვისას“.

შეზღუდული შესაძლებლობის საკითხების დეპარტამენტმა (ODI), დაწესებულებამ, რომელსაც ინგლისის სამინისტროებში შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული სახელმწიფო

სტრატეგიის კოორდინირება ევალება, 2013 წელს ჩაატარებინა ფართომასშტაბიანი ანალიტიკური კვლევა შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული მისეული სტრატეგიის, „განხორციელების პოტენციალის“ ('Fulfilling Potential') შესახებ ინფორმირების მიზნით.[1] კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ადამიანები, ჩვეულებრივ, გამოცდიან შეზღუდულობას მათი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და რომ ადამიანთა უმრავლესობა არ იბადება დარღვევებით და არც ეს დარღვევები განაპირობებს, თუ რა პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან ისინი დროთა განმავლობაში. კვლევა ცხადყოფს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის სხვადასხვა ფორმები სიცოცხლის სხვადასხვა ეტაპზე აღმოცენდება ან შემზღუდავი ხდება, მათ შორისაა ისეთი ფაქტორების შედეგებიც, როგორიცაა სიბერე, სიღატაკე, უმუშევრობა, კვების რეჟიმი და ცხოვრების სტილი, განათლების დონე. ადამიანებს, რომლებიც შესაძლებლობის შეზღუდვის მომენტს უკვე არახელსაყრელ პირობებში მყოფი ხვდებიან, სავარაუდოდ, ეს პირობები კიდევ უფრო დაუმძიმდებათ — მათი შესაძლებლობის შეზღუდვის შედეგად.

მთავრობამ „განხორციელების პოტენციალი“ გამოსცა სხვადასხვა მისაწვდომ ფორმატში, მათ შორისაა ანგარიშის ფორმატი და სლაიდშოუს ფორმატი, 2 ვიდეოგამოცემა ბრიტანეთის ჟესტების ენის მომხმარებელთათვის ან ადვილი საკითხავები (Easy Read Guide).[3]

1 https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/320515/building-understanding-main-slide-deck.pdf
2 https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/320515/building-understanding-main-slide-deck.pdf
3 https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/320516/building-understanding-easy-read.pdf

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მოძრაობა

„ჩვენ ვერთიანდებით, იმედია, უკანასკნელ ***დიდ ბრძოლაში სამოქალაქო უფლებებისათვის***, ხოლო ისინი, ვინც გვიპირისპირდებიან, გაქრებიან ისტორიის სცენიდან და მხოლოდ წარსულის აჩრდილებადღა დარჩებიან“.
ლაიამ მაგუერი, ირლანდია, 1981

შუა 70–იანი წლებიდან მთელ მსოფლიოში დიდი რაოდენობით იწყო აღმოცენება შშმპ ორგანიზაციებმა. მანამდე ზოგიერთ ქვეყანაში არსებობდა განსაკუთრებული ორგანიზაციები, როგორიცაა პროფესიული კავშირები გარკვეული ჯგუფებისათვის, ვთქვათ, მხედველობა– და სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის.

1981 წელს (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო წელს), სინგაპურში მსოფლიოს ყველა კუთხიდან შეიკრიბნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და დააარსეს ***შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერნაციონალი (შშმპი)***. ამჟამად ამ ორგანიზაციას 130 ქვეყანაში აქვს წარმომადგენლობები, მისი წევრი ნაციონალური ასამბლეების სახით, რომლებიც მოიცავენ შვიდ რეგიონს: აფრიკა, არაბეთი, აზია–წყნარი ოკეანის კუნძულები, დსთ, ევროპა, ლათინური ამერიკა, ჩრდილოეთ ამერიკა და კარიბის კუნძულები. ეს ორგანიზაციები მუშაობენ საკუთარ ქვეყნებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შესაძლებლობებისა და გარემოს გასაუმჯობესებლად და მათი ნახევრზე მეტი განვითარებად ქვეყნებშია განთავსებული.

შშმპი–ის მიზანია, მიაღწიოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულფასოვან მონაწილეობას ცხოვრების საერთო დინებაში, ძირითადად მათი უფლებების წინწამოწევისა და დაცვის გზით. განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართულია განვითარებადი ქვეყნებისაკენ, სადაც მსოფლიოს 1 მილიარდი შშმპ–ის 80% და

მსოფლიოს უღარიბეს და განსაკუთრებით ცუდ პირობებში მყოფ ადამიანთა 20% ცხოვრობს.

დღეს შშმპ ორგანიზაციებისათვის ბევრ ქვეყანაში არსებობს ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმები. ამ ორგანიზაციებიდან ზოგი ფოკუსირდება ერთ რომელიმე პრობლემაზე, მაგალითად, ტრანსპორტსა და დამოუკიდებელ ცხოვრებაზე, სხვები — რომელიმე ერთი სახის შეზღუდულ შესაძლებლობაზე, მაგალითად, ფსიქიკურ დაავადებებსა და დასწავლის შეზღუდვებზე, ბევრი ორგანიზაციაც ადგილობრივ და ნაციონალურ დონეზე ცდილობს, წარმოადგინოს ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარიყვა

ქვემოთ ჩამოთვლილია ძირითადი ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სრულად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

1. ინსტიტუტციონალური/სტრატეგიული ბარიერი
სახელმწიფო პოლიტიკა, კანონები და სახელმწიფო სამსახურები ყოველთვის არ ითვალისწინებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს — ან ეს საჭიროებები პრაქტიკულად არ გადაწყდება. მაგალითად, მიუწვდომელია ჯანდაცვის სერვისები; განათლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის სეგრეგირებულია ან დაბალი სტანდარტისაა; ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რეგულაციებით ადამიანებს შესაძლოა უსამართლოდ შეექმნათ არახელსაყრელი პირობები ან ვერ მიიღონ დასაქმება თუ მომსახურება.

2. დამოკიდებულებითი ბარიერი
„ჩვენ შეგვიძლია ვაკეთოთ ყველაფერი, რაც მოგვესურვება, და შენ ამას ვერაფრით შეეწინააღმდეგები“ — ახალგაზრდების დაჯგუფება,

რომელიც დევნიდა ფიონა პოლკინგტონს, რომელსაც ჰქონდა დასწავლის შეზღუდვა.[4]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ჩართულობის ყველაზე დიდი ბარიერი ხშირად სწორედ მათდამი დამოკიდებულებაა. უარყოფითი წინასწარგანწყობა და სტერეოტიპები ადამიანებს უმცირებს მოლოდინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში, რაც ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხშირად არავითარი ძალაუფლება არ გააჩნიათ. ისინი უბრალოდ „პაციენტები“ ან „მომსახურების მომხმარებლები“ არიან და არა — საკუთარი ცხოვრების აქტიური შემოქმედნი. ზოგიერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სტიგმის, ღია აგრესის და ძალადობის ობიექტი ხდება. უარყოფითი განწყობა შეიძლება გამოვლინდეს მენტალური დაავადებების და გადამდები დაავადებების (აივ-ინფექცია, ჰეპატიტები) მქონე ადამიანების მიმართ.

როგორც გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებული ბოლოდროინდელი კვლევა აჩვენებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სხვა ადამიანებზე ოთხჯერ უფრო ხშირად ხდებიან დანაშაულის მსხვერპლი და ორჯერ უფრო ხშირად — ძალადობის მხვერპლი.[5]

---

4 ციტატა მოიყვანა ფიონა პილკინგსტონის დედამ, პამ კასელმა, მისი შვილის სიკვდილის გარემოებების გამოძიებისას. ფიონამ მოიკლა თავი და მოკლა საკუთარი შვილიც, გოგონა. მისი შემთხვევა მაგალითად იყო მოყვანილი გაერთიანებული სამეფოს თანასწორობისა და ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის მიერ წარმოებულ შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ძალადობის კვლევაში „თვალწინ დამალული“ (2011), http://www.equalityhumanrights.com/sites/default/files/documents/disabilityfi/ehrc_hidden_in_plain_sight_3.pdf

5 http://www.equalityhumanrights.com/sites/default/files/documents/research/disabled_people_s_experiences_of_targeted_violence_and_hostility.pdf

3. ფიზიკური ბარიერი

შენობა–ნაგებობებთან და გარემოსთან ფიზიკური მიწვდომის გარეშე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ შეუძლიათ, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ოჯახის, თემისა თუ ერის ცხოვრებაში. მათ ეზღუდებათ მუშაობის შესაძლებლობა, ხელი არ მიუწვდებათ სხვადასხვა მომსახურებასა და გართობაზე.

4. არაადეკვატური ინფორმაცია და კომუნიკაცია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ხშირად მიუწვდომელია ინფორმაცია და კომუნიკაცია. ხშირად მიუწვდომელია მისაღებ ფორმატში გადმოცემული ინფორმაცია საჯარო და კერძო სერვისების შესახებ. ვებსაიტები ჯერ კიდევ არ არის შესაფერისად აწყობილი ან თავსებადი იმ პროგრამებთან, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იყენებენ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შესაძლოა არ იცოდნენ, როგორ მოიძიონ ინფორმაცია.

5. კვლევების არარსებობა

დეტალური, შეზღუდულ შესაძლებლობებზე ფოკუსირებული სტატისტიკური მონაცემებისა და შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ სხვა ინფორმაციის არარსებობა აფერხებს ეფექტიან ცვლილებებს. მტკიცებულებებზე დამყარებული პოლიტიკის განვითარება უკეთეს შედეგებამდე მიგვიყვანს. სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს კარგი შესაძლებლობა აქვთ, ხელი შეუწყონ ადგილობრივი და ნაციონალური პოლიტიკის შემუშავებისთვის საჭირო მტკიცებულებების შეგროვებას. მაგალითად, მათ შეუძლიათ, ყურადღება მიაპყრონ იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მოიპოვონ და შეინარჩუნონ სამსახური, მათ შორის იმას, თუ რა აძლიერებს დამქირავებლის მოტივაციას, რა უწყობს ხელს ეფექტიანი დასაქმების პროგრამების ინფორმირებას.

6. ფინანსური ბარიერი

თანასწორუფლებიანობის მხარდაჭერის პოლიტიკისა და გეგმებ-ის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები ხშირად შეზღუ-დულია. ხშირად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ფონდები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურებისათვის ცალკეა გამოყოფილი, რაც იწვევს მათ იზოლირებას და რიყავს დანარჩენი საზოგადოებიდან. ზოგჯერ შიშს იწვევს იმ სამარჯვების მოწყობასთან დაკავშირებული პოტენციური ხარჯები, რაც ხელს შეუწყობდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სრულფასოვან აქტივობას, მაგალითად, მათ სიარულს სამსახურში, არჩევნებში მონაწილეობას.

გაგების ნაკლებობა, თუ როგორ გაანაწილონ რესურსები და გამოიყენონ ფონდები კრიზისის დასაძლევად, იმ ფაქტორების ნაწილია, რომლებიც ხელს უშლის ორგანიზაციებს და პოლიტიკოსებს, დაგეგმონ ინვესტიციები პოლიტიკის, პრაქტიკის, ფიზიკური მისაწვდომობისა და კომუნიკაციების რეგულირებისათვის, რაც გაზრდიდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესაძლებლობას, მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში.

პოლიტიკის შემუშავება და მომსახურების მიწოდება — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების შესახებ და/ან მათთან ერთად

ამ თავში აღწერილია რამდენიმე კონცეფცია, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა ფორმით თანამშრომლობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მოძრაობა პოლიტიკოსებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ სექტორთან. ეს კონცეფციები მიესადაგება გაერთიანებული სამეფოს კონტექსტს და თითოეული მათგანის აღწერა ამ ქვეყნის მენტალიტეტს და გამოცდილებას ეყრდნობა.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აღწერილ მიდგომებთან შეხების შედეგად განსხვავებული გამოცდილებები აქვთ შეძენილი.

ხშირ შემთხვევაში ეს კონცეფციები ცუდადაა გაგებული და მაშინაც კი, როდესაც ეს მიდგომები აღიარებულია, მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებას, მედიას და მოქალაქეებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩათვლით, ამ მიდგომების განსახორციელებლად შეიძლება არ გააჩნდეთ სამართლებრივი მექანიზმები და პრაქტიკული გააზრება.

არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე!

„არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე!" – სლოგანი, რომელსაც იყენებენ იმ იდეის გადმოსაცემად, რომ პოლიტიკა არ უნდა განისაზღვროს იმ ჯგუფის წევრთა სრული და პირდაპირი მონაწილეობის გარეშე, რომელსაც ეს პოლიტიკა ეხება.

გამოთქმა ცენტრალური ევროპის პოლიტიკურ ტრადიციაში იშვა. ეს პოლიტიკური ლოზუნგი დაეხმარა 1505 წელს პოლონეთის კონსტიტუციური კანონმდებლობის შემუშავებას, რომელმაც პირველად გადასცა ხელისუფლება მონარქიდან პარლამენტს. მოგვიანებით ეს გამოთქმა დემოკრატიული ნორმების დევიზი გახდა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მოძრაობის აქტივისტებმა ამ გამოთქმის გამოყენება 90-იან წლებში დაიწყეს. ჯეიმს ჩარლტონის თქმით, მან ეს დევიზი პირველად სამხრეთ აფრიკელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აქტივისტ უილიამ როულანდთან საუბრისას გაიგონა, რომელმაც თავის მხრივ ის მოისმინა უსახელო აღმოსავლეთევროპელი აქტივისტისაგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ერთ-ერთ პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე. 1988 წელს ჩარლტონმა ეს ფრაზა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პირთა უფლებების შესახებ მის მიერ დაწერილი წიგნის სათაურად გამოიყენა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამცველი აქტივისტი დევიდ უორნერი ასევე 1998 წელს აქვეყნებს მეორე წიგნს იმავე სათაურით.

ჩართულობა/მეინსტრიმინგი

> „ჩვენ აზრადაც არ მოგვივა, ქალების გარეშე მივიღოთ გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას მოახდენს მათ ცხოვრებაზე; მაშ, რატომ ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია, ისე მივიღოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებზე გავლენის მქონე გადაწყვეტილებები, რომ მათ არ დავეკითხოთ?“
>
> ციტატა IDEAS პროექტის მონაწილის გამონათქვამიდან

გაცნობიერებამ ბარიერებისა, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მსოფლიოს ყველა კუთხეში აწყდებიან, და მათი გადალახვის მნიშვნელოვნებამ პოლიტიკის განმსაზღვრელები აიძულა, საერთაშორისო დონეზე შეემუშავებინათ „ჩართულობის“ კონცეფცია, რომელიც ასახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდეას „არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე“.

2007 წლის ნოემბერში გაერთიანებული ერების ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოთა სამოქმედო გეგმაში ***შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მეინსტრიმინგის*** საკითხი შეიტანა.

გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დადგენილების თანახმად, მეინსტრიმინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საშუალებაა. ამ კონცეფციის პირველწყაროს წარმოადგენს გენდერული მეინსტრიმინგი, რომელიც გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 1997 წელს განსაზღვრა.

ჩართულობა/მეინსტრიმიზაცია ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების განხილვას ყველა სამთავრობო დონეზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები უნდა განიხილებოდეს სხვა ადამიანთა ინტერესების პარალელურად, არა სპეციალურ პროგრამებში, არამედ ქვეყნის ეროვნული პროგრამის ფარგლებში, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ სფეროში.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კომიტეტმა მეინსტრიმინგის ექვსი ძირითადი პრინციპი განსაზღვრა:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მეინსტრიმინგის ხელის შეწყობა საერთო პასუხისმგებლობაა მთელი სახელმწიფო სისტემისა, სადაც ყველა დეპარტამენტი უმაღლესი მმართველი ორგანოთია წარმოდგენილი;
2. მეინსტრიმინგი აუცილებელი პირობაა ანგარიშგებისა და მონიტორინგის ადეკვატური მექანიზმების საწყისი ეტაპიდანვე დანერგვისთვის;
3. დაწყებამდე ყველა სფეროში/უბანზე უნდა ჩატარდეს გადასაწყვეტი საკითხების კვლევა მეინსტრიმინგის თვალსაზრისით იმგვარად, რომ კვლევამ მოგვაპოვებინოს ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უთანასწორო მდგომარეობაზე ამა თუ იმ მიმართულებით;
4. ადეკვატური რესურსების, მათ შორის ადამიანური და ფინანსური რესურსების, უზრუნველსაყოფად უნდა არსებობდეს პოლიტიკური ნება და მისი გამოხატულება;
5. **მეინსტრიმინგი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე**;
6. მეინსტრიმინგი არ ანაცვლებს სპეციალიზებულ პროგრამებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და პოზიტიურ, ქმედებაზე ორიენტირებულ კანონმდებლობას, და არც ამცირებს მათზე მოთხოვნილებას.

ზემოთმოყვანილი მე-5 პუნქტი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობას.

თანაწარმოება

გაერთიანებულ სამეფოში და ზოგან სხვაგანაც ტერმინს „თანაწარმოება“ „ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების“ ნაცვლად ხმარობენ.

თანაწარმოება ნიშნავს სტრატეგიულ დონეზე თანამშრომლობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, როგორც პარტნიორებთან. ამას გარდა, ეს გახლავთ ვალდებულება, ჩააბან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები პოლიტიკასა თუ პროექტში მათი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში. ჩართვის ამ დონემ შესაძლოა მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა იქონიოს მათ ეფექტიანობაზე.

თანაწარმოებას მოაქვს შემდეგი სარგებელი:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გამოცდილება უშუალოდ პირველწყაროდან ხდება მისაწვდომი;
- საჯაროდ დემონსტრირდება მომხმარებელთა აზრის ფასეულობა;
- რთული პრობლემების გადაწყვეტაზე ერთობლივი მუშაობის პროცესში ყალიბდება საიმედო ურთიერთობები;
- შემუშავდება უკეთესი გადაწყვეტილებები.

შესაძლებელია, თანაწარმოება ნიშნავდეს გარკვეულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობას, ან პროექტთან თუ პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებით რჩევის მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯგუფის მოწვევას. ეს უზრუნველყოფს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იგივე ჯგუფი ჩართული იქნება განვითარებისა და მიწოდების მთელი პროცესის მანძილზე.

ასეთი თანაწარმოებისაგან ყველა მოიგებს: პროფესიონალებსა და პერსონალს შესაძლებლობა ექნებათ, უკეთესად გაიაზრონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყოველდღიური გამოცდილება, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეეძლებათ, უკეთ შეიტყონ, თუ როგორ ხდება პოლიტიკისა და მომსახურების შემუშავება და მიწოდება.

გაერთიანებული სამეფოს რიგმა სამთავრობო ორგანოებმა შე-ქმნეს ცნობარები იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს თანაწარმოება პრაქტიკული თვალსაზრისით.[6]

ცნობარებიდან ჩანს: თანაწარმოებამ რომ იმუშაოს, აუცილებელია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ჩაბმული იყვნენ დაგეგმვის პროცესში, შეთანხმების პროცესში, თუ რა უნდა გაკეთდეს, რაღაცის გამოსწორების პროცესში და ყოველივე ამის მუშაობის შემოწმებაში.

6 http://odi.dwp.gov.uk/involving-disabled-people/co-production.php http://www.vodg.org.uk/uploads/pdfs/Co-production_in_Action_SCIE_report.pdf http://www.ndti.org.uk/uploads/files/Personalisation_-_dont_just_do_it_coproduce_it.pdf

თანაწარმოება მოქმედებაში

ერთად იფიქრეთ, თუ რა უნდა მოხდეს ახლა, მოგვიანებით და შორეულ პერსპექტივაში. შეთანხმდით, ვინ და რას გააკეთებს, როდისთვის.

იფიქრეთ, როგორ დაეხმაროთ ერთმანეთს გადაწყვეტილების მიღებაში.

იფიქრე იმაზე, თუ ვინ უნდა გახდეს ამ პროცესის მონაწილე.

მიაღწიე წარმატებას იმაში, რაც გსურდა? შედეგად რა შეიცვალა შეზღუდული შესაძლებლობის პირთა ცხოვრებაში?

იმოქმედე

იმუშავეთ ერთად, რათა გაიაზროთ და შეათანხმოთ გადასაჭრელი საკითხები.

განსაზღვრეთ ამ მიზნების მისაღწევად საჭირო რესურსები. გაქვს ისინი? როგორ მოიპოვებ იმას, რაც გსურს?

შეთანხმდით, რა გსურთ, რომ შეიცვალოს. რა არის წარმატება თითოეულის გადმოსახედიდან?

დამოუკიდებელი ცხოვრება

მრავალ ქვეყანაში და საერთაშორისო დონეზეც არსებობს „დამოუკიდებელი ცხოვრების მოძრაობა“, რომელიც ადამიანების ავტონომიის და მათ მიერ ცხოვრების საკუთარი შეხედულებისამებრ მოწყობის საკითხებს შეეხება.

დაახლოებით ბოლო 30 წლის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იბრძვიან სიტყვების „დამოუკიდებელი“ და „დამოუკიდებლობა“ მნიშვნელობის შესაცვლელად. ეს ბრძოლა დაიწყო იმ ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური გამოცდილებიდან, რომელთა დარღვევებიც გულისხმობს, რომ ისინი ყოველდღიური ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტისას სხვებზე არიან დამოკიდებულნი. ადამიანები მიხვდნენ, რომ ***მათი კერძო დარღვევები კი არ ართმევენ არჩევანისა და საკუთარი ცხოვრების გაკონტროლების საშუალებას, არამედ ის, თუ როგორ იყენებს სახელმწიფო მათ დასახმარებლად განსაზღვრულ რესურსებს***. თავშესაფრები, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ართმევდა მათ ბაზისურ ავტონომიას, მაგრამ მას შემდეგ, რაც რესურსების კონტროლი მათ ხელში გადავიდა, უკვე საკუთარი ცხოვრების კონტროლიც მოიპოვეს.

ამგვარად, არჩევანის შესაძლებლობას და იმის კონტროლს, თუ რა სახითაა დახმარება შეთავაზებული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოძრაობის მიერ მოწოდებულ დამოუკიდებელი ცხოვრების განსაზღვრებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს.

პერსონალიზაცია

პერსონალიზაცია არის სოციალური დახმარების მიდგომა, რაც ნიშნავს, რომ „ნებისმიერი პირი, რომელიც იღებს დახმარებას, იქნება ეს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო სერვისები თუ თვითდაფინანსება, ირჩევს და აკონტროლებს ამ დახმარების ფორმას ყველა ტიპის დახმარების საჭიროების დროს“.

გაერთიანებულ სამეფოში მთავრობა იყენებს დაფინანსების ორ ფორმას, რათა საშუალება მისცეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, აირჩიონ, თუ რა ტიპის პერსონალური სოციალური დახმარების ყიდვა სურთ და რას მიიღებენ თანხის სანაცვლოდ. ესენია: პირდაპირი დაფინანსება და პერსონალური ბიუჯეტი.

პირდაპირ დაფინანსებას[7] სახელმწიფო აძლევს პიროვნებას ან მის წარმომადგენელს. ამგვარად, მათ თავად შეუძლიათ სოციალური სერვისის შეძენა იმის ნაცვლად, რომ ლოკალური ხელისუფლება მათ უშუალოდ უზრუნველყოფდეს ამ სერვისით.

ასეთი მიდგომის მიზანია მეტი მოქნილობა სერვისებით უზრუნველყოფაში. როდესაც პირი იღებს თანხას სოციალური უზრუნველყოფის სერვისების ნაცვლად, მას აქვს მეტი არჩევანი და კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე და შეუძლია, თავად განსაზღვროს, როგორ მიეწოდოს დახმარება.

მაგალითი: ჯანეტს აქვს ადგილობრივი სამედიცინო სამსახურის შეფასება, (community care assessment) რომლის თანახმადაც მას კვირაში ექვსი საათით ესაჭიროება მედდის დახმარება. ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია, თვითონ შეურჩიოს მას მედდა ან მისცეს ჯანეტს პირდაპირი დაფინანსება, რითაც იგი საკუთარი სურვილისამებრ დაიქირავებს მუშაკს.

2013 წლიდან ინგლისში ყველას, ვინც იღებს დახმარებას სოციალური სამსახურებიდან, აქვს თავისი პერსონალური ბიუჯეტი. პერსონალური ბიუჯეტი იძლევა რიგ ვარიანტებს, თუ როგორ შეიძლება დაკმაყოფილდეს და დაფინანსდეს მოთხოვნილება, აგრეთვე ხელს უწყობს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას. ამის მიზანია, პიროვნებას მიეცეს მეტი კონტროლის უფლება და დარწმუნებული იყოს, რომ მომსახურება, რომელსაც მიიღებს, მისი მოთხოვნილებებისა და სურვილების შესაბამისი იქნება.

7 http://www.nhs.uk/CarersDirect/guide/practicalsupport/Pages/Directpayments.aspx

პერსონალური ბიუჯეტის მართვა პირს თვითონ შეუძლია პირ-დაპირი დაფინანსების მიღებით, ან შესაძლოა მას განაგებდეს ადგილობრივი საბჭო ან სხვა პირი.

პერსონალიზაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ, ვინაიდან მიღებული მომსახურების არჩევისა და გაკონტროლების უფლება პიროვნებას აქვს მინიჭებული, ეს მომსახურება თითოეული ინდივიდის საჭიროებებზეა მორგებული და არაა ყველასათვის ერთ თარგზე გამოჭრილი.

პერსონალიზაცია ასევე უზრუნველყოფს ზრუნვის შესახებ გაუ-მჯობესებული ინფორმაციის და კონსულტაციების მიწოდებას და ოჯახების მხრდაჭერას, ინვესტირებას პრევენტიულ მომსახუ-რებაში ადამიანთა მოვლა-პატრონობის აუცილებლობის შემცი-რების ან გადავადების მიზნით და დამოუკიდებლობისა და თავ-დაჯერებულობის გაუმჯობესებას პიროვნულ თუ თემების დონეზე. ამგვარად, პერსონალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა-სათვის, ვინც სოციალური უზრუნველყოფის სექტორშია ჩართული.

პერსონალიზაციის წარმატებულობის ძირითადი მაჩვენებელია, თუ რამდენად გაუმჯობესდა საჯარო მომსახურების (ადგილობრივი ჯანდაცვის დაწესებულებები, კომუნალური მომსახურება) მომ-ხმარებელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი ახლობლების ცხოვრება ყოველდღიური ამოცანების გადაწყვეტის თვალსაზრისით. გაერთიანებულ სამეფოში ეს შედეგი მიღწეულია პერსონალური ბიუჯეტების მეშვეობით, მაგრამ მაინც შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ გარკვეული ჯგუფები — ადამიანები დემენციით, სხვა მენტალური პრობლემებით და დაქვეითებული მენტალური შესაძლებლობებით — ვერ სარგებლობენ ასეთი მიდგომის უპირატესობით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც სარგებ-ლობენ საჯარო სერვისებით და მომვლელების მომსახურებით,

ასევე უჩივიან სოციალური უზრუნველყოფის შესახებ არასაკმარის ინფორმირებას და კონსულტირებას. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისთვის, ვინც არ იღებს ფინანსურ დახმარებას სახელმწიფოსგან და ამ სახის მომსახურებისათვის საკუთარი თანხები უნდა გაიღოს.

მას შემდეგ, რაც პერსონალიზაცია მთავრობის პოლიტიკად იქცა, უმნიშვნელოვანესი ცვლილებები შეეხო საჯარო მომსახურების სფეროში მომუშავე სპეციალისტებს, მათ შორის — სოცუზრუნველყოფის პროფესიონალებს, ადგილობრივ მმართველობაში მოზრდილებზე სოციალური ზრუნვის შტატს და სოცმუშაკებს. უზრუნველყოფის მენეჯმენტის ძირითადმა ფუნქციებმა — მომსახურების მომხმარებელთა დადგენა, ზრუნვის გეგმის შემუშავება და მოთხოვნილების შესაბამისი მომსახურების შეძენა — უკლებლივ ყველამ სახე იცვალა პერსონალური ბიუჯეტების შემოღების შემდეგ. ამასთან ერთად შეიცვალა აზროვნების სტილი და დამოკიდებულება იმ თვალსაზრისით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უფრო ხშირად თავად იღებენ გადაწყვეტილებებს, ნაცვლად იმისა, რომ ეს სხვამ გააკეთოს.

გაერთიანებულ სამეფოში მზრუნველობისა და დახმარების 2014 წლის აქტი ავალდებულებს ადგილობრივ საბჭოებს, დარწმუნდნენ, რომ მომსახურების მომხმარებლებს ხელი მიუწვდებათ მრავალფეროვან მიმწოდებელთა ბაზარზე.

მომსახურების სახეებს შორის არჩევანის გაკეთებაში ოჯახების დასახმარებლად მთავრობა სხვადასხვა გზებით ქმნის ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტირების ხარისხიან წყაროებს:

- საბჭოებს ევალება, უზრუნველყონ ყოვლისმომცველი ინფორმაციისა და კონსულტირების სამსახური, დააფინანსონ ონლაინ ინფორმირების სამსახურის შექმნა;
- არსებობს ნაციონალური პორტალი, რომელზედაც განთავსებულია ინფორმაცია და რჩევები მზრუნველობის თაობაზე,

მათ შორის — რეგისტრირებული თავშესაფრებში თუ ბინაზე მომვლელების პროფილები, ისეთი საბაზო ინფორმაციით, როგორიცაა შესაბამისობა *ზრუნვის ხარისხის კომისიის* სტანდარტებთან და, თუ შესაძლებელია, დამატებითი ინფორ-მაცია მომსახურების ხარისხის შესახებ, მათ შორის — მომხმარებლების გამოხმაურებები.

ინგლისში პერსონალიზაციის დანერგვასა და მიწოდებას მხარს უჭერს *იფიქრე ადგილობრივზე, იმოქმედე ინდივიდუალურად* თანამშრომლობა (Think Local Act Personal Partnership) — სექტორალური ორგანიზაციების კოალიცია.

ეს ცენტრალური იდეაა ქმედებებისთვის, რომლებიც საჭიროა, რათა კრიზისზე რეაგირებაზე დაფუძნებული მზრუნველობის სისტემა გარდაიქმნას დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის ხელშემწყობ სისტემად.

დამატებითი ინფორმაცია:

იფიქრე ადგილობრივზე, იმოქმედე ინდივიდუალურად (Think Local Act Personal).
სოციალური ზრუნვის ინსტიტუტი პერსონალიზაციისთვის საუკე-თესო რესურსების უზრუნველსაყოფად (Social Care Institute for Excellence resources on personalisation)

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების შესახებ

რა არის ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრებისეულ გა-მოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკის შემუშა-ვებისა და სამსახურების დაგეგმვის საქმეში, მაგრამ იგი არ იყო

გათვალისწინებული იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ მათ ცხოვრებაზე.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებული და აქტიურად ჩართული მათთან დაკავშირებული პოლიტიკის, კანონების და სერვისების ფორმირებისა და დანერგვის პროცესის ყველა სტადიაზე.[8]

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება — ეს თანამშრომლობის, დაგეგმვის, პრობლემების მოგვარებისა და გადაწყვეტილების მიღებისადმი ფილოსოფიური და პრაქტიკული მიდგომაა. ის გვეხმარება უზრუნველვყოთ, რომ პირები, ვისაც გადაწყვეტილება უშუალოდ ეხებათ, აქტიურად თანამშრომლობენ მათთან, ვინც პასუხს აგებენ ამ გადაწყვეტილების განხორციელებაზე.

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება სრულად შეესაბამება შეზღუდული შესაძლებლობის სოციალურ მოდელს, რომლის თანახმადაც:

- ადამიანები იზღუდებიან იმ ბარიერებით, რომელთაც საზოგადოება აღუმართავს მათ მონაწილეობას, ინკლუზიასა და თანასწორობას;
- დარღვევები ცხოვრების ჩვეულებრივი ნაწილია, დისკრიმინაცია — არა;
- პროფესიონალები უნდა იყვნენ „ხელის გაწვდენაზე“ და არა „თავში“ — **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა ეყრდნობოდნენ სხვების ცოდნას, მაგრამ არ უნდა იმართებოდნენ მათ მიერ;**

8 http://apps.who.int/gb/ebwha/pdf_files/WHA67/A67_16-en.pdf?ua=1

- „არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე“ — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ჩართული უნდა იყონ გადაწყვეტილებებსა და აქტივობებში, რომლებიც მათზე ზემოქმედებს;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ თანასწორობის, ღირსებისა და დამოუკიდებლობის უფლება.

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა მრავალ ქვეყანაში არსებობს და იგი გადამწყვეტი ფაქტორია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორუფლებიანობის დამკვიდრებაში რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეზე. იგი უზრუნველყოფს, რომ პოლიტიკა და სერვისები, შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვისა და ინკლუზიისათვის, ეფუძნებოდეს იმ პირთა უშუალო გამოცდილებას, ვის დასახმარებლადაც არის შემუშავებული. ამავდროულად იგი ამაღლებს საზოგადოების მოლოდინს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ იმით, რომ მათ საკუთარი ცხოვრების აქტიურ შემოქმედებად წარმოაჩენს; აგრეთვე ამაღლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისწრაფებებს, რასაც პოზიტიური სარგებელი მოაქვს საკუთრივ მათთვისაც და საზოგადოებისათვისაც.

რა მნიშვნელობა აქვს ინკლუზიურ გადაწყვეტილების მიღებას

მრავალი ბარიერი, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინაშე, არსებობს იმიტომ, რომ აქამდე ვერ ხერხდება ამ პირთა ჩაბმა მათ ცხოვრებაზე გავლენის მქონე პოლიტიკისა და მომსახურების ჩამოყალიბებაში. ამ ბარიერების მოშლა სასარგებლო იქნება მთელი საზოგადოებისათვის — ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარიყვა ზიანს აყენებს არა მარტო მათ, არამედ მათი ოჯახის წევრებსაც და ხელს უშლის მათი პოტენციალის სრულად რეალიზებას მთელი საზოგადოების სარგოდ.

IDEAS პროექტის მონაწილეებმა გამოყვეს ძირითადი აქტივობები, რომლებიც აძლიერებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი ორგანიზაციების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნულ თუ რეგიონულ დონეზე:

- განათლების უფლება: უზრუნველყოფილი იქნას ინკლუზიური სწავლების დანერგვა განათლების სისტემის ყველა დონეზე;
- სოციალური დაცვის უფლება (სოციალური დაცულობის უზრუნველყოფა);
- ინფორმაციის მისაწვდომობა: შეიქმნას კომპიუტერული პროგრამები მხედველობადაქვეითებული ადამიანებისათვის;
- გარანტირებული იქნეს კონვენციის მე-9 მუხლის (მისაწვდომობა) დანერგვა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ორგანიზაციები ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებში მრჩევლებისა და მეთვალყურეების სახით იყვნენ წარმოდგენილნი იმ პოლიტიკის/კანონმდებლობის შემუშავების პროცესში, რომელიც მათზე ახდენს გავლენას;
- შეიქმნას პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მუშაობისა და დასაქმებისათვის;
- უზრუნველყოფილი იქნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრება და მათი მხარდაჭერა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი ინტერესების დამცველი ორგანიზაციების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზრუნველყოფს ინკლუზიური, თანასწორი და პასუხისმგებელი საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ინკლუზიური გადაწვეტილების მიღების უპირატესობა

თვალსაჩინოა ის სარგებელი, რაც ინკლუზიურ გადაწყვეტილების მიღებას მოაქვს არა მარტო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, არამედ მთლიანად პოლიტიკის, მომსახურების, პროგრამებისა და პროექტების ეფექტიანობისათვის.

რადგანაც:

- იზოგება ხარჯები;[9]
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უფრო ინტენსიურად სარგებლობენ მომსახურებით;[10]
- მოიპოვება მეტი სასარგებლო ინფორმაცია;
- მომსახურე პერსონალი უფრო გაიწაფება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უფრო გაწაფული და თავდაჯერებულები ხდებიან;
- პოლიტიკა და მომსახურება უფრო მორგებული ხდება, განსაკუთრებით — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის;
- პოლიტიკა და მომსახურება უფრო ეფექტიანი ხდება, რადგან მასში აქტიურად ერთვება „ექსპერტი გამოცდილების საფუძველზე".

---

9 მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს ჯანმრთელობის დეპარტამენტის მონაცემები „ჯანმრთელობის საგუშაგოზე" (HealthWatch), რომელიც შესაძლებლობას აძლევს ადგილობრივი თემების წარმომადგენლებს, სიტყვა ეთქმოდეთ ან გავლენის მოხდენა შეეძლოთ ადგილობრივი ჯანდაცვის ან სოციალური დაცვის სამსახურებზე, ვარაუდობს £4.10-ის დაზოგვას ყოველ ინვესტირებულ £1-ზე; კვლევები საზოგადოების განვითარებაზე, რომელიც იყენებს ადგილობრივი თემების სოციალურ კაპიტალს, ვარაუდობს, რომ ეს მიდგომა დაზოგავს £3-დან £3.80-მდე ყოველ ინვესტირებულ £1-ზე; მომხმარებელთა მიერ მართული მენტალური ჯანმრთელობის პერსონალიზაციის ფორუმის ჯგუფი სავარაუდოდ დაზოგავს £250,000-ს წელიწადში მომხმარებლის სოციალური კაპიტალის გამოყენებით და არა მხოლოდ საწესდებო სერვისებით; შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული სიძულვილის დანაშაულის პოლიციისთვის შეტყობინების სიხშირე უფრო მაღალია იქ, სადაც შშმ პირების ორგანიზაციები უზრუნველყოფენ დამოუკიდებელ მხარდაჭერის მომსახურებას.

10 ანალიტიკური ცენტრი „დემოსი" გვატყობინებს, რომ შშმ პირთა მიერ მართულ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ხელისულებას შორის თანაწარმოებამ ხელი შეუწყო, მინიმუმამდე დასულიყო ბიუჯეტის შეცვლის და/ან სეკვესტრის მძიმე გადაწყვეტილებების შედეგები. Demos (2011) 'Coping with the Cuts' by Wood et al.: http://www.demos.co.uk/files/Coping_-_web.pdf?1315593443

საჯარო პოლიტიკის ყველა ასპექტისთვის, იქნება ეს განათლება, დასაქმება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფის სამსახური, ტრანსპორტი თუ სხვა სფეროები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვა გადაწვეტილების მიღების პროცესში განაპირობებს უფრო ეფექტიანი შედეგების მიღწევას როგორც ცალკეული ინდივიდებისთვის, ასევე უფრო ფართო მასშტაბით, მაგალითად, მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი შოულობს ან ინარჩუნებს სამუშაოს. ეს სასარგებლოა არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, არამედ მთლიანად ეკონომიკისა და საზოგადოებისათვის.

როგორ ეხმარება ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება ბარიერების მოშლას

1. ინსტიტუციურ/სტრატეგიული

ამ ბარიერის მოშლას ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარკვეული როლის მინიჭება რეგიონულ თუ ნაციონალურ დონეზე და ამ ორგანიზაციების შესაძლებლობის გაზრდა.

2. დამოკიდებულებითი

პოლიტიკის შემქმნელები და მედია აქტიურად უნდა ებრძოლონ უარყოფით დამოკიდებულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ. ეს შესაძლებელია მათგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და წვლილის პატივისცემის დემონსტრირებით; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდამხარ მუშაობით, მათი თვალსაჩინო ჩაბმით საერთო საქმიანობაში; სხვადასხვა საგანგებო სამუშაო პროგრამებით. მაგალითად გამოდგება გაერთიანებული სამეფოს 2012 წლის „დაუპირისპირდი, შეატყობინე, შეაჩერე: სიძულვილის დანაშაულის აღკვეთის სამთავრობო გეგმა“.
https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/97849/action-plan.pdf

3. ფიზიკური
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ექსპერტები უნდა მონაწილეობდნენ არსებული შენობების გასაუმჯობესებელი და ახალი შენობებისთვის ისეთი სტანდარტების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობდა ინკლუზიას. ფიზიკური ბარიერების მოშლა გვეხმარება ინკლუზიური საზოგადოების ფორმირებაში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში შეუძლიათ მონაწილეობა.

4. არაადეკვატური ინფორმირება და კომუნიკაცია
ინფორმაცია და კომუნიკაციის მეთოდები ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მათში უნდა გამოიყენებოდეს ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას აძლევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღებაში. ინფორმაცია უფრო იოლი გასაგები ხდება და ეს ყველასთვის ხელსაყრელია.

5. კვლევების ნაკლებობა
სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობის კვლევა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გამოცდილებისა და შეხედულებების მოკრება ხელს შეუწყობს ცვლილებებისთვის ეფექტიანი იდეების გენერირებას. ეს ყველასთვის მომგებიანია.

6. ფინანსური
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა სასარგებლოა ეკონომიკისა და საზოგადოებისათვის — ამის სრული გაცნობიერება ადგილობრივი და ნაციონალური ორგანოების ბიუჯეტების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ნაწილი უნდა იყოს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობისა და ღირსეული ცხოვრების წინ მდგარ ბარიერებზე დაფიქრება შეზღუდულ შესაძლებლობებზე დაფიქრების კერძო შემთხვევაა,

იგი პოზიტიური ცვლილებების განსახორციელებელი კრეატიული გზების ძიებას უწყობს ხელს.

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების პირობები

პირობები, რომლებიც იძლევა დემოკრატიისა და ძლიერი სამოქალაქო სექტორის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, კარგადაა ჩამოყალიბებული.

ისინი ეფუძნება ისეთ ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორიცაა გამოხატვის და გაერთიანებების თავისუფლება და რომლებიც მთელ რიგ საერთაშორისო, რეგიონულ და ნაციონალურ კანონებშია ასახული. მაგალითად, ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს დეკლარაციის თანახმად:

„მუხლი 19
ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საინფორმაციო საშუალებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

მუხლი 20
ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.“

იმისათვის, რათა სამოქალაქო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ პოლიტიკის შექმნის დისკრიმინაციისგან თავისუფალ პროცესში, ამისათვის აუცილებელია შესაფერისი გარემო. თავისუფალი გარემოს შექმნის პირობები გულისხმობს:

- კანონის უზენაესობას;
- ძირითადი დემოკრატიული პრინციპების ერთგულებას;

- პოლიტიკურ ნებას;
- სათანადო კანონმდებლობას;
- გამჭვირვალე პროცედურებს;
- ხანგრძლივ მხარდაჭერას; და
- რესურსებს მდგრადი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის და საერთო სივრცეს დიალოგისა და თანამშრომლობისთვის.

ეს პირობები სამოქალაქო ორგანიზაციებსა და საჯარო მოხელეებს შორის კონსტრუქციული ურთიერთობის საშუალებას იძლევა, აძლიერებს ურთიერთნდობას და ურთიერთგაგებას მონაწილეობითი დემოკრატიის სასარგებლოდ.

არსებობს მრავალი ქვეყანა, სადაც ყველა ეს პირობა არ არის დაცული. ბრძოლა ინკლუზიური გაწყვეტილების მიღების დამკვიდრებისათვის სულ უფრო გადამწყვეტი ხდება და შედეგი თუნდაც რომ არასრულყოფილად იყოს მიღწეული, მაინც მიზნად უნდა რჩებოდეს.

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების განვლილი გზა

ინკლუზიური გააწყვეტილების მიღება ჩამოყალიბდა მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფების ჩართულობის გასაძლიერებლად იმ საკითხების გადაწყვეტაში, რაც მათ უშუალოდ ეხებოდათ. ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც განვლილი გზა ჩართულობის უფრო მარტივი ფორმებიდან ძალაუფლების სრულ გაზიარებამდე იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრებაზე. სხვადასხვა ქვეყნებს ამ გზაზე სხვადასხვა მანძილი აქვთ გავლილი.

მრავალი ჩვენგანისათვის ნაცნობია სიტუაცია, როდესაც ინფორმაციის მიღების მხარეს იმყოფება — გეუბნებიან, ეს უნდა გააკეთო

ან ის გადაიხადოო. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც გავლენა აქვთ ჩვენს ცხოვრებაზე და უბრალოდ გვეუბნებიან, რა უნდა მოხდეს. ინფორმაციის მიღება, რა თქმა უნდა, ფასეულია და ეს მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯია ჩვენს გასავლელ გზაზე, მაგრამ ნებისმიერ კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია, იცოდე, შემდგომში საით შეიძლება გზის გაგრძელება.

ბევრ ორგანიზაციაში არსებობს საკონსულტაციო პრაქტიკა. აქ თქვენ მომსახურებასა და პოლიტიკაზე პასუხუსმგებელ პირთა მიერ უკვე შემუშავებული გეგმების კომენტირების საშუალება გეძლევათ.

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება არ არის იგივე, რაც კონ-სულტაცია. ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღებისას სამიზნე ჯგუფები თავიდანვე არიან პროცესში ჩართული. ისინი პოლი-ტიკასა და მომსახურებაზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად მუ-შაობენ სამოქმედო წინადადებების ჩამოყალიბებაზე. მათ გავ-ლენის მოხდენის ბევრად მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე ეს ჩვეულებრივი კონსულტაციებისას არის შესაძლებელი.

შეიძლება, ხელსაყრელი იყოს, ამ განსხვავებებზე შემდეგნაირად ვიმსჯელოთ:

1. რამდენად მჭიდროა ურთიერთდამოკიდებულება მომსახურების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებსა და იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ამ მომსახურებით სარგებლობენ? ერთი უკი-დურესობისას, მათ შესაძლოა მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებ-დეთ, ერთად მუშაობდნენ, როგორც თანაბარუფლებიანი (თუმცა განსხვავებული) პარტნიორები; მეორე უკიდურესობისას, მათ შე-საძლოა საერთოდ არ ჰქონდეთ ურთიერთობა.

• რა გავლენა აქვთ ადამიანებს მათთვის გათვალისწინებული სერვისის ფორმირებაში?

ინფორმაცია –> კონსულტაცია –> ინკლუზიური გადაწყვეტილები		
არანაირი დამოკიდებულება არანაირი ჩართულობა არანაირი გავლენა	შეზღუდული ჩაბმულობა გარკვეული ჩართულობა შეზღუდული გავლენა დადგენილი პარამეტრების ფარგლებში	თანაბარი პარტნიორობა დასაწყისიდანვე ძლიერი ჩართულობა ძლიერი გავლენა

სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა აქტივობა:

- ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს შემუშავების პროცესის დასრულების შემდეგ, მაგალითად, ადამიანებს ატყობინებენ ახალი მომსახურების (სერვისის) შესახებ;
- კონსულტაციები ტარდება მას შემდეგ, რაც გარკვეული გადაწყვეტილება უკვე მიღებულია;
- ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება იწყება ახალი მომსახურების ან პოლიტიკის შემუშავების პროცესის საწყისი სტადიიდანვე.

ინფორმაცია	**კონსულტაცია**	**ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება**
„აი, რის გაკეთებას ვგეგმავთ ჩვენ თქვენთვის“	„თქვენ რას ფიქრობთ ჩვენი გეგმის შესახებ?“	„რის გაკეთებას ვაპირებთ (ჩვენ) და როგორ შეგვიძლია ამის (ერთად) გაკეთება, როგორც პარტნიორებს?“

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა საჭიროებებთან მიმართებაში განსხვავებულ ქვეყნებში, რეგიონებსა და კონტექსტებში სხვადასხვანაირად აღიწერება; მაგალითად, იგი მოიხსენება, როგორც <u>დიალოგი, პარტნიორობა, ჩართულობა</u> ან <u>თანაწარმოება</u>.

თუ ინფორმირების სტადიაზე იმყოფებით

მნიშვნელოვანია, რომ თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი და ინკლუზიური იყოს ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანისათვის. ეს ნიშნავს, რომ ინფორმაცია უნდა გაიცეს სხვადასხვა ფორმით, რაც მისაწვდომი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სხვადასხვა ჯგუფებისთვის, მათი დარღვევების გათვალისწინებით. შესაძლოა, მას ცალკეული ინდივიდის საჭიროებებზე მორგებაც დასჭირდეს.[11]

ინგლისის შეზღუდული შესაძლებლობის საკითხების სამინისტრომ (The Office for Disability Issues in England) პოლიტიკოსებისთვის, სამოქალაქო საზოგადოებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე სხვა ორგანიზაციებისათვის 2011 წელს გამოაქვეყნა სახელმძღვანელო „ინკლუზიური კომუნიკაცია“.
http://webarchive.nationalarchives.gov.uk/20111030141353/http://odi.dwp.gov.uk/docs/iod/inc-com.pdf

ამას გარდა, მნიშვნელოვანია იცოდეთ, თუ რა ინფორმაცია უნდა გასცეთ; იფიქროთ, ვისთან გიწევთ საუბარი კომუნიკაციისას და რა უნდა იცოდნენ მათ.

11 http://odi.dwp.gov.uk/inclusive-communications/index.php; http://www.odi.govt.nz/resources/guides-and-toolkits/make-your-communications-more-accessible/

ინგლისის ჯანდაცვის დეპარტამენტმა შეიმუშავა საინფორმაციო სტრატეგია იმ მიზნით, რომ საავადმყოფოებში და ექიმების ხელთ არსებული ინფორმაცია ადამიანების შესახებ ხელმისაწვდომი გახდეს ამ ადამიანებისთვის და გაუმჯობესდეს მათ მიერ საკუთარ თავზე არსებული ინფორმაციის გაცემისა და მოძიების სისტემა, როდესაც ისინი სამკურნალოდ სხვადასხვა სამედიცინო ცენტრებს მიმართავენ. სტრატეგიას ეწოდება „ინფორმაციის ძალა" ("The Power of Information"), ის სხვადასხვა ფორმატშია გამოქვეყნებული, იმგვარად, რომ ხელმისაწვდომი იყოს როგორც შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე, ასევე მათი მქონე პირებისათვის. ამ სტრატეგიის ნაწილად, მთავრობა მოიაზრებს მათი საინფორმაციო სტრატეგიის ძლიერ გავლენას მოსახლეობის ფართო ფენებზე. მათ გამოაქვეყნეს შედეგები ანგარიშში „ინფორმაციის ძალა. თანასწორობის ანალიზი", რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ადამიანები ხედავენ მათ ღია პოზიციას: აუცილებელია საინფორმაციო სტრატეგიის ადაპტირება სხვადასხვა ჯგუფის ადამიანებზე მოსარგებად.
https://www.gov.uk/government/publications/giving-people-control-of-the-health-and-care-information-they-need

კონსულტაცია

ეს ტერმინი ხშირად აღწერს რეგულატორულ პროცესს, რომელიც გულისხმობს საზოგადოების ჩართვას იმ საკითხების მოგვარებაში, რაც მათზე გავლენას ახდენს. მისი მთავარი მიზანია ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და საზოგადოების ჩართულობის გაზრდა ფართო სპექტრის პროექტებში, აგრეთვე — კანონმდებლობასა და პოლიტიკაში. ის ჩვეულებრივ მოიცავს შეტყობინებას (განსახილველი საკითხის გასაჯაროვება), კონსულტაციებს (ინფორმაციისა და შეხედულებების ურთიერთგაცვლა), ასევე მონაწილეობას (ინტერესთა ჯგუფების ჩართვა პოლიტიკის ან კანონმდებლობის შემუშავებისას).

კონსულტაციის პრინციპი ტიპურია ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებში (გაერთიანებული სამეფო, კანადა, ახალი ზელანდია, ავსტრალია), თუმცა ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში მოქმედებს მსგავსი სისტემები. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, ამ პროცესს ეწოდება „საჯარო შეტყობინება და გამოხმაურება“ (“public notice and comment”).

სახელმწიფოთა მსგავსად, ანალოგიურ პრინციპებზე აგებულ სისტემებს იყენებს ზოგი ორგანიზაციაც. მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და მრავალი ადგილობრივი და ჯანდაცვის სფეროს მოხელეები მართავენ კონსულტაციებს მათი პოლიტიკისა და სერვისების შესახებ. OECD–მ შექმნა რესურსი „გაუმჯობესება ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით“‘(Empowerment through local citizenship’).
http://www.oecd.org/dac/povertyreduction/50157563.pdf

საჯარო კონსულტაციების მრავალი სახე არსებობს. ზოგ ქვეყანაში მიღებულია ყველა კონსულტაციის სიის გამოქვეყნება ან კონსულტაციები მიმდინარე ახალ ამბებში მოიხსენიება. სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება იყოს ნაციონალური ან რეგიონული კონსულტაციები.

არაეფექტიანი კონსულტაციებია ე.წ. კოსმეტიკური კონსულტაციები, რომლებიც ტარდება ვალის მოხდისთვის და საჩვენებლად და არა რეალური, თანამშრომლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად.

თუ კონსულტაციის სტადიაზე ხართ

თქვენ მიერ უკვე მოხაზული გეგმის შესახებ შეგიძლიათ, სხვადასხვა ეფექტიანი გზით გასწიოთ კონსულტაცია. მაგალითად:

საჯარო დისკუსიების გაადვილება	**საზოგადოებრივი აზრის კვლევა**
კონფერენციები, ფორუმები, საჯარო მოსმენა, მრგვალი მაგიდა, სემინარები	შეხედულებების კვლევა და ფოკუს–ჯგუფები — პირისპირ, ონლაინ რეჟიმში ან ტელეფონის/ ტექსტოფონის მეშვეობით
სატელევიზიო და რადიოდებატები, ვებ–ტრანსლაცია, ელექტრონული კონსულტაცია	
იმის მიუხედავად, ადამიანები ერთმანეთს პირისპირ ხვდებიან თუ ონლაინ რეჟიმში, აუცილებელია დისკუსიებისა და კონსულტაციების შეჯამება და შედეგების დაგზავნა მონაწილეთათვის.	ნეიტრალური მესამე მხარის ჩართვა, კვლევისადმი ეთიკური მიდგომა და გარანტირებული ანონიმურობა კვლევის მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს.
როდესაც სასურველია წერილობით კონსულტაციებზე გამოხმაურების მიღება, ის უნდა მიიღებოდეს ვერბალურ, წერილობით თუ ელექტრონულ ფორმატებში.	

სარგებელი კონსულტაციისაგან

ზოგჯერ ისინი, ვისთანაც მუშაობთ, კონსულტაციების მარგებლობაში დარწმუნებას საჭიროებენ, რათა საბოლოოდ უზრუნველყოფილი იქნას ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება.

არსებობს მთელი რიგი ხერხები, რომლებიც სასარგებლოა ინკლუ–ზიური გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობისთვის. ერთ–ერთი

ასეთი გზა გახლავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯგუფის შექმნა და მხარდაჭერა, ქვემოჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე პუნქტის შესრულებისათვის:

- საექსპერტო სტრატეგიული განჭვრეტა;
- მეწილეთა თვალსაზრისი;
- მომსახურების მომხმარებელთა ან პოლიტიკის ბენეფიციარების გამოცდილება.

ბევრ ქვეყანაში მოქმედებს იმგვარი საბჭოები ან კომიტეტები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ აზრის გამოთქმის საშუალება ეძლეოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ისეთ ჯგუფებს, რომლებიც შესაძლოა ნაწილობრივ მარგინალიზებულნი იყვნენ: იქნება ეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჰომოსექსუალები თუ ადამიანები განსაკუთრებული დარღვევებით, როგორიცაა დასწავლის შეზღუდვები, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ან აუტისტური სპექტრის აშლილობები.

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება — ადამიანების ჩაბმა პოლიტიკისა და სერვისების ფორმირებაში, მიწოდებასა და შეფასებაში

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს თანასწორ და აქტიურ თანამშრომლობას მომსახურების მომხმარებელ ან ადგილობრივი და ნაციონალური პოლიტიკის სამიზნე ადამიანებსა და ამ პოლიტიკის გამტარებელ პირებს შორის. ეს ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ყველა ჩართულ პირს მოეთხოვება უნარები და ცოდნა.

პოლიტიკისა და სერვისების შექმნა და ფორმირება ჩვეულებრივ იმ ადამიანების მოვალეობაა, ვინც შემდგომში მათ დანერგვასა და მომსახურების მიწოდებას ახორციელებს, და არა მათი, ვისთვისაც

ეს განკუთვნილია. ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღებისას თავიდანვე ყველა ერთად მუშაობს:

- პოლიტიკისა და სერვისების დამუშავებასა და განვითარებაზე;
- პროექტის პრიორიტეტების განსაზღვრასა და სამოქმედო გეგმაზე;
- იმის განსასაზღვრად, თუ რა შედეგები უნდა მოიტანოს პოლიტიკისა და სერვისების დანერგვამ;
- პოლიტიკის და სერვისების ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის გასაზრდელად;
- იმის სათქმელად, როგორ მოერგოს უკეთ პოლიტიკა და მომსახურება ადამიანთა საჭიროებას.

პოლიტიკისა და მომსახურების გაუმჯობესების საუკეთესო გზაა, თავად ადამიანებს შევეკითხოთ მათი საჭიროებების და სურვილების შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორი იქნება ყოველივე ამის მიწოდების საუკეთესო გზა.

სად შეიძლება განხორციელდეს ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება?

- ნაციონალურ და ადგილობრივ არჩევით ორგანოებისა და მმართველობაში, დივერსიფიცირებული ჩართვის გზით;
- მართვაში, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სერვისების მართვის ნაწილი არიან;
- საჯარო პოლიტიკის ფორმირების, პრაქტიკის განვითარების, წარმატების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში;
- ორგანიზაციების შიგნით დამქირავებლებთან;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ორგანიზაციებთან, რომლებიც მომხმარებელთა მიერ იმართება;
- თვითადვოკატირების და ურთიერთმხარდაჭერისას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, როგორც „საკუთარი ცხოვრების შემოქმედებთან“ — რაც სხვისი დახმარებით განხორციელებულ გადაწყვეტილების მიღებასაც გული-

სხმობს — მაგალითად, იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღების უნარი შეზღუდული აქვთ დასწავლის შეზღუდვის ქონის, მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობის ან დემენციის გამო.

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება რელევანტურია და აუცილებელია მისი გათვალისწინება პოლიტიკისა და მომსახურების ყველა საფეხურზე.

ცალკეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მაგალითად, იმის განსაზღვრაში, სად და ვისთან იცხოვრონ	✓
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არაფორმალური დაჯგუფებები	✓
მხარდაჭერა უნდა გაეწიოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებებს	✓
თემისა და საზოგადოების ყველა ორგანიზაცია ინკლუზიური უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის	✓
მთავრობამ უნდა გამონახოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვის მექანიზმი	✓
მედიაორგანიზაციები — შშმ პირები ეკრანზე წამყვანებად, ეკრანს მიღმა მუშაკები, წარმომადგენლებად	✓

შემთხვევების შესწავლა

საერთაშორისო შემთხვევის შესწავლა – გადაწყვეტილების მიღების უფლება

გადაწყვეტილების მიღების უფლება ინკლუზიური ინტერნაციონალის (Inclusion International) გლობალური კამპანიის ფარგლებში; ეს არის საერთაშორისო ქსელი, რომელიც წარმოადგენს შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე ადამიანებს და მათ ოჯახებს.

კამპანიის მიზანია გაეროს კონვენციის მე-12 მუხლში წარმოდგენილი უფლებების წინ წამოწევა, ოჯახებისა და სხვათა დახმარება შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე პირების კანონით განსაზღვრული უფლებების გაცნობიერებაში და იმის გაგებაში, თუ როგორ შეიძლება დაეხმარონ შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე ადამიანებს საკუთარი გადაწყვეტილებების მიღებაში.

ინკლუზიური ინტერნაციონალი, გადაწყვეტილების მიღების უფლების შესახებ აქვეყნებს გლობალურ ანგარიშს „დამოუკიდებელი, მაგრამ არა მარტოხელა“

და ვიდეოს: http://inclusion-international.org/global-campaign-the-right-to-decide/

ამ ვიდეოში საკუთარი უფლებების დამცველი და ინკლუზიური ინტერნაციონალის საბჭოს წევრი დევიდ კორნერი გვაცნობს საკუთარ შეხედულებას გადაწყვეტილების მიღების უფლების შესახებ: http://inclusion-international.org/personal-perspective/

აზერბაიჯანის შემთხვევის შესწავლა – მონაწილეობა სამთავრობო ბრძანებულებებში

პროექტი სამთავრობო ბრძანებულებების შემუშავებაში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვის თაობაზე დაიწერა 2011 წელს და დამტკიცებული იყო ფინანსთა სამინისტროს მიერ. 2012 წელს ფინანსთა სამინისტრომ და MLSSP-მ დააფინანსეს საპილოტე პროექტი სამი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩასართავად ახალი სამთავრობო ბრძანებულებების მიღებაში, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის განკუთვნილ სერვისებს შეეხებოდა.

შრომისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სამინისტრომ გაითვალისწინა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ათწლიანი წარმატებული გამოცდილება სოციალური მომსახურების გაწევაში.

პროექტის ფარგლებში ექვსი სათემო სარეაბილიტაციო ცენტრი ახორციელებდა 673 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სოციალურ რეაბილიტაციას ერთი წლის განმავლობაში.

პროექტის შედეგად 2013 წელს შრომისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სამინისტრომ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჩართო სოციალური მომსახურების შესახებ გამოცემულ ბრძანებულებებში.

ყოველ რეგიონში ადგილობრივი სათემო სარეაბილიტაციო ცენტრის ოფიციალურმა პირმა გაიარა ტრენინგის კურსი; დაფუძნდა და ფუნქციონირება დაიწყო ბავშვთა განვითარების ცენტრმა; დაფუძნდა ადგილობრივი ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური დაცვის მაორიენტირებელი სტრუქტურა.

პროექტის წარმატება უკავშირდებოდა მოთხოვნილებების შესაბამისი აქტივობების დანერგვას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები ლობირებას ეწეოდნენ მთავრობაში. პროექტის შედეგად მთავრობამ, პირდაპირი სამთავრობო განკარგულების საფუძველზე, სამოქალაქო ორგანიზაციებს მისცა ნებისმიერ სფეროში მომსახურების დანერგვის უფლება. აზერბაიჯანი კონსულტირების ფაზიდან ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების ამოქმედების ფაზაზე გადასვლის ზღვარზე დგას.

უკრაინის შემთხვევის შესწავლა — საპარლამენტო მოსმენები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების მონაწილეობით

უკრაინაში საპარლამენტო მოსმენები პოლიტიკური გამოწვევების განხილვის განსაკუთრებული მეთოდია. ისინი ეწყობა უკრაინის უმაღლესი საბჭოს (უკრაინის უზენაესი საკანონმდებლო ორგანო) შენობაში და მასში საკანონდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლები მონაწილეობენ. საპარლამენტო მოსმენებში ჩაბმული არიან ასევე ექსპერტები და საზოგადოების წევრები.

2014 წლის ივნისში საპარლამენტო მოსმენები გაიმართა თემაზე: „მენტალური და ფიზიკური დარღვევების მქონე ბავშვების განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დახმარება: პოლიტიკის საჭიროებები და პოლიტიკის პასუხები“.

ძირითადი გამოწვევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორუფლებიანობისა და საზოგადოებრივი სამსახურების გაძლიერების კუთხით არის ის, რომ მომსახურება ხშირად მოძველებულია, ხოლო ფინანსირება არასაკმარისია პრობლემე-

ბის გადასაჭრელად. ამას გარდა, უკრაინაში გვაქვს სუსტი დეპარ-ტამენტთაშორისი კოორდინირება და არასაკმარისი კოოპერირება განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის ორგანოებს შორის.

ამ პრობლემებთან გასამკლავებლად აქ არსებობს რიგი ინსტი-ტუციები და ექსპერტები, მაგრამ მათი რაოდენობა და ხარისხი გასაუმჯობესებელია. გვხვდება სერვისების დუბლირება და დაუფა-რავი არეები.

არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგა-ნიზაციებისგან მომსახურების მიღებაზე კონტრაქტის დადების მექანიზმები — იმათი მსგავსი, როგორიც ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში მოქმედებს.

საპარლამენტო მოსმენების მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებ-ლობის მქონე ბავშვებისათვის განათლების, ჯანდაცვისა და სო-ციალური დაცვის მისაწვდომობის გაზრდის გზების მოძიება და რელევანტურ სააგენტოებს შორის დეპარტამენტთაშორისი კო-ორდინაციისა და კოოპერაციის გაუმჯობესება. პრობლემის გა-დალახვის მეთოდი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალა-უფლების წარმომადგენელთა, პრაქტიკული გამოცდილების მქონე ექსპერტთა და საზოგადოების წარმომადგენელთა ფართო სპექ-ტრის მოზიდვა იყო.

მოსმენა მოამზადეს უკრაინის უმაღლესი საბჭოს განათლებაზე, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე პასუხისმგებელმა რელევან-ტურმა კომიტეტებმა.

მოსამზადებელ სტადიაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- ჩაერთვნენ საპარლამენტო მოსმენების მოსამზადებელ სამუშაო ჯგუფებში;

- ეხმარებოდნენ დასკვნებისა და წინადადებების მონახაზების მომზადებაში;
- ჩართული იყვნენ დასკვნებისა და წინადადებების წინასწარი პროექტების განხილვაში;
- მონაწილეობდნენ საპარლამენტო მოსმენებში, ზოგი სიტყვითაც გამოვიდა;
- ჩართული იყვნენ დასკვნებისა და წინადადებების საბოლოო ვერსიის განხილვაში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებს საპარლამენტო მოსმენებმა შესაძლებლობა მისცა, ყველასთვის გაეცნოთ არადამაკმაყოფილებელი, დუბლირებული და ფრაგმენტული სერვისების პრობლემების გადაჭრის გადაუდებელი აუცილებლობა და მათი უარყოფითი გავლენა.

საჯარო მოხელეებს მოსმენები დაეხმარა, დარწმუნებულიყვნენ, რომ განისაზღვრა შედეგიანი პოლიტიკა, რომ მას ექნება სასურველი შედეგები და შეასუსტებს უარყოფით ეფექტებს; აგრეთვე მიაწოდა მათ ადრეული, შიდა ინფორმაციაზე დაყრდნობილი ცოდნა იმის თაობაზე, თუ როგორი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების პასუხი.

ამ პროცესში ერთადერთი საფრთხე ისაა, რომ ცალკეულმა ორგანიზაციებმა შეიძლება მათ მიერ წარმოდგენილი ჯგუფი ყველაზე მნიშვნელოვნად წარმოსახონ ან ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. საჯარო მოხელეებს ეკისრებათ, მოიძიონ პრობლემების გადაწყვეტის ისეთი გზები, რომელიც ყველას ან უმრავლესობას დაკმაყოფილებს (ამ ბოლო შემთხვევისას უნდა გადაიდგას განსაკუთრებული ნაბიჯები აქამდე მოუგვარებელი საჭიროებების მოსაგვარებლად).

საპარლამენტო მოსმენების შედეგები რეკომენდაციების სახით გაიცა, რაც დადებითად შეფასდა სოციალური პოლიტიკის სამინისტროს მიერ.

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევის შესწავლა — მეინსტრიმინგი მოქმედებაში: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამთავრობო უწყებათაშორისი საკონსულტაციო ჯგუფი

თანასწორობა 2025 იყო არასტატუტარული საკონსულტაციო არადეპარტამენტული საჯარო სამსახური (ადსს), რომელსაც აფინანსებდა ინგლისში შრომისა და პენსიების დეპარტამენტის ფარგლებში არსებული შეზღუდული შესაძლებლობის საკითხების ოფისი. მისი მიზანი იყო მთავრობაში მინისტრებისა და უფროსი მოხელეებისათვის სტრატეგიული კონფიდენციალური რჩევების მიცემა, რაც ხელს შეუწყობდა პროგრესს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არმქონე პირთა თანასწორობის დამკვიდრებაში. *თანასწორობა 2025* მიზნად არ ისახავდა მთავრობისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოსაზრებების წარდგენას. ეს იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ექსპერტების ჯგუფი, რომელიც რჩევის მიცემის საკუთარ უფლებას იყენებდა.

თანასწორობა 2025 მინისტრებსა და უმაღლესი რანგის მოხელეებს დროულ, დამოუკიდებელ, სტრატეგიულ, კონფიდენციალურ, საექსპერტო რჩევებს აწვდიდა ყველა სამთავრობო დეპარტამენტში.

თანასწორობა 2025 რამდენიმე წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა, 2013 წელს კი დაიშალა. ამ ორგანიზაციის ანგარიშებმა ცხადყო, რომ, მიუხედავად ეფექტიანობისა, მათ არ შეეძლოთ სტრატეგიული რჩევის მიცემა საკითხთან დაკავშირებულ ყველა სფეროში.

თანასწორობა 2025-ის უკანასკნელი ანგარიშის შესწავლამ გვიჩვენა, რომ პოლიტიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ექსპერტთა ცოცხალი

გამოცდილების გათვალისწინებას, ხოლო სტრატეგიული მრჩევ-ლის ფუნქცია, რაც *თანასწორობა 2025-ს* ევალებოდა, მომავალში განხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან სტრატეგიული თანამშრომლობით ან ექსპერტთა სპეციალური ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობის გადახალისება მთავრობის პრიორიტეტებზე იქნება დამოკიდებული.
http://odi.dwp.gov.uk/docs/fulfilling-potential/independent-review-of-equality-2025.pdf

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევის შესწავლა – ადგილობრივი საბჭოების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვა სტრატეგიის, პოლიტიკისა და სერვისების განვითარებაში

ლონდონში მოქმედ აილინგტონის საბჭოს შემუშავებული აქვს პოლიტიკასა და სერვისებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვის მკაცრი და დეტალური პროცესი.
მათთან *შეზღუდული შესაძლებლობის რეფერენტულ ჯგუფში (Disability Reference Group)*[12] 12 ადგილობრივი შეზღუდული შესა-ძლებლობის მქონე პირი შედის. შეზღუდული შესაძლებლობის ექვსი ძირითადი ჯგუფიდან ორ-ორი ადამიანია მოწვეული: ყრუ ან სმენადაქვეითებული; უსინათლო ან მხედველობადაქვეითებული; ადამიანები მენტალური პრობლემებით; ფიზიკური დარღვევებით; დასწავლის შეზღუდვის ქონით; და ფარული დარღვევებით/ ჯანმრთელობის მდგომარეობით. ჯგუფი იკრიბება სამ თვეში ერთხელ და შეისწავლის საბჭოს მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, რომლებიც უკანასკნელ დროს ამ სფეროში გაწეულ სამუშაოებს აღწერს.

12 http://www.islington.gov.uk/publicrecords/library/Democracy/Quality-and-performance / Reporting/2011-2012/(2012-03-03)-IFC_Paper2__Review_of_Delivery_and_Action.pdf

რეფერენტული ჯგუფი მასალებს აწვდის საბჭოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორუფლებიანობის სამუშაო ჯგუფს (Disability Equality Performance Group), რომელიც უწყებრივ პროგრესს ადევნებს თვალს. ამ უკანასკნელს ხელმძღვანელობს დირექტორი, მის შეკრებებს ესწრება საბჭოს აღმასრულებელი დირექტორის თანაშემწე, უფროსი ოფიციალური პირები და ადგილობრივი შშმპ ჯგუფების წარმომადგენლები.

რეფერენტული ჯგუფის სამი წარმომადგენელი მონაწილეობს ამ სამუშაო ჯგუფში. შშმპ თანასწორუფლებიანობის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადგილობრივი ორგანიზაცია აფინანსებს დახმარებისა და მართვისათვის, იღებს ანგარიშებს დეპარტამენტებიდან და/ან თემატურ ანგარიშებს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიცაა კონსულტირება, ჩივილები და მისაწვდომი ინფორმაცია.

ისინი ანგარიშს აბარებენ საბჭოს, თუ რას და როგორ საქმიანობენ, ამის შემდეგ საბჭო დეტალურად აფასებს, რამდენად წარმატებულად ან წარუმატებლად მიაჩნია მათი მიდგომა და მოქმედება. ამის შემდეგ ანგარიშის შემდგენელი უნდა ეწვიოს შშმპ თანასწორუფლებიანობის სამუშაო ჯგუფს, სადაც დეტალური პასუხი უნდა გაეცეს რეფერენტული ჯგუფის მიერ დასმულ ყველა კითხვას, ისევე, როგორც საბჭოს სხვა წევრების ან ლოკალური ჯგუფების დასმულ კითხვებს.

ისლინგტონში განხორციელდა რიგი წარმატებული აქტივობები და საბჭო ამას *შშმპ რეფერენტული ჯგუფის* ჩართვას უკავშირებს. მსგავსი ჯგუფი ჩამოყალიბდა საბჭოს *ახლო კონტაქტების მენეჯმენტის ორგანიზაციის* Arm's Length Management Organisation ფარგლებში საბჭოს საცხოვრებელი ფონდის მართვის გაუმჯობესების მიზნით.

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევის შესწავლა — რეგიონული ინიციატივების სტრატეგიასა და ინკლუზიურ დიზაინში ჩართვა

ლონდონის განვითარების სააგენტომ (ლგს) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გადაწყვეტილებების მიღებაში სხვადასხვა გზებით ჩართო, მათ შორის: დიდი კონფერენციების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პერსონალის ჯგუფის, ხარისხის კვლევის და დამოუკიდებელი შშმპ თანასწორობის ჯგუფის (დთჯ) მეშვეობით. ლგს-მ განცხადება გააკეთა ამ ჯგუფის წევრების შესახებ; ყველა მათგანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იყო და თავ-თავიანთ სფეროში დახარჯული დროისა და ცოდნის ანაზღაურებას იღებდნენ. დთჯ-ს ჩართვამ შშმპ თანასწორობის სქემის ფორმირებაში წინ წამოწია მთავარი მიზანი — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მწარმოებელთა დახმარება და ბიზნესის დამხმარე მრჩევლების შესაძლებლობების გაზრდა.

ამ სფეროში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, მათ შორის, შემუშავდა პროგრამა „ხილული საქმიანობა“ (Enterprise In Sight), რომელიც ამოქმედდა 2007 წელს და განკუთვნილი იყო მხედველობადაქვეითებული მეწარმეების დასახმარებლად საკუთარი ბიზნესის წამოწყების საქმეში. სპეციფიურ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ქალები, ფერადკანიანები და ეთნიკური უმცირესობები.

ადგილობრივ რადიოში რეკლამირებამ ბევრი ადამიანი, რომელიც საკუთარი ბიზნესის წამოწყებას გეგმავდა, შეაგულიანა, მიემართა ამ პროგრამისათვის. ლონდონის განვითარების სააგენტო 2 წლის განმავლობაში აფინანსებდა ამ პროგრამას და 21 არსებულ ბიზნესს გაფართოვებაში, ხოლო 10 მეწარმეს — ახალი საქმის წამოწყებაში დაეხმარა.

პროგრამა სამიზნე კლიენტთა ჯგუფს უზრუნველყოფს სპეციალისტების მომსახურებით და ფართო სპექტრის პირისპირ მხარდაჭერით.

ბიზნეს-საქმიანობა წამოწყებული იქნა მთელ რიგ სექტორებში — დაწყებული სენდვიჩების დამზადებით და ხელოვნებითა და დიზაინით დამთავრებული.

ინკლუზიური დიზაინის სახელმძღვანელოს შექმნის გადაწყვეტილება უშუალოდ წარმოიშვა იმ პრიორიტეტებიდან, რომლებიც გამოიკვეთა დამოუკიდებელ შშმპ თანასწორობის ჯგუფის მიერ და ჩართული იქნა შშმპ თანასწორუფლებიანობის სქემაში. ამან წარმოაჩინა, თუ როგორ გეგმავდა ლონდონის განვითარების სააგენტო ინკლუზიური დიზაინის პრინციპების დანერგვას მთელ მის ინფრასტრუქტურასა და განვითარების პროექტებში.

ინკლუზიური დიზაინის სახელმძღვანელო ამასთან ერთად საუკეთესო პრაქტიკული ცნობარია ლონდონის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომელი კერძო სექტორის დეველოპერებისათვის, იმაში, თუ როგორ უნდა დაინერგოს ინკლუზიური დიზაინის პრინციპები მათ სქემებში პროექტის დაწყებიდან მის ამოქმედებამდე.

ამ სახელმძღვანელომ მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა მთელ ლონდონში, მათ შორის — ოლიმპიურ თამაშებზეც.
http://hcdi.wordpress.com/2011/03/30/the-london-development-agencys-inclusive-desi/

იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს შემთხვევის შესწავლა – ინსტიტუციების რეგიონული სტრატეგიის თაობაზე კონსულტირება და ინკლუზიური დიზაინი

იორდანიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საქმეების უმაღლესმა საბჭომ 2010 წელს მოიწვია ნაციონალური კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა ბევრი სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მომსახურების მიწოდებით დაინტერესებული სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭომ შექმნა შესაფერისი პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და დაფარა სასტუმროს ხარჯები მათთვის, ვინც შორიდან ჩამოვიდა. კონფერენციამ შედეგად შეიმუშავა მრავალი რეკომენდაცია, რომელთაგანაც ბევრი სისრულეშია მოყვანილი:

- შრომის სამინისტროში სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებისათვის;
- შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული კვლევების ჩატარება;
- დასაქმებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობის გაზრდა (თუმცა, სასურველი დონე არაა მიღწეული);
- რეგიონებში საბჭოსთვის კავშირგაბმულობის ოფისების გახსნა, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაუადვილდეთ ინფორმაციისა და მომსახურების მიღება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მომსახურების მიწოდებით დაინტერესებული ორგანიზაციების ჩართვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მომსახურების გაწევის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

www.HCD.Gov jo

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევის შესწავლა — კონსულტაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან აუმჯობესებს მათ მომსახურებას

ბინაზე მომვლელთა მომსახურების მომხმარებელი პირები ადგილობრივმა გამგებლებმა მიიწვიეს საკონსულტაციოდ იმის თაობაზე, თუ როგორ გაეუმჯობესებინათ არსებული მომსახურება. კონსულტაციებმა ცხადყო, რომ უკმაყოფილების მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მომხმარებლებმა არ იციან, მომდევნო კვირას მათთან შინ რომელი მომვლელი ივლის. შედეგად, გამგებლებმა გადაწყვიტეს, დაევალებინათ წარმატებული კონტრაქტორისათვის ადგილზე მოეგვარებინა, რომ მომავალში მომსახურების მომხმარებელი ინფორმირებული ყოფილიყო, რომელი მომვლელი ივლიდა მასთან მომდევნო კვირას.

აზერბაიჯანის შემთხვევის შესწავლა — სოციალური უზრუნველყოფის სერვისების დაცვა

2011 წელს საჯარო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ჩაებნენ სოციალური სერვისების შესახებ კანონის პროექტის პირველად განხილვებსა და კონსულტაციებში, პარლამენტის სოციალური პოლიტიკის კომისიის თაოსნობით.

აზერბაიჯანის შემთხვევის შესწავლა – სოციალური უზრუნველყოფის სერვისების დაცვა

აღმასრულებელი ორგანოს (მოსახლეობის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სამთავრობო სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გაეროს კონვენციის (UNCRPD) მოთხოვნების დანერგვის კოორდინირებისთვის. ჯგუფის მთავარი მოვალეობაა შშმ პირების უფლებების დაცვის შესახებ დაფიქრება და შედეგად მიღებული დებულებების გადაქცევა სამოქმედო გეგმებად და განვითარების სტრატეგიებად იმ დაწესებულებებში, რომლებსაც ჯგუფის წევრები წარმოადგენენ.

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევის შესწავლა: პოლიტიკის ინფორმირება კვლევების საფუძველზე

VIPER (ხმა, ინკლუზია, მონაწილეობა, გარემო, კვლევა) არის სამწლიანი კვლევითი პროექტი, რომლის ფარგლებშიც 16 ახალგაზრდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მოამზადეს მკვლევარებად, რათა მათ შეისწავლონ ინგლისის ლოკალურ სამსახურებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის საკითხი.

მათ აღმოაჩინეს, რომ ახალგაზრდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ამოგდებული არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან ადგილობრივ დონეზე, და შეიმუშავეს რეკომენდაციების პაკეტი, რომელსაც უწოდეს „მოგვისმინეთ!“
http://viper.councilfordisabledchildren.org.uk/media/7834/hear-us-out.pdf

იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს შემთხვევის შესწავლა: პოლიტიკის ინფორმირება კვლევების საფუძველზე

პროექტი (იორდანიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ანალიტიკური კვლევა) გრძელდებოდა ექვსი თვის მანძილზე, მის ფარგლებში მრავალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იღებდა მონაწილეობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მომსახურების გაწევის სფეროში სამთავრობო ინსტიტუციების ანგარიშების გაანალიზებაში.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ იორდანიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ოფიციალური სამსახურების მიერ სერვისების მიწოდების საქმეში გარკვეული ნაკლოვანებები არსებობს. შემუშავდა რეკომენდაცია, რომ კვლევის შედეგები წარდგენილი ყოფილიყო კონფერენციაზე, რომელსაც დაესწრებ-ოდნენ ოფიციალური პირები (მინისტრები).

(მაგ. შშმპ საქმეების საბჭოს ქალთა კომიტეტი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და მამაკაცებისაგან შემდგარი კომიტეტის ჩამოყალიბების გამოცდილება და შეზღუდული შესა-ძლებლობის მქონე ქალთა მიერ გადაწყვეტილების მიმღებთა-თვის ხმის მიწვდენის გამოცდილება, მათი მოთხოვნების უფრო ფართოდ და გამჭვირვალედ წამოწევა, კომუნიკაციის ბიუროების საბჭოსთან დამატებით სხვადასხვა კომიტეტების დაფუძნება.)

ტრენერებისათვის

ეს ნაწილი განკუთვნილია ტრენერების დასახმარებლად, რათა მათ მოამზადონ შესაბამისი მასალა აღმასრულებელი ხელისუფლების, მედია-წარმომადგენლების და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ტრენინგ-ჯგუფებისათვის.

ტრენინგის დღის მონახაზი — „შესავალი ინკლუზიურ გადაწყვეტილების მიღებაში“

განრიგი

- რა არის ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება? (პრეზენტაცია და დისკუსია);
- იდენტობის ანალიზი — როგორ ახდენს ის ჩემს ფორმირებას?
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მონაწილეობის წინ მდგარი ბარიერების ანალიზი (მოდელირებული დისკუსია);
- რა არის შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი? (ვიდეო, პრეზენტაცია, ჯგუფური სავარჯიშო, გამოხმაურება და დისკუსია);
- დამოუკიდებელი ცხოვრების ანალიზი (სავარჯიშო მცირე ჯგუფებისათვის, გამოხმაურება და დისკუსია);
- ბარიერების ანალიზი და ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების სარგებელი (მოდელირებული დისკუსია);
- ბარიერების ანალიზი და ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების სარგებელი (ჯგუფური სავარჯიშო);
- ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების პროცესი (პრეზენტაცია);
- გასავლელი გზის რა ეტაპზე ვიმყოფებით? (მოდელირებული დისკუსია).

კურსის შინაარსი

რა არის ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება? (პრეზენტაცია და დისკუსია)

იდენტობის ანალიზი – როგორ ახდენს ის ჩემს ფორმირებას?

- თითოეული პირი მოიფიქრებს/ჩამოწერს იმ ცნებების სიას, რომლითაც მას საკუთარი თავის აღწერა შეუძლია: მაგ. მშობელი, ჟურნალისტი, აქტივისტი, ეთნიკური უმცირესობა, ჰეტეროსექსუალი, დაქორწინებული, საშუალო ხნის, ახალგაზრდა და სხვ.;

- მუშაობა წყვილებში, დადგენა, თუ რა გაქვთ საერთო პარტნიორთან და რა განგასხვავებთ;

- ოდესმე თუ გიგრძვნიათ თავი „თეთრ ყვავად“ ან თუ ჩაგითვლიათ, რომ უსამართლოდ მოგექცნენ თქვენი იდენტობის გარკვეული ასპექტების გამო?

- ფიქრობთ, რომ ეს სხვასაც შემთხვევია?

- არის რომელიმე პიროვნება ან ჯგუფი თავისუფალი წინასწარი განწყობისგან?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მონაწილეობის წინაშე აღმართული ბარიერების ანალიზი (მოდელირებული დისკუსია)

სესიის გეგმა: ინკლუზიისა და ექსკლუზიის ანალიზი – ჯგუფური დისკუსია

რა არის ის ძირითადი ბარიერები, რომლებსაც გავლენა აქვთ სხვადასხვა დარღვევების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე? დაფიქრდი მოძრაობისა და სენსორული დარღვევების მქონე ადამიანებზე, დასწავლის შეზღუდვის მქონეებსა და მენტალური პრობლემების მქონეებზე; მათზე, ვისაც სხვა ქრონიკული დაავადება აქვთ (მაგ. აივ ან კიბო).
არსებობს თუ არა განსხვავებული ან დამატებითი ბარიერები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ან მამაკაცებისათვის? შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობებიდან? ახალგაზრდა ან ასაკოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, გეების, ბისექსუალების ან ტრანსგენდერებისათვის?

სესიის გეგმა: დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ

გადახედეთ ამ სტატიას SCOPE-ში; მასში გაერთიანებული სამეფოს შშმპ საქველმოქმედო ორგანიზაცია მოგვითხრობს იმ გამოკითხვის შესახებ, რომელიც ჩაატარა 2013 წელს გაერთიანებულ სამეფოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ დამოკიდებულების შესაფასებლად, აგრეთვე – თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მოსაზრებების შესახებ იმის თაობაზე, თუ რა ცვლილებებს ისურვებდნენ.
http://blog.scope.org.uk/2013/10/30/attitudes-meet-actions-how-does-britain-feel-about-disability/

- რას ფიქრობდით, როდესაც ამ სტატიას კითხულობდით?
- ხედავთ რაიმე მსგავსებას, თუ როგორ აღიქვამენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაერთიანებულ სამეფოსა და თქვენს ქვეყანაში/კონტექსტში?
- რა ისწავლეთ იმ მიდგომიდან, რომელსაც SCOPE იყენებდა თავისი კამპანიის დროს?

რა არის შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი? (ვიდეო, პრეზენტაცია, ჯგუფური სავარჯიშო, გამოხმაურება და დისკუსია)

სესიის გეგმა: შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელის ანალიზი — ვიდეო

ბრიტანეთის საბჭომ შექმნა მოკლე ანიმაცია შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელის აღსაწერად და განმარტა განსხვავება შეზღუდული შესაძლებლობის სოციალურ და სამედიცინო მოდელებს შორის.

ანიმაცია ხელმისაწვდომია vimeo—ზე ინგლისურ ენაზე სახელით „შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელის ანიმაცია“ (“Social Model of Disability animation”)
http://vimeo.com/54598624

სესიის გეგმა: შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი — პრეზენტაცია და მცირე ჯგუფური სავარჯიშო

არსებობს ბევრი მოსაზრება იმაზე, თუ რა არის შეზღუდული შესაძლებლობი, რა იწვევს მას და როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მაგალითად:

- სამედიცინო მოდელის თანახმად, უთანასწორობა და არახელსაყრელი პირობები, რასაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აწყდებიან, მხოლოდ მათი სამედიცინო პრობლემით არის გამოწვეული და ერთადერთ „იმედს“ განკურნება წარმოადგენს;
- საქველმოქმედო მოდელის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ იმ გზით, რომ დანარჩენები მათ აძლევდნენ არსებობისთვის საკმარის მინიმუმს;

- სოციალური მოდელის თანახმად, უთანასწორობა და არახელ-საყრელი პირობები, რასაც დარღვევების მქონე ადამიანები აწყდებიან, გამომდინარეობს საზოგადოების უუნარობიდან, შეეგუოს ადამიანთა განსხვავებულობას. ადამიანები „იზღუდე-ბიან“ დამოკიდებულებითი, პოლიტიკური, ფიზიკური და კომუ-ნიკაციური ბარიერებით. „გამოსავალი“ პოლიტიკის და მომ-სახურების შეცვლა და შესაფერისი გარემოს შექმნაა, ხოლო ამ ცვლილებების განხორციელებაში შეზღუდული შესაძლებლობ-ის მქონე პირებიც უნდა იყვნენ ჩართული.

პირველი სავარჯიშო

წარმოიდგინე სიტუაცია:

- კაფე შენობის პირველ სართულზეა. მისკენ კიბეები მიემართება და ეს ერთადერთი შესასვლელია. ადამიანს პარაპლეგიით, რომელიც ეტლზე ზის, ფინჯანი ყავის დალევა უნდა.....

ან

- მატარებლის სადგურში არ არის გათვალისწინებილი აუდიო-ინფორმირება, მხოლოდ ვიზუალური ნიშნებია. მხედველობა-დაქვეითებულ ადამიანს სურს, მატარებელს მიუსწროს.

1. როგორი იქნება ამ სიტუაციებზე სამედიცინო მოდელის პასუხი?

[პრობლემა გახლავთ ის, რომ ადამიანს, რომელმაც საგზაო კატა-სტროფაში ხერხემალი დაიზიანა და პარაპლეგია განუვითარდა, კიბეზე ასვლა არ შეუძლია.]
[პრობლემა ისაა, რომ ადამიანს უჭირს სადგურში საინფორმაციო ნიშნების ამოკითხვა იმის გამო, რომ მხედველობა აქვს დაქვე-ითებული.]

2. როგორი იქნება ამ სიტუაციაზე ქველმოქმედებითი მოდელის პასუხი?

[რა საწყენია, რომ ეს პიროვნება ვერ დადის/ვერ ხედავს. მასზე უნდა ვიზრუნოთ მისნაირებისთვის მოწყობილ შესაფერის გარემოში; ადამიანი უნდა შევაქოთ, „უბედურ მდგომარეობაში“ რომ აგრძელებს ცხოვრებას, ის კი მადლობელი უნდა იყოს, საზოგადოება რომ აჭმევს და აცმევს. საჭირო არ არის, შევეკითხოთ, რა სურს ან ესაჭიროება — ჩვენ უკეთ ვიცით.]

3. როგორი იქნება ამ სიტუაციაზე სოციალური მოდელის პასუხი?

[ადამიანები შეზღუდულები იმიტომ არიან, რომ კაფე და მატარებელი მათთვის მიუწვდომელია. ეს ამ ადამიანების უფლებების უგულებელყოფაა. ეს არახელსაყრელ პირობებს უქმნის მათ ოჯახებსაც, ვინაიდან ამ ადამიანებს არ შეუძლიათ საჯარო სერვისების გამოყენება და ვერ სარგებლობენ ტრანსპორტით სამსახურში მისასვლელად.]

მეორე სავარჯიშო

დახედე ქვემოთ მოყვანილ ორი ტიპის მაგალითებს, რომლებიც ასახავენ პრობლემის სამედიცინო და სოციალურ ახსნას. კიდევ რამდენი ასეთი სიტუაცია შეგიძლია გაიხსენო? გაითვალისწინე დარღვევების სხვადასხვა ტიპი და სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაციები, მაგალითად, დასწავლის შეზღუდვის ქონა, დეპრესია, სამსახურში აყვანა, დასვენება, ჯანმრთელობა. ჯგუფი, რომელიც ხუთი წუთის შემდეგ მეტ მაგალითს წარმოადგენს, გამარჯვებულია.

სამედიცინო მოდელი	**სოციალური მოდელი**
მე ვერ ვშოულობ სამსახურს, ვინაიდან ცერებრალური დამბლა არ მაძლევს საშუალებას, ვისარგებლო ავტობუსით სამსახურში წასასვლელად.	მე ვერ ავდივარ ავტობუსში, იმიტომ, რომ ის მიუწვდომელია.
მე ვერ ვერთვები ახალგაზრდული კლუბის კომიტეტის მუშაობაში, იმიტომ, რომ სმენა მაქვს დაქვეითებული.	ახალგაზრდულ კლუბში უნდა იპოვონ ნიშნების ენის მცოდნე, რათა მეც შემეძლოს ჩართვა და დავეხმარო კლუბს, მოემსახუროს უბნის ყველა ახალგაზრდას.
მე მეტყველების პრობლემები მაქვს. ადამიანებს არ სურთ დროის დახარჯვა ჩემი საუბრის გასაგებად, თავს უხერხულად გრძნობენ.	მე ვერ ვშოულობ სამუშაოს, რადგანაც დამქირავებლები არ მიწვევენ ინტერვიუზე ჩემი მეტყველების დარღვევების გამო.
მე იძულებული ვიქნები, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვიცხოვრო მშობლებთან და შემდეგ ჩემს დასთან, რადგან მესაჭიროება დახმარება გადაადგილების და კითხვის დროს.	საკმარისი რაოდენობით არ შენდება ეტლისთვის ადაპტირებული შენობები. აგრეთვე არაა საკმარისი რაოდენობის დამხმარე პერსონალი, რომლებიც დაეხმარებოდნენ ჩემნაირ ადამიანებს, შევძლოთ დამოუკიდებლად ცხოვრება და გამოვადგეთ ჩვენს ოჯახებს და მთლიანად საზოგადოებას.

დამოუკიდებლად ცხოვრების ანალიზი (სავარჯიშო მცირე ჯგუფებისათვის, გამოხმაურება და დისკუსია)

სესიის გეგმა: დამოუკიდებლად ცხოვრება

1. რას არის ღირებული შენი ცხოვრების შეფასებისას?
2. რა ადგილი უჭირავს შენს ცხოვრებაში არჩევანს და კონტროლს — ვისთან ცხოვრობ, როდის დგები და როდის წვები დასაძინებლად, რას ჭამ, სად მიდიხარ და როგორ ანაწილებ შენს დროს?
3. როგორ შეიძლება, ისეთივე არჩევანი და კონტროლის გრძნობა არსებობდეს სხვადასხვა დარღვევის მქონე ადამიანების ცხოვრებაში?
4. რა უნდა შეიცვალოს, რომ ეს განხორციელდეს?
5. რა იქნება სარგებელი?

ბარიერების ანალიზი და ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების სარგებელი (მოდელირებული დისკუსია)

სესიის გეგმა: ჯგუფური დისკუსია — ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების ბარიერები და სარგებელი

რა არის ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების ბარიერები?

- [ადამიანები არ დაგვეთანხმებიან;
- ადამიანები ზედმეტად ბევრს მოინდომებენ;
- ძალიან ძვირი დაჯდება;
- ჩვენ უნდა გავაკონტროლოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ვინაიდან გადაწყვეტილება ჩვენი განსახორციელებელი იქნება;
- ჩვენ არ გვინდა უთანხმოება.]

რა არის ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების სარგებელი?

- [მიიღება საუკეთესო შესაძლებელი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ცოდნის, გამოცდილების და შეხედულებების რაც შეიძლება ფართო სპექტრის გათვალისწინება ისეთი არჩევანის გაკეთების საშუალებას იძლევა, რაც საუკეთესო შედეგს გამოიღებს;
- გადაწყვეტილება ქმედითია. იგი მიღებული იქნება სწრაფად და დროისა და ძალისხმევის გონივრული დანახარჯებით;
- თანხმობის მიღება დანერგვაზე. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს სჯეროდეთ მიღებული გადაწყვეტილებისა; სხვაგვარად იგი ეფექტიანად არ განხორციელდება.]

„როგორ გადავლახოთ ბარიერები და როგორ მივიღოთ სარგებელი“ — შენ რას დაუმატებდი?

სესიის გეგმა: ჯგუფური დისკუსია — ვისთვისაა სასარგებლო ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება?

მოიფიქრეთ, რა სარგებლობა მოაქვს ინკლუზიურ გადაწყვეტილების მიღებას:

- ინდივიდებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის; [მაგ. შესაძლებლობა, შეცვალონ სიტუაცია, რომელიც მათზე უშუალო გავლენას ახდენს. ახალი უნარების ათვისება. თვითგამორკვევის გრძნობა, რაც აუმჯობესებს თავდაჯერებულობას და ჯანმრთელობას.]
- ადგილობრივი და ნაციონალური მთავრობისათვის;
  [მაგ. თავიდანვე სწორად აღებული გეზი, ძვირადღირებული შეცდომების დაშვების ნაცვლად. უკეთესი შედეგი სამიზნე ჯგუფებთან კონსულტაციის შედეგად. უშუალოდ სარგებლის მიმღებებთან მუშაობით გამოწვეული კმაყოფილება.
- მედიაორგანიზაციებისა და ჟურნალისტებისთვის.
  [მაგ. უკეთესი კომუნიკაცია საზოგადოების ყველა სექტორთან. გავლენის მოხდენა უკეთესი საზოგადოების შესაქმნელად. ნაკლები ჩივილები ენისა და გამოსახულების თაობაზე.]

ბარიერების ანალიზი და ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების სარგებელი (ჯგუფური სავარჯიშო)

სესიის გეგმა: სავარჯიშო მცირე ჯგუფებისთვის — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების გამორიცხვა და ჩართვა ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღებისას

უკრაინის მთავრობა წარმოადგენს ახალ საკანონმდებლო აქტს, რომლის მიხედვითაც დამქირავებლებს დაუწესდებათ კვოტა — ყოველი 10 დაქირავებულიდან ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უნდა იყოს. მთავრობა ასევე წარადგენს პოლიტიკას, რაც საშუალებას აძლევს მათ, დააჯარიმონ დამქირავებლები, თუ ისინი კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას არ შეასრულებენ.

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების პროცესი (პრეზენტაცია)

გასავლელი გზის რა ეტაპზე ვიმყოფებით? (მოდელირებული დისკუსია)

სესიის გეგმა: ჯგუფური დისკუსია — სად ვართ? საით მივდივართ?

თუ გადავხედავთ განვლილ გზას ინფორმირებიდან კონსულტი-რების გავლით ინკლუზიური გადაწვეტილების მიღებამდე, სად იმყოფება თქვენი ორგანიზცია? სად იმყოფებიან ორგანიზაციები, რომლებთანაც გსურთ თანამშრომლობა ან მათზე გავლენის მოხდენა? თუ ისინი ამჟამად არ ახორციელებენ ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღებას, რა უშლის ამას ხელს? რა დაარწმუნებს მათ, რომ ეს სასარგებლოა?

სად იმყოფება თქვენი ორგანიზაცია ამჟამად?	
სად მოათავსებდით ორგანიზაციებს, ვისთანაც გსურთ თანამშრომლობა ან მათზე გავლენის მოხდენა?	
რა ბარიერებს აწყდებით თქვენ და ეს ორგანიზაციები ინფორმირებიდან კონსულტირებაზე და კონსულტირებიდან ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღებაზე გადასვლისას?	
რა არის ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღებისკენ მოძრაობის განსაკუთრებული სარგებელი?	
რა ტექნოლოგიები დაეხმარება თქვენს ორგანიზაციას ამ გზის გავლაში?	
რა ტექნოლოგიები დაეხმარება ორგანიზაციებს, რომლებთანაც თანამშრომლობთ ან რომლებზეც გსურთ გავლენის მოხდენა?	

	ინფორმირება	კონსულტირება	ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება

II ნაწილი

რას ამბობს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკა?

სახელმძღვანელოს ეს ნაწილი:

- ხაზს უსვამს, თუ რა გავლენა აქვს საერთაშორისო და ეროვნულ კანონს და პოლიტიკას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე;
- მოიცავს კონკრეტულ მაგალითებს, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება კანონის და პოლიტიკის გამოყენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების წინ წამოწევისთვის, აგრეთვე გამოწვევებს, რომლებიც თან ახლავს ამ პროცესს.

საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ფონი

სარჩევი

- ადამიანის უფლებების მოწყობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ
- გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (UNCRPD)
- გაეროს კონვენცია და ადამიანის უფლებები
- რატომ შეიქმნა გაეროს კონვენცია?
- რატომ არის UNCRPD მნიშვნელოვანი შშმ პირებისთვის?
- ვის უფლებებს ცნობს UNCRPD?
- რა ვალდებულებებს აკისრებს UNCRPD საერთაშორისო თანა-მეგობრობას?
- რა ვალდებულებებს აკისრებს UNCRPD ხელისუფლებებს?
- დათქმები
- ვისი მოვალეობაა UNCRPD-ის შესრულება?
- რა როლი აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მათ ორგანიზაციებს?
- გაერთიანებული ერების როლი
- როგორ იწყებს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტზე გამოძიებას გაეროს შშმ პირთა კომიტეტი?
- რა კავშირი აქვს UNCRPD-ის ჩვენს საშინაო კანონებთან?
- შეზღუდული შესაძლებლობები და გენდერი
- შეზღუდული შესაძლებლობები და ბავშვები
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სხვა ჯგუფები
- მედიის რეგულაცია
- გაეროს კონვენცია და ბრიტანული კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა მოწყობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ

შუა 1940–იანი წლებიდან მოყოლებული, საერთაშორისო დონეზე მიღებული იქნა სხვადასხვა შეთანხმება ადამიანის უფლებების შესახებ, მათ შორის:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948);
- საერთაშორისო ხელშეკრულება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (1966);
- საერთაშორისო ხელშეკრულება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966);
- კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამა–მცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვის შესახებ (1975);
- საერთაშორისო კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979);
- ბავშვთა უფლებების კონვენცია (1989);
- საერთაშორისო კონვენცია ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის შესახებ (1990);
- მენტალური პრობლემების მქონე ადამიანთა უფლებების დეკლარაცია (1971);
- დეკლარაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ (1975);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ მსოფლიო სამოქმედო პროგრამა (1982);
- კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული რეაბილიტაციისა და დასაქმების შესახებ (1983);
- ტალინის სახელმძღვანელო პრინციპები ინვალიდობის სფე–როში კადრების განვითარების შესახებ (1990);
- პრინციპები ფსიქიკური დაავადების მქონე პირთა დაცვისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისთვის (1991);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესა–ძლებლობის უზრუნველყოფის სტანდარტული წესები (1993).

თუმცა, წინა შეთანხმებებთან შედარებით, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია გვთავაზობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის უპრეცედენტოდ ძლიერ, გაუმჯობესებულ და სტანდარტიზებულ ხედვას.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (UNCRPD) ხელმოსაწერად გაიხსნა 2007 წლის 30 მარტს. კონვენცია არის ისტორიაში პირველი იურიდიული ძალის მქონე ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია დააკისროს სახელმწიფოებს ვალდებულება, რომ მათ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ხელი შეუწყონ, უზრუნველყონ და დაიცვან მილიონობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები; და რომელიც აღიარებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არმქონე პირებს საზიარო ადამიანური ბუნება აქვთ.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია არის საერთაშორისო ადამიანის უფლებათა შეთანხმება, რომელიც შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. ანუ იმ ადამიანებისთვის, რომელთაც აქვთ ხანგრძლივი ფიზიკური, მენტალური, ინტელექტუალური და სენსორული დარღვევები და შესაძლოა, ამის გამო გადააწყდნენ ბარიერებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი თანასწორი, სრულფასოვანი და ეფექტიანი მონაწილეობის მხრივ.

კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა ისარგებლონ ადამიანის უფლებებით ისევე, როგორც სარგებლობენ სხვები.

UNCRPD–ი:

- აღიარებს, რომ ჩვენ ვართ თანასწორნი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ თავისუფლების, პატივისცემის, თანასწორობის და ღირსების ისეთივე უფლება, როგორც ნებისმიერ სხვას;
- ერთად კრებს ადამიანის ყველა ძირეულ უფლებას;
- აღწერს, თუ რის გაკეთებას დათანხმდა სახელმწიფო, იმისათვის, რომ ეს უფლებები განხორციელდეს.

კონვენცია შეიქმნა იმის გამო, რომ ხშირად ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების უგულებელყოფა და ისინი აწყდებიან უამრავ ბარიერს, რაც მათ ხელს უშლის საზოგადოებრივ ჩართულობაში.
კონვენცია არ არის ფურცელზე დაწერილი ფუჭი დეკლარაცია. ის მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა იმოქმედონ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეცეთ რეალური თავისუფლება, ღირსება და თანასწორობა.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია და ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებები არის ძირეულ უფლებათა და თავისუფლებათა ჯგუფი, რომელიც ვრცელდება ყველა ადამიანზე, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არიან ისინი. ეს უფლებები ეხება იმას, თუ როგორ უნდა მოგექცეს შენ სახელმწიფო. ისინი აღიარებენ, რომ ყოველი ადამიანი არის თანასწორი, აქვს უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და მას უნდა მოექცნენ სამართლიანად, ღირსეულად და პატივისცემით.

ადამიანის უფლებები გაწერილია ისეთ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948) და ადამიანთა უფლებების ევროპის კონვენცია (1950).

UNCRPD–ი აღწერს იმ ნაბიჯებს, რომელიც უნდა გადადგას სახელმწიფომ იმისათვის, რომ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება:

- იყვნენ კანონის წინაშე თანასწორნი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე;
- დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები;
- მათ ოჯახურ ცხოვრებას სხვები პატივისცემით მოეპყრონ;
- განთავისუფლდნენ ექსპლუატაციის, ძალადობისა და სასტიკი მოპყრობისაგან;
- მიიღონ ინკლუზიური განათლება;
- ჰქონდეთ ცხოვრების ნორმალური პირობები;
- მიიღონ დახმარება საზოგადოებაში მონაწილეობისა და თემში ცხოვრებისათვის;
- ჰქონდეთ ადაპტირებული ფიზიკური გარემო და ინფორმაცია.

ეს და სხვა უფლებები შესულია განოფილებაში „მუხლები“.

რისთვის შეიქმნა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იბრძოდნენ იმისთვის, რომ მიეღოთ თავიანთი ადამიანის უფლებების კონვენცია. მსოფლიოს მასშტაბით უამრავი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და მათი ორგანიზაცია იღებდა მონაწილეობას ამ კონვენციის შინაარსის ჩამოყალიბებაში.

1948 წლიდან, ისევე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ადამიანის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები დაცულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში. ამ თვალსაზრისით, გაეროს კონვენცია არ ანიჭებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს რაიმე დამატებით ან ახალ ადამიანის უფლებებს. თუმცა, საჭირო იყო მოქმედება იმისათვის, რომ ფურცელზე დაწერილი უფლებები ყოველდღიურ რეალობად

ქცეულიყო. ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლება არსებობს, რომელთა გამოც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევა და უგულებელყოფა ხდება.

UNCRPD-ის მიზანი იყო იმ ნაბიჯების გაწერა, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანას უნდა გადაედგა ამ დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად. ბევრი ქვეყანა შეთანხმდა, რომ საჭირო იყო კონკრეტული კონვენციის მიღება, რომელიც დაეხმარებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ნამდვილი ღირსების, თანასწორობის და ჩართულობის უზრუნველყოფას.

კონვენციის ტექსტი შეთანხმებულ იქნა გაეროში, 2006 წლის დეკემბერში. [გაერთიანებულმა სამეფომ კონვენციას ხელი მოაწერა 2007 წლის 30 მარტს და მისი რატიფიცირება მოახდინა 2009 წლის 8 ივნისს.]

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის სტატუსი IDEAS-ის პროექტის ქვეყნებში გაერთიანებულმა სამეფომ კონვენციას ხელი მოაწერა 2007 წლის 30 მარტს და მისი რატიფიცირება მოახდინა 2009 წლის 8 ივნისს.

როდესაც ქვეყანა „ხელს აწერს“ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციას, ეს ნიშნავს, რომ ეთანხმება იმას, რაც წერია კონვენციაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე.

როდესაც ქვეყანა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის „რატიფიცირებას ახდენს“ ეს ნიშნავს, რომ მზადაა გააკეთოს, რასაც მისგან მოითხოვს კონვენცია და უზრუნველყოს იმ უფლებების პრაქტიკაში გატარება, რომელიც კონვენციაშია ჩამოყალიბებული.

რატომ არის UNCRPD მნიშვნელოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის?

1. **გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ვალდებულია,** გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტს წარუდგინოს იმ საქმიანობის ამსახველი ანგარიშები, რომელიც ეხება შშმ პირთა უფლებების წინ წამოწევას.

2. **აძლევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შესაძლებლობას, რომ ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი მათ ცხოვრებაზე გავლენის მქონე პოლიტიკის შემუშავებაში.** როდესაც გაერთიანებული სამეფო გაეროსთვის ამზადებს ანგარიშებს იმის თაობაზე, თუ როგორ ასრულებს კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს, ან როდესაც ცდილობს, კონვენციის გათვალისწინებით შეიმუშაოს ახალი კანონები და პოლიტიკა, რომელსაც გავლენა აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრებაზე, ის ვალდებულია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ჩართოს ამ პროცესში.

3. **აწესებს ახალ სტანდარტებს, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და მხარდაჭერა ხელისუფლებამ და საჯარო სტრუქტურებმა.** ეს არის ადამიანის უფლებათა პირველი შეთანხმება, რომელიც დეტალურად განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ინკლუზიური განათლება ან იმის უფლება, რომ იცხოვრო იქ, სადაც გსურს.

4. **სახელმწიფოს აკისრებს ფართომასშტაბიან პასუხისმგებლობას, რომ ამ უკანასკნელმა გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონტროლის გაძლიერებას საკუთარ ცხოვრებაზე და მათ სრულყოფილ მონაწილეობას საზოგადოებაში.**

5. **შეუძლია, უკეთ დაიცვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დისკრიმინაციისგან.** შესაძლოა, მთავრობას დასჭირდეს შესაბამისი ზომების გატარება იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ხარვეზები, რომლებიც გვხვდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის კანონში [გაერთიანებულ სამეფოში].

6. **შეიძლება გამოყენებული იქნას ადამიანის უფლებათა აქტის ინტერპრეტირებისთვის და თანასწორობის ვალდებულებასთან (Equality Duty) ერთად, წინ აღუდგეს ხარვეზებს ადამიანთა უფლებების დაცვის საქმეში, იმუშაოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად.**

7. **შეიძლება გამოიყენონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა და მათმა ორგანიზაციებმა, როგორც მოლაპარაკებების ჩარჩო, და გავლენა მოახდინონ ეროვნულ თუ ადგილობრივ საკითხებზე** – მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ხელისუფლება აპირებს ძირეული სოციალური დახმარების სერვისების გაუქმებას, რომლებსაც გავლენა ექნებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებაზე, იცხოვრონ დამოუკიდებლად.

8. **დაეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დადებითი დამოკიდებულების ამაღლებას.** სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს ცნობიერების ამაღლებაზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების და ღირსების პატივისცემის ხელშეწყობაზე, მათ მიმართ სასტიკი მოპყრობის აღმოფხვრასა და საზოგადოების ინფორმირებაზე იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეიძლება შეიტანონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა საზოგადოებაში.

ვის უფლებებს ცნობს UNCRPD?

UNCRPD–ი ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებებს. ასეთი ადამიანები არიან პირები, რომელთაც აქვთ ხანგრძლივი ფიზიკური, მენტალური, ინტელექტუალური და სენსორული დარღვევები და შესაძლოა, ამის გამო გადააწყდნენ ბარიერებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი თანასწორი, სრულფასოვანი და ეფექტიანი მონაწილეობის მხრივ. ამათ შორის არიან ყრუ პირები, დასწავლის შეზღუდვის მქონე პირები, მგრძნობელობითი დარღვევების მქონე პირები, ფიზიკური დარღვევების მქონე პირები, მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები, აუტიზმის მქონე პირები, ეპილეფსიისა და აივ დადების მქონე პირები.

კონვენცია ამბობს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად" ითვლება ადამიანი, რომელსაც აქვს ხანგრძლივი შეზღუდვა. თუმცა ის აგრეთვე მოიცავს იმ პირებსაც, რომლებსაც აქვთ მოკლევადიანი შეზღუდული შესაძლებლობა. [ბრიტანეთში არის 11 მილიონზე მეტი ადამიანი, რომელთა უფლებები განსაზღვრულია კონვენციის მიერ.]

კონვენცია აგებულია შეზღუდული შესაძლებლობის „სოციალურ მოდელზე". ის აღიარებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გარიყული არიან საზოგადოების მიერ შექმნილი ბარიერების წყალობით, ამგვარად, მათი შესაძლებლობები შეზღუდულია არაადაპტირებული სერვისებით, შენობებში არსებული დაბრკოლებებით ან წინასწარი განწყობებითა და სტიგმით. ის აგრეთვე აღიარებს, რომ დროის განმავლობაში ეს ბარიერები იცვლება.

რა ვალდებულებებს აკისრებს UNCRPD საერთაშორისო თანამეგობრობას?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების ხელშეწყობაში საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობა საყოველთაოდ აღიარებულია. კონვენცია ნათლად იაზრებს ამ კავშირს და ავალდებულებს სახელმწიფოებს, ითანამშრომლონ ერთმანეთთან და/ან შესაბამის საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან შემდეგი გზებით:

- პროფესიული განვითარების გაძლიერება ინფორმაციის, გამოცდილების, ტრენინგ-პროგრამების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით;
- კვლევითი პროგრამების და მეცნიერული ცოდნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;
- ფინანსური მხარდაჭერით და დამხმარე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფით.

საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ ცალკე მუხლის (32-ე მუხლი) ჩამოყალიბებით, კონვენცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მონაწილეობას უნდა იღებდნენ ყველა ამ საქმიანობაში, მათ შორის საერთაშორისო განვითარების პროგრამებშიც. იმის გათვალისწინებით, რომ ყოველ ქვეყანაში პროცენტულად უფრო მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ცხოვრობს სიღარიბეში, აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობა განვითარების პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რათა თავიდან ავიცილოთ არსებული უთანასწორობის და დისკრიმინაციის გაძლიერება.

კონვენცია აღიარებს, რომ ფართო საზოგადოებამ, საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, გაეროს სპეციალურმა საგენტოებმა, მსოფლიო ბანკმა და სხვა განვითარების ბანკებმა,

აგრეთვე ისეთმა რეგიონულმა ორგანიზაციებმა, როგორიც არის ევროკომისია და აფრიკის კავშირი, უნდა ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მხარდასაჭერად.

რა ვალდებულებებს აკისრებს UNCRPD ხელისუფლებებს?

კონვენციის რატიფიცირებით, მეოთხე მუხლის თანახმად, წევრი-სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სრულ რეალიზაციას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ყოველი წევრი სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს ზომები და მის ხელთ არსებული საშუალებების მაქსიმალური გამოყენებით მოახდინოს ეკონომიკური, სოციალური და კულ-ტურული უფლებების პროგრესული რეალიზება. ეს ვალდებულება, ანუ პროგრესული რეალიზება, აღიარებს, რომ ხშირ შემთხვევაში, იმისათვის, რომ მოხდეს ამ უფლებების სრულად რეალიზება, საჭიროა დრო — მაგალითად, იმ ქვეყნებში, სადაც აუცილებელია სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სისტემების შექმნა და გაუმჯობესება.

პროგრესული რეალიზების პრინციპი კონვენციის ქვეყნებს აძ-ლევს კონვენციის მიზნების მისაღწევად მოქნილი ქმედების შესაძლებლობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითა-რებადი ქვეყნებისთვის. თუმცა, ეს პრინციპი არ ათავისუფლებს ქვეყნებს იმ ვალდებულებისგან, რომ ისინი იყვნენ კონვენციით დაცული უფლებების გარანტორები. მაგალთად, სახელმწიფომ არ უნდა გამოასახლოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან ჩამოართვას მას სოციალური დახმარება.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ვალდებულებებისგან განსხვავებით, საზოგადო და პოლიტიკური უფლებების პროგრესული რეალიზება დაუშვებელია. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნებმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინონ ამ უფლებების დაცვა და მათი რეალიზების ხელშეწყობა.

კონვენცია სახელმწიფოებისთვის ითვალისწინებს სამ ფუნდამენტურ, ნათლად ჩამოყალიბებულ ვალდებულებას:

1. პატივისცემის ვალდებულება — სახელმწიფოებმა არ უნდა შეზღუდონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები. მაგალითად, სახელმწიფომ არ უნდა ჩაატაროს სამედიცინო ექსპერიმენტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ან არ უნდა გარიცხოს სკოლიდან მოსწავლე შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.

2. დაცვის ვალდებულება — სახელმწიფომ ხელი უნდა შეუშალოს მესამე მხარის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების დარღვევას. მაგალითად, სახელმწიფომ კერძო სექტორს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შესაფერისი სამუშაო პირობების შექმნა უნდა მოთხოვოს. სახელმწიფომ უნდა დაიცვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სასტიკი მოპყრობისა და დამცირებისგან.

3. განხორციელების ვალდებულება — სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, საბიუჯეტო, იურიდიული და სხვა ცვლილებები, რათა სრულად მოახდინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზება.

როდესაც სახელმწიფო ახდენს კონვენციის რატიფიცირებას, ის იღებს ვალდებულებას, გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები და უფლებები გახადოს რეალური. ის ვალდებულია:

- გადადგას ნაბიჯები, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა ისარგებლონ მათი ყველა უფლებით — მაგალითად, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა დისკრიმინაციის ყველა ფორმისგან — მათ შორის, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საჭირო გონივრული მისადაგება;
- გადახედოს არსებულ კანონებს და თქვას, რა ცვლილებებია გასატარებელი;
- გააუქმოს კანონები და პრაქტიკა, რომელიც ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციას;
- სადაც საჭიროა, შეიმუშაოს ახალი კანონები და პოლიტიკა;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები ყველაფერში, რასაც აკეთებს (ხშირად ამას უწოდებენ „მეინსტრიმინგს“ — პროცესის დასაწყისშივე იმაზე ფიქრს, რომ არ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გამორიცხვა);
- მოერიდოს ისეთ ქმედებას, რამაც შეიძლება დაარღვიოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანის კონვენციით გათვალისწინებული უფლება;
- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე პროფესიონალების დატრენინგება, რათა მათ იცოდ-ნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების პატივისცემა;
- უზრუნველყოს კერძო სექტორის და ინდივიდების მიერ შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების პატივისცემა;
- უზრუნველყოს ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც სტანდარტების შემუშავებასაც გულისხმობს;
- უზრუნველყოს საერთაშორისო განვითარების პროგრამების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემებზე მუშაობა და ამ პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა;
- მოაგროვოს ინფორმაცია და სტატისტიკა შეზღუდული შესა-ძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობაზე საზოგადოებაში,

რათა მოახდინოს პროგრესზე დაკვირვება და უკეთესი პოლი-ტიკის შემუშავება.

კონვენცია ვალდებულებებს აკისრებს „სახელმწიფო მხარეს“ [ბრიტანეთისთვის ეს არის გაერთიანებული სამეფოს მთავრობა], თუმცა, კონვენცით განსაზღვრული მრავალი უფლების დაცვა და ხელშეწყობა დამოკიდებულია რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების და სხვა ეროვნული ორგანოების ქმედებაზე. [შესაბამისად, გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ადგილობრივმა სტრუქტურებმა (მაგალითად, ადგილობრივმა ჯანდაცვის საბჭოებმა, ინსპექციებმა, პოლიციამ) ყველაფერი გააკეთოს, რაც აუცილებელია კონვენციის პრინციპების გასატარებლად. შოტლანდიის და უელსის მთავრობამ უნდა უზრუნველყონ ამ ქმედებების გატარება შოტლანდიასა და უელსში, სადაც კანონმდებლობის, მომსახურების და მონაწილეობის უზ-რუნველყოფის პასუხისმგებლობა მათზეა გადაცემული.]

თუ სახელმწიფო ვერ ახერხებს ამ ნაბიჯების გადადგმას, მაშინ ის არღვევს კონვენციას.

აღსანიშნავია ისიც, რომ UNCRPD-ს სხვადასხვა ტიპის უფლებები აქვს. ზოგი უფლება მთავრობას აძლევს მოქნილობის საშუალებას, ზოგიც – არა. მაგალითად, სიცოცხლის მოსპობა ან ადამიანის წამება დაუშვებელია. სხვა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს რიგ გარემოებებში, თუ ეს კანონით არის გაწერილი; მაგალითად, ადამიანს აქვს თავისუფლების უფლება, მაგრამ ის შეიძლება ციხეში მოხვდეს, თუ კანონს დაარღვევეს.

კონვენციის ბევრი უფლება საჭიროებს სახელმწიფოთა მხრიდან გადადგმულ აქტიურ ნაბიჯებს. თუმცა, კონვენცია აღიარებს იმასაც, რომ ყველა სახელმწიფო ვერ მოახერხებს, დაუყოვნებლივ მოახდინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყველა უფლების რეალიზება. სახელმწიფო მაინც უნდა ეცადოს, რომ

მიიღოს ზომები მის ხელთ არსებული საშუალებების მაქსიმალური გამოყენებით და უზრუნველყოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთებმა ისარგებლონ თავიანთი უფლებებით. ამას ხშირად უწოდებენ „პროგრესულ რეალიზებას“. [გაერო ბევრად უფრო მეტს მოელის ბრიტანეთის მსგავსი, შედარებით უფრო მდიდარი ქვეყნებისგან, ვიდრე განვითარებადი ქვეყნებისგან.]

მაშინ, როდესაც ხელისუფლება მუშაობს უფლებებზე, ის უნდა:

- მოერიდოს ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომლების შედეგადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეიძლება ჩამოერთვათ მათი უფლებებით სარგებლობის საშუალება; და
- უზრუნველყოს, რომ ყველას ჰქონდეს მინიმალური საარსებო დახმარება საკვების და თავშესაფარის მხრივ და ხელი მიუწვდებოდეს ჯანდაცვის და განათლების საბაზისო დონეზე.

დათქმები

როდესაც გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, ერთ განმარტებით დეკლარაციასთან და ზოგიერთ მუხლთან მიმართებაში გაითვალისწინა გარკვეული დათქმები. დათქმა ნიშნავს, რომ მთავრობა (ჯერ) არ გადადგამს ნაბიჯებს კონკრეტული საკითხების მოსაგვარებლად. განმარტებით დეკლარაციაში ასახულია, თუ როგორ ესმის მთავრობას კონკრეტული მუხლები. მთავრობა თანხმდება, მოახდინოს მისი რატიფიცირება იმ პირობით, თუ ამ მუხლების ინტერპრეტირება ხდება განმარტებითი დეკლარაციის მიხედვით.

[გაერთიანებულ სამეფოში ეს ეხება შემდეგ კანონებს: დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლება (მუხლი 12), გადაადგილების და მოქალაქეობის თავისუფლება (მუხლი 18), განათლების მიღების უფლება (მუხლი 24), და მუშაობის უფლება (მუხლი 27).]

ვისი მოვალეობაა UNCRPD–ის შესრულება?

[გაერთიანებული სამეფოს მთავრობა, შოტლანდიის, უელსის და ჩრდილოეთ ირლანდიის უფლებამოსილ ადმინისტრაციებთან ერთად აგებს პასუხს კონვენციის შესრულებაზე.]

კონვენცია მოითხოვს ყველა მთავრობისგან, ჩამოაყალიბონ ე.წ. „საკონტაქტო წერტილი და კოორდინაციის მექანიზმი", რაც დაეხმარება კონვენციის შესრულების უზრუნველყოფას. [შშმ პირთა საკითხთა ოფისი (ODI) არის გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო ადმინისტრაციის შიგნით არსებული საკონტაქტო წერტილი და კოორდინაციის მექანიზმი. ის ახდენს მთავრობის სხვადასხვა დეპარტამენტის და უფლებამოსილი ადმინისტრაციების კოორდინირებას, რათა კონვენცია შესრულდეს.]

[გამომდინარე იქედან, რომ შოტლანდია და უელსი ბევრ თავის კანონს და პოლიტიკას დამოუკიდებლად წყვეტს (ამას ეწოდება „გადაცემული საკითხები" – მაგალითად ჯანდაცვის, სოციალური ზრუნვის და განათლების), ისინი ამ სფეროებში დამოუკიდებლად უზრუნველყოფენ კონვენციის შესრულებას. ODI მჭიდროდ თანა–მშრომლობს შოტლანდიის და უელსის უფლებამოსილ ადმინი–სტრაციებთან.]

რა როლი აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მათ ორგანიზაციებს?

UNCRPD–ი აცხადებს, რომ „სამოქალაქო საზოგადოება" და შეზღუ–დული შესაძლებლობის მქონე პირები, განსაკუთრებით კი მათი ორგანიზაციები, სრულად უნდა იყვნენ კონვენციის შესრულების მონიტორინგში ჩართული. როდესაც ქვეყნის მთავრობები ატა–რებენ პროცესის მონიტორინგს, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სრულად მონაწი–ლეობდნენ ამაში.

„სამოქალაქო საზოგადოება“ ნიშნავს ადამიანებს და ორგანიზაციებს, რომლებიც არ წარმოადგენენ მთავრობის ნაწილს. მათ შორის არიან:

- ადამიანები, რომლებსაც პირადად შეეხოთ ადამიანის უფლებათა დარღვევა;
- მოხალისე ორგანიზაციები, დამოუკიდებლად ცხოვრების ცენტრები, თვითადვოკატირების ჯგუფები, ხელმისაწვდომობის ჯგუფები, ადგილობრივი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ასოციაციები;
- სხვა მოხალისე ორგანიზაციები, როგორიც არის რელიგიური ჯგუფები, ახალგაზრდული ჯგუფები, ხანდაზმულთა ჯგუფები, ქალთა ჯგუფები და LGBT ჯგუფები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახის წევრები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლები;
- ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები;
- პროფკავშირები; და
- პროფესიული ჯგუფები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯგუფებმა უნდა გამოიყენონ კონვენცია, როგორც **მოლაპარაკებების**, ადვოკატირების და იურიდიულ საქმეებში საკუთარი არგუმენტების წარმოსაჩენი იარაღი. მონიტორინგზე და განხორციელების პროცესზე გავლენის მოსაპოვებლად ძლიერი საშუალება არის „ჩრდილოვანი“ ანგარიშები, რომელთა მეშვეობითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ორგანიზაციები გამოხატავენ თავიანთ შეხედულებებს იმის თაობაზე, თუ როგორ ასრულებს (ან ვერ ასრულებს) მთავრობა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვას, ხელშეწყობას და პატივისცემას. ამის გაკეთება შეუძლია ნებისმიერ ადამიანს. ეს ამავდროულად ასრულებს მთავრობის კონტროლისა და ბალანსის დაცვის მექანიზმის ფუნქციასაც.

შემთხვევების შესწავლა: გაერთიანებული სამეფოს UNCRPD-ის ჩრდილოვანი ანგარიში

გაერთიანებული სამეფოს UNCRPD-ის შესრულების ანგარიში გაეროს კომიტეტს წარედგინა 2012 წელს.

გაეროს კომიტეტი აგრეთვე განიხილავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების (DPO) მიერ მომზადებულ 60-გვერდიან ჩრდილოვან ანგარიშს, რომელიც მთავრობის საქმიანობას შეეხებოდა. ამ ჩრდილოვან ანგარიშს უძღვებოდა გაერთიანებული სამეფოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭო (UKDPC), როგორც გაერთიანებული სამეფოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მეთვალყურე ორგანიზაცია.

ინკლუზიური განათლების ალიანსის აქტივისტი ტარა ფლუდი, რომელიც მუშაობდა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციაზე, აცხადებს, რომ ჩრდილოვანი ანგარიში შესაძლებლობას მისცემს DPO-ებს, წარმოაჩინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მდგომარეობა გაერთიანებულ სამეფოში და აჩვენონ გაეროს კომიტეტს, თუ „რა ვითარებაა ამჟამად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გაერთიანებულ სამეფოში“.

ჩრდილოვანი ანგარიშის მიზანია, დაეხმაროს გაეროს კომიტეტს, რათა მან ზუსტად შეაფასოს, თუ სად ვერ ახერხებს გაერთიანებული სამეფოს მთავრობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას.

თუმცა, ჩრდილოვანი ანგარიშის შემუშავება იყო უკიდურესად რთული, გამომდინარე დაფინანსების სიმწირიდან და იქიდან, რომ მის შედგენაში მონაწილეობას იღებდა უამრავი ორგანიზაცია.

გაერთიანებული სამეფოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი იასპალ დჰანი ამბობს, რომ არსებული რესურსები და ვადები ურთიერთდამოკიდებული და პრობლემატურია: „ჩვენ შეგვეძლო ანგარიშის მომზადება გასულ წელს, მაგრამ ეს ანგარიში უბრალოდ გაეროს ოფისის ერთ-ერთ თაროზე აღმოჩნდებოდა. ჩვენ ამას გავაკეთებთ DPO-ებთან კონსულტაციების გზით".

გაერთიანებული სამეფოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მეთვალყურე ორგანიზაციამ დაკვირვების და ვებგვერდის გამოყენებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 1400 საილუსტრაციო მაგალითს მოუყარა თავი.

სამწუხაროდ, დაფინანსების და ტექნიკურმა პრობლემებმა, აგრეთვე იმ სიტუაციამ, რომ UKDPC-ი ლამის დაშლის პირას იყო მისული, შეაფერხა გაერთიანებული სამეფოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოძრაობის სახელით წარსადგენი ანგარიშის შემუშავება.

ტარას თქმით: „მე გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციიდან ვიცი, რომ კონსენსუსის მისაღწევად იქ, სადაც ამდენი განსხვავებული მოსაზრება არსებობს, მოლაპარაკებები უნდა დაიწყო ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ანგარიშის წერა".

ანგარიშის შემუშავებაზე შექმნილი მღელვარების გამო, ორგა-ნიზაციების ცალკე ჯგუფმა — ინკლუზიური განათლების ალიანსი, ბრიტანეთის ყრუთა ასოციაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შემცირებების წინააღმდეგ, თანასწორი ცხოვრება, თანასწორობის ეროვნული საბჭო, ინკლუზიური ლონდონი, ჩვენი ცხოვრების ფორმირება, ფრიდას დები და TUC — რომლებმაც თავი მოიყარეს ორგანიზაცია „ჩვენი მომავლის მოპოვების ალიანსის" (ROFA) ქოლგის ქვეშ — გადაწყვიტა, მოემზადებინა ალტერნატიული ანგარიში.

ეროვნული ორგანიზაცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები – გაერთიანებული სამეფო“ ასევე გეგმავდა მესამე ჩრდილოვანი ანგარიშის გამოქვეყნებას, თუმცა ის უფრო კონვენციის „პრიორიტეტულ“ საკითხებზე ფოკუსირდება.

უსინათლო ადამიანთა სამეფო ეროვნული ინსტიტუტის კამპანიების მენეჯერი დენ პესკოდი ამბობს, რომ მისი ორგანიზაცია გეგმავდა მონაწილეობას როგორც UKDPC-ის ანგარიშში, ასევე ROFA-ს მიერ მომზადებულ ანგარიშშიც. მან თქვა: „კომიტეტი იტყოდა, რომ იდეალურ სამყაროში იქნება მხოლოდ ერთი ანგარიში. ჩვენ არ ვცხოვრობთ იდეალურ სამყაროში და არ მგონია, რომ ჩვენ ვიქნებით ერთადერთი ქვეყანა, რომელიც წარმოადგენს ერთ ანგარიშზე მეტს. მნიშვნელოვანია ის, თუ რას ამბობს ეს ანგარიშები და რა გავლენა აქვთ მათ კომიტეტზე“.

გაერთიანებული ერების (გაეროს) როლი

გაერომ შექმნა კომიტეტი, რომელიც ახორციელებს იმ ქვეყნების მონიტორინგს, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცი-რება. ამ კომიტეტს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი“ (Committee on the Rights of Persons with Disabilities) ჰქვია. 2010 წელს ამ კომიტეტს ჰყავდა 12 წევრი, საიდანაც 9 იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტი:

- ამზადებს ზოგად რეკომენდაციებს/ზოგად კომენტარებს, თუ როგორ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული კონვენციის რიგი უფლებები, მაგალითად: რა ნაბიჯების გადადგმას მოელიან ისინი მონაწილე სახელმწიფოებისგან;
- აკვირდება, თუ რამდენად ახერხებს მონაწილე სახელმწიფო კონვენციის განხორციელებას და ამზადებს რეკომენდაციებს, თუ დამატებით რის გაკეთება შეუძლია სახელმწიფოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების უზრუნველსაყოფად.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტის გარკვეული უფლებები განსაზღვრულია კონვენციის მეორე ხელ-შეკრულებით, რომელსაც ჰქვია „ფაკულტატური ოქმი“. გაერთი-ანებული სამეფოს მთავრობამ ამ დოკუმენტის რატიფიცირებაც მოახდინა.

როგორ დავაწყებინოთ გამოძიება ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტზე გაეროს შშმ პირთა კომიტეტს?

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტს შეუძლია, დაიწყოს გამოძიება, თუ ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც რატიფიცირებული აქვს კონვენცია და ფაკულტატური ოქმი, კონ-ვენციის უხეშ ან ფართოდ გავრცელებულ დარღვევებში იქნება შემჩნეული. „ფართოდ გავრცელებული“ ნიშნავს, რომ დარღვევები ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბევრ პირს და/ან წარმოადგენს გამიზნული პოლიტიკის ნაწილს. იმისათვის, რომ კომიტეტმა გადაწყვიტოს გამოძიების დაწყება, მას დასჭირდება სანდო მტკიცებულება შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით. კერძო პირებს და ორგანიზაციებს შეუძლიათ, პირდაპირ მიაწოდონ მტკიცებულება ან ისარგებლონ „ინდივიდუალური საკომუნიკაციო პროცედურით“, რათა გაეროს კომიტეტის ყურადღება უფლებათა ასეთ დარღვევებზე მიაპყრონ.

თუ თქვენ გაქვთ კონვენციის უხეში ან ფართოდ გავრცელებული დარღვევების მტკიცებულება და თვლით, რომ ამის შესახებ უნდა იცოდეს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტმა, თქვენ უნდა:

- იმუშაოთ სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯგუფებთან და ადამიანის უფლებათა ეროვნულ კომისიასთან, რათა მოამზადოთ უფლებათა დარღვევის დეტალური მტკიცე-ბულება;
- მისწეროთ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტს და სთხოვოთ გამოძიების დაწყება.

თქვენ აგრეთვე უნდა შეამოწმოთ, თუ ექნება თანასწორობის და ადამიანის უფლებათა კომისიას ან შოტლანდიის ადამიანის უფლებათა კომისიას სურვილი, ჩაატაროს გამოძიება გაეროს ნაცვლად. ჰკითხეთ მათ რჩევა, თვლიან თუ არა, რომ საჭიროა გაეროს გამოძიება.

სხვა კონვენციების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გამოძიებები შეიძლება გამოყენებული იქნეს ადამიანის უფლებათა დარღვევის ეფექტიანად შესაჩერებლად.

რა კავშირი აქვს UNCRPD–ის ჩვენს შიდა კანონებთან?

[გაერთიანებული სამეფოს] მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ჩვენი შიდა კანონები შესაბამისობაში მოდიოდეს კონვენციის მოთხოვნებთან. თუ ასე არაა, მაშინ მან უნდა შეცვალოს კანონები. არსებობს მთელი რიგი მეთოდებისა, რომელთა მეშვეობითაც თქვენ შეგიძლიათ, მთავრობას დააკისროთ პასუხისმგებლობა, თუ ჩვენი შიდა კანონები ან მათი განხორციელება არ პასუხობს კონვენციის მოთხოვნებს.

გაერთიანებულ სამეფოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი თუ ჩათვლის, რომ კონვენციით განსაზღვრული მისი უფლებები შელახული იქნა, მას არ შეუძლია, სახელმწიფოს ან რომელიმე სხვა საჯარო უწყებას უჩივლოს სასამართლოში, რადგანაც კონვენცია არ არის ჩვენი ადგილობრივი კანონმდებლობის ნაწილი. თუმცა, კონვენციას შეუძლია, სერიოზული მხარდამჭერის ფუნქცია შეასრულოს, როდესაც სასამართლო განიხილავს ადამიანის უფლებათა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის საქმეებს.

http://www.un.org/disabilities/convention/conventionfull.shtml

შეზღუდული შესაძლებლობები და გენდერი

საერთაშორისო გამოცდილება მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებში არიან ადეკვატური საცხოვრებელით უზრუნველყოფის, ჯანდაცვის სერვისების, განათლების, პროფესიული ტრენინგების და დამხმარე საშუალებების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ამასთან, უფრო დიდი შანსია, რომ ისინი სპეციალურ დაწესებულებებში მოათავსონ. ხშირად ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა დისკრიმინაცია სამსახურში აყვანისას, დაწინაურებისას და ანაზღაურების გაცემისას, ისინი აგრეთვე იშვიათად იღებენ მონაწილეობას საჯარო გადაწყვეტილებათა მიღებაში.

ისინი დისკრიმინირებული არიან ცხოვრების ყველა ასპექტში — სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში — და დიდი შანსია, გახდნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლიც. განვითარებად ქვეყნებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები განსაკუთრებულად დაუცველი არიან სასტიკი მოპყრობის, სტიგმის და საზოგადოებრივი დევნისგან. ბევრ მათგანს აქვს დაბალი თვითშეფასება, არასაკმარისი განათლება და ხშირად გვევლინებიან ოჯახის ყველაზე ღარიბ წევრებად. ხშირად ისინი „ოჯახის შექმნისთვის შეუფერებლად“ არიან მიჩნეული, რაც დიდი პრობლემაა ტრადიციულ საზოგადოებებში, სადაც ქალის როლი ბევრად უფრო ხისტად არის განსაზღვრული.

არაბულ რეგიონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები წარმოადგენენ ყველაზე მარგინალიზებულ და მოწყვლად სოციალურ ჯგუფს. უფრო კონსერვატიულ არაბულ თემებში ტრადიციები და სოციალური ნორმები ქალებს ხშირად დისკრიმინაციის მანკიერ წრეში აქცევს, შესაბამისად, ამცირებს მათ შანსებს, შექმნან ოჯახი, მიიღონ ადეკვატური განათლება, რეაბილიტაცია და იმონაწილეონ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობებში (გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო).

ორგანიზაციები განაგრძობენ ისეთი პოლიტიკის და პროგრამების შემუშავებას, რომელიც ვერ ახერხებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებას. ქალთა ორგანიზაციები არ ცდილობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფას, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიმღებნი უმეტესწილად კაცები არიან.

„ცვლილების მენეჯმენტი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მეინსტრიმინგი განვითარების პროცესში", 2012 წლის ივნისი. http://www.escwa.un.org/information/publications/edit/upload/E_ESCWA_SDD_12_B-1_e.pdf

ამ მიზეზით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებმა იბრძოლეს გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციაში კონკრეტული მუხლის შექმნისთვის. მათ მიაღწიეს წარმატებას: კონვენციაში შესულია მეექვსე მუხლი: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები".

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა რამდენიმე საკვანძო პრობლემურ სფეროს წარმოადგენს:

- განათლება: უფრო ნაკლებად სავარაუდოა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგო შევიდეს სკოლაში, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბიჭი;
- დასაქმება: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს უფრო ნაკლები შანსი აქვთ; მიიღონ ბიზნესსესხი ან დასაქმდნენ;
- ძალადობა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები განსაკუთრებულად დაუცველნი არიან ოჯახური ძალადობისაგან. საკმაოდ ხშირია სექსუალური ძალადობის შემთხვევებიც, განსაკუთრებით – მენტალური პრობლემების და/ან სმენის შეზღუდვების მქონე ქალებში;
- ჯანდაცვის სერვისები: ჯანდაცვის მუშაკები ხშირად აცხადებენ უარს, ურჩიონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს და გოგონებს ოჯახის დაგეგმარების სერვისები და მეთოდები.

აღებულია სახელმძღვანელოდან: „გახადეთ განვითარება ინკლუ-ზიური – ინსტრუმენტარიუმი შეზღუდულ შესაძლებლობებზე და გენდერზე“
http://www.make-development-inclusive.org/toolsen/03_mainstreaming.pdf

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

გაეროს კონვენციის მეშვიდე მუხლი ამბობს:

- წევრმა სახელმწიფოებმა ყველა ზომებს უნდა მიმართონ, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიერ ადამიანის უფლებებითა და ყველა ფუნდამენტური თავის-უფლებით სხვა ბავშვების თანასწორად სარგებლობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირე-ბული ყველა გადაწყვეტილება ბავშვის უზენაესი ინტერესებიდან უნდა მომდინარეობდეს;
- წევრმა სახელმწიფოებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქო-ნე ბავშვებისთვის სხვა ბავშვების თანასწორად უნდა უზრუნ-ველყონ, ერთი მხრივ, მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხ-ზე საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლების რეალიზება, რომლის გათვალისწინებაც მისი ასაკისა და სიმ-წიფის შესაბამისად მოხდება, და, მეორე მხრივ, მისი ასაკიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დახმარება ამ უფლების განხორციელებაში.

ეს ნათლად გამოხატავს იმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს აქვთ სრული ადამიანთა უფლებები და რომ სახელმწიფოებმა უნდა გადადგან აქტიური ნაბიჯები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად, რათა მათ განავითარონ თავი-ანთი სრული პოტენციალი განათლებასა და საზოგადოებაში.

ის აგრეთვე ამბობს, რომ სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ასაკი საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლების რეალიზებისას.

არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე — გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია.

UNICEF-მა ჩაატარა საერთაშორისო კვლევითი პროექტი სახელწოდებით „მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2013: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები". ანგარიში აჩვენებს, რომ ინკლუზიური მიდგომა არსებითია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საზოგადოებაში აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ყოველივე ეს ახსნილია UNICEF-ის ფილმში: https://www.youtube.com/watch?v=4I9Sq8qHXE0

აღმოჩენათა მიმოხილვა აღწერილია UNICEF-ის უფრო მოკლე ფილმში: https://www.youtube.com/watch?v=oDepkMqy5PQ

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სხვა ჯგუფები

კონვენცია კონკრეტულად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს იცავს. თუმცა, ის აგრეთვე ამბობს, რომ სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა მრავალფეროვნება, რათა არ მოხდეს მათი განსაზღვრა მათი იდენტობის მხოლოდ ერთი მხარით.

UNCRPD და ბრიტანეთის ადამიანის უფლებათა აქტი

ბრიტანეთის ადამიანის უფლებათა აქტი არის საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც გაერთიანებულმა სამეფომ მიიღო 1998 წელს. ის ამბობს, რომ საჯარო ხელისუფლებამ პატივი უნდა სცეს ნებისმიერი ადამიანის უფლებებს ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში. უფლებები, რომელსაც ის იცავს, დაფუძნებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე.

ამ შეთანხმებაში შესულია რამდენიმე ისეთი უფლება, რომელიც ფიგურირებს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაშიც, მაგალითად, სიცოცხლის უფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება. თუმცა UNCRPD მოიცავს უფლებათა უფრო ფართო სპექტრს, კონკრეტულად კი — ისეთ უფლებებს, რომლებიც ეხება სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ თემებს, მაგალითად, როგორიცაა საცხოვრებელი ადგილის ქონის უფლება და მუშაობის უფლება.

გაეროს კონვენციაში უფრო დეტალურადაა გაწერილი ის ნაბიჯები, რომელიც სახელმწიფოებმა უნდა გადადგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად. მაგალითად, ადამიანის უფლებათა აქტის მერვე მუხლი იცავს ადამიანთა პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების და საზოგადოებრივი ჩართულობის უფლებას. გაეროს კონვენციის მეცხრამეტე მუხლი განსაზღვრავს იმ ნაბიჯებს, რომელიც უნდა გადადგას ქვეყნის მთავრობამ, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვებთან თანასწორობის საფუძველზე საშუალება ჰქონდეთ, აირჩიონ, თუ სად და ვისთან ერთად იცხოვრონ და მიიღონ ის მხარდაჭერა, რაც საჭიროა დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის.

ახლა საჯარო ხელისუფლებამ მსჯელობისას, თუ როგორ იქნეს დაცული ადამიანთა უფლებები, კონვენციაც უნდა გაითვალისწინოს.

მიუხედავად იმისა, რომ UNCRPD-ის დარღვევის საფუძველზე გაერთიანებული სამეფოს სასამართლოში ვერ შეიტანთ სარჩელს, გაეროს კონვენცია შეიძლება გამოიყენოთ, როგორც ადამიანის უფლებათა აქტის განმარტების საშუალება. როდესაც სასამართლო ახდენს ადამიანის უფლებათა აქტის განმარტებას, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო კანონი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. 2009 წელს, ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლოს მიერ

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ უსამართლო მოპყრობის შესახებ განხილულ საქმეზე გამოტანილი განაჩენი ეფუძნება გაეროს კონვენციას. საქმის სრული დასახელებაა *გლორი შვეიცარიის წინააღმდეგ* (განაცხადი №13444/04, განაჩენი გამოტანილია 2009 წლის 30 აპრილს).

UNCRPD და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის ბრიტანული კანონი

გაერთიანებული სამეფოს კანონი, რომელიც კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციას და ახდენს მათი თანასწორობის პროპაგანდას, ამბობს, რომ დაუშვებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების დისკრიმინაცია და ჩაგვრა. ამასთან, ბრიტანელმა დამქირავებლებმა, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა და სერვისის მიმწოდებლებმა უნდა მოახდინონ გონივრული მოწყობა, რითაც უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სერვისების ხელმისაწვდომობის და საზოგადოებაში სრული ჩართულობის უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე უკვე არსებობდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის ორი აქტი, ეს დებულებები შესულია ყოვლისმომცველ თანასწორობის აქტში.

UNCRPD შეიძლება გამოვიყენოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის კანონის ზოგი კონცეპტის განმარტებისათვის. მაგალითად, რას გულისხმობს „გონივრული მოწყობა", რაც სრული ჩართულობის წინ არსებული ბარიერების მოხსნის მიზანს ემსახურება.

თანასწორობის კანონმდებლობა საჯარო ხელისუფლებას მის ყველა საქმიანობაში თანასწორობის ხელშეწყობის (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის ხელშეწყობის) ვალდებულებას აკისრებს.

თუ საჯარო ხელისუფლება არ ახორციელებს თანასწორობის ვალდებულებას, მაშინ თანასწორობის და ადამიანის უფლებათა კომიტეტს შეუძლია, გაატაროს სხვადასხვა იურიდიული ქმედება და აიძულოს საჯარო ხელისუფლებას თანასწორობის ვალდებულების უზრუნველყოფა; ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს შეუძლიათ, სასამართლოში შეიტანონ სარჩელი (ე.წ. „სასამართლო მიმოხილვის“ მეშვეობით). თანასწორობის ვალდებულების უზრუნველყოფისთვის საჯარო ხელისუფლებას დაეხმარება კონვენციით გაწერილი სტანდარტები.

ბრიტანეთის თანასწორობის აქტი

2010 წლის თანასწორობის აქტი სამართლებრივად იცავს ადამიანებს დისკრიმინაციისგან სამსახურსა და ფართო საზოგადოებაში.

მან ერთი საერთო აქტით ჩაანაცვლა ძველი ანტიდისკრიმინაციული კანონები, როგორიც იყო, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის აქტი, რასების ურთიერთობის აქტი და გენდერული დისკრიმინაციის აქტი, რამაც განაპირობა კანონის ადვილად აღქმა და რიგ სიტუაციებში გააძლიერა დაცვა. თანასწორობის აქტი განსაზღვრავს, თუ როგორი მოპყრობაა უკანონო.

რა შემთხვევაში არიან ადამიანები დაცული დისკრიმინაციისგან?
2010 წლის თანასწორობის აქტი „დაცული ნიშნების“ მქონე ადამიანებს იცავს დისკრიმინაციისგან, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს:

- დამქირავებლისგან;
- სერვისის და პროდუქტის მომწოდებელი ბიზნესებისგან და ორგანიზაციებისგან, როგორიცაა ბანკები, მაღაზიები და კომუნალური სერვისის კომპანიები;
- ჯანმრთელობის დაცვის მომწოდებლებისგან, როგორიცაა საავადმყოფოები და თავშესაფრები;

- მათგან, ვისგანაც იძენენ ან ქირაობენ ქონებას, მაგალითად, საბინაო ასოციაციებისა და უძრავი ქონების აგენტებისგან;
- სკოლებისგან, უნივერსიტეტებისგან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან;
- სატრანსპორტო საშუალებებისგან, როგორიცაა ავტობუსები, მატარებლები და ტაქსები;
- საჯარო სტრუქტურებისგან, როგორიცაა მთავრობა ან ადგილობრივი ხელისუფლება.

რა არის დაცული ნიშნები?

თანასწორობის აქტში შესულია ცხრა დაცული ნიშანი. ადამიანის დისკრიმინაცია ამ ნიშნების საფუძველზე, აქტის მიხედვით, უკანონობად ითვლება. ამათგან ესა თუ ის ნიშანი ყველას შეგვეხება — მაგალითად, სქესი ან ასაკი — შესაბამისად, აქტი ყოველ ჩვენგანს იცავს დისკრიმინაციისაგან.

თუ ვინმეს უსამართლოდ მოექცნენ იმის გამო, რომ ის, თუნდაც არასწორად, მიიჩნიეს დაცული ნიშნის მქონე პირთა ჯგუფის წარმომადგენლად — ესეც დისკრიმინაციაა. მაგალითად, თუ ვინმემ ჩათვალა, რომ ადამიანი აივ მატარებელია და ამის ნიადაგზე მოახდინა მისი დისკრიმინაცია, აქტი ამ ადამიანს მაინც დაიცავს, მიუხედავად იმისა, რეალურად არის თუ არა ის აივ მატარებელი.
2010 წლის თანასწორობის აქტი იცავს შემდეგ ნიშნებს:

- ასაკი;
- შეზღუდული შესაძლებლობა;
- გენდერული მიკუთვნებულობის შეცვლა;
- ქორწინება ან სამოქალაქო პარტნიორობა (მხოლოდ დასაქმებაში);
- ორსულობა და დედობა;
- რასა;
- რელიგია ან სარწმუნოება;
- სქესი;
- სექსუალური ორიენტაცია.

დისკრიმინაცია ასოცირების საფუძველზე
თქვენ აქტი გიცავთ იმ შემთხვევაშიც კი, თუ უსამართლოდ მოგექცნენ იმის გამო, რომ თქვენი ოჯახის წევრი ან მეგობარი დაცული ნიშნის მქონეა. ამას ეწოდება დისკრიმინაცია ასოცირების საფუძველზე. მაგალითად, თუ მოხდა თქვენი დისკრიმინირება იმის გამო, რომ თქვენი შვილი გეია.

საჯარო სექტორის თანასწორობის ვალდებულება
საჯარო სექტორის თანასწორობის ვალდებულება დიდ ბრიტანეთში ძალაში შევიდა 2011 წლის 5 აპრილს. ეს ნიშნავს, რომ საჯარო უწყებებმა თავის ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა გაითვალისწინონ ყველა ინდივიდი – პოლიტიკის ფორმირების, სერვისების მიწოდების და საკუთარ თანამშრომლებთან ურთიერთობის სფეროებში.

ის აგრეთვე მოითხოვს, რომ საჯარო უწყებებმა:
- სათანადოდ გაითვალისწინონ დისკრიმინაციის აღმოფხვრის საჭიროება;
- წინ წამოწიონ შესაძლებლობათა თანასწორობა;
- ხელი შეუწყონ კარგ ურთიერთობებს განსხვავებულ ადამიანთა შორის საკუთარი აქტივობების წარმართვისას.

კონკრეტული ვალდებულებები
2010 წლის თანასწორობის აქტის (კონკრეტული ვალდებულებები) რეგულაციები 2011 ძალაში შევიდა 2011 წლის 10 სექტემბერს.

კონკრეტული ვალდებულებები მოითხოვს საჯარო სტრუქტურებისგან, დასახონ თანასწორობის მიზნები და გამოაქვეყნონ რელევანტური, პროპორციული ინფორმაცია, რომელიც ასახავს თანასწორობის ვალდებულებასთან შესაბამისობას.

თანასწორობის ვალდებულება არის საჯარო უწყებებზე და საჯარო ფუნქციების სხვა მომწოდებლებზე დაკისრებული ვალდე-

ბულება. ის უზრუნველყოფს, რომ საჯარო უწყებებმა თავის ყოველდღიურ საქმიანობაში გაითვალისწინონ ყველა ინდივიდი — პოლიტიკის ფორმირების, სერვისების მიწოდების და საკუთარ თანამშრომლებთან ურთიერთობის სფეროებში.

თანასწორობის ვალდებულება ემხრობა ეფექტიან გადაწყვეტილებათა მიღებას. ის ახდენს საჯარო უწყებების წახალისებას, რათა მათ გაიაზრონ, თუ რა გავლენა აქვს მათ აქტივობებს სხვადასხვა ადამიანზე, იმისათვის, რომ შეიმუშაონ ყველა ადამიანისთვის ხელმისაწვდომი და შესაფერისი პოლიტიკა და სერვისები და გაითვალისწინონ განსხვავებული ადამიანების საჭიროებები. მას შემდეგ, რაც საჯარო უწყებები გაიაზრებენ, თუ რა გავლენა აქვს მათ აქტივობებს ადამიანებზე და ნახავენ, თუ როგორ ეხმარება და ხელს უწყობს ადამიანთა შესაძლებლობების განვითარებას ინკლუზიური საჯარო სერვისები, ისინი უფრო მეტად ეცდებიან, შეიმუშაონ ეფექტიანი და ქმედითი პოლიტიკა და სერვისები. შესაბამისად, თანასწორობის ვალდებულება ხელს უწყობს საჯარო უწყებებს, შეასრულონ მთავრობის მიერ დასახული გეგმები საჯარო სექტორში.

თანასწორობის ვალდებულებას აქვს სამი მიზანი. ის მოითხოვს საჯარო უწყებებისგან, ***სათანადოდ გაითვალისწინონ*** შემდეგი საჭიროებები:

- **აღმოფხვრან უკანონო დისკრიმინაცია**, ძალადობა, ვიქტიმიზაცია და ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც აკრძალულია აქტით;
- **გააძლიერონ შესაძლებლობათა თანასწორობა** იმ პირთა შორის, ვინც იზიარებს დაცულ ნიშნებს და ვინც არ იზიარებს მათ;
- **ხელი შეუწყონ კარგ ურთიერთობებს** იმ პირთა შორის, ვისაც აქვთ დაცული ნიშნები და ვისაც არ აქვთ ისინი.

სათანადო გათვალისწინება ნიშნავს თანასწორობის ვალდებულების სამი მიზნის, როგორც გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ნაწილის, გააზრებას. ეს ნიშნავს, რომ თანასწორობის საკითხების გათვალისწინებამ გავლენა უნდა იქონიოს საჯარო უწყებების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, როგორიცაა: მათი, როგორც დამქირავებლების ქმედება; როგორ ავითარებენ, აფასებენ და მიმოიხილავენ თავიანთ პოლიტიკას; როგორ ქმნიან, ასრულებენ და აფასებენ სერვისებს; და როგორ უკვეთავენ და იღებენ მომსახურებას სხვებისგან.

შესაძლებლობათა თანასწორობის გაძლიერების საჭიროების სათანადო გათვალისწინება გულისხმობს შემდეგ საჭირო ნაბიჯებს:

- აღმოიფხვრას ან მინიმუმამდე დავიდეს დაცული ნიშნით განპირობებული ადამიანთა დისკრიმინაცია;
- დაკმაყოფილდეს დაცული ნიშნის მქონე პირთა საჭიროებები; და
- წახალისდეს დაცული ნიშნის მქონე პირთა საზოგადოებაში ან იმ სფეროებში მონაწილეობა, სადაც მათი მონაწილეობა დაბალია.

კარგი ურთიერთობების ხელშეწყობა გულისხმობს მცდარი შეხედულებების გაქარწყლებას და ურთიერთგაგების ხელშეწყობას დაცული ნიშნის მქონე პირებსა და სხვა პირთა შორის.

თანასწორობის ვალდებულებასთან შესაბამისობამ, დისკრიმინაციული კანონის ფარგლებში, შეიძლება იგულისხმოს ზოგიერთი პირის მიმართ უფრო კარგი მოპყრობა, ვიდრე სხვების მიმართ. მაგალითად, შეიძლება საჭირო გახდეს გამონაკლისის დაშვება, რათა დაცული ნიშნის მქონე პირთათვის შესაბამისი ფორმით მოხდეს სერვისის მიწოდება — როგორიცაა ხანდაზმულთათვის კომპიუტერული ტრენინგების ჩატარება, იმისათვის, რომ ჰქონდეთ წვდომა ინფორმაციასა და სერვისებზე.

საჯარო უწყებებმა უნდა გაიაზრონ თანასწორობის ვალდებულების სამი მიზანი და ისინი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ნაწილად უნდა აღიქვან. თანასწორობის ვალდებულება იქნება მრავალთაგან ერთ–ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი. თანასწორობის ვალდებულების მნიშვნელოვნება, სხვა ფაქტორებთან შედარებით, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა მასშტაბის გავლენა ექნება მას დისკრიმინაციაზე, შესაძლებლობათა თანასწორობაზე და კარგ ურთიერთობებზე; აგრეთვე იმაზე, თუ რა სიძლიერისაა ის დისკრიმინაცია, რომელიც საჭიროებს რეაგირებას.

მომდევნო პრინციპები, რომლებიც ეფუძნება პრეცედენტულ სამართალს, განმარტავენ, თუ რა არის აუცილებელი თანასწორობის ვალდებულების აღსასრულებლად. საჯარო უწყებებმა უნდა უზრუნველყონ:

- **ცოდნა** — პირები, რომლებიც ადგენენ საჯარო უწყებების ფუნქციებს, უნდა იცნობდნენ თანასწორობის ვალდებულების მოთხოვნებს. თანასწორობის ვალდებულებასთან შესაბამისობაში ყოფნა გულისხმობს ცნობიერ მიდგომას და საღ აზრს.

- **დროულობა** — თანასწორობის ვალდებულებასთან შესაბამისობაში ყოფნა საჭიროა კონკრეტული პოლიტიკის განხილვისას ან გადაწყვეტილების ჩამოყალიბების დროსაც — ანუ, პოლიტიკის შემუშავების დროსაც და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროსაც. საჯარო უწყება ვერ დააკმაყოფილებს თანასწორობის ვალდებულებას უკვე მიღებული გადაწყვეტილების გამართლებით.

- **რეალური გათვალისწინება** — თანასწორობის ვალდებულების სამი მიზნის გათვალისწინება უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის განუყრელი ნაწილი. თანასწორობის ვალდებულება არ არის უბრალო ბიუროკრატია; ის არსებითად

უნდა შესრულდეს, ზედმიწევნით და საღი აზრით, ისე, რომ საბოლოო გადაწყვეტილებაზე იქონიოს გავლენა.

- **საკმარისი ინფორმაცია** — გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა უნდა გაიაზროს, თუ რა ინფორმაციას ფლობს და დამატებით რა ინფორმაცია შეიძლება დასჭირდეს თანასწორობის ვალ-დებულების სათანადო განხილვისთვის.

- **არა დელეგირება** — საჯარო უწყებებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ნებისმიერ მესამე მხარეს, რომელიც მათი ეგიდით ფუნქციონირებს, შესწევდეს უნარი, შესაბამისობაში იყოს თა-ნასწორობის ვალდებულებასთან, მოეთხოვებოდეს მასთან შე-საბამისობაში ყოფნა და პრაქტიკულად ახორციელებდეს ამას. ეს არის ვალდებულება, რომლის დელეგირებაც დაუშვებელია.

- **გადახედვა** — საჯარო უწყებებმა უნდა გაითვალისწინონ თანა-სწორობის ვალდებულების მიზნები არა მხოლოდ პოლიტიკის შემუშავებისას და გადაწყვეტილების მიღებისას, არამედ ამ პოლიტიკის განხორციელებისა და გადახედვისასაც. თანასწო-რობის ვალდებულება უწყვეტი მსახურებაა.

რიგი ამ პრინციპებისა ეფექტიანად შეიძლება იქნეს მიღწეული ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების მეშვეობით.

თანასწორობის ვალდებულებასთან შესაბამისობის ჩვენება

მოთხოვნა, განხილვის პროცესის რეგისტრირებისას აუცილებლად დამოწმებული იყოს თანასწორობის ვალდებულება, პირდაპირ არ დგას, მაგრამ ეს სასარგებლო პრაქტიკაა. გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ჩანაწერების კეთება დაეხმარება საჯარო უწყებებს, აჩვენონ, რომ მათ გაითვალისწინეს თანასწორობის ვალდებულების მიზნები.

განათლების, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის რეგულაცია

საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ 2006 წელს შევიდა ცვლილებები, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ყველა ბავშვს (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს), ჩართული იყოს სასკოლო განათლების პროცესში, მაგრამ ხშირად ეს ჩართულობა ატარებს ფორმალურ ხასიათს, ვინაიდან სკოლებს არ გააჩნიათ საკმარისი ადამიანური და ტექნიკური რესურსი, განსაკუთრებით რეგიონებში.

შშმ პირთა უფლებებს იცავს კანონი შშმ პირთა სოციალური დაცვის შესახებ, რომელიც მიღებულია 1995 წლის 14 ივნისს. კანონის საფუძველს წარმოადგენს 1975 წლის გაეროს დეკლარაცია „შშმ პირთა უფლებების შესახებ“, ასევე — გაეროს მიერ 1993 წლის 20 დეკემბერს მიღებული „შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტანდარტული წესები“. საქართველოში მოვლენების სწრაფმა ცვლილებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ კანონს პრაქტიკულად დეკლარაციული ხასიათი აქვს და მისი ბევრი პუნქტი არ სრულდება შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების არარსებობის გამო. კანონი მოითხოვს რევიზიას და შესაბამისობაში მოყვანას არსებულ მოთხოვნებთან.

მედიის რეგულაცია

ქვეყანათა უმრავლესობაში არსებობს კანონები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მედიის, მათი საქმიანობის და გადაცემათა შინაარსის რეგულაცია. ეს კანონები ვრცელდება ტელე- და რადიომაუწყებლებზე, ინტერნეტგამოცემებზე, ბეჭდურ მედიასა და ვებგვერდებზე. ზოგ ქვეყანაში მოქმედებს ძლიერი ეროვნული კანონი შეურაცხყოფისა და არასწორი გაშუქების წინააღმდეგ, ზოგ ქვეყანაში კი არსებობს ეთიკის ქარტიები და თვითრეგულირების სისტემები.

შემთხვევების შესწავლა

მექსიკური შემთხვევის შესწავლა: გაეროს გამოძიების შედეგი

2004 წელს გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კომიტეტმა დაასრულა გამოძიება მექსიკის ჩიხუახუას რეგიონის ქალაქ ხუარესში მომხდარ ქალთა გაუპატიურების, გატაცების და მკვლელობის საქმეზე.

კომიტეტმა დაასკვნა, რომ მექსიკამ ვერ მოახერხა ქალთა დაცვა გენდერული ძალადობისგან, რითაც დაარღვია მათი ყველაზე ფუნ-დამენტური უფლება. კომიტეტმა წარმოადგინა მრავალი რეკო-მენდაცია. შედეგად:

- მიღებული იქნა ახალი კანონები ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის და „ქალებისთვის ძალადობისგან თავისუფალი ცხოვრების ხელმისაწვდომობის“ შესახებ;
- შეიქმნა სპეციალური საადვოკატო ოფისი, რომელიც დააკვირდება ქალთა მკვლელობის გამოძიებებს;
- ქალთა მოძრაობას მიენიჭა კანონის სრულყოფილად განხორციელებაზე დაკვირვების და რეგულაციების შემუშავების ფორმალური როლი.

შემთხვევის შესწავლა — ბავშვთა უფლებების პროპაგანდა გაეროს კონვენციის ან ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებით

განსახლებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურა, რო-მელიც ახდენს დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების უზრუნველ-ყოფას საცხოვრებელი ფართით, აფასებს ერთ-ერთი ოჯახის საჭიროებებს. ოჯახს, რომლის წევრიც არის შეზღუდული შესა-ძლებლობის მქონე ბავშვი, ესაჭიროება უფრო დიდი სახლი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს ესაჭიროება საკუთარი საძინებელი, რომელსაც და-ძმასთან არ გაიზიარებს.

ექვსი წლის ბავშვისთვის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შანსი უფრო დაბალია, ვიდრე, ვთქვათ, 13 წლის ბავშვისთვის. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, განსახლებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა იმოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, თუ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობით განპირობებული მიზეზები, რის გამოც 6 წლის ბავშვს აუცილებად უნდა ჰქონდეს საკუთარი საძინებელი (მაგალითად, თუ მას ან მის და/ძმას აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობა ან იყენებს სამედიცინო აღჭურვილობას, დიალიზისთვის ან სუნთქვისთვის), მაშინ განსახლებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის წარმომადგენელმა უნდა გაითვალისწინოს ისინი.

შემთხვევის შესწავლა: როგორ შეიძლება გამოვიყენოთ კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ისეთი პირების დასაცავად, რომლებიც ამავდროულად სხვა ჯგუფსაც მიეკუთვნებიან?

მოგზაური ოჯახის ერთ-ერთ წევრს, ხანდაზმულ ქალბატონს, აქვს დასწავლის მძიმე შეზღუდვა. დაქვეითებული აქვს საფრთხის შეგრძნება და ხშირად გარბის შინიდან. ამის გამო ოჯახის მოძრავი სახლი დგას მინდორში, გზებისგან მოშორებით. თუმცა, საბჭო აცხადებს, რომ ოჯახს არ აქვს მოძრავი სახლის მინდორში დაყენების უფლება და ის უნდა გადმოიყვანონ ავტომანქანის სადგომზე, რომელიც გადატვირთული გზის პირასაა.

ხანდაზმული ქალბატონისთვის ეს სახიფათო ვითარებაა. საბჭოსთან შესაძლო განხილვისას ან მის წინააღმდეგ საქმის მსვლელობისას ოჯახს შეუძლია გამოიყენოს კონვენციის მეათე (სიცოცხლის უფლება), მეთვრამეტე (საცხოვრებელი ადგილის შერჩევის თავისუფლების უფლება) და ოცდამესამე (სახლის და ოჯახის პატივისცემა) მუხლი, რათა არგუმენტირებულად მოითხოვოს საბჭოსგან უფრო მისაღები ალტერნატივის შემოთავაზება, ხანდაზმული ქალბატონის და მისი ოჯახის საჭიროებების გათვალისწინებით.

უელსის შემთხვევის შესწავლა: როგორ შეუძლია გაეროს კონვენციას დადებითი ცვლილების მოხდენა

2004 წელს უელსის მთავრობამ მიიღო გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია, როგორც უელსის ბავშვებთან დაკავშირებული ყველა პოლიტიკის და პროგრამის საფუძველი. ის შვიდი ძირეული მიზანი, რომელიც უელსის მთავრობამ ბავშვებისთვის დასახა, გამომდინარეობდა გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციიდან. ეს მიზნები მოიცავდა ხარისხიანი განათლებით და ტრენინგებით უზრუნველყოფას, კარგ ფიზიკურ და გონებრივ ჯანმრთელობას და ბავშვთა უფლებას — მოუსმინონ მათ მოსაზრებებს.

უელსის ბავშვთა მინისტრი არის კაბინეტის ქვეკომიტეტის თავ-მჯდომარეც, რომლის მოვალეობა კონვენციის განხორციელების უზრუნველყოფაა.

უელსის მთავრობის მხრიდან ბავშვთა უფლებების კონვენციის-ადმი ერთგულებას ბავშვებისა და ახალგაზრდა ადამიანებისთვის რეალური სარგებელი მოაქვს.

მაგალითად, უელსის მთავრობა:

- იყო გაერთიანებულ სამეფოში პირველი მთავრობა, რომელ-მაც დანიშნა ბავშვთა უფლებების კომისარი (ბავშვთა კომისარი არის პირი, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვთა უფლებების წინ წამოწევაზე და დაცვაზე; აგრეთვე, ბავშვთა და ახალგაზრდა ადამიანთა მოსმენაზე, მათი შეხედულებების გაზიარებაზე და პასუხისმგებელ პირთა მიერ ამ შეხედულებების გათვალის-წინების უზრუნველყოფაზე; კომისარს აქვს იურიდიული ძალა-უფლება, რომ გამოიძიოს უფლებების შესაძლო დარღვევა);
- შექმნა 'Funky Dragon' — ბავშვთა და ახალგაზრდა პირთა ასამბლეა — რომელმაც მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ყველა სკოლა ვალდებულია, დააფუძნოს სკოლის საბჭო, რათა მოსწა-ვლეებს მიეცეთ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება

სასწავლო პროცესის, განათლების და სკოლაში მიმდინარე პროცესების თაობაზე;

- გამოსცემს „ბავშვთა და ახალგაზრდა ადამიანთა კეთილდღეობის მონიტორინგს“, რომელიც ზომავს პროგრესს ბავშვთა სიღარიბის დაძლევის და კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის საქმეში;
- დაუღალავად შრომობს, რათა აუხსნას მშობლებს და მომვლელებს, რომ ბავშვების ცემა არის ცუდი და ეს არღვევს მათ ადამიანთა უფლებებს.

ტრენერებისთვის

ეს ნაწილი ეხმარება ტრენერებს, მოამზადონ ტრენინგის შესაბამისი მასალები აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის, მედიის წარმომადგენლებისთვის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის.

ტრენინგის დღის მონახაზი — შესავალი საერთაშორისო და ეროვნულ კანონსა და პოლიტიკაში

დღის წესრიგი

პრეზენტაცია — საერთაშორისო კანონის და პოლიტიკის გავლენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე
პრეზენტაცია — ეროვნული კანონის და პოლიტიკის გავლენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე
კანონზე ზემოქმედება
საპარლამენტო პროცესი [ბრიტანული ვერსია]
ზემოქმედება მოსაზრებაზე, მიდგომაზე და ქცევაზე

კურსის შინაარსი

პრეზენტაცია - საერთაშორისო კანონის და პოლიტიკის გავლენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე

პრეზენტაცია - ეროვნული კანონის და პოლიტიკის გავლენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე

კანონზე ზემოქმედება

საპარლამენტო პროცესი [ბრიტანული ვერსია]

არსებობს კანონშემოქმედების მრავალი წყარო:

- **კანონმდებლობა** – პირველადი (მაგ: საპარლამენტო აქტები) და მეორადი (მაგ: ნორმატიული ინსტრუმენტები). პირველად კანონმდებლობას ქმნის პარლამენტი, თუმცა თითქმის ყველა საკანონმდებლო აქტი მომდინარეობს მთავრობისაგან. მეორადი კანონმდებლობა, ანუ ნორმატიული აქტები, იქმნება მთავრობის მიერ, მაგრამ პარლამენტის თანხმობით. (გაერთიანებულ სამეფოს საიმიგრაციო კანონში საიმიგრაციო წესები წარმოადგენს მეორადი კანონმდებლობის ანალოგიურ, მთავრობის მიერ შემუშავებული კანონის განსაკუთრებულ ფორმას.)

- **პოლიტიკა** – კანონების დიდი ნაწილი (კერძოდ, დეტალები, როგორც თვით პროცესისა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება უფლებამოსილება, და კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია უფლებამოსილების განხორციელება მთავრობის მიერ, ან იმ ორგანოების მიერ, რომლებზეც ხელისუფლებამ მოახდინა საკუთარი უფლებამოსილების დელეგირება, და რომლებიც გაწერილია პოლიტიკის ინსტრუქციებსა და სახელმძღვანელო პრინციპებში.)

- **საერთო სამართალი და პრეცედენტული სამართალი**. საერთო სამართალში იგულისხმება დაუწერელი ძირითადი სამართლებრივი პრინციპები, რომელიც გასდევს გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობას, და რომლის შესაბამისადაც წლების მანძილზე ხდება ბრიტანეთის სამართალწარმოება და კანონთა განმარტება სასამართლოების მიერ. არსებული სასამართლო პრაქტიკა შესაძლოა შედგებოდეს საერთო სამართლის ან კანონთა სხვა წყაროების (მაგ, კანონმდებლობის) სასამართლო ინტერპრეტაციისაგან.

- **ევროპული სამართალი** – ევროკავშირის კანონი/ სამართალი, მიღებული გაერთიანებული სამეფოს მიერ ევროპული თანამეგობრობის 1972 წლის აქტით.

- **საერთაშორისო სამართალი** — მათ შორის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მაგ.: 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR), 1951 წლის გაეროს კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (UNCSR), 1989 წლის გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (UNCRC) და გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ. თუმცა, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობაში ხელშეკრულების ვალდებულებები ავტომატურად არ აისახება ხელშეკრულების ხელმომწერ ხელისუფლებაზე. (მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას (ECHR) არ მოიცავს ევროპული სამართალი.)

საპარლამენტო პროცესი — კანონპროექტიდან კანონამდე

იმისათვის, რომ კანონპროექტმა გაიაროს პარლამენტი, მან უნდა გაიაროს ორივე პალატა და მოწონებული იქნეს ორივე პალატის მიერ (ერთი გამონაკლისის გარდა — იხ. ქვემოთ). ქვემოთ აღწერილი პროცესი იწყება თემთა პალატაში, თუმცა კანონპროექტზე მუშაობა შესაძლოა დაიწყოს ორიდან ერთ-ერთ პალატაში, იმ პირობით, რომ საბოლოოდ ის ორივე პალატას გაივლის და განიხილება.

კანონპროექტს ეცნობა თემთა პალატა (პირველი მოსმენით).

- კანონპროექტი ექვემდებარება განხილვას და დებატებს თემთა პალატის დონეზე (მეორე მოსმენით);
- კანონპროექტი ექვემდებარება კომიტეტის მიერ დეტალურ განხილვას (პარლამენტის წევრთა სახელმწიფო კანონპროექტების კომიტეტი დეტალურად შეისწავლის კანონპროექტს, მსჯელობს შესწორებებზე, იღებს მტკიცებულებებს);
- კომიტეტის დეტალური შესწავლის შედეგები უნდა ეცნობოს თემთა პალატას (საანგარიშო მოხსენების სახით);
- კანონპროექტი ექვემდებარება განხილვას და დებატებს თემთა პალატის დონეზე (მესამე მოსმენით);

- კანონპროექტი წარედგინება ლორდთა პალატას (პირველი მოსმენით);
- კანონპროექტი ექვემდებარება განხილვას და დებატებს ლორდთა პალატის დონეზე (მეორე მოსმენით);
- კანონპროექტი ექვემდებარება ლორდთა პალატის (ან ლორდთა პალატის დიდი კომიტეტის) მიერ დეტალურ განხილვას (შესაძლოა მსჯელობა შესწორებებზეც);
- დეტალური შესწავლის შედეგები უნდა ეცნობოს ლორდთა პალატას (საანგარიშო მოხსენების სახით);
- კანონპროექტი ექვემდებარება განხილვას და დებატებს ლორდთა პალატის დონეზე (მესამე მოსმენით);
- კანონპროექტი უბრუნდება თემთა პალატას განხილვისათვის იმავე პალატის დონეზე, თუკი მასში ნებისმიერი სახის შესწორებები იქნა შეტანილი მას შემდეგ, რაც კანონპროექტმა განვლო პალატაში განხილვა; თუკი შემდგომი შესწორებები იქნება შეტანილი, კანონპროექტი გაივლის ნებისმიერი შესწორებების შესახებ განხილვას ორივე პალატაში, სანამ ის არ იქნება სრულად მიღებული და მოწონებული ორივე პალატის დონეზე („პინგ-პონგის პრინციპი“);
- (თუკი ორი პალატა ვერ თანხმდება, კანონპროექტი ან ჩავარდება და მას თავს ანებებენ,ან თემთა პალატა მიზანს აღწევს პინგ-პონგის მეშვეობით კანონპროექტის თანმიმდევრული დამტკიცების შემდეგ);
- კანონპროექტი იღებს სამეფო სანქციას (ის ხდება აქტი).

მოცემულმა პროცესმა შესაძლებელია რამდენიმე კვირას გასტანოს; კომიტეტის დეტალური განხილვის ეტაპები შესაძლოა ასევე რამდენიმე კვირა გაგრძელდეს.

საპარლამენტო პროცესი — მეორადი კანონმდებლობა

ნორმატიული აქტების, ანუ მეორადი კანონმდებლობის შექმნის მთავრობისეული ძალაუფლება ძირითადად ამა თუ იმ საპარლა-

მენტო აქტებში გამოიხატება. აქტი დაადგენს, თუ რა ძალაუფლება ენიჭება ხელისუფლებას ამა თუ იმ კანონის შესაქმნელად და როგორ უნდა დამტკიცდეს ის პარლამენტის მიერ. დამტკიცების პროცესი, როგორც წესი, ხორციელდება ქვემოთ მოცემული ორი გზიდან ერთ–ერთის მეშვეობით:

- პოზიტიური გადაწყვეტილებით: პარლამენტმა ოფიციალურად უნდა დაამტკიცოს მეორადი კანონმდებლობა (კანონქვემდებარე აქტები), სანამ ის კანონად იქცევა;

- უარყოფითი გადაწყვეტილებით: პარლამენტმა ოფიციალურად უნდა უარყოს მეორადი კანონმდებლობა მას შემდეგ, რაც ის იქცევა კანონად, რა შემთხვევაშიც ის გამოხმობილ უნდა იქნას.

მიუხედავად იმისა, დაექვემდებარება მეორადი კანონმდებლობის კონკრეტული ნაწილი დადებითი თუ უარყოფითი გადაწყვეტილების პროცედურას, პარლამენტს, ჩვეულებრივ, მასში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება არა აქვს (შეად. კანონპროექტს).

ლობირებისა და ზემოქმედების ძირითადი შესაძლებლობები შემდეგია:

1 **კონსულტაცია: ხელისუფლება (მთავრობა) ხშირად ახორციელებს ცვლილებებს პოლიტიკაში** ან შემოაქვს შემოთავაზებები კანონმდებლობისათვის კონსულტაციების სახით. იქ, სადაც არსებობს საჯარო კონსულტაციები, კონსულტაციის დოკუმენტმა უნდა განმარტოს, ვის და როდის გაეგზავნოს გამოხმაურებები. საკონსულტაციო დოკუმენტი ხშირად აყენებს კონკრეტულ საკითხებს განსახილველად. კონსულტაციაზე რეაგირებისას შესაძლებელია, მიზანშეწონილი იყოს პასუხების მოძებნა დასმულ კითხვებზე, მაგრამ თუ ეს პასუხები არ იძლევა სრულყოფილი გადაწყვეტილების მოძებნის საშუალებას, მისაღებია არსებული კითხვების ფარგლებს გარეთ გასვლაც.

2 **კანონმდებლობამდე განხილვა**: ზოგჯერ მთავრობამ შესაძლოა მოაწყოს კანონპროექტის სამუშაო განხილვა — ამის მაგალითია იმიგრაციისა და მოქალაქეობის კანონპროექტი (ნაწილობრივი), რომელიც გამოქვეყნდა 2008 წლის ივლისში და ამჟამად განხილვის პროცესშია შინაგან საქმეთა კომიტეტსა და ადამიანის უფლებათა გაერთიანებულ კომიტეტში.

3 **პარლამენტარები**: საკითხები, რომლებიც დაინტერესებისა ან შფოთვის საგანს წამოადგენს, შეიძლება წამოიჭრას უშუალოდ პარლამენტარებთან — მაგ. კორესპონდენციით და/ან შეხვედრებისას დეპუტატებთან საამომრჩევლო ოლქში წინასწარ, კანონპროექტის გაცნობამდე. ეს იძლევა მნიშვნელოვან შესაძლებლობას, ხაზი გაესვას პრობლემური საკითხების სფეროებს და მნიშვნელოვნებას, რომლებზეც პარლამენტარებს შესაძლოა მოუწიოთ რეაგირება კანონპროექტის წარდგენისას.

4 **სპეციალური კომიტეტები**: სპეციალური კომიტეტები რეგულარულად განიხილავენ სამთავრობო პოლიტიკასა და ადმინისტრირების საკითხებს. კომიტეტს აქვს საკუთარი გვერდები საპარლამენტო ვებგვერდზე, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას დაინტერესებულ პირებს როგორც მომავალი სამუშაოს, ასევე მიმდინარე და წარსულში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. როგორც წესი, კომიტეტისათვის მტკიცებულებების მიწოდების პროცესი ოფიციალური მოკვლევის კონტექსტში ქვეყნდება და კომიტეტის ანგარიშმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს როგორც მიმდინარე, ასევე მომავალ კანონშემოქმედებაზე.

5 **მეორე მოსმენამდე**: კანონპროექტის მეორე მოსმენასთან დაკავშირებული დებატების დროს არ განიხილება შესწორებები. თუმცა, პარლამენტარებს სწორედ ამ დროს შეუძლიათ წამოჭრან კანონპროექტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემატური საკითხები. თუკი ძირითადი პრობლემები არ გამოიყო ამ ეტაპზე, შესაძლოა, მოგვიანებით წამოწევის შემთხვევაში მათ ნაკლები ყურადღება მიექცეს.

6 **საჯარო კომიტეტის ეტაპი**: ეს პირველი შესაძლებლობაა პარ-ლამენტარებისათვის, წამოაყენონ და განიხილონ კანონპრო-ექტის შესწორებები. იმისათვის, რომ ნებისმიერ შესწორებას ან ცვლილებას ჰქონდეს რეალური მამოძრავებელი იმპულსი, უკეთესია, თუკი პრობლემური საკითხი (და არა შესწორება) წამოჭრილი იქნება მეორე მოსმენის დროს.

7 **კანონპროექტის განვითარების სხვა ეტაპები**: შესწორებები შესაძლოა გაკეთდეს შედარებით გვიანდელ ეტაპებზეც. თუმცა, ანგარიშის შემდეგ არსებობს შეზღუდვები იმასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა საკითხები დაბრუნდეს მესამე მოსმენის ეტაპზე. ასევე, თუკი არ მოხდა პრობლემური საკითხების უფრო ადრეულ სტადიაზე წამოჭრა, მათთვის მსვლელობის მიცემა შესაძლოა ძნელი ან შეუძლებელიც აღმოჩნდეს. პინგ-პონგი არ გახლავთ ახალი შესწორებების ან ცვლილებების წამოყენების ეტაპი; ეს არის ორ პალატას შორის გადაუჭრელ პრობლემატურ საკითხებზე შეთანხმების მიღწევის გზების ძიების სპეციალურად განსაზღვრული პროცესი.

8 **ლორდთა პალატა**: ზემოაღნიშნული კომენტარები და შენიშვნები კანონპროექტის მიმდინარეობის ეტაპებთან დაკავშირებით ორივე პალატას ეხება. თუმცა, რამდენადაც მთავრობა ფლობს ხმათა უმრავლესობას თემთა პალატაში, ხშირად სწორედ ლორდთა პალატაა ის ადგილი, სადაც ხელისუფლება შესაძლოა მოექცეს ყველაზე მეტი ზეწოლის ქვეშ. მიუხედავად ამისა, ინერციით, თემთა პალატაში გამოთქმული შეშფოთებები და პრობლემები შესაძლოა ძალზე სასარგებლო აღმოჩნდეს ლორდთა პალატის წარმომადგენელთათვის, რომლებიც დაინ-ტერესებულები არიან ამგვარ ან მსგავს პრობლემებზე მუშაობით ლორდთა პალატაში.

9 **მინისტერიალის განცხადებები**: იქაც კი, სადაც ლობირება არ არის წარმატებული კანონმდებლობის შესწორებების ან

ცვლილებების უზრუნველყოფის საქმეში, მან შესაძლოა შედეგად მოიტანოს მინისტერიალის განცხადებები. მოცემულმა განცხადებებმა შეიძლება მთავრობის ვალდებულების როლი შეასრულოს. ზოგ შემთხვევაში ისინი შეიძლება გამოყენებული იქნას სასამართლოების მიერ კანონის განმარტებისათვის. სხვა შემთხვევაში, ისინი შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს პარლამენტარებისათვის, რათა ისინი მომავალში დაუბრუნდნენ ამ საკითხს, თუკი ეს ვალდებულებები არ იქნა შესრულებული და არსებობს მოგვიანებით კანონშემოქმედების შესაძლებლობა. (ასევე შეიძლება, ზოგჯერ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ოპოზიციური დაჯგუფებების წარმომადგენლების განცხადებები.)

10 **სხვა საპარლამენტო პროცედურები**: პარლამენტში მთავრობის ლობირების სხვა ინსტრუმენტებია: საპარლამენტო შეკითხვები (PQs), ადრეული შუამდგომლობები (EDMs) და განხილვები ან სხვა დებატები.

ნაბიჯები, რომლებიც შესაძლოა გადაიდგას ლობირებისა და ზემოქმედებისათვის

1. წერილობითი მტკიცებულებები, წარდგენილი საჯარო კომიტეტში, რომლებიც პირდაპირ უქვემდებარებს კანონპროექტს განხილვას, ქვეყნდება კომიტეტის ვებგვერდზე. პრობლემატურ საკითხზე საპასუხო მტკიცებულება სპეციალური კომიტეტის მიერ შესაძლოა გამოქვეყნდეს კომიტეტის ანგარიშში. ამგვარი მტკიცებულება შეიძლება განხილულ იქნას დებატებზე ან სახელმწიფო კანონპროექტის კომიტეტის დეტალური განხილვის სესიებზე, და ეს დებატები წერილობით რეგისტრირდება.

2. წერილობითი მტკიცებულებები კომიტეტში შეიძლება გაეგზავნოს კომიტეტის მდივანს. თუმცა, სასარგებლო იქნებოდა იმის გადამოწმება, თუ ვინ არიან კომიტეტის წევრები. ეს შესაძლოა

სასარგებლო ცოდნა იყოს ინდივიდუალური პარლამენტარის ლობირებისთვის ან კომიტეტზე ზემოქმედებისათვის (მაგ: თუ ოლქის არჩევითი პარლამენტარია კომიტეტში).

3. წერილები პარლამენტის წევრებისთვის ან ლორდთა პალატის წევრებისთვის (ან მინისტრებისთვის) შეიძლება დაგვეხმაროს გარკვეული საკითხით მათი დაინტერესების ამაღლებაში. თუმცა სასარგებლოა იმის განხილვაც, თუ როგორ მოვახდინოთ ზემოქმედება ნებისმიერ ცალკეულ პარლამენტარსა ან მინისტრზე (მაგ. რა არის ცნობილი მათი ინტერესის შესახებ ამა თუ იმ საკითხზე? არსებულ საკითხთან დაკავშირებით რა უთქვამთ წინასწარ? პარლამენტის წევრის შემთხვევაში, არის თუ არა ის თქვენი ოლქის არჩეული? ვის იცნობთ და/ან ვისზე შეგიძლიათ ზემოქმედება, ისეთზე, ვინც ზეგავლენას მოახდენდა მათზე?).

4. ზოგადად რომ ვიმსჯელოთ, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ორივე — ვინ ან რამ შეიძლება იმოქმედოს პარლამენტარებზე. საერთოდ, აუცილებელია მარტივი მიდგომა; და, სადაც კი შესაძლებელია, ყოველი ცალკეული პრობლემა მაგალითებით გაამაგრეთ — კიდევ უკეთესია, თუ მაგალითები რეალობიდან იქნება აღებული.

ზემოქმედება საზოგადოებრივ აზრზე, დამოკიდებულებებზე და ქცევაზე

სოციალურმა ცვლილებებმა შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს სამართლებრივ ცვლილებებზე. ფემინისტური მოძრაობის გამო და იმ ზეწოლის გამო, რომელსაც ქმნის ქალთა მზარდი რაოდენობა სამუშაო ძალთა შემადგენლობაში, ბევრმა პარლამენტარმა და ეროვნულმა გაერთიანებამ მიიღო გენდერული დისკრიმინაციის საწინააღმდეგო აქტები, რომლებიც კრძალავენ სექსუალურ ძალადობასა და დისკრიმინაციას დასაქმების, განათლებისა და მომსახურების სფეროში. ზოგ ქვეყანაში ანალოგიური კანონმდებ-

ლობა იქნა მიღებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციისა და მათზე ძალადობის წინააღმდეგაც.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ შეხედულებებსა და დამოკიდებულებებზე და, საბოლოო ჯამში, ქცევაზე ზეგავლენა უაღრესად მნიშვნელოვანია. ბევრი რამ, რაც ადამიანებს ზღუდავს მათთან ურთიერთობის დროს, არის არა კანონი ან პოლიტიკა, არამედ მცირე მოლოდინები, სურვილის ნაკლებობა და მთელი რიგი უარყოფითი დამოკიდებულებები, დაწყებული შეცოდებით და დამთავრებული სიძულვილით.

III ნაწილი

როგორ ხდება ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღება

ინსტრუმენტარიუმის ეს ნაწილი:

- მოკლედ აყალიბებს, თუ როგორ ხდება ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღება ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ დონეზე;
- იძლევა მაგალითებს იდეების საილუსტრაციოდ;
- სთავაზობს ტრენერს სესიის გეგმებსა და სავარჯიშოებს.

საინფორმაციო ფონი

ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღება ინდივიდუალურ დონეზე

ადამიანებისთვის მათ მიერ გამოყენებული სერვისების განვითარების პროცესში ჩართვის საშუალების მიცემა პირველ რიგში გამიზნულია ცხოვრების, და არა თავად სერვისების გასაუმჯობესებლად. იგი დაფუძნებულია ხალხთან, მომვლელებთან და ოჯახებთან თანაწარმოების ძალაზე, რათა ყველასთვის საუკეთესო შედეგი იქნეს მიღწეული. ეს არ ნიშნავს უბრალოდ სისტემების თუ პროცესების შეცვლას ან დაფინანსების ინდივიდუალიზებას, არამედ მოიცავს ყველა ცვლილებას, რაც საჭიროა ხალხისთვის მეტი დამოუკიდებლობის მისაცემად, იმისათვის, რომ იმატოს კეთილდღეობამ კიდევ უფრო ძლიერ და სიცოცხლისუნარიან თემებში.

შემთხვევის შესწავლა: დადგენილება ზრუნვის შესახებ, 2014

დადგენილება ზრუნვის შესახებ ეფუძნება სწავლის მრავალ წელიწადს და პირველად აყენებს საკანონმდებლო ბაზაზე პერსონალური ზრუნვისა და მხარდაჭერის დაგეგმვასა და პერსონალურ ბიუჯეტებს, მათ შორის მომვლელთათვისაც.

პერსონალური ჯანმრთელობის ბიუჯეტებით სარგებლობის უფლება მიეცემათ იმ პირებს, რომლებსაც ექნებათ ეროვნული ჯანმრთელობის მომსახურების (NHS) უწყვეტი ჯანდაცვის პაკეტი. მისით სარგებლობას შეძლებენ ის პირებიც, რომელთა დაავადება, შეზღუდული შესაძლებლობა თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა გრძელვადიან მოვლას საჭიროებს.

თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმის უზრუნველ-საყოფად, რომ ხალხისთვის, რომლებიც პერსონალური ბიუჯეტებ-ით და ზრუნვისა და მხარდაჭერის გეგმებით ისარგებლებენ, ამას თან რეალური არჩევანი და კონტროლი მოჰყვეს და შედეგიც უკეთესი დადგეს. შემდეგ ეტაპზე ჩვენ უნდა შევიძინოთ ცოდნა იმ მაგალითებიდან, რომლებსაც რეალური შედეგი მოჰყვება, და უნდა უზრუნველვყოთ, რომ სწორედ ასეთი მაგალითები იქცეს საყოველთაო პრაქტიკად, ამის პარალელურად კი უნდა ვიყოთ მაქსიმალურად ფოკუსირებული ხალხის გამოცდილების გაუმჯობესებაზე. საბოლოო მიზანი უნდა იყოს ყველაფრის სწორად გაკეთება, ყველასთვის, ყოველ ჯერზე, რათა სარგებელი თანაბრად განაწილდეს.

ეს ნიშნავს:

- მკაფიო, გასაგები და ასაკის შესაბამისი ინფორმაციისა და რჩევების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, რათა ადამიანებს კარგად ესმოდეთ საკუთარი უფლებები და არჩევანი;
- პოლიტიკისა და პრაქტიკის უცვლელობის უზრუნველყოფას, იმისათვის, რომ პროფესიონალებმა დააფასონ ცოცხალი გამოცდილება, სისტემის რა ნაწილშიც არ უნდა იყვნენ ისინი;
- პერსონალური ზრუნვისა და მხარდაჭერის დაგეგმვის პოტენციალის რეალიზებას, რათა ადამიანები თავად აკონტროლებდნენ მათი მხარდაჭერის მოწყობასა და მართვას;
- ბიუროკრატიისა და შემზღუდავი პოლიტიკის შემცირებას იმისათვის, რომ ადამიანებისთვის უფრო ხელმისაწვდომი იყოს ჯანმრთელობისა და ზრუნვისთვის განკუთვნილი პერსონალური ბიუჯეტები; ამ დროს გადაწყვეტილებების მიღების პროცესი მაქსიმალურად უნდა იქნეს დაახლოებული კონკრეტულ პიროვნებასთან, ხოლო კრეატიულობა აქტიურად წახალისდეს;
- პერსონალიზაციის გაუმჯობესებას მენტალური ჯანმრთელობის დაცვაში, სადაც სარგებელის მიღების ყველაზე დიდი შესაძლებლობაა;

- პერსონალური ჯანმრთელობის ბიუჯეტების უწყვეტი ჯანდაცვის პაკეტის მიღმა გამოყენების შესაძლებლობების შესწავლასა და შეფასებას და მათი გამოყენების გამიზნვას ისეთ ჯგუფებზე, რომლებსაც ეს სავარაუდოდ ყველაზე მეტ სარგებელს მოუტანს.
- პირდაპირი გადახდების წვდომის გაზრდას, ისე, რომ ბევრად მეტმა ხალხმა შეძლოს მათი გამოყენება, და მათ საჭიროებებს შესაძლებლობის უფრო დიდი არჩევანი პასუხობდეს.

პიროვნებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღება

უფრო ფართო მიდგომას იმ მომსახურებებისა და მხარდაჭერის მორგებაზე, რომლებიც ხალხს სჭირდება კარგად ცხოვრებისათვის, თან უნდა ახლდეს არჩევანი და კონტროლი — განურჩევლად იმისა, მომხმარებელი დაფინანსებას თვითონ უზრუნველყოფს თუ სახელმწიფოსგან იღებეს, და განურჩევლად იმისა, მკურნალობას საჭიროებს თუ მოვლას.

ეს გულისხმობს, რომ ყველა ადამიანის სტანდარტულ ყალიბში მოქცევის ნაცვლად ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ადამიანი და ის, რაც მისი აზრით თუ მისთვისაა მნიშვნელოვანი. პიროვნებას მორგებული მხარდაჭერა მაღალი ხარისხის მხარდაჭერის სინონიმი უნდა იყოს — იგი პატივს უნდა სცემდეს ღირსებას, აღიარებდეს ინდივიდუალობას, ეწეოდეს ჩართულობის პოპულარიზებას, აფასებდეს შეტანილ წვლილს, ასახავდეს მისწრაფებას და უზრუნველყოფდეს უსაფრთხოებას — ნებისმიერ სიტუაციაში.

ეს ნიშნავს:

- თანაწარმოების პრიორიტეტად ქცევას და მომსახურებების ადამიანებთან, მომვლელებთან და ოჯახებთან თანადიზაინის სერიოზულად აღქმას, აგრეთვე ყოველივე ამის ჩართვას ორგანიზაციების განვითარების გეზში;
- თანამშრომლების შერჩევას და განვითარებას მათი გამოსადეგობისა და ხალხთან დაკავშირების უნარის მიხედვით;

- თანამშრომლებისთვის ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც მათ კრეატიულად მუშაობის შესაძლებლობას მიცემდა და რომლის წყალობითაც ეცოდინებოდათ, რომ საქმის განსხვავებულად კეთებაში მხარდაჭერა აქვთ;
- პიროვნებაზე ორიენტირებული საუკეთესო პრაქტიკების განმტკიცებას — ისეთი მიდგომების, რომლებიც ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას, შექმნან და ყოველდღიურად დახვეწონ მხარდაჭერის მათთვის სათანადო ფორმა, ზრუნვის სრული სპექტრის ფარგლებში;
- ინდივიდუალური მომსახურების ფონდების (ISF), როგორც ზრუნვისა და მხარდაჭერის ყველანაირ მოცემულობაში პერსონალიზების საშუალების, გავრცობასა და გაძლიერებას;
- თანამშრომლობაზე მეტად ორიენტირებული მიდგომის არჩევას, იმის გააზრებას, თუ რას სთავაზობს ყველა მომსახურება თავის მომხმარებელს, და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ყველა ხელმისაწვდომი რესურსის გამოყენებისა და კომბინირების მიმართულებით მუშაობას;
- უზრუნველყოფას, რომ პერსონალიზებული და თემზე დაფუძნებული მიდგომები ყველასთვის მუშაობდეს; ნაკლებად დაყრდნობას მომსახურების იმ მოდელებზე, რომლებიც დამოუკიდებლობას ზღუდავენ;
- თავის არიდებას ჯანმრთელობის, ზრუნვისა და მხარდაჭერის ისეთი ვიწრო განსაზღვრებებისთვის, რომლებიც იწვევენ ჩაკეტილ აზროვნებას იმის განზოგადებული სურათის შექმნით, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს კარგი ზრუნვა.

მხარდაჭერილი გადაწყვეტილებების მიღება და მისი შეთავსება ინკლუზიურ გადაწყვეტილებების მიღებასთან

კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც შესაძლოა გამოაკლდეს გადაწყვეტილებების მიღების ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ პროცესს, დასწავლის შეზღუდვის მქონე და სხვადასხვა დონის აუტიზმის მქონე ადამიანები არიან.

გაეროს კონვენციის მეთორმეტე მუხლის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს სხვების თანაბარი იურიდიული უფლებაუნარიანობა აქვს. სხვანირად რომ ვთქვათ, ინდივიდი ვერ დაკარგავს თავის იურიდიულ უფლებაუნარიანობას მხოლოდ და მხოლოდ შეზღუდული უნარის გამო (თუმცა იურიდიული უფლებაუნარიანობა მაინც შესაძლოა დაიკარგოს ისეთ სიტუაციებში, რომლებიც ნებისმიერს შეიძლება შეეხოს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ პიროვნებას ჩადენილი დანაშაული დაუმტკიცდება).

კონვენცია აღიარებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზოგ ადამიანს ამ უფლებაუნარიანობის გამოსაყენებლად დახმარება სჭირდება, ამიტომაც ის შტატები, რომლებსაც ხელი აქვთ მოწერილი კონვენციაზე, ვალდებული არიან, შეძლებისდაგვარად ყველაფერი გააკეთონ მათ მხარდასაჭერად და მიიღონ ამ მხარდაჭერის ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო ზომები. მხარდაჭერაში შესაძლოა ჩართული იყოს ერთი ნდობით აღჭურვილი პირი ან ადამიანთა ქსელი; ის შესაძლოა საჭირო იყოს ხანდახან ან მუდმივად.

სხვისი დახმარებით გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, პრეზუმფცია ყოველთვის იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მხარესაა, რომელსაც მისაღები გადაწყვეტილება ეხება. ინდივიდი არის გადაწყვეტილების მიმღები; დამხმარე პირ(ებ)ი კი განუმარტავს საკითხებს და, როდესაც ეს საჭიროა, ახდენს ინდივიდის ნიშნებისა და მისი სურვილების ინტერპრეტაციას.

მაშინაც კი, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სერიოზულ დახმარებას საჭიროებს, მხარდამჭერი პირ(ებ)ი მას თავისი იურიდიული უფლებაუნარიანობის გამოყენების მაქსიმალურ შესაძლებლობას უნდა აძლევდეს, ინდივიდის სურვილებისამებრ. სწორედ ეს განასხვავებს სხვისი დახმარებით გადაწყვეტილებების მიღებას ჩანაცვლებული გადაწყვეტილებების

მიღებისაგან, როგორებიცაა წინასწარი დირექტივები და იური-დიული მენტორები/მეგობრები, სადაც მეურვე სასამართლოს მიერ უფლებამოსილია, ინდივიდის მაგივრად მიიღოს გადაწყვეტილებები, და ხშირად არცაა ვალდებული, დაამტკიცოს, რომ ეს გადაწყვეტილებები ინდივიდისთვის ყველაზე მომგებიანია ან შეესაბამება მის სურვილებს.

სხვისი დახმარებით გადაწყვეტილებების მიღებამ შესაძლოა ბევრნაირი ფორმა მიიღოს. დამხმარე პირ(ებ)მა შესაძლოა ინდივიდის მიზნები სხვებს გააგებინოს, ან თავად მას დაეხმაროს მის წინაშე არსებული ალტერნატივების გააზრებაში. ის შესაძლოა დაეხმაროს სხვებს იმის გაცნობიერებაში, რომ მნიშვნელოვანი შეზღუდვების მქონე პიროვნება სხვების მსგავსად არის ისტორიის, ინტერესებისა და ცხოვრებისეული მიზნების მქონე ადამიანი, მას აქვს თავისი იურიდიული უფლებაუნარიანობის გამოყენების უნარი.

ამგვარ სიტუაციებში სწორი იქნება, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, სხვისი დახმარებით, ჩართული იქნება ინკლუზიურ გადაწყვეტილებების მიღებაში, რათა შესაბამისი პოლიტიკისა და მომსახურებების განვითარებაში უზრუნველყოფილი იყოს გამოცდილებებისა და თვალთახედვის ფართო სპექტრის ჩართვა.

თუ თქვენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დამხმარედ ან ასისტენტად მუშაობთ, ან თუ იცით, რომ გაქვთ გავლენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ცხოვრებაზე, მაგრამ ჯერჯერობით არ შეგიძლიათ ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების განხორციელება, გთხოვთ, გამოიყენოთ ეს ინსტრუმენტარიუმი დისკუსიის წასახალისებლად, მაგალითად, ბორდის ან გუნდის ფარგლებში.

შესაძლოა, თქვენ მოახერხოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შესაძლებელი გადაწყვეტილებების მიღების დონის გაზრდა. ეს შეიძლება ნიშნავდეს კომუნიკაციის სხვადასხვა ტექ-

ნიკის საშუალებით შეძლებისდაგვარად მეტის გარკვევას ინდივიდთა სურვილებისა და მოთხოვნილებების შესახებ, ასევე იმის უზრუნველყოფას, რომ მოპოვებული ინფორმაცია გათვალისწინებული იქნება გადაწყვეტილებების მიღებისას.

იქ, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ აქვთ თავიანთ პრობლემებზე საუბრის საშუალება, ან ძალიან რთული და სიღრმისეული შეზღუდვების მქონე პირების შემთხვევაში, როდესაც მათი სურვილებისა და ხედვის დადგენა განსაკუთრებულად რთულია, არსებითად მნიშვნელოვანია სიფრთხილის ზომების არსებობა, როგორიცაა, მაგალითად, მოგანგაშეები, იმისათვის, რომ ადამიანები სასტიკი მოპყრობისგან დავიცვათ.
http://www.un.org/disabilities/default.asp?id=242

ჩართულობა ევროპამ (Inclusion Europe) შექმნა სახელმძღვანელო თემაზე „სხვისი დახმარებით გადაწყვეტილებების მიღების სისტემის ძირითადი ელემენტები“:
http://inclusion-europe.org/images/stories/documents/PositionPapers/Position_Supported_Decision_Making_EN.pdf

ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღება და პოლიტიკის შექმნის ციკლი

ძალიან ზოგადად, პოლიტიკის შექმნის ციკლის სხვადასხვა ეტაპები ასე გამოიყურება. „პოლიტიკა“ შესაძლოა გულისხმობდეს ეროვნულ კანონს, ან ეროვნულ თუ ადგილობრივ პოლიტიკას და მომსახურებებს. ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღება რელევანტურია ყოველ ამ ეტაპთან მიმართებაში. მათ, ვისაც ეს პირდაპირ ეხება, შეუძლიათ გაწიონ დახმარება შემდეგ საქმეებში:

- პოლიტიკის მიზნების ჩამოყალიბება;
- სხვადასხვა ალტერნატივის განსაზღვრა და შეფასება;
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესში წვილილის შეტანა;

- მომსახურების მომწოდებლის მიერ კანონის, პოლიტიკის თუ მომსახურების იმპლემენტაცია;
- მონიტორინგი, შეფასება და მათში სასურველი ცვლილებების განსაზღვრა.

პოლიტიკის ციკლი ყოველთვის არ არის სრულყოფილი პროცესი. ასევე, არ არის აუცილებელი, იგი ყოველთვის იცავდეს მკაცრ თანმიმდევრობას. მაგრამ ზოგადად იგი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რამდენიმე ეტაპის სახით,რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ:



რა სახით შეუძლიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ჩართული იყვნენ პოლიტიკის წარმოებაში და რა არის პოლიტიკის განმსაზღვრელის პასუხისმგებლობა?

1. მიზნების დასახვა

პოლიტიკის დღის წესრიგი განისაზღვრება მთავრობის მიერ, მაგრამ მასზე გავლენა შეიძლება იქონიონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ან ამ ორგანიზაციათა ჯგუფებმა, რომლებსაც აქვთ იმის ცოდნა, თუ რა არის შესაცვლელი და როგორი ცვლილება იქნება ოპტიმალური.

ახალი პოლიტიკის ინიციატივები ხშირად არის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კამპანიების შედეგი. ამგვარი ორგანიზაციები ყურადღებას მიმართავენ აუცილებლად მოსაგვარებელი საკითხებისაკენ, რომლებიც მიხედვას საჭიროებენ.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ:

- თემის პოპულარიზაცია: კონკრეტულ ჯგუფთან, თვალთახედვასთან ან ზოგად საჯარო ინტერესთან დაკავშირებული ისეთი საკითხების, ჩივილების თუ მოთხოვნილებების წინ წამოწევა, რომლებსაც ჯერჯერობით არ ფარავს კანონმდებლობა ან პოლიტიკა, ან რომლებიც არ არიან საკმარისად კარგად მომსახურებული ან მოგვარებული;
- მიაწოდონ ინფორმაცია და აამაღლონ ინფორმირებულობა: გაუზიარონ საჯარო ხელისუფლებას კვლევის შედეგები და თვალსაზრისები მომსახურების გამწევებისგან და მომხმარებლებისგან;
- ჩართონ და წარმოაჩინონ მომსახურების გამწევები და მომხმარებლები, ისევე, როგორც მოქალაქეთა საკვანძო ჯგუფები,

და შეასრულონ მოქალაქეებთან დასაკავშირებელი არხების როლი; მოისმინონ, მოახდინონ რეაგირება და გაავრცელონ ინფორმაცია;

- მიაწოდონ პროფესიონალური აზრი და რჩევები; კონკრეტული საკითხის სპეციალისტები პოლიტიკური პროგრამის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ. მათი ანალიზი და კვლევა ადგენს საზოგადოების ამჟამინდელ და სამომავლო მოთხოვნილებებს და აყალიბებს არსებით ხედვებს;
- დანერგონ სიახლეები: განავითარონ პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზები და ახალი მიმართულებები; მოახდინონ იმის დემონსტრირება, თუ როგორ შეიძლება მათი პოლიტიკაში ჩართვა;
- მიაწოდონ მომსახურება: ინოვაციასთან დაკავშირებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ, გახდნენ გადამწყვეტი მოთამაშეები პოლიტიკის ჩამოყალიბებაში და მომხმარებელთა კონკრეტული ჯგუფისათვის ალტერნატიული ან ახალი სერვისების შექმნაში.

საჯარო ხელისუფლებას შეუძლია:

- გააზიაროს ინფორმაცია: ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაწოდოს უახლესი, ზუსტი და დროული ინფორმაცია ხელმისაწვდომ ფორმატში;
- განახორციელოს ინკლუზიური პროცედურები: განავითაროს და დაიცვას გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალე პროცესი; შესთავაზოს მონაწილეობის გასაგები, გახსნილი და ხელმისაწვდომი პროცედურები;
- მიაწოდოს რესურსები: მისცეს სამოქალაქო საზოგადოებას აქტიური ჩართულობის საშუალება, მაგალითად, საბიუჯეტო უზრუნველყოფის, არაფულადი მხარდაჭერის ან ადმინისტრაციული მომსახურების მეშვეობით;
- იყოს გულისხმიერი: უზრუნველყოს შესაბამისი პოლიტიკოსების ჩართულობა, ისმინოს, მოახდინოს რეაგირება და გამოეხმაუროს.

მედიასაშუალებებს შეუძლიათ:

- გაზარდონ ინფორმირებულობა იმ გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უწევთ დადგომა;
- გაიტანონ შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ დისკუსია საჯარო სივრცეში და შეეწინააღმდეგონ მოსაზრებას, რომ ეს საკითხი ტაბუირებულია;
- საზოგადოებას გააცნონ ისეთი მაგალითები, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან ექსპერტები, თავიანთი ოჯახებისა და თემისათვის მომსახურებისა და მხარდაჭერის მიმწოდებლები. ეს მაგალითები შეიძლება ეხებოდეს ისეთ ექსპერტ-ანალიტიკოსებს, რომლებიც საკითხთა ფართო სპექტრზე მსჯელობენ და თანაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არიან;
- მოითხოვონ უკეთესი რესურსები, რითაც შეძლებდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მარგინალიზაცის პრობლემის გადაჭრას. ამის ცდა შესაძლებელია, მაგალითად, მათი ჩართულობისა და მათი ინტერესების წარმოდგენის ნაკლებობის გამოძიებით — ვთქვათ, სამსახურში, სკოლაში და პოლიტიკის წარმოების პროცესში;
- პოპულარიზაცია გაუწიონ ისეთ პოლიტიკას, პროდუქტებს, მომსახურებებსა და გარემოებს, რომლებიც მხარს უჭერენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულ ჩართულობას;
- გაავრცელონ მხარდაჭერის მომსახურებების საკონტაქტო ინფორმაცია;
- მიუთითონ ადგილობრივი თუ ეროვნული დახმარებისა და მხარდაჭერის შესაბამისი წყაროები სტატიის თუ გადაცემის ბოლოში, იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყონ;
- შეეცადონ, პოპულარიზაცია გაუწიონ გზავნილს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არსებობენ დედამიწის ყველა თემში, რომ მათ აქვთ გრძნობების, ინტერესების, ნიჭის, უნარებისა და ქცევის ისეთივე სპექტრი, როგორიც

დანარჩენ მოსახლეობას, და რომ ისინი უნდა წარმოჩნდნენ, როგორც ისეთივე მდიდარი ხასიათებისა და გამოცდილების მქონენი, როგორც ნებისმიერი სხვა, მსგავსი ასაკისა და მსგავს ცხოვრებისეულ გარემოებებში მოხვედრილი ადამიანები.

სასარგებლო ინსტრუმენტები და მექანიზმები:

ინფორმაცია

- მარტივი და ღია წვდომა რელევანტურ, ზუსტ და დროულ ინფორმაციაზე პოლიტიკის პროცესის, დოკუმენტების და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებების შესახებ, ვთქვათ, ონლაინ მონაცემთა ბაზების მეშვეობით;
- კვლევა პრობლემური საკითხის გასააზრებლად და სავარაუდო გამოსავალის შესამუშავებლად;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ კამპანიების წარმოება და ლობირება, მაგალითად, პოლიტიკური პროგრამების, პლაკატების და ბროშურების, ვებგვერდების, მედია–რელიზების და საჯარო აქციების მეშვეობით.
- ვებგვერდი, რომელსაც გააჩნია საკვანძო დოკუმენტებთან და საჯარო ღონისძიებების გამოცხადებებთან სრული წვდომა.

კონსულტაცია

- პეტიციების შექმნა, რაც შესაძლებელია ისეთი ონლაინ ინსტრუმენტების მეშვეობით, როგორიცაა ელექტრონული პეტიცია ან ვებ–ფორუმი;
- კონსულტაცია, ონლაინ ან სხვა ტექნიკის გამოყენება, დაინტერესებული მხარეების ინტერესების გასაგებად და მათი შემოთავაზებების შესაგროვებლად.

დიალოგი

- მოსმენები და საჯარო ფორუმები დაინტერესებულ პირებთან ერთად, სხვადასხვა ჯგუფების ხედვებისა და გამოცდილების დადგენისათვის და ინტერპრეტაციისათვის;

- მოქალაქეთა ფორუმები, მოქალაქეთა ჟიურები და მომავლის საბჭოები;
- მთავარი საკონტაქტო პირი მთავრობაში, რაც მისცემს სამოქალაქო საზოგადოებას მიმდინარე პოლიტიკურ ინიციატივებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომას.

პარტნიორობა

- სამუშაო ჯგუფი ან კომიტეტი, რომელიც შეიქმნა, როგორც მუდმივი ან სპეციალური ექსპერტთა ჯგუფი, პოლიტიკის სასურველ მიმართულებებზე კონსულტაციის გასაწევად.

2. ალტერნატივების მოხაზვა და ანალიზი

საჯარო ხელისუფლებას, როგორც წესი, პოლიტიკის დაპროექტების კარგად ჩამოყალიბებული პროცესი მოეპოვება. აქ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხშირად არიან ჩართულები ისეთ სფეროებში, როგორიცაა პრობლემების იდენტიფიცირება, შესაძლო გადაწყვეტების შეთავაზება და სასურველი შეთავაზების საარგებლოდ მტკიცებულებების წარმოდგენა. ამ ეტაპის საკვანძო ელემენტი უნდა იყოს კონსულტაციის შესაძლებლობისთვის ხელის შეწყობა, ისევე, როგორც სხვადასხვა ფორმის დიალოგის წახალისება უმთავრესი დაინტერესებული პირებისგან გამოხმაურების შესაგროვებლად.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ:

- თემის პოპულარიზაცია: უზრუნველყონ იმ დაინტერესებულ პირთა ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინება, რომლებზეც გავლენა აქვს შემუშავებულ პოლიტიკას;
- მიაწოდონ ინფორმაცია და გაზარდონ ინფორმირებულობა: მიაწვდინონ წევრებს და მომსახურებების ბენეფიციარებს ინფორმაცია პოლიტიკის დაპროექტების პროცესის შესახებ;

- მიაწოდონ პროფესიონალური აზრი და რჩევები: მიაწოდონ კვლევა და ანალიზი განხილვის პროცესში მყოფ საკითხებზე, ან წარმოაჩინონ დამატებითი პრიორიტეტები, რომლებიც შესატანი იქნება პოლიტიკის პროექტში;
- დანერგონ სიახლეები: მიაწოდონ პრობლემების გადაწყვეტის გზები ახალი მიდგომების, პრობლემების პრაქტიკული გადაჭრისა და ისეთი კონკრეტული მოდელების მეშვეობით, რომლებიც კონკრეტულ მომხმარებელთა ჯგუფებს მოუტანს სარგებელს;
- მიაწოდონ მომსახურებები: შეიტანონ წვლილი პოლიტიკის დაპროექტებაში კონკრეტულ მომხმარებელთა მოთხოვნების უზრუნველსაყოფად და საჭირო შეთანხმებების მისაღწევად;
- შეასრულონ მეთვალყურეობითი ფუნქცია: მიჰყვნენ დაპროექტების პროცესს იმისთვის, რომ უზრუნველყონ დაინტერესებულ პირთა ინტერესების გათვალისწინება და თვითონ პროცესის ინკლუზიურობა და გამჭვირვალობა.

საჯარო ხელისუფლებას შეუძლია

- მიაწოდოს ინფორმაცია: დროული და ამომწურავი ინფორმაცია კონსულტაციის მიმდინარე პროცესზე ;
- განახორციელოს ინკლუზიური პროცედურები: განავითაროს და დაიცვას კონსულტაციის ისეთი მინიმალური სტანდარტები, როგორიცაა მკაფიო მიზნები, მონაწილეობის წესები, ქრონოლოგია, კონტაქტები და ა.შ.; მოახდინოს ღია საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება, მათ შორის — ყველა პოტენციურად დაინტერესებული პირის დაპატიჟება;
- მიაწოდოს რესურსები: ადეკვატური ქრონოლოგია და კონსულტაციის საშუალებები, სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა შრეების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;
- იყოს გულისხმიერი: უზრუნველყოს შესაბამისი პოლიტიკის შემქმნელების ჩართულობა, ისმინოს, მოახდინოს რეაგირება და მიაწოდოს გამოხმაურება.

სასარგებლო ხელსაწყოები და მექანიზმები:

ინფორმაცია

- ღია და თავისუფალი წვდომა პოლიტიკასთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე, რაც გულისხმობს ერთიანი საინფორმაციო პუნქტის არსებობასაც პოლიტიკის პროექტირებასთან დაკავშირებული ინფორმაციისათვის, სადაც ინფორმაცია სხვადასხვა ფორმატითაა ხელმისაწვდომი;
- ვებგვერდი საკვანძო დოკუმენტებთან და საჯარო ღონისძიებების განცხადებებთან;
- კამპანიები და ლობი, რომელიც მოახდენს პოლიტიკის პროექტის ფორმირებას წერილებისა და მანიფესტების მეშვეობით;
- ონლაინ მაუწყებლობა საქმის მოსმენებიდან, შეხვედრებიდან და დებატებიდან, რაც მისცემს ხალხს რეალურ დროში ყურებისა და მოსმენის საშუალებას;
- კვლევა, პოლიტიკის დაპროექტების პროცესში წვლილის შესატანად.

კონსულტაცია და დიალოგი

- საქმის მოსმენები და კითხვა–პასუხის პანელები დაინტერესებულ პირებთან, მგრძნობიარე საკითხებისა და საჩივრების აღმოჩენისათვის და ინტერპრეტაციისათვის, ასევე შემოთავაზებების შესაგროვებლად, პირისპირ თუ ინტერნეტის მეშვეობით;
- საექსპერტო სემინარები და შეხვედრები ისეთი სპეციალიზებული კვლევის ან გამოკვლევების ექსპერტებთან, რომლებიც შესაძლოა გამოსადეგი იყოს პოლიტიკის დაპროექტებისას;
- სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა კომიტეტები და საკონსულტაციო ორგანოები, რომლებიც შედგება ან შეიცავს სამოქალაქო საზოგადოების სექტორის წარმომადგენლებს: მუდმივი ან საგანგებო;

პარტნიორობა

- თანაპროექტირება: საკანონმდებლო ან პოლიტიკური პროცესის დაპროექტებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

3. პოლიტიკის განსაზღვრა

პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება იცვლება ეროვნული კონტექსტისა და კანონმდებლობის მიხედვით. საერთო მახასიათებლებია სამინისტროს მიერ სამთავრობო პოლიტიკის დირექტივის დამტკიცება; ან ისეთი კანონმდებლობა, როგორცაა საპარლამენტო კენჭისყრით კანონის მიღება, ან საჯარო რეფერენდუმი, რომელიც შემდგომ მოითხოვს კანონით გააქტიურებას.

კანონპროექტები და შუამდგომლობები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს წვლილის შეტანის საშუალებას უნდა აძლევდეს. საჯარო ხელისუფლება გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა აფასებდეს განსხვავებულ ხედვებს და მოსაზრებებს. ამ ეტაპზე აუცილებელია კონსულტაცია ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად.

თუმცა, არჩევანის საბოლოო ძალაუფლება საჯარო ხელისუფლებას ეკუთვნის, თუ გადაწყვეტილება არ არის მიღებული საჯარო კენჭისყრის, რეფერენდუმის ან გადაწყვეტილების ერთობლივი მექანიზმის მეშვეობით.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ:

- თემის პოპულარიზაცია: მოახდინონ გადაწყვეტილებების მიმღებებზე გავლენა კენჭისყრამდე;
- მიაწოდონ ინფორმაცია და გაზარდონ ინფორმირებულობა: მიაწოდონ წევრებს და მომსახურებების მომხმარებლებს ინფორმაცია პოლიტიკის ალტერნატივების და მათი პოტენციური ეფექტის შესახებ;

- მიაწოდონ პროფესიონალური აზრი და რჩევები: მიაწოდონ დეტალური ანალიზი გადაწყვეტილებების მიმღებების ინფორმირებისათვის და მათზე გავლენის მოსახდენად;
- შეასრულონ მეთვალყურეობითი ფუნქცია: თვალყური ადევნონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და უზრუნველყონ მისი დემოკრატიულობა, გამჭვირვალობა და ოპტიმალური ეფექტიანობა.

საჯარო ხელისუფლებას შეუძლია:

- გაავრცელოს ინფორმაცია: მიაწოდოს ინფორმაცია ამჟამად გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოყენებული პოლიტიკის შესახებ
- განახორციელოს ინკლუზიური პროცედურები: სადაც შესაძლებელია, შესთავაზოს და თვითონ მისდიოს გადაწყვეტილებების ერთობლივი მიღების მექანიზმების პროცედურებს;
- მიაწოდოს რესურსები: მხარი დაუჭიროს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართვით გადაწყვეტილებებში;
- იყოს გულისხმიერი: მოისმინოს, გაითვალისწინოს და გასცეს პასუხი.

სასარგებლო ხელსაწყოები და მექანიზმები:

ინფორმაცია

- კამპანიები და ლობირება გადაწყვეტილებების მიმღებებზე გავლენის მოსახდენად, მაგალითად, ბროშურების, ვებგვერდების, მედიარელიზების და საჯარო დემონსტრაციების მეშვეობით.

კონსულტაცია და დიალოგი

- პლენარული ან საკომიტეტო ღია სესიების ჩატარება, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის განმავლობაში დებატების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

პარტნიორობა

- ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება ფორუმების, კონსენსუსის, კონფერენციებისა და სხვა თანამონაწილეობითი შეხვედრების მეშვეობით
- თანაგადაწყვეტილებების მიღება, მაგალითად, თანამონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენა.

4. პოლიტიკის იმპლემენტაცია

ეს ის ეტაპია, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ყველაზე მეტად აქტიური არიან, მაგალითად, მომსახურებების მიწოდებაში. წინა ეტაპებზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის დიდი წილი პოლიტიკის განხორციელებაზე გავლენის მოხდენის მცდელობებს შეიცავდა. ეს ფაზა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაგეგმილი შედეგი მართლაც განხორციელდეს. მოლოდინებისა და შესაძლებლობის შესახებ მკაფიო და გამჭვირვალე ინფორმაციაზე წვდომა მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც აქტიური თანამშრომლობა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ:

- მიაწოდონ ინფორმაცია და გაზარდონ ინფორმირებულობა, რაც პირველ რიგში მიმართული იქნება საჯარო ინფორმირებულობის გაზრდაზე და პოლიტიკის გავლენის, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების განმარტებაზე;
- მიაწოდონ მომსახურებები: მათთან ასოცირებული ინოვაციების გამო, სამოქალაქო საზოგადოებების ორგანიზაციებს შეუძლიათ იყვნენ საკვანძო მოქმედი პირები პოლიტიკის ჩამოყალიბებაში და მომხმარებელთა კონკრეტული ჯგუფისათვის ალტერნატიული ან ახალი მომსახურებების შექმნაში;
- შეასრულონ მეთვალყურეობითი ფუნქცია: მოახდინონ შეფასება და უზრუნველყონ პოლიტიკის დაგეგმილი იმპლემენტაცია, საზიანო გვერდითი ეფექტების გარეშე.

საჯარო ხელისუფლებას შეუძლია:

- გაავრცელოს ინფორმაცია: მიაწოდოს ინფორმაცია იმპლემენტაციის სტრატეგიებზე, საჯარო ტენდერის პროცედურებზე და პროექტის სახელმძღვანელო პრინციპებზე;
- განახორციელოს ინკლუზიური პროცედურები: მიჰყვეს პოლიტიკის იმპლემენტაციის ჩამოყალიბებულ წესებსა და წესდებას;
- მიაწოდოს რესურსები: შესაძლებელი გახადოს სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა საიმპლემენტაციო ეტაპზე, მაგალითად, საბიუჯეტო უზრუნველყოფით, არაფულადი მხარდაჭერით ან ადმინისტრაციული მომსახურებებით;
- იყოს გულისხმიერი: იყოს ხელმისაწვდომი და ახდენდეს რეაგირებას იმპლემენტაციის პროცესიდან წამოსულ კონკრეტულ საჭიროებებზე.

სასარგებლო იარაღები და მექანიზმები:

ინფორმაცია

- ღია და თავისუფალი წვდომა საჯარო სექტორის დოკუმენტებზე, რომლებიც ეხება პროექტებს და საიმპლემენტაციო გადაწყვეტილებებს;
- ვებგვერდი საკვანძო დოკუმენტებზე და საჯარო ღონისძიებების გამოცხადებებზე სრული წვდომით;
- შეტყობინებები ელექტრონული ფოსტით, პროექტებისა და დაფინანსების შესაძლებლობის შესახებ;
- ხშირად დასმული შეკითხვების გვერდები ინტერნეტში ან სხვა არხები, რომლებიც გასცემენ ინფორმაციას კითხვა–პასუხის ფორმატში და ამგვარად ხელმისაწვდომს ხდიან პრაქტიკულ დახმარებასა და ხელმძღვანელობას;
- საჯაროდ რეკლამირებული სატენდერო პროცედურა, სერვისების მოწოდების ღია და გამჭვირვალე პროცესის უზრუნველსაყოფად.

კონსულტაცია

- ღონისძიებები, კონფერენციები, ფორუმები და სემინარები, რომლებიც მიზნად ისახავენ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და ხალხისთვის ინფორმაციის მიწოდებას პოლიტიკის იმპლემენტაციის შესახებ და დისკუსიის გამართვას.

დიალოგი

- უნარების განვითარების სემინარები, იმპლემენტაციასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების გასაუმჯობესებლად;
- ტრენინგ-სემინარები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის და საჯარო ხელისუფლებისთვის, იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ ისეთ კონკრეტულ საკითხებში, როგორიცაა შესყიდვების, პროექტისა და დაფინანსების განაცხადები.

პარტნიორობა

- სტრატეგიული პარტნიორობა, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და საჯარო ხელისუფლება ქმნიან პარტნიორობას პოლიტიკის იმპლემენტაციისათვის. ეს შეიძლება ეხებოდეს როგორც პატარა საპილოტე სქემას, ასევე — სრულ საიმპლემენტაციო პასუხისმგებლობას.

5. მონიტორინგი და განხილვა

ციკლის ამ ეტაპზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი არის იმპლემენტირებული პოლიტიკის შედეგების მონიტორინგი და ანალიზი. მნიშვნელოვანია, არსებობდეს მონიტორინგის ეფექტიანი და გამჭვირვალე სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკის თუ პროგრამის მიერ დაგეგმილი მიზნის მიღწევას.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ:

- თემის პოპულარიზაცია: ჩაატარონ მონიტორინგი და განაცხადონ, მიაღწია თუ არა პოლიტიკურმა ინიციატივამ თავის სამიზნე ბენეფიციარებამდე და მოუტანა თუ არა საზოგადოებას დაგეგმილი შედეგი;
- მიაწოდონ პროფესიონალური ხედვა და რჩევები: შეაგროვონ მონაცემები ან გამოიკვლიონ პოლიტიკის გავლენა. შესაძლოა, ეს გულისხმობდეს ანალიტიკური ცენტრებისა და კვლევითი ინსტიტუტების ჩართულობას;
- მიაწოდონ მომსახურება: მოახდინონ შედეგების მონიტორინგი ხარისხის, მდგრადობის, ეფექტიანობის თვალსაზრისით და რეალურ შემთხვევებზე დაყრდნობით;
- შეასრულონ მეთვალყურეობითი ფუნქცია: ეს პრიორიტეტული როლია პოლიტიკის შედეგების მონიტორინგში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაგეგმილი მიზნები მიღწეული იქნება.

საჯარო ხელისუფლებას შეუძლია:

- გაავრცელოს ინფორმაცია: მიაწოდოს ინფორმაცია პოლიტიკის მიმდინარე მდგომარეობაზე;
- იყოს გულისხმიერი: მოისმინოს, გაითვალისწინოს და გასცეს პასუხი.

სასარგებლო ხელსაწყოები და მექანიზმები:

ინფორმაცია

- ღია და თავისუფალი წვდომა ინფორმაციაზე პოლიტიკის მსვლელობის შესახებ;
- მონაცემების შეგროვება პროექტის ჩაბარებაზე ქეისების და სტატისტიკის მოსაგროვებლად;
- პოლიტიკისა და მისი გავლენის შეფასება კონფერენციების და მოხსენებების გზით;
- დამოუკიდებელი კვლევები.

კონსულტაცია

- პროცესის მსვლელობისთვის თვალის სადევნებლად გამოხმაურების ისეთი მექანიზმების ქონა, როგორიცაა გამოკითხვები, ონლაინ გამოკითხვები და კითხვარები.

დიალოგი

- სამუშაო ჯგუფი ან კომიტეტი, რომელიც შედგება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან, რომლებსაც აბარიათ პოლიტიკის ინიციატივის მონიტორინგი და შეფასება.

პარტნიორობა

- სამუშაო ჯგუფი ან კომიტეტი, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და საჯარო ხელისუფლება ერთიანდება სტრატეგიულ პარტნიორობაში პოლიტიკის ინიციატივის მონიტორინგის და შეფასებისათვის.

რა ნაბიჯებისგან შედგება ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღება?

1. ადრეულ ეტაპებზევე მოიპოვეთ შესაბამისი მონაცემების შეძლებისდაგვარად ფართო სპექტრი. თავიდანვე ჩართეთ ყველა, ვისაც ეს საკითხი ეხება (ისინი, ვინც ისარგებლებს ამ პოლიტიკით თუ მომსახურებით; კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების იმპლემენტაციას, და ისინი, ვინც დააფინანსებენ მას) და შეინარჩუნეთ მათი ჩართულობა მთელი პროცესის განმავლობაში;
2. წაახალისეთ როგორც განზოგადებული, ასევე ფოკუსირებული დისკუსია;
3. ეძებეთ კონსენსუსი;
4. განსაზღვრეთ ზეგავლენის სამიზნეები, წინსვლის შეფასების და მონიტორინგის ხერხები;
5. მკაფიოდ გამოაცხადეთ გადაწყვეტილება;

6. არ შეცვალოთ გადაწყვეტილება, თუ არ გამოჩნდა მნიშვნელოვანი ახალი ინფორმაცია;
7. ჩაატარეთ რეგულარული მონიტორინგი და განხილვა.

შეხედეთ საკითხს ფართოდ, შემდეგ მიიღეთ გადაწყვეტილება			
ინფორმაცია –> კვლევა იდეები	დისკუსია –> გაანალიზება ალტერნატივების შემოწმება	გადაწყვეტილების –> მიღება	განხილვა

ეფექტიანი შეხვედრები — „ფართო, ვიწრო, ფართო“

ზოგი ექსპერტი თვლის, რომ შეხვედრებში „ფართო-ვიწრო-ფართო“ ტიპის მიდგომა იძლევა კარგ ბალანსს ეფექტიანობასა და მონაცემების ფართო სპექტრს შორის.

პროექტის დასაწყისში დიდმა შეხვედრებმა შესაძლოა კარგი შედეგი მოიტანოს პრობლემებზე და პრობლემების გადაწყვეტისადმი პოტენციური მოდგომების თემაზე ბრეინსთორმინგით. ამ ეტაპზე სასარგებლოა ბევრი ხალხის დასწრება, რადგანაც ხალხი ხშირად ერთმანეთის იდეებს ავრცობს.

როდესაც ბრეინსთორმინგი დამთავრდება, უმჯობესია პატარა ჯგუფებად შევიწროვება — კონკრეტული მიდგომების ასარჩევად და დეტალების დასამუშავებლად. დიდ კომიტეტს შესაძლოა გაუჭირდეს ყველასათვის მისაღები გამოსავალის პოვნა.

როდესაც ერთი ან მეტი შესაძლო გამოსავალი გამოიკვეთება, ისევ ზოგადი მონაცემების შეტანის დრო დგება, შემოთავაზებების განსახილველად და ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად.

თუ საჭირო გახდა რევიზიები, შესაძლებელია ისევ პატარა ჯგუფების ეტაპზე დაბრუნება და დისკუსიის გაგრძელება. დიდმა ჯგუფებმა უნდა გამოკვეთონ პრობლემები და იქნებ ზოგი შესაძლო მიდგომაც შეარჩიონ, მაგრამ დეტალების დამუშავება პატარა ჯგუფებს ანდეთ.

როგორ უზრუნველვყოთ მონაცემების ფართო სპექტრი გადაწყვეტილებების მიღებისას?

მონაცემთა ფართო სპექტრის გამოყენების და ბევრი ადამიანის ჩართულობის სასარგებლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი გადაწყვეტილების ხარისხის გაზრდაა: ბევრი ინფორმირებული ადამიანის (ტექნიკური უნარის თუ ცოდნის მქონე, ან გამოცდილის და საქმეში ჩახედულის) კარგი იდეების გაერთიანება უკეთეს შედეგს მოიტანს, ვიდრე უბრალოდ რამდენიმე ადამიანის კარგი იდეის გამოყენება.

აზრის გამოთქმის თხოვნა თანხმობასაც ზრდის: ხალხი, რომლებმაც გადაწყვეტილების მიღებაში გარკვეული როლი ითამაშეს, მასზე უფრო დადებითი აზრის არიან იმ შემთხვევაშიც კი, თუ საბოლოო გადაწყვეტილება მათ შეხედულებებს ზუსტად არ ემთხვევა.

მოწოდებული წინადადებები შეაგროვეთ ადრე, როდესაც ჯერ კიდევ არის იმის დრო, რომ ამ გამოთქმულმა აზრებმა გავლენა იქონიოს. რაც უფრო დიდ ხანს მოიცდით, მით უფრო ნაკლებად სასარგებლო იქნება ეს წინადადებები. უნდა დაგეგმოთ თქვენი სტრუქტურის შეცვლა აზრის გამოთქმის ყოველი რაუნდის შემდეგ, ამიტომ აუცილებლად შეაგროვეთ თქვენს იდეებთან დაკავშირებული წინადადებები, სანამ მათ დამტკიცებულად მიიჩნევთ. თუ თქვენ არ ხართ მზად აზრის გამოთქმის რაუნდის შემდეგ ცვლილებების განსახორციელებლად, ესე იგი, თქვენ შემოთავაზების ნაცვლად თანხმობა მოგითხოვიათ. აზრის გამოთქმის მოთხოვნა და შემდეგ მისი უგულებელყოფა არ აუმჯობესებს არც გადაწყვეტილების ხარისხს და არც თანხმობას; ეს უბრალოდ ყველას ფუჭად აკარგვინებს დროს.

როდესაც აგროვებთ გამოთქმულ აზრებს, ყველაზე ძნელად დასაყოლიებელი ხალხი აუცილებლად ადრევე ჩართეთ პროცესში. ბუნებრივი ტენდენციაა, რომ სწორედ საპირისპიროდ მოიქცეთ და ყველაზე საკამათო წინადადებებს შეძლებისდაგვარად გვიან მიხედოთ. თუმცა, მტკიცე მოსაზრებების ყველაზე ადრე შეგროვებას რამდენიმე დადებითი მხარე ახასიათებს:

- უპირველესად, ეს გვეხმარება საკითხის შესაძლო გადაწყვეტის სპექტრის განსაზღვრაში, რაც ალერნატივების შედარების კარგ საშუალებას გვაძლევს;
- მეორე, გამორჩეულად სადავო მიდგომა შესაძლოა სწორი აღმოჩნდეს. მაშინ კი უფრო სავარაუდოა, რომ ის იყოს რევოლუციური და დიდი ცვლილებების მომტანი, ვიდრე არა–სადავო მიდგომა;
- მესამე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ სადავო შემოთავაზება არასწორია, უმჯობესია, გულდასმით განიხილოთ იგი, რათა ყველამ პროცესში ჩართულად იგრძნოს თავი, აგრეთვე იმისათვის, რომ გქონდეთ საკმარისი ინფორმაცია საპირისპირო არგუმენტების მოსამზადებლად.

ერთი რისკი, რომელიც თან ახლავს აზრის გამოთქმის ვრცელი პროცედურის წახალისებას, იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც გადაწყვეტილების მიუღებლობის საბაბი — „ბოდიში, ჩვენ ვერ მივიღეთ გადაწყვეტილება, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ველოდებით წინადადებებს“. მნიშვნელოვანია, რომ მოვკრიბოთ ვრცელი შეხედულებები და იმავდროულად ეს იმდენად სწრაფად მოვახერხოთ, რომ ამ პროცესმა არ გამოიწვიოს საბოლოო შედეგის გადავადება. ეს თითქმის ყოველთვის შესაძლებელია. ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღება არ უნდა გახდეს ნელი გადაწყვეტილებების მიღების საბაბი.

ბენჩმარქინგი

ბენჩმარქინგი არის საუკეთესო პრაქტიკის განსაზღვრის პროცესი როგორც პროდუქტისთვის, რაც შესაძლოა პოლიტიკასა და მომსახურებასაც მოიცავდეს, ასევე პროცესებისთვისაც, რომლის შედეგადაც ეს პროდუქტები იქმნება და მიეწოდება. „საუკეთესო პრაქტიკის“ ძიება შესაძლებელია მიმდინარეობდეს როგორც გარკვეული სექტორის შიგნით, ასევე მის გარეთ, სხვა სექტორებში (მაგალითად: შესაძლებელია ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების შესახებ რამის სწავლა სხვა სექტორებისგან?).

ბენჩმარქინგის მიზანი არის ორგანიზაციის მიმდინარე პოზიციის დადგენა–შეფასება და მისი შედარება არსებულ საუკეთესო პრაქტიკასთან, აგრეთვე — მიღწევების გაუმჯობესების სფეროებისა და საშუალებების განსაზღვრა.

ბენჩმარქინგი გულისხმობს გარეთ გახედვას (კონკრეტული ორგანიზაციის, სექტორის, რეგიონის თუ ქვეყნის გარეთ) იმის შესამოწმებლად, თუ როგორ აღწევენ სხვები თავიანთ დონეს, და იმის გასააზრებლად, თუ რა პროცესებს იყენებენ ისინი. ამგვარად, ბენჩმარქინგი გვეხმარება საუკეთესო მიღწევების უკან მდგომი პროცესების გაგებაში.

როდესაც ბენჩმარქინგის შედეგად გამოტანილი დასკვნები სწორ-ად გამოიყენება, ისინი ხელს უწყობენ ორგანიზაციაში უმნიშვნე-ლოვანესი ფუნქციების გაუმჯობესებულ მოქმედებას.

ბენჩმარქინგის პრაქტიკული გამოყენება გულისხმობს ოთხ საკ-ვანძო ნაბიჯს:

1. არსებული პროცესების დეტალური გააზრება;
2. სხვათა პროცესების ანალიზი;
3. საკუთარი მიღწევების შედარება იმ სხვათა მიღწევებთან, რომლების ანალიზიც ჩატარდა;

4. მიღწევების სხვაობის აღმოსაფხვრელი ნაბიჯების იმპლემენ-ტაცია.

ბენჩმარქნგი არ უნდა აღიქმებოდეს ერთჯერად ქმედებად. იმი-სათვის, რომ იგი ეფექტიანი იყოს, მიმდინარე უნდა გახდეს, იქცეს გაუმჯობესების უწყვეტი პროცესის განუყოფელ ნაწილად, მისი მიზანი მუდმივად დახვეწადი საუკეთესო პრაქტიკისთვის ფეხის აწყობა უნდა იყოს.



კონსენსუსი

ზოგ ხალხს სჯერა, რომ ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღება ზედმეტად არაეფექტიანია იმისათვის, რომ იყოს პრაქტიკული („ანალიზური პარალიზება“, analysis paralysis), მაგრამ არსებობს უამრავი საპირისპირო მტკიცებულებაც. პროცესის სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში თითქმის ყოველთვისაა შესაძლებელი გადაწყვეტილების მიღებისას კონსენსუსის მიღწევა ან ხალხისთვის იმის გაგებინება მაინც, თუ რატომ იქნა მიღებული გარკვეული გადაწყვეტილება, მაშინაც კი, თუ ისინი ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან. კონსენსუსით მიღებული გადაწყვეტილება უფრო ფასეულია, ვიდრე კონსენსუსის გარეშე მიღებული გადაწყვეტილება — უფრო სავარაუდოა, რომ იგი სწორია, და უფრო მაღალია მისი ეფექტიანი იმპლემენტაციის ალბათობაც, ვინაიდან მისი ყველას სჯერა.

დისკუსიები უნდა იმართოს სიფრთხილით, კონსენსუსის შესაძლებლობის გასაზრდელად:

- მკაფიოდ განსაზღვრეთ პრობლემა, ალტერნატივების შეფასების კრიტერიუმებთან ერთად. თუ ხალხი ვერ თანხმდება პრობლემაზე ან მიზანზე, მაშინ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი შეთანხმდნენ გადაწყვეტილებაზე;
- წარმოადგინეთ ალტერნატივები და ყოველი ალტერნატივის მომხრე და საწინააღმდეგო არგუმენტები ისე, რომ ყველამ შეძლოს მათი გაგება;
- იყავით ინკლუზიური და თავაზიანი. ჩამოაყალიბეთ ძირითადი წესები და წარმართეთ დისკუსია ისე, რომ ადამიანებს შეეძლოთ, დაუპირისპირდნენ ერთმანეთის არგუმენტებს საწინააღმდეგო არგუმენტების წარდგენით, პირადულად მიღების გარეშე.

როდის ამართლებს და როდის არ ამართლებს ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება?

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება ყველაზე უფრო ამართლებს ისეთ გარემოში, სადაც არსებობს:

- კონსტრუქციული კამათის წამახალისებელი კულტურა, სადაც ხალხი უხერხულობის გარეშე გამოთქვამს საკუთარ აზრს, ლიდერები კი ამ აზრებს აფასებენ;
- ზოგადი თანხმობა [ორგანიზაციის] ზოგად მიზნებზე, ისე რომ ხალხმა შეძლოს იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა გააკეთონ არჩევანი ალტერნატივებს შორის.

უფრო სავარაუდოა, რომ მსგავსი მახასიათებლები ჰქონდეთ შედარებით მცირე ორგანიზაციებს, ვიდრე — შედარებით დიდებს, მაგრამ ადგილობრივი და ეროვნული მთავრობები, მედია-ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ალბათ ყველაზე მეტად მოიგებდნენ ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღებისაგან.

ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების წასახალისებლად თქვენ უნდა:

- მხარი დაუჭიროთ ხალხის მიერ გადაწყვეტილებების მიღებას და მიანიჭოთ მათ შესაბამისი უფლებამოსილება;
- გქონდეთ მკაფიო მიზნები, კონტექსტი, შეზღუდვები და თემები;
- მიაწოდოთ გამოხმაურება მაშინაც კი, როდესაც არ ჩანს პირდაპირი ან უშუალო ცვლილება — იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხალხმა დაინახოს: ღირს, ისევ ჩაერთონ პროცესში;
- პატივი სცეთ ხალხის ცოდნას, გამოცდილებას და მოსაზრებებს.

ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების მოდელი

მონაწილეობის სტრატეგიის მოდელი, რომელის მიზანიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართვის საშუალების მიცემა, იქნებოდა შემდეგი:

1. საკითხების დადგენა და ანალიზი (მაგალითად, კვლევის მონაცემების გათვალისწინების, მრგვალი მაგიდის დისკუსიის გამართვის, კერძო ან საჯარო მტკიცებულებათა მოსმენების ჩატარების, სამუშაო ჯგუფების ფუნქციონირების გზით);
2. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განვითარება (იმისათვის, რომ დავადგინოთ მიზნები და შედეგები; გამოსაყენებელი მექანიზმები; ადამიანური და ფინანსური რესურსები; უწყებათაშორისი თანამშრომლობა; მონიტორინგისა და შეფასების მაჩვენებლები);
3. სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია (იმლემენტაციის რეგულარული მონიტორინგი და, საჭიროებისამებრ, სამოქმედო გეგმის განახლება);
4. მინოტორინგი და შეფასება, მათ შორის — სწავლა და უწყვეტი გაუმჯობესება.

ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების საკვანძო ელემენტები — ადამიანები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უნდა იყოს დაგეგმილი, ხოლო მიდგომა უნდა იყოს ორგანიზაციული

სხვადასხვა გუნდების და სხვადასხვა უწყებების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვის განსხვავებული გზების შემუშავებას არავითარი აზრი არ აქვს. ეს საორგანიზაციო დონეზე

დაგეგმილი და კოორდინირებული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი ბევრ დროსა და ენერგიას გაფლანგავს ფუჭად.

უნდა ჩამოყალიბდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვისა და მიზიდვის სხვადასხვა საშუალებები

მხოლოდ ერთი ისეთი ღონისძიების ჩატარება, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართავს, ვერ უზრუნველყოფს ხალხის სასურველ რაოდენობას და ვერც — სათანადო მიღწეულ დონეს. კონკრეტული ღონისძიებები დამოკიდებულია ორგანიზაციაზე და კონკრეტულ საკითხზე. ორგანიზაციებს გამოუყენებიათ ისეთი მეთოდები, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეთა საბჭოები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მცხოვრებთა პანელები, ფოკუს-ჯგუფები, ფართომასშტაბიანი კონფერენციები, ორგანიზებული შეხვედრები, შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე მომუშავე ან მოხალისეთა სექტორის ორგანიზაციების შეხვედრებზე დასწრება, კითხვარები, წერილობითი გამოკითხვები, არტ-ღონისძიებები, შეზღუდული შესაძლებლობის საკონსულტაციო ფორმალური ჯგუფები, საჯაროდ დანიშნული პანელები და ასე შემდეგ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვა გულისხმობს ზუსტად ამას — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვას

მიუხედავად იმისა, რომ მომვლელების, მშობლების, პროფესიონალების და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობა შესაძლოა ძალიანაც ფასეული იყოს, ამ ხალხს არ შეუძლია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ნაცვლად ლაპარაკი, თუ, რა თქმა უნდა, ეს არ არის სხვისი დახმარებით გადაწყვეტილების მიღება — ისეთ პირთათვის, რომლებსაც აქვთ შემცირებული ქმედითუნარიანობა.

არ უნდა გამოგვრჩეს მეინსტრიმული მონაწილეობა და ჩართულობა

ის, რომ არსებობს კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც გულისხმობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობას საკვანძო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არ ნიშნავს იმას, რომ ორგანიზაციის მეინსტრიმული საკონსულტაციო მექანიზმები არ უნდა ითვალისწინებდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობას. მეინსტრიმული ჩართულობა, რომელსაც ორგანიზაცია ახორციელებს, ასევე უნდა გულისხმობდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობას, მაგრამ ამაში შესაძლოა სპეციფიკური ინკლუზიური ღონისძიებებიდან მიღებული ცოდნაც დაგვეხმაროს.

ნებისმიერი ჩართულობა უნდა იყოს სრულად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური

ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღება თავიდანვე უნდა იყოს დაგეგმილი. ეს ნიშნავს საუკეთესო პრაქტიკის მოხმარებას ინკლუზიური ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარებისას და, თუ არსებობს ადამიანების კონკრეტული საჭიროებები, ისინი პირდაპირ და მინიმალური მიდებ-მოდებით უნდა დაკმაყოფილდეს.

კომუნიკაციაც სრულად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური უნდა იყოს

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს სენსორული დარღვევების მქონე, ასევე — მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე, დასწავლის შეზღუდვის მქონე და აუტიზმის სპექტრის აშლილობების მქონე პირების საკომუნიკაციო მითხოვნილებები.

ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვს ბიუჯეტს და რესურსებს

იმის უზრუნველყოფა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გახდნენ ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მონაწილეები, რესურსებს მოითხოვს. ასევე, იმ შემთხვევებში, როდესაც ორგანიზაციები სთხოვენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომ დათმონ თავისი დროის დიდი ნაწილი და გააზიარონ თავისი პროფესიონალური მოსაზრება, მათი შრომა სხვა ექსპერტების შრომის მსგავსად უნდა ანაზღაურდეს.

იმ შემთხვევებში, როდესაც ორგანიზაციები სთხოვენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობის წახალისებაში დახმარებას, მათ შორის ფასიანი საკონტრაქტო ურთიერთობა უნდა იყოს.

ჩართეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დაინტერესებული პირების შეძლებისდაგვარად ფართო სპექტრი

სასურველია, უზრუნველყოფილი იქნას სხვადასხვა ტიპის დარღვევების მქონე ადამიანების, სხვადასხვა ასაკის, შავკანიანი და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების, სხვადასხვა გენდერის, სქესობრივი ორიენტაციის, რელიგიური მრწამსის, ექსპერტიზის სფეროებისა და გეოგრაფიული ჯგუფების ხალხის ჩართულობა. გახსოვდეთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის განსაზღვრება ეხება დარღვევების ძალიან ფართო სპქტრს, მათ შორის ისეთ შემთხვევებს, სადაც ეს შესაძლოა არ იყოს თვალსაჩინო. ამის მაგალითია ხალხი, რომლებსაც აქვთ მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები, დასწავლის შეზღუდვის ქონა ან ისეთი სამედიცინო პრობლემები, როგორიცაა აივ ან კიბო.

ზოგს ეს სხვებზე უფრო უადვილდება

ზოგიერთი ორგანიზაციისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვა შედარებით უშუალო პროცესია, როდესაც ისინი ემსახურებიან გეოგრაფიულ რეგიონს ან მომსახურებათა მომხმარებლების კონკრეტულ ჯგუფს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ადგილობრივი ორგანიზაციები ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დასაკავშირებლად, მაგრამ ეს საკონტრაქტო ხელშეკრულების მეშვეობით უნდა ხდებოდეს. ზოგიერთი ორგანიზაციისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დაინტერესებული პირების აღმოჩენა შესაძლოა უფრო ძნელი იყოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი ერთი საფეხურით დაშორებული არიან მომსახურების მომხმარებლებისგან. ამგვარ სიტუაციაში შესაძლოა სასარგებლო დახმარება გასწიონ ეროვნულმა ან რეგიონულმა ორგანიზაციებ–მა, ისევე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ჯგუფის რეკლა–მირებამ თუ მათი ფორმალური ჯგუფის ან პანელის დაფუძნებამ.

ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების საკვანძო ელემენტები — რა არის მიზანი?

ყველამ უნდა იცოდეს, თუ რა იქნება სასურველი შედეგი — რა გვინდა, რომ მოხდეს

თითოეული გადაწყვეტილებების მიღების პროცესს თან უნდა ახლ–დეს იმის ცოდნა, თუ რის მიღწევა უნდათ მათ, ვისაც ეს ეხება, და ეს მოლოდინი საერთო უნდა იყოს ყველა მონაწილე ადამიანისთვის.

ყველას მკაფიოდ უნდა ესმოდეს პროცესი

ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების წახალისებაში ჩართულ ხალხს, ისევე, როგორც ყველა მონაწილეს, კარგად უნდა ესმოდეს, თუ რა მოლოდინებთან, ვადებთან, პროცესთან და გამოხმაურების მექანიზმებთან აქვს საქმე.

გადამეტებული ბიუროკრატია არავის სჭირდება

აუცილებელია მკაფიო ორიენტაცია შედეგებზე, პროცესში გაბნევის თავიდან ასაცილებლად. ეს ორიენტაცია უნდა შენარჩუნდეს გადაწყვეტილებების მიღების მთელი პროცესის განმავლობაში.

კარგად უნდა იყოს გააზრებული შეზღუდული შესაძლებლობის თანასწორობა და შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი

იმ კადრებს, რომლებიც ეწევიან ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების ფასილიტაციას, უნდა ჰქონდეთ განვლილი ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის თანასწორობის საკითხებზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ორგანიზაციები თავიდანვე უნდა იყვნენ ჩართულები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვა ახალი პოლიტიკისა თუ სერვისისათვის გადაწყვეტილებების მიღების თუ დაგეგმვის პროცესის ბოლოს მოცემული პოლიტიკისა თუ სერვისის გამოსწორების თვალსაზრისით ეფექტიანი არ იქნება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები თავიდანვე უნდა იყვნენ ჩართულნი იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათმა ჩართულობამ მაქსიმალური სარგებელი მოიტანოს.

გამოხმაურება აუცილებელია ორმხრივი დიალოგისათვის

ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების ეფექტიანობისთვის იგი ასევე უნდა შეიცავდეს ორმხრივ დიალოგს და, მაშასადამე, უნდა არსებობდეს მექანიზმები რეგულარული და მიმდინარე გამოხმაურებისათვის. ამისთვის უნდა გამოიყენებოდეს სხვადასხვა მეთოდები და უზრუნველყოფილი იყოს ყოველგვარი მასალის

ხელმისაწვდომობა. ეს შესაძლოა მარტივი იყოს გადაწყვეტილების მიღებაში სტრუქტურული ჩართულობის შემთხვევაში, როგორიცაა, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის თანასწორობის საკონსულტაციო ჯგუფი, მაგრამ უფრო რთული იქნება ისეთი აქტივობებისთვის, როგორიც არის ტექსტური გამოკითხვები, დიდი კონფერენციები ან კითხვარები, სადაც არ გვაქვს მსგავსი რეგულარული და უწყვეტი ურთიერთობა. თუმცა, გამოხმაურება თანაბრად მნიშვნელოვანია ჩართულობის მომცემი ნებისმიერი გამოყენებული აქტივობისთვის.

ინკლუზიურობა უნდა იყოს გავლენიანი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ აზრს უსმენენ, ითვალისწინებენ და იყენებენ ყოველთვის, როდესაც ეს შესაძლებელია. აუცილებელია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა — მათ, ვინც პირდაპირ არიან ჩართულები, ისევე, როგორც სხვებმა — იცოდნენ, თუ რამდენად გავლენის მომხდენი იყო მათი ჩართულობა და რა შედეგები მოჰყვა მას. ხანდახან, სათანადო განხილვების შემდეგ, შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პირების ყველა მოსაზრება არ იქნება გამოყენებული. ამ სიტუაციაში აუცილებელია, რომ შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პირებმა იცოდნენ, თუ რატომ არ იქნა გამოყენებული მათი შეხედულება გარკვეულ სფეროებთან დაკავშირებით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობა არ არის ერთჯერადი მოვლენა

ზოგ ორგანიზაციას აქვს ინკლუზიური ღონისძიებები, რომლებიც მოკლევადიანია და ეხება კონკრეტულ საკითხებს. სხვები ირჩევენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის მიმდინარე და უწყვეტი გზების გამოყენებას, რაც, სავარაუდოდ, უფრო ეფექტიანია.

მთავარია, მივიღოთ შედეგი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც ჩართულები არიან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, უნდა დარწმუნდნენ, რომ იმ ღონისძიებამ ან საკითხმა, რომელზედაც ისინი კომენტარს აკეთებდნენ, აშკარა გაუმჯობესება და შედეგები მოიტანა. ასე რომ, პოლიტიკის იმპლემეტაციის შემდეგაც კი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სჭირდებათ გამოხმაურება იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტიანი იყო ის, რას მიაღწია და როგორ განვითარდება სამომავლოდ.

წარმატებული ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების საკვანძო ელემენტები

ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების მთელი აზრი უკეთესი შედეგების მიღწევაშია. თუ ასე არ ხდება, ესე იგი, რაღაც არასწორად კეთდება.

კარგ ლიდერობას მოაქვს კარგი ქმედება

ორგანიზაციის სათავეში მდგარი ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ნამდვილი ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების რეალობად ქცევას. მმართველობა მთელ ორგანიზაციაში უზრუნველყოფს, რომ მიღებული გადაწყვეტილებები ეკუთვნოდეს მათ, ვინც მათ იმპლემენტაციას ეწევა, და, შესაბამისად, წარმატების შანსიც მეტი იქნება.

იმის მიღმაც, რაც აშკარაა

აუცილებელია, ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღება მთლიანად განმსჭვალავდეს პოლიტიკისა და მომსახურების სფეროებს და არ გვხვდებოდეს მხოლოდ იმ სფეროებში, სადაც, ტრადიციულად,

ეხებიან შეზღუდულ შესაძლებლობებს — მაგალითად, ადამიანური რესურსების და სოციალური ზრუნვის/მხარდაჭერის სფეროებში. ჯანმრთელობისა და სოციალური ზრუნვის საკითხების კომფორტის ზონაში დარჩენას სერიოზული წინსვლა არ მოჰყვება.

მონაცემების შეკრებით დაწყება

გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს სანდო მონაცემებს, ამომწურავ სურათს იმის შესახებ, თუ რა ხდება ამჟამად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში. ზოგი ორგანიზაცია ამგვარ მონაცემთა ბაზას თავისი წინა მუშაობიდან შექმნის. მომსახურებების მომწოდებელი ორგანიზაციებისთვის აუცილებელია იმის მკაფიო გააზრება, თუ როგორ ეხმარება ეს მომსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და თუ რომელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ ეხმარებიან. ყველა ორგანიზაციისთვის აუცილებელია მოქმედების მკაფიო ბენჩმარქინგი და ხარვეზებისა და უთანასწორობის მაგალითების დადგენა.

სად მოვიპოვოთ მონაცემები

მონაცემების მიღების წყაროები სხვადასხვაა, იმისდა მიხედვით, თუ რა ორგანიზაციასთან გვაქვს საქმე — ეს შეიძლება იყოს დემოგრაფიული მონაცემები, შესაბამისი წარმადობის მონაცემები, შიდა ინფორმაცია, ისეთი წყაროები, როგორიცაა ადამიანური რესურსები, ჩივილების და გამოხმაურებების განყოფილებები. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ხარისხობრივი ინფორმაცია, მათ შორის — რელევანტური კვლევაც.

მონაცემების ნაკლებობასთან გამკლავება

თუ მონაცემების ბაზაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გარკვეულ პოლიტიკაში თუ მომსახურებაში ჩართულობის

შესახებ თეთრი ლაქები გვხვდება, ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებული უნდა იქნეს კონკრეტული კვლევა, ფოკუს-ჯგუფები ან მონაცემების მოკრება.

მიზნების არჩევის მნიშვნელობა

შემდეგი ნაბიჯი არის მიზნების მკაფიო კრებულის შერჩევა. ეს, სავარაუდოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. მაგალითად, მიზნების ერთობლივად დასახვისას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა და სოციალური ზრუნვის პროფესიონალებმა შეიძლება დაადგინონ, რომ პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები მიზნად უნდა ისახავდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის არჩევანისა და კონტროლის გადაცემას მათ საყოფაცხოვრებო საკითხებთან და იმასთან დაკავშირებით, თუ რა გზით მიიღონ მხარდამჭერი მომსახურებები.

მიზნების გამოყენება საქმიანობის განსასაზღვრად

ჩამოყალიბების და დამტკიცების შემდეგ, მიზნებმა დაგეგმვის სტრუქტურა უნდა განსაზღვროს. თითოეული მიზნისთვის შესაძლოა განისაზღვროს ქმედებათა მთელი რიგი, რომელიც ხშირად ჯგუფების ან ფუნქციების მიხედვით არის დაყოფილი. აუცილებელია, რომ ის ხალხი, ვინც მომსახურებების მიწოდებით იქნება დაკავებული, იყოს ჩართული მათ დაგეგმვაშიც.

ქმედების ეფექტიანობის უზრუნველყოფა

ნებისმიერი სამოქმედო გეგმისთვის აუცილებელია ისეთი საკვანძო ელემენტები, როგორიცაა სიცხადე იმასთან დაკავშირებით, თუ რის მისაღწევადაა გამიზნული ეს ქმედება, ასევე ცხადი უნდა იყოს ვადები, საჭიროების შემთხვევაში ნიშანსვეტები, წარმატების საზომები და მფლობელობა. მიზნების გამოკვეთა და მათი

ორგანიზაციის საქმიანობის ჩარჩოში ჩაშენება, სავარაუდოდ, გაუმჯობესებულ შედეგებამდე მიგვიყვანს.

ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღებისთვის საჭირო ხელსაწყოები

არსებობს იარაღები, რომლებიც უმოკლესი გზით უზრუნველყოფს მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების მთელი პროცესის განმავლობაში:

1. **ელექტრონული მონაწილეობა**

ელექტრონული ხელსაწყოები იძლევა დიდ პოტენციალს დემოკრატიული პრაქტიკისა და ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების გასაუმჯობესებლად. მათ შეუძლიათ, ბევრი რამ შემატონ გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და ინსტიტუციების გულისხმიერებას, ასევე, როლი ითამაშონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის ხელის შეწყობაში და პოლიტიკის წარმოების პროცესის ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის გაზრდაში.

ამ ხელსაწყოების პოტენციალის სრულად გამოსაყენებლად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ სრული წვდომა ელექტრონულ ხელსაწყოებზე.

2. **შესაძლებლობათა განვითარება მონაწილეობის მისაღებად**

ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს სჭირდებათ მხარდაჭერა მათი შესაძლებლობისა და უნარების განსავითარებლად, იმისთვის, რომ შეძლონ პოლიტიკის ფორმირებაში, პროექტების განვითარებაში და სერვისების მოწოდებაში აქტიურად ჩართვა. შესაძლებლობათა განვითარება შესაძლოა გულისხმობდეს რესურსების მიწოდებას, ლიდერების სწავლებასა და მათთვის ტრენინგების ჩატარებას.

3. **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და საჯარო ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის სტრუქტურები**

საჯარო ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის წასახალისებლად რამდენიმე ქვეყანამ შექმნა მაკოორდინირებელი ორგანოები.

მათ შორისაა: სამთავრობო ორგანოები, მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების საკონტაქტო პირი ყოველ სამინისტროში, ან ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანო, როგორც ერთპიროვნული მოსაუბრე; საერთო სტრუქტურები, როგორიცაა, მაგალითად, სხვადასხვა დაინტერესებული პირებისგან შემდგარი კომიტეტები, სამუშაო ჯგუფები, ექსპერტთა საბჭოები და სხვა საკონსულტაციო ორგანოები (მუდმივი ან საგანგებო); ან სამოქალაქო საზოგადოების ალიანსები თუ კოალიციები, რომლებიც აერთიანებენ თავიანთ რესურსებს და ავითარებენ საერთო პოზიციებს.

4. **ჩარჩო-დოკუმენტები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და საჯარო ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის შესახებ**

მრავალ ევროპულ ქვეყანაში ჩარჩო-ხელშეკრულებებს იყენებენ როლების, პასუხისმგებლობისა და თანამშრომლობის პროცედურების შესათანხმებლად. ეს დოკუმენტები ქმნიან მკაფიო საფუძველს ურთიერთობისთვის და ამგვარად ახალისებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და საჯარო ხელისუფლებას შორის მიმდინარე დიალოგს და ურთიერთგაგებას. ისინი მოიცავენ საჯარო ხელისუფლების მიერ დადებულ ორმხრივ ხელშეკრულებებს პარლამენტთან თუ მთავრობასთან, სტრატეგიულ დოკუმენტებს თანამშრომლობის შესახებ და სხვა ოფიციალურ პროგრამებს თანამშრომლობის შესახებ.

ინკლუზიური ღონისძიებების ჩატარება

ჩატარების ადგილი

ღონისძიებების ჩატარების ადგილი უმნიშვნელოვანესია. ეს უნდა იყოს ისეთი ადგილი, სადაც ხალხი თავს კომფორტულად იგრძნობს. ნაკლებად ფორმალური სტილის უზრუნველყოფა, საკლასო ან სალექციო განლაგების ნაცვლად, გააძლიერებს პარტნიორობისა და დიალოგის შეგრძნებას და გაფანტავს იერარქიისა და დაუბალანსებელი ძალაუფლების გრძნობას. ეს გადამწყვეტია ხალხისთვის თავდაჯერებულობის შესამატებლად, რათა მათ გააცნობიერონ საკუთარი კომპეტენტურობა, მათ შორის მათაც, ვინც არიან „ექსპერტები გამოცდილებით." „მნიშვნელოვან ხალხად" და „აუდიტორიად" დაყოფა არ წაადგება ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღებას. ამის ნაცვლად, უფრო სასარგებლო იქნება, თუ ყველა ისხდება წრეში ან პატარა მაგიდებთან.

აუცილებელია, ადგილი იყოს ადაპტირებული. ეს გულისხმობს შშმ პირებისთვის სხვადასხვა სართულებზე წვდომას, ადაპტირებულ ტუალეტებს, შესაფერის განათებას და აკუსტიკას, და, თუ საჭიროა, სმენის დამხმარე აპარატებს. წყნარი ოთახის არსებობა შესაძლოა დაეხმაროს მონაწილეობის მიღებაში მათ, ვისაც აწუხებს შფოთვა ან სხვა მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები, ისევე, როგორც მათ, ვისაც აწუხებს სერიოზული ტკივილი ან დაღლილობა.

დისკუსიის სტილი

შეხვედრები, რომლებსაც გაუძღვება ფასილიტატორი და არა თავმჯდომარე, შესაძლოა დაეხმაროს ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღებას. ფასილიტაცია ამ შემთხვევაში გულისხმობს ჯგუფების მხარდაჭერას იმისათვის, რომ მათ ეფექტიანად ითანამშრომლონ და რომ ყველა მონაწილე პროცესში აზრიანად იყოს ჩართული.

ფასილიტატორის როლი გულისხმობს:

- სადისკუსიო ამოცანების დაწესებას;
- ხალხის ამოცანაზე ფოკუსირებას და დროის გაკონტროლებას;
- უზრუნველყოფას, რომ ყველას მიეცეს ლაპარაკის საშუალება;
- უზრუნველყოფას, რომ გაკეთდეს ჩანაწერები და დაფიქსირდეს გამოხმაურებები, ჩივილები და შექება.

რჩევები ღონისძიების დაგეგმვასთან დაკავშირებით

შეადგინეთ დღის წესრიგი მკაფიო მიზნებით და ვადებით. შეეცადეთ, ღონისძიება მარტივი და გასაგები იყოს, და რომ ხალხმა შეინარჩუნოს სრული ჩართულობა.

თუ მონაწილეები მუშაობენ პატარა ჯგუფებში და ფასილიტატორის გარეშე, უზრუნველყავით, რომ მათ იცოდნენ, რომ თავადვე არიან პასუხისმგებელნი ჩანაწერების გაკეთებასა და გამოხმაურებების მოწოდებაზე.

წინასწარ მოამზადეთ ეფექტური ღია შეკითხვები. ამას შედეგიანი ღონისძიებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. კითხვები, რომლებიც იწყება სიტყვებით „როგორ“, „რა“, „სად“ და „რატომ“ — კარგი კითხვებია. მოერიდეთ კითხვებს, რომლებსაც პასუხად მხოლოდ „დიახ“ ან „არა“ გაეცემათ.

დარწმუნდით, რომ ხალხისთვის თავიდანვე ცნობილია დისკუსიის სტატუსი და პირობები; მაგალითად, რომ იგი არის კონფიდენციალური.

ერთი ეტაპის ბოლოს მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდეთ მომ-დევნო ეტაპის შესახებ. უზრუნველყავით კომუნიკაციის ინკლუ-ზიურობა.

სიტყვები, გამოსახულებები და წარმოჩენა

სიტყვებსა და გამოსახულებებს ხალხის აზრების არა მხოლოდ გამოხატვა, არამედ მათზე გავლენის მოხდენაც შეუძლიათ. უარყოფითი სტერეოტიპები ხელს გვიშლის, ჩავწვდეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეალობას. ბოლო წლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა მოითხოვეს ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებები და შეეცადნენ თავიანთი ცხოვრების გარემოებების შეცვლას, ნაწილობრივ იმის შეცვლით, თუ როგორ აღიწერებიან ისინი.

ყველა ტერმინის შესახებ ყველა ვერ შეთანხმდება, მაგრამ არსებობს კონსენსუსი გარკვეულ ზოგად პრინციპებზე.

ზოგადი ენობრივი პრინციპები

1. ცნება „უნარშეზღუდული“ არის აღწერილობა და არა ხალხთა ჯგუფი. კრებით ტერმინად გამოიყენეთ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები“ და არა „უნარშეზღუდულები“;
2. მოერიდეთ სამედიცინო იარლიყებს, რომლებიც თითქმის არაფერს ამბობენ ადამიანებზე, როგორც ინდივიდებზე, და ამავდროულად, როგორც წესი, აძლიერებენ სტერეოტიპებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ, მაგალითად, მათ „პაციენტებად“ ან ავადმყოფებად აღქმას;
3. მოერიდეთ ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „მას სჭირს/აწუხებს...“, რაც აღძრავს უხერხულობას ან სიბრალულს და გულისხმობს მუდმივ ტკივილს ან უიმედობას;
4. მოერიდეთ შშმ პირების ისეთ გამოსახულებებს, რომლებიც გადმოცემენ ტანჯვას, საფრთხეს, იზოლირებას ან შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ პასიურობას;
5. ეტლის მომხმარებლები შესაძლოა არ აღიქვამდნენ საკუთარ თავს ეტლს „მიჯაჭვულებად“. შეეცადეთ, ეტლი გადაადგილებაში დამხმარე საშუალებად მიიჩნიოთ;

6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობა კომ-ფორტულად იყენებს ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ სიტყვებს. ეტლის მომხმარებლებიც „მიდიან გასავლელად“. მხედველობის დარღვევის მქონე პირებსაც შესაძლოა ძალიან გაუხარდეთ ან არ გაუხარდეთ, „თქვენი ნახვა“. შეზღუდული შესაძლებლობა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ზოგი რამ უბრა-ლოდ განსხვავებული გზით კეთდება;
7. მოერიდეთ ისეთი გავრცელებული ფრაზების გამოყენებას, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის ქონას უარყოფით კონოტაციებთან აკავშირებს, მაგალითად „გიჟივით დარბის“, „ბრმა კი არ ვარ“ და ასე შემდეგ;
8. მოერიდეთ პასიურ, მსხვერპლის პოზიციიდან ნათქვამ სიტყვებსა და გამოსახულებებს. გამოიყენეთ ისეთი ტერმინოლოგია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს წარმო-აჩენს აქტიურ ინდივიდებად, რომლებიც აკონტროლებენ თავი-ანთ ცხოვრებას.

სიტყვები, რომლებსაც უნდა ვერიდოთ

მოერიდეთ	**გამოიყენეთ**
შეზღუდული, შეფერხებული	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები
მას სჭირს, იგი იტანჯება, მსხვერპლია... (ამა თუ იმ დარღვევის)	მას აქვს (დარღვევის დასახელება)
ეტლს მიჯაჭვული	ეტლის მომხმარებელი, ეტლით მოსარგებლე
გონებაშეზღუდული, გონებრივად ჩამორჩენილი, არანორმალური	დასწავლის შეზღუდვის მქონე პირი

ინვალიდი, ხეიბარი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი
სპაზმებიანი	ცერებრალური დამბლის მქონე ადამიანი
ჯანმრთელი სხეულის მქონე, შრომისუნარიანი	შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირი
საგიჟეთის პაციენტი, გიჟი	მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანი
ყრუ-მუნჯი	ყრუ, [ბრიტანული] ჟესტების ენის მომხმარებელი, სმენადაქვეითებული ადამიანი
ბრმები	მხედველობის დარღვევების მქონე პირი, უსინათლო, მხედველობადაქვეითებული ადამიანი
ეპილეფტიკი, დიაბეტიკი, დეპრესიული ადამიანი	ეპილეფსიის/დიაბეტის/ დეპრესიის მქონე პირი, ან ადამიანი, რომელსაც აქვს ეპილეფსია/დიაბეტი/დეპრესია
ჯუჯა; ქონდრისკაცი	შეზღუდული ზრდის ან დაბალი ტანის ადამიანი
ბნედა	შეტევა

გამოსახულებები

აჩვენეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სხვადასხვა როლებში. შეძლებისდაგვარად, აჩვენეთ ისინი სხვა ხალხთან კომუნიკაციისას და არა მარტომყოფნი. აჩვენეთ, თუ როგორ შეაქვთ მათ წვლილი ამა თუ იმ საქმეში, იმის ჩვენების ნაცვლად, თუ როგორ უვლიან მათ.

წარმოჩენა

უმეტეს შემთხვევაში, ვინმეს შეზღუდული შესაძლებლობის სპეცი-ფიკის მოხსენიების აუცილებლობა არ შეიქმნება. თუ ამგვარი მითითება გაკეთდება, არ არის საჭირო დეტალებზე ფიქსაცია ან იმის ვარაუდი, რომ შეზღუდულ შესაძლებლობებს ავტომატურად თან სდევს ტანჯვა.

ატირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩვენება და ზოგადად, სიბრალულის გამოწვევის მცდელობა არაფერს მატებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის გაუმჯობესებას.

ზოგადად, ჟურნალისტებმა არ უნდა შექმნან ისეთი პროგრამები, რომლების შინაარსიც მხოლოდ და მხოლოდ შეზღუდულ შესა-ძლებლობებს გადმოსცემს. მათ უნდა წარმოაჩინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები როგორც საოჯახო, საჯარო და პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილეები, ხაზი გაუსვან დადებით მხარეებს და ახსნან, რომ ბარიერების მოშლა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მთელი საზოგადოების ინტერესებს ემსახურება.

რამდენიმე რჩევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციასთან დაკავშირებით

- გამოიყენეთ ხმის ჩვეულებრივი ტონი, არ ელაპარაკოთ საკუ-თარი უპირატესობის ხაზგასმით, ან არ აგრძნობინოთ, რომ ზემოდან უყურებთ;
- არ წარადგინოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მისი დარღვევის დასახელებით. სამედიცინო იარლიყის მიწებება შესაძლოა შეურაცხყოფად იქნეს მიჩნეული;

- ნუ იქნებით ზედმეტად მანერული ან პოლიტიკურად კორექტული — ჭარბი სენსიტიურობა სწორი და არასწორი ტერმინების და სურათხატების მიმართ ხელს შეგიშლით რამის კეთებაში. ყური დაუგდეთ, შეზღუდული შესაძლებლობის პირი როგორ მოიხსენიებს საკუთარ დარღვევას — თუკი აკეთებს ამას;
- ყურადღება მიაქციეთ, რომ თქვენ მიერ გამოყენებულმა ტერმინოლოგიამ არ გააძლიეროს უარყოფითი სტერეოტიპები;
- მოერიდეთ ისეთ იარლიყებს, რომლებიც ადამიანის შესახებ არაფერს ამბობენ და უბრალოდ აძლიერებენ იმ შთაბეჭდილებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის ავად და დამოკიდებულია სხვებზე;
- მოერიდეთ ისეთ მითითებებს, რომლებიც აკარგვინებს პიროვნებას ადამიანურ სახეს. თქვით „ამა და ამ დაავადების მქონე პირი“, და არა: „ამისა და ამის მსხვერპლი“ ან „იგი იტანჯება ამითა და ამით“. არის ერთი გამონაკლისი: ბევრი სმენადაქვეითებული ადამიანი, რომელთა პირველი ენა არის ბრიტანული ჟესტების ენა (BSL), თავს თვლის „სმენის არმქონეთა თემის“ წარმომადგენლად. მათ შესაძლოა საკუთარი თავი მოიხსენიონ, როგორც „სმენის არმქონე“, [ინგლისურად] დიდი პირველი ასოს გამოყენებით, საკუთარი იდენტობის ხაზგასასმელად;
- ყოველდღიური ტერმინოლოგიის გამოყენება მისაღებია, მაგალითად, „ნახვამდის“.
- არასდროს სცადოთ, თქვენი თანამოსაუბრის მაგივრად ილაპარაკოთ ან დაამთავროთ მათი დაწყებული წინადადება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიმართეთ ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს;
- მიმართეთ პირდაპირ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, მაშინაც კი, თუ მათ თარჯიმანი ან პარტნიორი ახლავთ;
- უზრუნველყავით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს საუბარში დანარჩენის თანასწორი როლი ჰქონდეს.

თავის გართმევა შეზღუდული რესურსების პირობებში

უმეტეს ქვეყნებში პრობლემად დგას რესურსების ნაკლებობა — ფინანსების, ცოდნის თუ გამოცდილების. ამოცანის მასშტაბის შედარება ხელმისაწვდომ რესურსებთან შესაძლოა დამთრგუნველი იყოს და უმოქმედობა გამოიწვიოს.

მონიტორინგი და შეფასება

აუცილებელია, რომ ორგანიზაციებმა, რომლებიც ახალ მიდგომებს ახორციელებენ, მათი ამ გამოცდილებიდან გაკვეთილების გამოტანის გზები შეიმუშავონ.

სოციალური ამონაგები ინვესტიციიდან

სოციალური ამონაგები ინვესტიციიდან (SROI) არის თქვენი შრომის შედეგად შექმნილი ღირებულების გაზომვის ინოვაციური მეთოდი. ეს მეთოდოლოგია შედარებით ახალია, მაგრამ იგი მესამე სექტორის ორგანიზაციების, მთავრობის, დამფინანსებლების, ინვესტორების და კომისრების მნიშვნელოვან დაინტერესებას იწვევს. ამის მიზეზი არის ამ მეთოდოლოგიის უნარი, გადმოსცეს ცვლილების დამაჯერებელი ისტორია.

ორგანიზაციებისთვის მათი მიღწევების შესახებ ანგარიშის ჩაბარებასა და დაფინანსების მოპოვებაში დახმარების გარდა, SROI-ის ასევე შეუძლია, დაეხმაროს ორგანიზაციებს, მაქსიმალურად გაზარდონ მათი სოციალური ზეგავლენა იმ ხალხთა ცხოვრების გაუმჯობესებაში, ვისთან ერთადაც მუშაობენ.

SROI არის ორგანიზაციის აქტივობის გაგების, გაზომვისა და შედეგების მენეჯმენტის ჩარჩო. SROI შესაძლოა მოიცავდეს ყველა ტიპის შედეგებს — სოციალურს, ეკონომიკურს და გარემოსთან დაკავშირებულს — მაგრამ იგი დაფუძნებულია დაინტერესებული

პირების ჩართვაზე იმის დადგენაში, თუ რომელი შედეგია რელე-ვანტური.

არსებობს SROI-ის ორი ტიპი. შეფასებითი SROI რეტროსპექტულად ტარდება და ეფუძნება იმ შედეგებს, რომლებიც უკვე მიღებული იქნა. მაპროგნოზირებელი SROI კი აკეთებს პროგნოზს იმ სოციალურ ღირებულებასთან დაკავშირებით, რაც შეიქმნება იმ შემთხვევაში, თუ აქტივობები მიაღწევს დაგეგმილ შედეგს. მაპროგნოზირებელი SROI სასარგებლოა პროექტის დაგეგმვის ეტაპზე ან იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ აგროვებდით საჭირო მონაცემებს შედეგების შესახებ და ამის გამო ვერ ახერხებთ შეფასებითი SROI-ის ჩატარებას.

SROI შემუშავდა სოციალური საბუღალტრო აღრიცხვიდან და ხარჯისა და სარგებლის ანალიზიდან და მას ბევრი რამ აქვს საერთო შედეგებზე ორიენტირებულ სხვა მიდგომებთან. თუმცა, SROI განსხვავდება სხვა მიდგომებისგან იმით, რომ იგი შედეგებს ფულად ღირებულებას ანიჭებს, რაც იძლევა მათი დაჯამების და ჩადებულ ინვესტიციასთან შედარების საშუალებას. ეს შედეგად გვაძლევს ჯამური სარგებლის (ყველა შედეგის ჯამი) შეფარდებას ჯამურ ინვესტიციასთან. მაგალითად, შესაძლებელია, ორგანიზაციის საქმიანობისთვის დახარჯულ ყოველ £1-ს შეეფარდებოდეს მის მიერ შექმნილი £4-ის ოდენობის სოციალური ღირებულება.

მართალია, თანაფარდობა მნიშვნელოვანია, მაგრამ SROI-ის ამაზე ბევრად მეტის შემოთავაზება შეუძლია. კარგი SROI — ეს ცვლილების ისტორიაა, რომელიც შეიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ აღმოჩენებს და იძლევა ინფორმაციას, რომელიც ეხმარება ორგანიზაციებს საუკეთესო შედეგების მიღებაში.

თანაფარდობა ყოველთვის მთლიანი ანალიზის კონტექსტში უნდა აღიქმებოდეს. არსებობს გასაგები შიში იმასთან დაკავშირებით, რომ დამფინანსებლებმა, დაფინანსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, შესაძლოა მხოლოდ ეს თანა-

ფარდობა გამოიყენონ. თუმცა, ის დამფინანსებელი, რომელიც გადაწყვეტილებას მხოლოდ ერთი რიცხვის საფუძველზე მიიღებს, ძალიან უგუნურად მოიქცევა. ასევე არ არის რეკომენდებული თანაფარდობის გამოყენება სხვა ორგანიზაციებთან შესადარებლად. მაშინაც კი, როდესაც ორგანიზაციები ერთ, მაგალითად, საბავშვო მომსახურების სექტორში მუშაობენ, ისინი აუცილებლად იმუშავებენ სხვადასხვა მომხმარებლებთან, რომლებსაც სხვადასხვა საჭიროებები ექნებათ, და შესაძლოა, თავიანთი თანაფარდობების გამოთვლისას განსხვავებული შეფასებები გააკეთონ. ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მიდგომა, SROI-ც გულისხმობს შეფასებების გაკეთებას, მაგრამ ეს შეფასებები უნდა იყოს კარგად დოკუმენტირებული და, შესაბამისად, გამჭვირვალე.

რატომ ვაწარმოოთ SROI?

SROI-ის შეუძლია, დაგეხმაროთ მომსახურების გაუმჯობესებაში ბევრი სხვადასხვა გზით. მას შეუძლია დაგეხმაროთ:

- თქვენი საქმიანობის შედეგად შექმნილი სოციალური, გარემოსთან დაკავშირებული და ეკონომიკური ღირებულების დადგენაში;
- თქვენ მიერ შექმნილი დადებითი ცვლილებების მაქსიმალურად გაზრდაში და თქვენი სამუშაოდან გამომდინარე ნებისმიერი უარყოფითი შედეგის გამოვლენასა და დაძლევაში;
- იმის ხელახლა გადაწყვეტაში, თუ რომელ ხალხთან ან ორგანიზაციებთან უნდა მუშაობდეთ, ან დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობის მეთოდების გაუმჯობესებაში;
- უფრო სასარგებლო და უკეთესი ხარისხის ინფორმაციის შეგროვების გზების პოვნაში.

კვლევა ბარიერების შესახებ

http://odi.dwp.gov.uk/docs/wor/new/ded-difference.pdf

კომუნიკაცია

მისაწვდომობის მიმოხილვა

უნივერსალური დიზაინის პრინციპების მისადაგება ინფორმაციას–თან მას ადამიანთა უმრავლესობისათვის და დროის ნებისმიერ მონაკვეთში მისაწვდომს ხდის. უნივერსალური დიზაინი ნიშნავს იმასაც, რომ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს მარტივ ფორმაში სხვადასხვა საშუალებით (სპეციალიზებული ფორმატების მეშვეობით), რათა ყველამ შეძლოს მისი გამოყენება.

ქვემოთმოყვანილი ინფორმაცია მოგითხრობთ, როგორ გახადოთ კომუნიკაცია უფრო მისაწვდომი მარტივი ენისა და შესაბამისი შინაარსის საშუალებით. ასევე, დეტალურად აღწერს, დიზაინის სპეციფიური პრინციპების გამოყენებით როგორ უნდა გახადოთ ნაბეჭდი მასალა უფრო ხელმისაწვდომი.

მაგრამ ზოგი ადამიანი ვერ იყენებს ნაბეჭდ ინფორმაციას. მათ შორის არიან ისინი, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენა არ არის, ვისაც კითხვასთან დაკავშირებით სირთულეები აქვს, ვისაც დაქვეითებული აქვს მხედველობა ან უსინათლოა. არსებობს მთელი რიგი სპეციალური ფორმატებისა, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, მივწვდეთ ასეთ აუდიტორიას, და ისინიც მოხაზული გვაქვს.

შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში შეიძლება ძნელი გახდეს გადა–წყვეტა, თუ რა ფორმატით ისარგებლოთ.

ეს საკითხი კომუნიკაციის გეგმის შედგენისას უნდა გადაწყდეს. ამ დროს სასარგებლო იქნება, თუ თავს შემდეგ კითხვებს დაუსვამთ:

- როგორია სამიზნე აუდიტორიის შემადგენლობა?
- რა სახის ინფორმაცია გაქვთ და რამდენადაა ის მნიშვნელოვანი?

- ინფორმაცია აქტუალურია დროის მცირე თუ ხანგრძლივი პერიოდისთვის?

მარტივი ენა

- იცნობდეთ თქვენს აუდიტორიას;
- გამოიყენეთ ყოველდღიური ენა, რაც მკითხველებისათვის ნაცნობია;
- იხმარეთ მოკლე, მკაფიო წინადადებები (15–20 სიტყვა);
- ერთი აზრი ერთ წინადადებაში საუკეთესო ფორმაა;
- პარაგრაფები უნდა იყოს მოკლე, თითო პარაგრაფში მოცემული იყოს თითო თემა;
- ერიდეთ მრავალმარცვლიანი სიტყვების გამოყენებას, როდესაც შეიძლება უფრო მოკლე სიტყვა იხმაროთ;
- ერიდეთ აკრონიმების, ჟარგონის, ტექნიკური სიტყვებისა და დეტალების ხმარებას; თუ აკრონიმს იყენებთ, თავდაპირველად ყოველთვის დაასახელეთ გაშლილი ვერსია;
- ეცადეთ, უმეტეს შემთხვევაში გამოიყენოთ მოქმედებითი გვარი და არა ვნებითი. მაგალითად, ჯობია: „პეტრემ ბურთი ისროლა“ და არა: „ბურთი პეტრეს მიერ იყო ნასროლი“;
- იხმარეთ „თქვენ“ და „ჩვენ“;
- იყავით სასარგებლო, ჰუმანური და თავაზიანი;
- საჭიროების შემთხვევაში მისაღებია ჩამონათვალის გამოყენება (ზემოთმოყვანილის მსგავსის).

როგორ ვესაუბროთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ვისაუბროთ მათ შესახებ?

ზრდილობიანი მეტყველება უბრალოდ პატივისცემის და ჩვეულებრივი თავაზიანობის გამომჟღავნებაა. წარმოიდგინეთ, რომ ესაუბრებით ქალს ანდა უფროს ადამიანს.

- იყავით უბრალო, აკურატული და ნეიტრალური;
- ხშირად არაა სასურველი, დაასახელო ადამიანის დარღვევები;

- ნუ მოიხსენიებთ ადამიანს მისი შეზღუდვის ან მის მიერ გამოყენებული სამარჯვის მიხედვით;
- გამოიყენეთ ნეიტრალური ენა — რთული საკითხების ურთიერთპატივისცემის და ღირსების შენარჩუნებით განხილვის ხელოვნება;
- გამოიყენეთ ინკლუზიური ენა — ერიდეთ უარყოფითი სოციალური სტერეოტოპების ჩამოყალიბებას ან გავრცობას. მაგალითად, თქვით, რომ ადამიანი არის ეტლის მომხმარებელი და არა ის, რომ იგი ეტლსაა მიჯაჭვული. ამას გარდა, შესაძლებელია, ადამიანს ჰქონდეს დარღვევა, მაგრამ ამით არც წუხდებოდეს და არც იტანჯებოდეს.

გამოსახულებების გამოყენება

- შეზღუდული შესაძლებლობის პირთა შესახებ ინფორმაცია მათ საზოგადოების ჩვეულებრივ წევრებად უნდა გამოსახავდეს და არ ჩამოაყალიბოს განკერძოებულობის და განსაკუთრებულობის შთაბეჭდილება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეიძლება ჩავრთოთ საერთო ილუსტრაციებში და ამით მივუთითოთ, რომ ისინი საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები არიან, როგორც დანარჩენები;
- აჩვენეთ ისინი ყოველდღიურ სოციალურ სიტუაციებში და სამუშაო ადგილზე. ნუ ფოკუსირდებით მხოლოდ სამედიცინო და დამოკიდებულებით ურთიერთობებზე, მაგალითად, იმაზე, თუ როგორ გადაჰყავთ ქუჩაზე უსინათლო ადამიანი;
- ნუ ფოკუსირდებით დარღვევაზე და ნუ შექმნით იზოლაციის ილუზიას;
- თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შერეული არიან მასას და არ გამოირჩევიან, ეს კარგია — ბოლოს და ბოლოს, ზოგი დარღვევა სულაც თვალით უხილავია.

ნაბეჭდი ხელმისაწვდომი უნდა იყოს

ფონტები

- ძირითადი ტექსტი 12 ან მეტი ზომისა უნდა იყოს;
- გამოიყენეთ სადა ფონტები, მაგალითად, Arial;
- ერიდეთ ძლიერ სტილიზებული ან ხელნაწერს მიმსგავსებული შრიფტების გამოყენებას;
- შრიფტი შეიძლება სხვადასხვა სიმკვეთრისა იყოს. ერიდეთ მსუბუქ ვარიანტებს, ამ შემთხვევაში იხარჯება ნაკლები მელანი და კონტრასტი ქაღალდსა და ტექსტს შორის სუსტია;
- ერიდეთ დახრილი შრიფტის გამოყენებას, ზოგი ადამიანისათვის ის ძნელი წასაკითხია;
- გამსხვილებული შრიფტი ტექსტში გარკვეული ნაწილების გამოსაყოფად შეიძლება გამოიყენოთ;
- ერიდეთ მთელი სიტყვების ასომთავრულით დაწერას. ადამიანის თვალი კითხულობს და ამოიცნობს სიტყვების მოხაზულობას და როდესაც სიტყვა მთლიანად მთავრული ასოებითაა აწყობილი, ეს აძნელებს წაკითხვას.

დიზაინის სხვა მახასიათებლები

- ციფრები უფრო ძნელი წასაკითხია, ვიდრე ასოები;
- გამოიყენეთ შრიფტები, სადაც ციფრები მკაფიოა ან დაწერეთ სიტყვიერად;
- ერიდეთ ქვეშ ხაზის გასმას;
- ბწკარის სიგრძე 60–70 ასონიშანს არ უნდა აღემატებოდეს;
- გაასწორეთ ტექსტი მარცხენა მინდორზე;
- ერიდეთ ტექსტის მარჯვენა მხარეს გასწორებას;
- მანძილი ბწკარებს შორის უნდა იყოს 1,5 ინტერვალი, ხოლო სიტყვებს შორის — ორი ინტერვალი;
- სიტყვები თანაბრად უნდა იყოს განაწილებული;
- დარწმუნდით, რომ ტექსტსა და ფონს შორის მკაფიო კონტრასტია;

- ტექსტისა და გამოსახულებების გარშემო უხვად დატოვეთ თეთრი სივრცე და გვერდის სხვადასხვა ელემენტები ერთმანეთისაგან გამოყავით;
- ერიდეთ ტექსტის გამოსახულებაზე დადებას ან ჭრელი ფონის გამოყენებას;
- ერიდეთ ფერად ჩრდილებს ან ეკრანებს, რაც ამცირებს კონტრასტს ტექსტსა და ფონს შორის;
- ტექსტის გარკვეული ნაწილების გამოსაყოფად გამოიყენეთ თეთრი სივრცე ან ჩარჩოები;
- წაკითხვა რომ გაადვილდეს, პარაგრაფებს შორის მეტი სივრცე დატოვეთ;
- ერიდეთ გამოსახულების გარშემო ტესტის განლაგებას, რადგან ამ შემთხვევაში ტექსტის ბწკარები სხვადასხვა ადგილიდან იწყება და ძნელი მოსაძებნია;
- ფორმებში ხელმოწერისათვის მეტი სივრცე დატოვეთ;
- იყავით თანმიმდევრული, მაგალითად, დარწმუნდით, რომ გვერდის ნომრები ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილასაა განლაგებული.

ქაღალდი

- გამოიყენეთ გლუვი ან ატლასის ქაღალდი პრიალას ნაცვლად;
- გამოიყენეთ საკმარისად მკვრივი ქაღალდი, ტექსტი მეორე მხარეს რომ არ ლანდავდეს.

აკინძვა

- ნაბეჭდი დოკუმენტები ბრტყლად უნდა იშლებოდეს და თავისთავად არ იხურებოდეს.

E-მეილი

თუ საინფორმაციო ბიულეტენს ელექტრონული ფოსტით აგზავნით:

- გაგზავნეთ ორიგინალური WORD დოკუმენტი, ასევე PDF ფაილი;
- თუ დოკუმენტი მოკლეა, ის ძირითად წერილშიც ჩართეთ;
- ტექსტის ბოლოს მიუთითეთ ვებმისამართი;

- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყავით ვიდეო სუბტიტრებით ან დაურთეთ ახალი ზელანდიის ჟესტების ენაზე შესრულებული ტექსტი;
- ნუ გამოიყენებთ PDF ფაილს, როგორც კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებას.

ინტერნეტი

ინფორმაცია ინტერნეტში უნდა იყოს:

- ხელმისაწვდომი HTML;
- ნიშნულიანი (ტეგირებული) PDF ფაილების სახით, ოპტიმიზირებული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ნუ გამოიყენებთ ჩვეულებრივ PDF ფაილებს, როგორც კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებას. მათ ვერ კითხულობს ტექსტის გამხმოვანებელი და შეიძლება მიუწვდომელი იყოს სხვა დარღვევების მქონე ადამიანებისთვისაც.
- სპეციალიზებული ფორმატები, როგორიცაა აუდიო, ახალი ზელანდიის ჟესტების ენით აღჭურვილი ვიდეო, სუბტიტრებიანი ვიდეო და ტრანსკრიპციები შეიძლება დაიდოს ონლაინ.

სპეციალიზებული ფორმატები

თქვენ დაგჭირდებათ მასალის სპეციალიზებულ ფორმატში მიწოდება იმ ადამიანებისათვის, ვისაც არ შეუძლიათ ინფორმაციის აღქმა მაშინაც კი, როდესაც ის მარტივი ენით და დიზაინის ზემოთმოყვანილი პრინციპების გათვალისწინებითაა წარმოდგენილი.

ადვილი საკითხავი ინტელექტუალური დაქვეითების ან დასწავლის შეზღუდვის მქონე ადამიანებისათვის

დასწავლის შეზღუდვის მქონე ადამიანებისთვის და მათთვის, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენა არ არის, გამოსადეგი იქნება ადვილად წასაკითხი ტექსტი. ეს არ არის ბავშვური ენა. ის შეიცავს ნაკლებ სიტყვებს და მეტ დიაგრამებს.

ადვილად წასაკითხი გვერდები უნდა შეიცავდეს:

- მარტივ სიტყვებს;
- მსხვილ შრიფტს;
- სურათებს;
- ერთ აზრს ერთ გვერდზე;
- სიტყვებს, რომლებიც ვებგვერდზე გახმოვანებულია;
- სასურველი გვერდის ადვილად მიგნების საშუალებას.

ტექსტური ტრანსლაციის საშუალება სმენადაქვეითებული ადამიანებისათვის

ტექსტური ტრანსლაცია გაერთიანებული სამეფოს სატელეფონო სამსახურის ნაწილია. ის განკუთვნილია ადამიანებისათვის, ვინც ვერ იყენებს სტანდარტულ ხმოვან ტელეფონს.

მსხვილად ნაბეჭდი

მსხვილად ნაბეჭდი ტექსტი მოსახერხებელია ადამიანებისათვის, ვინც ვერ კითხულობს უნივერსალური დიზაინის მიერ რეკომენდებულ შრიფტის ზომას (12).

- მარტივი დოკუმენტები გრაფიკების გარეშე ადვილი დასამზადებელია;
- შრიფტის ზომა 16-სა და 22-ს შორის უნდა იყოს;
- თუ მკითველს გვერდზე ჩანაწერების გაკეთება სჭირდება, დატოვეთ ამისათვის საკმარისი სივრცე კიდეებზე ან ტექსტის ელემენტებს შორის;
- გვერდის ზომა მოხერხებული უნდა იყოს ხელში დასაკავებლად;
- გამეორებადი მახასიათებლები, როგორიცაა სათაურები ან გვერდის ნომრები, ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილზე უნდა იყოს;
- კითხვის გასაადვილებლად დატოვეთ საკმაო მანძილი პარაგრაფებს შორის.

აუდიო

ციფრული აუდიოფაილები უნდა გავრცელდეს CD-ROM-ის ან DVD-ის საშუალებით, ან მათი ჩამოტვირთვა ვებგვერდიდან უნდა იყოს შესაძლებელი.

ციფრული ხმოვანი ფაილების შექმნა საკმაოდ ადვილია. დაგ-ჭირდებათ მხოლოდ პერსონალური კომპიუტერი აუდიოპლატით, სათანადო ხარისხის მიკროფონი და ხმის ჩამწერი მოწყობილობა. შესაძლებელია, დაგჭირდეთ პროფესიონალის დახმარება პრო-დუქტის საბოლოო რედაქტირებისათვის და შესაძლო შეცდომების გასწორებისათვის. უსინათლო ადამიანებს მაღალი ხარისხის ჟღერადობა ესაჭიროებათ.

ვიდეოების, მათ შორის DVD–ების ხმოვანი აღწერილობა

ხმოვანი აღწერილობა საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რის დანახვაც არ შეგიძლიათ.

ბრაილი

ამჟამად ბრაილი უფრო იშვიათად გამოიყენება, ვინაიდან ელექ-ტრონული მოწყობილობები ინფორმაციას უფრო მისაწვდომს ხდიან. მაგრამ ხანშიშესული უსინათლო ადამიანები მასზე არიან დამოკიდებული და, გარდა ამისა, სხვებსაც შეიძლება ჰქონდეთ მისი გამოყენების სურვილი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დოკუმენტს ხშირად და რეალურ დროში მიმართავენ (მაგალით-ად, შეხვედრის კონსპექტი, დღის წესრიგი, საკონსულტაციო დო-კუმენტები). ზოგმა მკითხველმა (ერთდროულად უსინათლო და სმენის არმქონე პირმა) შესაძლებელია გამოიყენოს კომპიუტერი, რომელიც ამონაბეჭდს ბრაილის ფორმით იძლევა.

ბრაილი არის:

- უფრო ძვირადღირებული, ვიდრე სხვა სპეციალიზებული ფორ-მატები;
- ინფორმაციის მიღების პირველწყარო ზოგი ადამიანისათვის;
- წერილობითი ინფორმაციის ერთადერთი წყარო ზოგი ადა-მიანისთვის, მაგალითად, ერთდროულად უსინათლო და სმენის არმქონე ადამიანებისთვის.

ფორმატები ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანებისათვის

ვიდეოს სუბტიტრები

სუბტიტრებს ყველა ხმოვანი ელემენტი წარწერებში გადაჰყავს და მაყურებლებს შეუძლიათ, ერთდროულად ადევნონ თვალი დიალოგს და მოქმედებასაც.

არსებობს სპეციალური კომერციული ვიდეოკომპანიები, რომლებიც სუბტიტრებს ადებენ, მაგრამ დარწმუნდით, რომ მათ იციან, როგორც შექმნან სუბტიტრები ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანებისათვის.

მინიშნებები სუბტიტების დადებისათვის

- დარწმუნდით, რომ აუდიტორია მოლაპარაკესა და მისი სიტყვის ტექსტს ერთმანეთთან აკავშირებს;
- ჩასვით სუბტიტრები ცენტრში, ეკრანის ქვედა კიდესთან, ისე, რომ მან არ დაფაროს სხვა საჭირო ინფორმაცია. ტექსტის გარშემო ცარიელი სივრცე შექმენით;
- ტექსტმა არ უნდა გადაინაცვლოს ეკრანის კიდისაკენ;
- გამოიყენეთ მსხვილი თეთრი შრიფტი, სადა (Arial-ის მსგავსი) ფონტით, მთლიანად შავ ფონზე;
- ეკრანზე ტექსტის მხოლოდ ერთი ან ორი ბწკარი უნდა იყოს;
- ეკრანზე ერთდროულად ცოტა სიტყვის გამოჩენა და მათი ხშირი ცვლა ყველაზე უკეთ ამართლებს;
- ადამიანთა სახელები და მონაცემები, რომლებიც ეკრანზე მოკლე ხნით ჩნდებიან, სუბტიტრების ზემოთ წარმოადგინეთ;
- სუბტიტრებმა უნდა გადმოსცენ საუბარი და არა მისი ინტერპრეტაცია ან შინაარსი;
- თუ ლაპარაკობს რამდენიმე ადამიანი ან კადრი სვადასხვა მოლაპარაკე ადამიანებს შორის იცვლება, სუბტიტრებში მათი სახელები ფრჩხილებში ჩასვით ან გამოიყენეთ განსხვავებული ფერები სხვადასხვა ადამიანების საუბრის აღსანიშნად;

- სუბტიტრების გაკეთების საუკეთესო პრაქტიკა სატელევიზიო გადაცემებში, ტელეტექსტების სუბტიტრებით არის წარმოდგენილი;
- ნებისმიერი განცხადება (რეკლამა) ტელევიზიაში სუბტიტრების თანხლებით უნდა მიდიოდეს. ახალი ზელანდიის ტელევიზიის სუბტიტრების ცენტრი ამას ახერხებს.

ჟესტების ენა

[ბრიტანული] ჟესტების ენა პირველი ენა იყო იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ყრუ დაიბადნენ ან დაკარგეს სმენა, ვიდრე ლაპარაკს ისწავლიდნენ.

ნაბეჭდი მასალა ამ ადამიანებისათვის კომუნიკაციის საუკეთესო საშუალება არ არის.

საუკეთესო საშუალებაა:
- სურდოთარჯიმნის გამოყენება;
- DVD–ები ან ვებგვერდზე ჟესტების ენით აღჭურვილი ვიდეომასალის განთავსება;
- SMS–ები, განსაკუთრებით, შედარებით ახალგაზრდა ყრუ ადამიანებისათვის.

ჟესტების ენის ვიდეოების შექმნა

იმუშავეთ იმ ყრუ ადამიანებთან, ვინც კარგად ფლობს ჟესტების ენას და [ინგლისურს] და ვინც იცის, როგორ მიაწოდოს მასალა ყრუ აუდიტორიას.

თქვენ შეგიძლიათ, ვიდეოები შინ შექმნათ, ვინაიდან ვებსაიტზე დასადები მასალა არ მოითხოვს მაღალი ხარისხის გარჩევადობას.
- გამოიყენეთ შეძლებისდაგვარად საუკეთესო ტექნიკა;
- გამოიყენეთ კონტრასტული ფონი, თარჯიმნის ხელები და სახის გამომეტყველება კარგად რომ ჩანდეს;

- არ გადაიღოთ ფანჯრის წინ (კონტრაჟურში);
- ყოველთვის გამოიყენეთ შტატივი, კამერის ცახცახის თავიდან ასაცილებლად;
- გადაღებისათვის შეარჩიეთ წყნარი გარემო;
- თქვენ არ გესაჭიროებათ პანორამირება ან ზუმი;
- კადრირება კრიტიკული მომენტია. კადრი უფრო ფართო უნდა იყოს, ვიდრე სურდოთარჯიმნის ხელების მოძრაობის დიაპაზონია. გამოცდილება აჩვენებს, რომ მოსახერხებელია ჩარჩოს დაყენება წელიდან თავის თხემამდე და მხრებიდან ოცდაათი სანტიმეტრის დაშორებით. ჟესტების ყველა თარჯიმანს ხელის მოძრაობის ოდნავ განსხვავებული სივრცე აქვს. ჟესტების ენის ვიდეოებში არ უნდა იყოს მსხვილი პლანი.
- დაიწყეთ სახეზე ფოკუსირებით და შემდეგ დააშორეთ კადრი და დააყენეთ ჩარჩო ზემოთაღწერილი წესით. ეს უზრუნველყოფს, რომ თარჯიმანი ფოკუსში იმყოფებოდეს;
- სურდოთარჯიმანს არ უნდა ეცვას ზოლიანი ან ჭრელი სამოსი;
- ჟესტების ენის გრამატიკის დიდი ნაწილი სახის გამომეტ-ყველებით გადმოიცემა, ასე რომ, თარჯიმნის სახის დეტალები კარგად უნდა ჩანდეს. თუ მასალას ვებსაიტზე ათავსებთ, დარ-წმუნდით, რომ ვიდეოფანჯარა საკმაოდ დიდია და გარჩევადო-ბა საშუალებას აძლევს მაყურებელს, ჟესტების ენით მოსაუბრე ადამიანის სახის გამომეტყველება კარგად დაინახოს.

სურდოთარჯიმნები

პირისპირ კომუნიკაცია სურდოთარჯიმნის დახმარებით ზოგიერთ სიტუაციაში პრაქტიკული გადაწყვეტილება იქნება; მაგალითად, მაშინ, როცა თქვენ ინფორმაცია უნდა მიაწოდოთ რამდენიმე ყრუ ადამიანს, ვისაც ერთად შეკრება შეუძლიათ.

ჟესტების ენის სააგენტოების მოძებნა ინტერნეტის საშუალებით შეიძლება.

ვინ იგებს ინკლუზიური კომუნიკაციისას?

ბრიტანეთში 10 მილიონზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. სამთავრობო საკონტაქტო პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მათი გზავნილი ყველას მისწვდება. ამის მიღწევა შესაძლებელია, თუ უზრუნველყოფილი იქნება ყველა კომუნიკაციის ინკლუზიურობა და მისაწვდომობა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების ოფისს (ODI) შეუძლია, დახმარება გაუწიოს სამთავრობო საკონტაქტო პირებს:

- ნებისმიერ პროექტში დასაწყისიდანვე ჩართონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები პოზიტიურად იყვნენ წარმოჩენილი;
- შექმნან მისაწვდომი კომუნიკაციები;
- ხელი მიუწვდებოდეთ უფასო გამოსახულებების ბიბლიოთეკაზე;
- მიაწოდონ ადაპტირებული ონლაინ ვიდეოები და პოდკასტები.

რჩევები ინკლუზიური კომუნიკაციისთვის

ODI ეხმარება სახელმწიფო მოხელეებს, პროცესში ჩართონ და წარმოაჩინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. ჩვენ ვიძლევით სტრატეგიულ რჩევებს, გთავაზობთ ხელსაწყოებს და გეხმარებით ახალი უნარების შეძენაში.

- ODI–ის გამოსახულებათა ბიბლიოთეკა გთავაზობთ შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პირთა უფასო, პოზიტიურ გამოსახულებებს სამთავრობო საკონტაქტო პირებისთვის;
- ODI–ის *ადაპტირებული მედია პლეიერი* ხელს უწყობს ადა-პტირებული ონლაინ ვიდეოების და პოდკასტების მიწოდებას;
- ODI–ის ბუკლეტში „ინკლუზიური კომუნიკაციის უზრუნველყოფა“ მოწოდებულია რჩევები სამთავრობო საკონტაქტო პირების-თვის;

- „ინკლუზიური კომუნიკაციების“ ნაწილში ეს იდეები უფრო დაწვრილებითაა განხილული.

რესურსები

- Delivering inclusive communications (ინკლუზიური კომუნიკაციის მიწოდება)
- Representing disabled people positively (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოზიტიური წარმოჩენა)
- Developing inclusive communications (ინკლუზიური კომუნიკაციების განვითარება)
- The language of disability (შეზღუდული შესაძლებლობის ენა)
- Inclusive digital communications (ინკლუზიური ციფრული კომუნიკაცია)
- Alternative formats (ალტერნატიული ფორმატები)
- Involving disabled people (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვა)
- Inclusive policymaking (ინკლუზიური პილიტიკა)
- Disability facts and figures (ფაქტები და ციფრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ)
- The social model of disability (შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი)
- Contact the Communications Team at the Office for Disability Issues (დაუკავშირდი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების დეპარტამენტთან არსებულ საკომუნიკაციო ჯგუფს).

წარმოჩენა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეალისტური წარმოჩენა გადამწყვეტია ეფექტიანი ცვლილებების გასატარებლად და სერვისების გასაუმჯობესებლად.

შეზღუდული შესაძლებლობის პოზიტიური იმიჯი — ეს არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ერთი ან მეტი პირის მკაფიო, კრეატიული და მასტიმულირებელი წარმოჩენა. ის დამყარებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის სოციალურ და არა

სამედიცინო მოდელზე. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ: ფოტო, გრაფიკული გამოსახულება ან სიმბოლო სიუჟეტურ ხაზში, თუ ვიზუალური ან აკუსტიკური მინიშნება.

პოზიტიური წარმოჩენა ხელს შეუწყობს საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას და გაზრდის მოლოდინებს იმის თაობაზე, თუ რის მიღწევა შეუძლიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. ეს აგრეთვე ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, დაუკავშირდნენ და შეუერთდნენ თქვენს კამპანიას.

მოლოდინების გაზრდა

მრავალი სამთავრობო მიზანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და მათ ოჯახებთან ურთიერთობას ეფუძნება. ამჟამად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ აქვთ თანასწორი შესაძლებლობები ჯანდაცვის, განათლების და დასაქმების მიღების კუთხით და მთავრობები აცნობიერებენ რეალური ცვლილებების აუცილებლობას.

მთავრობა პასუხს აგებს გაერთიანებულ სამეფოში სარეკლამო ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილზე და ამგვარად ცენტრალური როლი ეკუთვნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული სარეკლამო პროდუქტების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდაში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკუთარ შემოქმედებით პროდუქტში ჩართვით, სამთავრობო რეკლამირებას შეუძლია, შეცვალოს აზრი, რომ შეზღუდული შესაძლებლობები — ეს არის ტრაგედია, რომელიც ადამიანთა მცირე ნაწილს ეხება. ამის სანაცვლოდ, ჩვენ შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ ეს ცხოვრების ნორმალური ნაწილია და რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეუძლიათ, წარმატებული იყვნენ სხვადასხვა როლში.

რაც უფრო მეტია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოზიტიური წარმოჩენა, მით უფრო ადვილია საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა. ნებისმიერი კამპანია, რომელიც შეიცავს პოზიტიურ გზავნილს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ, რომელიც პოზიტიურად წარმოაჩენს მათ, აიოლებს ამ საკითხის გადაწყვეტას.

მიიპყარით თქვენი აუდიტორიის ყურადღება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობა, ის, თუ როგორ არიან ისინი წარმოდგენილი სამთავრობო კომუნიკაციებში, ასევე ახდენს გავლენას იმაზე, თუ რამდენ ყურადღებას დაუთმობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ოჯახები თქვენს გზავნილებს.

მაგალითად, კომუნიკაციური კამპანია, რომელიც აქეზებს ადამიანებს, სოციალური ზრუნვის სფეროში იმუშაონ, უნდა შეიცავდეს აზრს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არა მხოლოდ მიიღებენ, არამედ კიდევაც გასცემენ დახმარებას.

რის გაკეთება შეგიძლიათ?

როდესაც კი შეძლებთ:

- ჩართეთ თქვენს კომუნიკაციებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოზიტიური სახე;
- შეუკვეთეთ პროდუქტი, რომელიც შეიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოზიტიურ წარმოჩენას.

ერიდეთ, დაახასიათოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, როგორც:

- თავიანთი დარღვევების თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის მსხვერპლნი;
- გმირები;
- სხვებზე დამოკიდებულნი;
- მომხმარებლები და არა გამცემები (საზოგადოებისა და ეკონომიკისათვის);

- მხოლოდ ეტლისა და თეთრი ხელჯოხის მომხმარებლები.

რესურსი

- Office for Disability Issues image gallery (შეზღუდული შესაძლებლობის საკითხთა დეპარტამენტის გამოსახულებათა გალერეა)

ინსტრუქცია — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების წარმოჩენის რჩევები

დიაპაზონი

მნიშვნელოვანია დარღვევების ფართო დიაპაზონის წარმოჩენა, თვალით უხილავი დარღვევებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობების ჩათვლით.

გმირები

გმირების როლი ძუნწად გამოიყენეთ. ის არ ასახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ყოველდღიურ რეალობას. გახსოვდეთ, რომ:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ათლეტი, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა, ისევეა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წარმომადგენელი, როგორც, ვთქვათ, ბექჰემია შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ადამიანების წარმომადგენელი;
- ძალიან მაღალი მიღწევების გამუდმებულმა წარმოჩენამ შეიძლება ზოგ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს საკუთარი თავის რწმენა დაუქვეითოს;
- ზოგიერთმა მაყურებელმა გმირული მიღწევები შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის კომპენსირებად აღიქვას.

მსხვერპლი

ზოგადად, ერიდეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მსხვერპლად ან პასიურებად წარმოჩენას.

მნიშვნელოვანია რეალობის ასახვა — მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უფრო ხშირად შეიძლება გახდნენ ბოროტმოქმედების მსხვერპლი, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირები. მიუხედავად ამისა, ყველა შეიძლება გახდეს ბოროტმოქმედების მსხვერპლი ან ეშინოდეს ამისა.

მომვლელები

გაერთიანებულ სამეფოში ბევრი მომვლელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახის წევრია. ისინი ასევე ნაკლებად არიან წარმოჩენილი მედიაში. როდესაც მზრუნველებს აჩვენებთ, უფრთხილდით, არ წარმოადგინოთ ისინი წამებულებად ან ანგელოზებად — მაგრამ ნურც დააკნინებთ მათ მნიშვნელობას. ისინი და ოჯახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრები თანასწორებად წარმოაჩინეთ.

რესურსები

- Addressing criticism and complaints (კრიტიკა და ჩივილები)
- Representation (წარმოჩენა)
- Inclusive communications (ინკლუზიური კომუნიკაცია)

იუმორი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს თავდაჯერებულობას მატებს

იუმორი შეიძლება ძლიერ კრეატიულ იარაღად იქცეს. სარეკლამო სააგენტოები მას რეგულარულად იყენებენ საზღვრების გასარღვევად და უჩვეულო კომბინაციების შექმნით ადამიანებს ამა თუ იმ პროდუქციის შესაძენად აქეზებენ.

იუმორი პასიურ კითხვაზე, თვალის დევნებაზე ან მოსმენაზე უკეთ მოუწოდებს ადამიანს მონაწილეობისაკენ. მას შეუძლია, ერთმანეთს შეუთავსოს მსგავსება და განსხვავება და შეიძლება

გაიძულოთ, ერთი აზრიდან სხვა, ხშირად საწინააღმდეგო, აზრზე გადახტეთ.

მსახიობები და მოდელები — დაასაქმეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

სად ვეძებოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსახიობები და მოდელები?

- *გრაების თეატრი* (Graeae Theatre) ამზადებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსახიობებს და მათ მონაცემთა ბაზაში მრავალი ასეთი მსახიობია;
- *თანასწორობას* (Equity) მოეპოვება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსახიობთა სია;
- *მე-4 არხს* (Channel 4) აქვს ვებგვერდი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ტალანტებს ეძღვნება;
- *ხელოვანთა საბჭო* (The Arts Council) გამოყოფს 25 თეატრალურ კომპანიას, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსახიობებთან მუშაობენ;
- *VisABLE People* პირველი სააგენტოა გაერთიანებულ სამეფოში, რომლის ერთადერთი მიზანია, უზრუნველყოს სატელევიზიო, კინო- და სარეკლამო ინდუსტრიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსახიობები, პროფესიონალი მოდელები და წამყვანები დაასაქმოს;
- *ფრთხილად, ნაპრალია* (Mind the gap) წარმოადგენს დასწავლის შეზღუდვის მქონე მსახიობებს;
- *შოუფოლიო* (Showfolio) საშუალებას გაძლევთ, მოიძიოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ტელე-, კინო და კომერციული რეკლამის შტატგარეშე მუშაკები;
- *პროჟექტორი* (Spotlight) გაერთიანებული სამეფოს უმსხვილესი ქასთინგ-სააგენტოა, რომელსაც დაახლოებით 30 000 შემსრულებლის მონაცემები მოეპოვება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსახიობებისა და მოდელების ქასთინგი

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა როლებზე ყოველ-თვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსახიობები მოიწვიეთ;
- მზად იყავით, იყოთ მოქნილი. შესაძლებელია ვერ მონახოთ რეალური პირი, რომელსაც იგივე დარღვევები აქვს, იმავე ასაკის და სქესისაა, რაც სცენარში აღწერილი გმირი;
- ქასთინგ-სააგენტოებს სპეციალურად მიმართეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოსაძებნად. როდესაც სა-აგენტოები მიხვდებიან, რომ მოთხოვნა არსებობს, ისინი მეტი რაოდენობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსახიობს შეიყვანენ თავიანთ ცნობარებში;
- თქვენთვის საჭირო ადამიანი რაც შეიძლება ბევრგან ეძებეთ;
- კრეატიულად იმუშავეთ თქვენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსახიობთან, მისი ნაკლის და ჯანმრთელობის მდგო-მარეობის გათვალისწინებით. შეიძლება იუმორისა და გაოცე-ბისთვისაც გამოინახოს ადგილი;
- მისაღებია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობაში ყოველდღიური სასაუბრო ენის გამოყენება;
- ავტომატურად ნუ შეარჩევთ ლამაზ ან მოტივირებულ პირებს. ქასთინგის დროს ეცადეთ, ესთეტიკურისაგან განსხვავებული კრიტერიუმებით იხელმძღვანელოთ;
- ზოგჯერ შეზღუდული შესაძლებლობის ქონა შეიძლება წარ-მატებით ჩაჯდეს კამპანიაში ქასთინგის ან წარმოების საწყის ეტაპებზე, მაგალითად, თუ ქასთინგზე სმენადაქვეითებული მსა-ხიობი მოვიდა;
- დარწმუნდით, რომ თქვენი ხელშეკრულების ფორმა ადაპტირე-ბულია.

კინოგადაღებები

- დარწმუნდით, რომ კინოგადაღების მოედანი და გახმოვანების სტუდია აღჭურვილია აუცილებელი მოწყობილობებით თქვენი მსახიობების საჭიროებიდან გამომდინარე; მაგალითად, აქვს

მოხერხებული პარკინგი ან არის კარგი საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის საშუალება;

- გადაღებამდე დაეკითხეთ მსახიობს ან მოდელს, ხომ არ აქვთ რამე მოთხოვნები მისაწვდომობასთან დაკავშირებით და დარწმუნდით, რომ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. მაგალითად, თუ მათ ესაჭიროებათ ენობრივი სერვისის პროფესიონალის დახმარება, წინასწარ დაიქირავეთ ასეთი ადამიანი;
- დარწმუნდით, რომ სამუშაო დღე არ არის ზედმეტად ხანგრძლივი და აუცილებლობის შემთხვევაში გააკეთეთ შესვენებები;
- განახორციელეთ მისაწვდომობის აუდიტი გადასაღებ მოედანსა და სტუდიაში, რათა შეაფასოთ, რა პრობლემები შეიძლება წამოიჭრას და რა შეიძლება ადვილად შეიცვალოს, მოქმედების ადგილი უფრო მისაწვდომი რომ გახდეს;
- დარწმუნდით, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მსახიობს გაუგზავნით, მისთვის მისაწვდომ ფორმატშია შესრულებული.

შეზღუდული შესაძლებლობის პრობლემების ოფისის ფარგლებს გარეთ

- Graeae Theatre website (გრაების თეატრის ვებსაიტი)
- Equity website (თანასწორობის ვებსაიტი)
- Channel 4 '4 Disabled Talent' website (მეოთხე არხის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ტალანტების" ვებსაიტი)
- The Arts Council website (ხელოვანთა საბჭოს ვებსაიტი)
- VisABLE People website (*VisABLE People–ის* ვებსაიტი)
- Mind the gap website (*ფრთხილად, ნაპრალია*–ს ვებსაიტი)
- Showfolio website (*შოუფოლიო*–ს ვებსაიტი)
- Spotlight website (*პროჟექტორის* ვებსაიტი)

ციფრული კომუნიკაცია

მთავრობა სულ უფრო ხშირად ურთიერთობს მოქალაქეებთან ციფრული ფორმით. მაგალითად, მოქალაქეს შეუძლია წარადგინოს გადასახადების დაბრუნების მის მიერ შეფასებული მოთხოვნა და

მიიღოს მონაწილეობა კონსულტაციებში ონლაინ რეჟიმში. დროს ნუ დაინანებთ იმის უზრუნველსაყოფად, რომ თქვენი ციფრული კომუნიკაციის საშუალებები ადაპტირებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის. ეს გაზრდის თქვენი, როგორც საკონტაქტო პირის, მუშაობის ეფექტიანობას.

თქვენ ასევე გაკისრიათ იურიდიული პასუხისმგებლობა, ციფრული კომუნიკაციის დროს არ დაუშვათ ადამიანის დისკრიმინაცია.

ციფრულმა კომუნიკაციამ შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს მეტი თავისუფლება მიანიჭოს, თუ ის ადაპტირებული იქნება. მაგრამ შეიძლება წარმოქმნას პრობლემებიც, თუ ის არ იქნა ადაპტირებული. იზრუნეთ, რომ თქვენი აუდიტორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წარმომადგელებისთვის ციფრული ფორმატი მისაწვდომი გახადოთ.

მნიშვნელოვანია, გარკვეული იყოთ იმ დამხმარე ტექნოლოგიებში, რომელთაც ზოგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იყენებს – მაგალითად, ისეთში, როგორიცაა ტექსტის გამხმოვანებლები, რომლებიც ტექსტს ხმად აქცევენ, და პროგრამები, რომლებიც ბგერის საშუალებით აქტიურდება (იმ პირებისთვის, ვინც ვერ ხედავენ ან არ შეუძლიათ კლავიატურის ხმარება).

რის გაკეთება შეგიძლიათ?

- გახადეთ თქვენი ციფრული კომუნიკაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომი;
- გაერკვიეთ სხვადასხვა სახის დამხმარე ტექნოლოგიაში.

რესურსი

- Assistive technology (დამხმარე ტექნოლოგიები)
- Inclusive communications (ინკლუზიური კომუნიკაცია)
- The Equality Act and the Disability Discrimination Act (თანასწორობის აქტი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის აქტი)

შემთხვევების შესწავლა

უკრაინა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭო

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭო უკრაინაში მუშაობს უკრაინის მინისტრთა კაბინეტთან ერთად. ის ახდენს იმ პრობლემების ანალიზს, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აწყდებიან, და განსაზღვრავს მათი გადაწყვეტის გზებს. შეკრებების ბოლოს ხელი ეწერება პროტოკოლს, რომლითაც სამთავრობო ორგანოებს დავალება ეძლევათ, გადაჭრან ეს პრობლემები დროის განსაზღვრულ მონაკვეთში.

საბჭო, როგორც სტრუქტურა, უკრაინის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში 1994 წელს ჩამოყალიბდა, სოციალური პოლიტიკის სამინისტროს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე.

საბჭო წარმოადგენს სპეციალურ საკონსულტაციო რჩევით ორგანოს უკრაინის მინისტრთა საბჭოს კაბინეტში. მასში შედიან სამთავრობო ორგანოების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. თავმჯდომარეა ვიცე-პრემიერ-მინისტრი, ხოლო მოადგილე — სოციალური პოლიტიკის მინისტრი.

საბჭო შეიმუშავებს წლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც ეფუძნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების და სამთავრობო ორგანოების მიერ შემუშავებულ წინადადებებს. საბჭოს შეუძლია, ჩამოაყალიბოს მუშა ჯგუფები და მოაწყოს კონფერენციები, სემინარები, სიმპოზიუმები, შეხვედრები და სხვა ღონისძიებები — ამის მიზანია, გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში ადამიანთა მრავალფეროვანი ჯგუფები იყოს ჩართული.

თავის ბოლო შეხვედრაზე, 2013 წლის ნოემბერში საბჭო განიხილავდა შემდეგს:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უბარიერო გარემოს შექმნა, რელევანტური სამთავრობო ორგანოების მიერ კანონებისა და ქმედებების გაუმჯობესების გზით;
- უკრაინის კანონმდებლობაში ევროსაბჭოს 2004/18 დირექტივის მე-19 პარაგრაფის (იმ კომპანიებისგან შესყიდვების შესახებ, სადაც მუშაკთა უმეტესობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია) მოთხოვნათა დანერგვის გზები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, წესისამებრ, აქტიურად არიან ჩართული დისკუსიებში, წარმოადგენენ მაგალითებს და სთავაზობენ პრობლემების გადაჭრის გზებს. თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და ადაპტირებულობის ისტორიული უგულებელყოფის გამო, ამ გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილის განხორციელება მოკლე დროის განმავლობაში შეუძლებელია.

ამჟამად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ვეტერანების სახელმწიფო სერვისი აანალიზებს მეწილეების მიერ წარმოდგენილ წინადადებებს და მუშაობს კანონმდებლობაში შესწორებების შეტანაზე. სამწუხაროდ, ამ საკითხების გადაწყვეტაში კონკრეტული შედეგები ჯერჯერობით არ არის მიღებული.

სოციალური დაცვის სამინისტროს წინადადებები, შემუშავებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან ერთად, პარლამენტის წევრის მიერ 2014 წლის აპრილში შეტანილი იყო უკრაინის უზენაეს საბჭოში დარეგისტრირებულ კანონპროექტში. მიუხედავად ამისა, ამ პროექტმა ვერ მოიპოვა საკმარისი ხმები — თუმცა ამის მიზეზი მეტწილად ის პირობები გახდა, რომელიც ნაკლებად იყო დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებთან.

თანდათანობით საბჭოსა და სხვა ორგანიზაციების მუშაობა შესაძლებელს ხდის სამოქმედო გეზის უფრო მკაფიოდ გამოკვეთას, უფრო იოლი გასაგები ხდება, რომელმა სამთავრობო ორგანოებმა უნდა გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და რა მექანიზმები უნდა ამოქმედდეს. იმის მიუხედავად, რომ ცვლილებები საკმაოდ ნელა ხორციელდება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების ჩართვა ხელს უწყობს პროგრესს და წყვეტს განვითარების გზების და პასუხისმგებლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის პრობლემებს.

გაერთიანებული სამეფო: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის ვალდებულება

2006 და 2011 წლებს შორის გაერთიანებულ სამეფოში საჯარო სექტორის ყველა ორგანიზაციისათვის კანონიერად მოქმედებდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის ვალდებულება“ (DED), რომელიც მოითხოვდა, ხელი შეეწყოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის თანასწორი შესაძლებლობის შექმნისთვის. საჯარო სექტორის ორგანიზაციები მოიცავდა საავადმოყოფოებს, სკოლებს და კოლეჯებს, ნაციონალურ ჯანდაცვის მეურვეობას, პოლიციას, ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობას.

DED მოიცავდა ყველაფერს, რასაც საჯარო სექტორის ორგანიზაციები აკეთებდნენ, დასაქმების, პოლიტიკის წარმოების და საზოგადოებისათვის მომსახურების მიწოდების ჩათვლით.

მიზანი იყო, საჯარო სექტორში მომუშავე ადამიანებს გაეთვალისწინებინათ მათი მუშაობის გავლენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე და აღეკვეთათ უთანასწორობა. როგორც DED-ის ნაწილი, საჯარო ხელისუფლებას უნდა გამოექვეყნებინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანა-

სწორობის სქემა, დეტალურად აღეწერათ, როგორ იღებდნენ მონაწილეობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ამ სქემისა და მოქმედების გეგმის შემუშავებაში. ეს „ჩართვის ვალდებულება“ ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა გაერთიანებულ სამეფოში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის ვალდებულება 2011 წელს შეიცვალა საჯარო სექტორის თანასწორობის ვალდებულებით, რომელსაც განსხვავებული უზრუნველყოფა ჰქონდა და 2010 წლის თანასწორობის აქტით დაცულ ყველა მახასიათებელს ფარავდა. საჯარო სექტორის თანასწორობის ვალდებულების დეტალები მეორე სექციაშია მოყვანილი.

გაერთიანებული სამეფო: ადგილობრივ მმართველობაში ჩართვა

„ჩვენ მხარს ვუჭერდით მუნიციპალიტეტს სოციალური ინკლუზიის გაძლიერებაში, ვხვდებოდით ოფიციალურ პირებს და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა დავკვირებოდით პროგრესს და განგვესაზღვრა ბარიერები და მათი აღმოფხვრის გზები. ჩვენი ჩართვა ხელს უწყობს წინსვლას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის დღის წესრიგში და სასიამოვნოა იმის ცოდნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მომვლელთა და სხვადასხვა მრავალფეროვანი ჯგუფების აქტიური მონაწილეობა ამ პროცესის გულისგულს წარმოადგენს. ვიმედოვნებთ, ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება“.

ბრაიან მისტერი და ენ ნათი, თანათავმჯდომარეები, თანამონაწილეობის ქსელის ფორუმი (PNF).

ესექსის საბჭო ექვსი თვის განმავლობაში მუშაობდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან ერთად თანა-

მონაწილეობის ქსელის ფორუმის ჩამოსაყალიბებლად, ვიდრე გამოაქვეყნებდა თავის 2006–2009 წლების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის სქემას. PNF წარმოადგენდა სამოქმედო არის განსაზღვრის სამარჯვს. შეხვედრებში მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი საჯარო სექტორის ზოგი სხვა ორგანიზაციაც.

PNF 53 წევრ ორგანიზაციას წარმოადგენდა. იგი მუნიციპალიტეტისათვის ავტორიტეტულ საკონსულტაციო ფორუმად იქცა და აქტიურად მონაწილეობდა წამყვანი ოფიციალური პირების მონიტორინგსა და კონსულტირებაში მათი სამოქმედო გეგმის განხორციელებისას.

ეს კონსულტატიური როლი ითვალისწინებდა ნარჩენების, გადამუშავებისა და გარემოს ჯგუფის კონსულტირებას გადამამუშავებელ ცენტრებში არსებული მაჩვენებელი ნიშნების გაუმჯობესების მიზნით; საგანგებო დაგეგმვის ჯგუფის კონსულტირებას საგანგებო სიტუაციებში (მაგ. წყალდიდობა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ეფექტიანი კომუნიკაციის თემაზე; „შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული დისკრიმინაციის აქტის“ ქონების ინსპექციის კონსულტირებას საგრაფოს ცენტრალური ადმინისტრაციული შენობის ადაპტირებულობის გაუმჯობესებაზე (პანდუსების, კონტრასტული ფერის ქვაფენილის და ა.შ. თაობაზე); საჩივრების გადახედვის პროცედურაში მონაწილეობას. უფრო ფართო პარტნიორობა მოიცავდა ბაზილდონისა და ჩელმსფორდის მიდ–ესექსის პირველადი ჯანდაცვის მეურვეობისა და სისხლის სამართლის დევნის სამსახურთან მუშაობას საზოგადოებასთან ურთიერთობის პანელში.

ფორუმის მონაწილეები ასევე აქტიურად არიან ჩართული მუნიციპალიტეტის ზრდასრულთა სოციალური მეურვეობის სამსახურში, კადრების დაკომპლექტების პანელის წევრების სახით. ესექსის საგრაფოს საბჭომ დაადასტურა, რომ PNF–მა პოზიტიური

გავლენა იქონია სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე არა მარტო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, არამედ ზოგადად მთელი საზოგადოებისათვის და დაეხმარა მმართველობის ეფექტიანობის ზრდას.

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევის შესწავლა: სატრანსპორტო პოლიტიკაში ჩართვა

ლონდონის ტრანსპორტმა (TfL), თავისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებების თანასწორობის ვალდებულების ფარგლებში, 2009 წელს ჩამოაყალიბა ახალი *დამოუკიდებელ მრჩეველთა ჯგუფი*. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ოფიციალურად იყვნენ შერჩეული და წარმოადგენდნენ TfL-ის მრჩევლებს მთელ რიგ შშმპ თანასწორობის პრობლემებთან დაკავშირებით. ჯგუფის თითოეული წევრი დაკავშირებული იყო TfL-ის საქმიანობის ცალკეულ სფეროსთან.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის ახალი სქემის შემუშავებისას TfL მუშაობდა *დამოუკიდებელ მრჩეველთა ჯგუფთან*, თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროცესში ჩართვის სხვა გზებსაც ეძებდა.

ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის საკითხთა საბჭო. ლონდონის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცენტრალური ორგანიზაციის დახმარებით, TfL-მ 14 საბჭოს წევრი შეარჩია. მათ ჩაატარეს რამდენიმე სესია TfL-ის მმართველობასთან ერთად მთელ რიგ პრობლემებთან დაკავშირებით — დაწყებული განწყობის ბარიერებიდან, მგზავრობის მთელი კონცეპტის ჩათვლით. ამის შემდეგ ორი დღის განმავლობაში საბჭო ისევ იკრიბებოდა, რათა თავი მოეყარათ რეკომენდაციების სერიისათვის, რომელზე დაყრდნობითაც მომავალი სამი წლის განმავლობაში უნდა წარმოებულიყო მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის თემაზე.

ამ რეკომენდაციებმა ტესტირება გაიარეს *დამოუკიდებელ მრჩეველთა ჯგუფში* და, მომდევნო რაუნდის შეხვედრებში — ლონდონის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დაინტერესებულ პირებთან. შედეგად დაისახა რიგი საკვანძო მიზნები, პრიორიტეტები და აქტიობები მომდევნო სამი წლის მანძილზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ლონდონელებისათვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესების კუთხით.

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევის შესწავლა: ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან:

- საწყისი ეტაპიდან ჩართვა ჩვენ ოჯახებისა და საზოგადოების წევრებად გვაგრძნობინებს თავს;
- ჩართვა გვიბიძგებს ადამიანთა განსხვავებულობის უკეთ გაგებისა და დაფასებისაკენ;
- სეგრეგაცია უარყოფით წინასწარგანწყობასა და უთანასწორობას იწვევს;
- სეგრეგაცია ბავშვობაში, უმეტეს შემთხვევაში, იწვევს სეგრეგაციას მოზრდილ ასაკშიც.

გაერთიანებულ სამეფოში ინკლუზიური განათლების კამპანიამ, რომელსაც სათავეში ედგა ინკლუზიური განათლების ალიანსი (ALLFIE), შედეგი *დასწავლის შეზღუდვის მქონე* და *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტის* სახით მოიტანა. მასში ჩამოყალიბებულია ძირითად სასწავლო პროცესში ჩართვის თითქმის საყოველთაო უფლება და ახალი ვალდებულებები სკოლებისათვის, დააკმაყოფილონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მოზარდების მოთხოვნილებები.

ALLFIE ნიუ-იორკში გამართული გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის დისკუსიების ნაწილს წარმო-

ადგენდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების მონაწილეობის გამო, კონვენციის ფორმულირება განათლებასთან დაკავშირებით მართლაც ძლიერია. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებულმა სამეფომ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, მან არ დაამტკიცა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული 24-ე მუხლი. კამპანია, რომელიც ძირეულ სისტემურ ცვლილებებს იწვევს, მრავალი წლის განმავლობაში გაგრძელდება და მას მიზნების მისაღწევად მრავალფეროვანი ტაქტიკა ესაჭიროება. რეალურად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინკლუზიურ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა არ ნიშნავს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯგუფს უბრალოდ ჰკითხო, თუ რა სურთ, და ამის შესაბამისად მოიქცე.

იორდანიის ჰაშიმიტური სამეფო: უმაღლეს განათლებაში ჩართვა

პირველი გამოცდილება: იორდანიის უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორი შესაძლებლობის ხელშესაწყობად. ამისათვის მან 2007 წლისთვის აამოქმედა ნაციონალური სტრატეგია და 31-ე კანონი, გაითვალისწინა ისინი უნივერსიტეტის განვითარების გეგმაში, აგრეთვე სამოქმედო გეგმაში და ჩართო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მათ ყოველ საფეხურზე. ქვემოთ ჩამოვთვლით მთელ რიგ აქტივობებს, რაც დაიგეგმა და განხორციელდა:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის შენობებისა და ტროტუარების ადაპტირება, რაც გაუადვილებს მათ უნივერსიტეტში გადაადგილებას და სასურველი მომსახურების მიღებას;
2. უნივერსიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების კაბინეტის შექმნა, სადაც სტუდენტებს საჭიროების შემ-

თხვევაში მიეწოდებათ ბრაილის წიგნები, უზრუნველყოფილი იქნებიან სურდოთარჯიმნებით; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებთან კომუნიკაცია ხელს შეუწყობს მათი უნივერსიტეტთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტას;
3. საგრანტო ფასდაკლებები საუნივერსიტეტო ხარჯებთან დაკავშირებით, რომლებიც ზოგ სპეციალობაში 90%-ს აღწევს.

მეორე გამოცდილება: ააღ ალ ბეითის უნივერსიტეტმა მოაწყო საინფორმაციო და განმანათლებელი ღონისძიებები სტუდენტებთან და დამქირავებლებთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისა და მათი მოთხოვნილებების შესახებ. აიღო ბევრი ინტერვიუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისგან, რომლებშიც ისინი საუბრობდნენ იმ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, რასაც აწყდებიან. დამქირავებლებისა და სტუდენტებისათვის თვალსაჩინო გახადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების პოტენციალი, რასაც გამოავლენდნენ, თუ მათი მოთხოვნილებები გათვალისწინებული იქნებოდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებმა ბევრ სპეციალობაზე გადასახადის 90%-იანი შეღავათი მიიღეს.

ყურადსაღებია იორდანიის უნივერსიტეტის გამოცდილება: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების კაბინეტის შექმნა, რომელიც მუშაობას უიოლებს დაქვეითებული მხედველობის მქონე სტუდენტებს ხმოვანი წიგნების ან ბრაილის ენაზე დაწერილი წიგნების მეშვეობით; შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ადამიანის მრჩევლად მიჩენა ან სურდოთარჯიმანის ყოლა ყრუებისთვის; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებსა და ამ კაბინეტს შორის კომუნიკაციის მნიშვნელობა; მუშაობა ინიციატივებზე, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტებს ამ კაბინეტის მნიშვნელოვნებას დაანახვებს, და გარემოს გონივრული მისადაგება.

იორდანიის უნივერსიტეტის, ააღ ააღ ბეითის უნივერსიტეტის და იარმუკის უნივერსიტეტის გამოცდილება: შეზღუდული შესა-

ძლებლობის მქონე პირების დახმარების გამოყენება ინფორ-მირებულობის ამაღლების საქმეში; შეზღუდული შესაძლებ-ლობის შემთხვევის განხილვა მისი დასაწყისიდანვე; გარემო პირობების აღიარება შშმ სტუდენტების ბარიერებად; ლექციების ჩატარება შეზღუდული შესაძლებლობების თემაზე და ადრეული დიაგნოსტირების მნიშვნელოვნებაზე; შშმ პირებისთვის თანა-სწორობის და სრული ჩარულობის უზრუნველსაყოფად ნაბიჯების გადადგმა.

განათლების სამინისტროს გამოცდილება: 90%-იანი შეღავათი სწავლის გადასახადზე, რაც წარმოადგენს იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს პრინცის რაადის საჩუქარს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის.

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევის შესწავლა: ინკლუზიური უმაღლესი განათლების ჩამოყალიბება

ღია უნივერსიტეტი ახორციელებს თანამშრომლებისა და სტუდენ-ტების რაოდენობის მონიტორინგს სხვადასხვა მრავალფერო-ვნების ნიშნის მიხედვით და რეგულარულად აქვეყნებს შედეგებს თანასწორობისა და მრავალფეროვნების წლიური ანგარიშის სახით. ბოლო მონაცემების გაანალიზებისას მათ შეამჩნიეს, რომ ოდნავ შემცირდა იმ სტუდენტების რიცხვი, რომლებიც თავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონედ აცხადებენ.

ამაზე რეაგირების მიზნით, უნივერსიტეტმა გადადგა შემდეგი ნა-ბიჯები:

- ჩაატარა ონლაინ კამპანია სპეციფიური შეზღუდული შესაძლებ-ლობის მქონე პირების მოსაზიდად;
- გამოუშვეს შეზღუდული შესაძლებლობის პირებზე გათვლილი ახალი მარკეტინგული ბროშურა;
- ამუშავდა პილოტური პროგრამა „ღია თქვენი მოთხოვნილებ-ებისათვის“ დეკლარირების გაზრდის მიზნით;

- დაიგეგმა კვლევა, რომელიც შეისწავლის, სტუდენტთა სარეგისტრაციო საბუთების რა რაოდენობაში არ აქვს პასუხი გაცემული შეზღუდული შესაძლებლობის დეკლარირების მოთხოვნას.

მონაცემების ეფექტიანმა მონიტორინგმა ასევე გამოავლინა უკმაყოფილების უფრო მაღალი დონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს შორის. აღნიშნულზე რეაგირების მიზნით ღია უნივერსიტეტმა დაგეგმა სრული თანასწორობის გავლენის შეფასება სტუდენტური სერვისების სტრატეგიის მხრივ და ხელს შეუწყობს იდენტიფიცირებისა და დოკუმენტირებისადმი უფრო თანამიმდევრულ მიდგომას სასწავლო კურსის დონეზე.

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევის შესწავლა: ინკლუზიურ უმაღლეს განათლებაში ჩართვა

თანასწორობის აქტი საშუალებას აძლევს საზოგადოებრივ ორგანოებს, გადადგან ნაბიჯები, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხელსაყრელ პირობებს უქმნის. აუტისტური სპექტრის დარღვევების მქონე მოსწავლეების მხარდასაჭერად შემდგომი განათლების მიღების კუთხით, ნორვიჩის საქალაქო კოლეჯმა შექმნა მათთვის განკუთვნილი ცენტრი „RUG (რეალურად სასარგებლო ჯგუფის) სივრცე“.

RUG სივრცე, რომლის ჩამოყალიბებაში მოსწავლეებიც იღებდნენ მონაწილეობას, აუტისტი სტუდენტებისთვის მყუდრო სავანე და ამავე დროს სოციალური სწავლების სივრცეა. აუტისტ მოსწავლეებზე, როგორც წესი, მცირე, დახურული სივრცე დამამშვიდებლად მოქმედებს, ამიტომაც კომპიუტერებს წამოფარებული აქვთ „იალქნები“, რის შედეგადაც მოსწავლეები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, სივრცე კი მაინც ღია რჩება. სოციალური თავშეყრის სივრცის დაგეგმვის პრეროგატივაც მოსწავლეებს ეკუთვნოდათ.

ბევრ აუტისტ სტუდენტს უძნელდება რესოციალიზაცია, მაგრამ მათ მოიწყვეს სივრცე, სადაც თავს კომფორტულად გრძნობენ პერსონალთან და ერთმანეთთან საუბრის დროს.

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევის შესწავლა: მშვენიერი ბინა

მშვენიერი ბინა – ეს პროექტია, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია Impact Arts. *მშვენიერი ბინა* ეხმარება ახალგაზრდა უსახლკარო ადამიანებს ახალი საცხოვრებლის დაქირავებაში. SROI-ის (სოციალური უკუგება ინვესტიციაზე) შეფასებით, ამ პროექტის განხორციელებისას მთავრობის მიერ ინვესტირებულ ყოველ £1-ზე საზოგადოებას უბრუნდება £8,38, ჯანდაცვის ხარჯების, სოციალური შეღავათების და განმეორებით უსახლკარობაზე დანახარჯების შემცირების გზით.

SROI-ის შედეგად, პროექტმა მიიღო პროგრამის შემდგომი დაფინანსება, თავის პარტნიორებთან და დამფინანსებლებთან ერთად მიიპყრო მეტი ყურადღება და გაიხადა SROI მართვის სტრატეგიულ ხელსაწყოდ საკუთარი ბიზნესის სხვა ასპექტებშიც.

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევის შესწავლა: პროექტი NOW

NOW project-ის ფარგლებში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, დასწავლის შეზღუდვის მქონე ადამიანებს უტარდებათ ტრენინგები და მათ ეხმარებიან სასურველი სამსახურის მოძებნასა და შენარჩუნებაში. პროექტის შეფასებით, ყოველ £1-ზე საზოგადოებას სოციალური უკუგების სახით უბრუნდება £3. ეს ნიშნავს, რომ პროექტის მოტანილი ღირებულება, ამ ღირებულების შექმნაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით, უდრის £824,990-ს.

NOW ყოველწლიურად ატარებს SROI ანალიზს, შედეგად, შეცვლილია ანგარიშის სახე მათი აქტივობის ყოველ სფეროზე. NOW–ს SROI ანგარიში დანერგილია ორგანიზაციაში და ეხმარება ორგანიზაციის ცენტრალურ მმართველობას, მოამზადოს ანგარიში მათი მუშაობის ეფექტიანობის შესახებ პროექტის საბჭოსა და გარე მეწილეებისათვის. ისინი იყენებენ ამ ინფორმაციას ზოგიერთ ინსტანციაში, დამფინანსებლებს მათთვის გასაგები ენით აწვდიან ინფორმაციას და თავიდან იცილებენ დაფინანსების კრიზისს. ორგანიზაციას მეტად ენდობიან, რადგანაც მას შეუძლია, ფუნტებში და პენსებში გამოსახოს ცვლილება, რაც მას ადამიანების ცხოვრებაში შეაქვს.

იარაღი: როგორ მოვახდინოთ ზემოქმედება ადგილობრივ სამსახურებზე?

ამ ნაწილში ჩვენ გიჩვენებთ, როგორ შეიძლება *კონვენციის* გამოყენება ადგილობრივ სამსახურებზე ზემოქმედებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ არის იურიდიულად დამავალდებულებელი ადგილობრივი მმართველებისათვის, ისინი ვალდებულნი არიან, იმოქმედონ *ადამიანის უფლებების აქტის* და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არადისკრიმინაციის (თანასწორობის ვალდებულების ჩათვლით) მოთხოვნების შესაბამისად. კონვენციია შეიძლება ამ კანონების ინტერპრეტირებისათვის იქნეს გამოყენებული. ადამიანის უფლებების აქტს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იყენებენ უსამართლობასთან ბრძოლაში როგორც სასამართლოში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, საჯარო სერვისებთან მოლაპარაკებების დროს. მაგალითისათვის იხილეთ:
www.ourhumanrightsstories.org.uk

კონვენცია შეიძლება მძლავრი იარაღი იყოს ინდივიდის დაცვისათვის, ვინაიდან მასში მკაფიოდაა გაწერილი კრიტერიუმები, თუ

როგორ უნდა გეპყრობოდნენ საჯარო მმართველობის ორგანოები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც *ადამიანის უფლებათა აქტში* არ იძებნება ეკვივალენტური უფლება, მაგალითად, ჯანმრთელობის უფლება.

და ბოლოს, კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო აღიარების მქონე და მიღებულ სტანდარტების პაკეტს, რომელის მიხედვითაც პატივი უნდა ვცეთ, დავიცვათ და ხელი შევუწყოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადამიანის უფლებებს. ამ მიზნით, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა სრულად უნდა გაითვალისწინონ *კონვენცია*.

როგორ შეგიძლიათ გამოიყენოთ კონვენცია:

- თუ ადგილობრივი სერვისები თქვენს იმედებს არ ამართლებს, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის არასაკმარისი რაოდენობითაა გამოყოფილი პარკინგის ადგილები, თუ მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობისას არადამაკმაყოფილებელია პერსონალის დამოკიდებულება ან ხანგრძლივი ლოდინი გიწევთ, პოზიტიური ძვრების მისაღწევად თქვენ კონვენციის გამოყენება შეგიძლიათ. გაარკვიეთ, კონვენციის რომელი მუხლი ან მუხლებია თქვენთვის რელევანტური. ჩამოაყალიბეთ, რამდენად არ შეესაბამება ადგილობრივი სერვისები კონვენციით დაპირებულ სტანდარტებს და რა პრაქტიკული ცვლილებები შეიძლება გაატარონ საჯარო მმართველობითმა ორგანოებმა პრობლემის აღმოსაფხვრელად.
- მოსთხოვეთ თანასწორობაზე პასუხისმგებელ ოფიციალურ პირს ან არჩეულ წევრს თქვენს ადგილობრივ მუნიციპალიტეტში და ჯანდაცვის ორგანოში, მოვიდეს და ესაუბროს ადგილობრივ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯგუფს იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ *ადამიანის უფლებების აქტის* დანერგვის კუთხით და როგორ იყენებენ *კონვენციას*. შესაძლოა, წინდაწინ საჭირო გახდეს მათი ინფორმირება კონვენციის შესახებ!

- მისწერეთ ან დაელაპარაკეთ თქვენს პარლამენტის წევრს, შოტლანდიის პარლამენტის წევრს და/ან უელსის ასამბლეის წევრს — იქ ისინი თქვენი წარმომადგენლები არიან.
- დაიმახსოვრეთ, მიუღებელია — კონვენციის თანახმად — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების აუცილებელი დახმარების შეკვეცა. თუ თქვენ ხედავთ შეკვეცის პერსპექტივას ადგილობრივ სერვისებში, არ დაგავიწყდეთ ამ პუნქტის მკაცრი ხაზგასმა. სთხოვეთ რჩევა მე-4 ნაწილში ჩამოთვლილ რომელიმე ორგანიზაციას, თუ როგორ შეიძლება გამოიყენოთ კონვენცია, ადამიანის უფლებათა აქტსა და თანასწორობის ვადებულებასთან ერთად, ამ პრობლემასთან გამკლავებისათვის.
- თქვენ შეგიძლიათ, მოსთხოვოთ მუნიციპალიტეტს კონვენციის დამტკიცება — მისწერეთ აღმასრულებელი ხელისუფლის აპარატს.

იარაღი: ნაციონალურ ან გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკაზე ზეგავლენა

მიუხედავად იმისა, ხართ ცალკეული პიროვნება თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მცირე ან დიდი ორგანიზაცია, თქვენ შეგიძლიათ კონვენციის გამოყენება ადგილობრივ ან გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად. მაგრამ, უკეთესი იქნება, თუ იმოქმედებთ სხვებთან ერთად, ვინაიდან, რაც მეტნი იქნებით, მით უფრო ძლიერი იქნება თქვენი ხმა.

- თუ მონაწილეობთ სამთავრობო კონსულტაციებში, გამოიყენეთ კონვენციის რელევანტური ნაწილი თქვენი აზრის გასამაგრებლად;
- თუ ატარებთ კამპანიას კანონში ცვლილებების შესატანად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უკეთესი პირობების შექმნის მიზნით, მოიძიეთ, რა არის ნათქვამი კონვენციაში ამ საკითხის ირგვლივ. ისაუბრეთ კონვენციის

დებულებების შესახებ პარლამენტარებთან ბრიფინგებზე და გამოიყენეთ კონვენცია თქვენი არგუმენტების განსამტკიცებლად ცვლილებების აუცილებლობის შესახებ;

- მიაქციეთ ყურადღება კანონპროექტის შედეგებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კონვენციით განსაზღვრულ უფლებებზე, როდესაც წერთ მოთხოვნას სპეციალურ კომიტეტში ან საჯარო კანონის კომიტეტში. არსებობს აგრეთვე შოტლანდიის საპარლამენტო კომიტეტები, რომელიც საკომიტეტო მოთხოვნის ფარგლებში გამოითხოვს მტკიცებულებებს კანონპროექტის გულდასმით შესწავლის მიზნით;
- შოტლანდიის *ადამიანის უფლებათა კომისია* და *თანასწორობისა* და *ადამიანის უფლებათა კომისია* რჩევას აძლევს შოტლანდიის პარლამენტს. მიაწოდეთ მათ იმ პრობლემური საკითხების ჩამონათვალი, რაც შოტლანდიის პარლამენტმა უნდა განიხილოს.

მაგალითი: კონვენცია პარლამენტში

პარლამენტის დამოუკიდებელმა დეპუტატმა, სურბიტონის ბარონესა კემპბელმა გამოიყენა კონვენცია მის წარმატებულ კამპანიაში: „მოძრავი“ გაეხადა ინგლისში დაგეგმილი ახალი უფლება უფასო პერსონალური ზრუნვის მიღებაზე. თუ ახალი პოლიტიკა ძალაში შევიდოდა, ადამიანები, რომელთაც ეკუთვნოდათ უფასო პერსონალური ზრუნვა, შეძლებდნენ, ერთი ადგილობრივი ორგანოდან მეორეში გადანაცვლებას ისე, რომ ეს არ მოუტანდა ზიანს მათი პერსონალური ზრუნვის ან სერვისების დაფინანსებას. კემპბელის არგუმენტები ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ მთავრობა ვალდებულია, ცნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციით განსაზღვრული უფლება, კერძოდ, უფლება, აირჩიონ საცხოვრებელი სხვების თანასწორად, იმუშაონ და მონაწილეობა მიიღონ თავანთი თემის ცხოვრებაში და არ დაექვემდებარონ

ექსპლუატაციას, ძალადობასა და სასტიკ მოპყრობას. ყველა ეს უფლება რისკის ქვეშ იქნება, ამტკიცებდა ის, თუ ადამიანები არ იქნებიან დარწმუნებული შემწეობის უწყვეტობაში.

გაერთიანებული სამეფო: გადაწყვეტილების მიღებაში ჩართვა და გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის ვალდებულება (2006–2011) მოიცავდა ვალდებულებას, ხელი შეწყობოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ვალდებულებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ჩართული ყოფილიყვნენ შშმპ თანასწორობის სქემების მომზადების პროცესში;
- იგი შეიცვალა საჯარო სექტორის თანასწორობის ვალდებულებით 2011 წლიდან — რაც მოიცავს ვალდებულებას, „წაახალისონ რელევანტური დაცული ნიშნების მქონე პირები (ამ შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები), მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ან ნებისმიერ სხვა საქმიანობაში, სადაც ასეთი პირების მონაწილეობა არაპროპორციულად დაბალია“. ახალი ვალდებულება არ შეიცავს ექსპლიციტურ „ჩართვის ვალდებულებას“, რასაც შეიცავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის ვალდებულება;
- *თანასწორობისა და ადამიანის უფლებათა კომისია* — ბრიტანეთის „დამოუკიდებელი მექანიზმი“ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის ქუდქვეშ — კანონით ვალდებულია, ჰყავდეს კომისიის სულ მცირე ერთი წევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან წარსულში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და, კანონით დადგენილი წესით, ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტი 2017 წლამდე.

ტრენერებისათვის

სესიის გეგმა:
მცირე ჯგუფების სავარჯიშო — ეფექტიანი ჩართვა პოლიტიკის შემუშავების ციკლში

შეჯამება

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამები გვიჩვენებს, რას განიცდიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, როდესაც პოლიტიკურ ციკლში სხვადასხვა ფორმით არიან ჩართული

ინფორმაცია –>	**კონსულტაცია –>**	**ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება**
არანაირი დამოკიდებულება	შეზღუდული პასუხისმგებლობა	თანაბარი პარტნიორობა დასაწყისიდანვე
არანაირი ჩართულობა	გარკვეული ჩართულობა	ძლიერი ჩართულობა
არანაირი გავლენა	შეზღუდული გავლენა	ძლიერი გავლენა დადგენილი პარამეტრების საზღვრებში

- როგორ შეუძლიათ თქვენს დარგობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს/სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს/მედიას მხარი დაუჭირონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ჩართვას პოლიტიკის შემუშავების პროცესში?
- როგორ შეიძლება, ცალკეულმა პირებმა და ორგანიზაციებმა თქვენს სექტორში უფრო ეფექტიანად იმუშაონ ერთობლივად?

- რა გზით შეიძლება, უკეთ იმუშაოთ თქვენი სექტორის გარეთ მყოფ ცალკეულ პირებთან და ორგანიზაციებთან, მაგ. ნაციონალური და ლოკალური აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ოფიციალურ პირებთან/სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან/მედიასთან?

სესიის გეგმა: ჯგუფური სავარჯიშო — რა უნდა გააკეთონ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პოლიტიკური ციკლის ყოველ საფეხურზე?

რა ტიპის აქტივობა შეუძლიათ ან საჭიროა განახორციელონ საჯარო ხელისუფლების ორგანოებმა პოლიტიკის შემუშავების ყოველ საფეხურზე ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით?

1. **მიზნების დადგენა**
[მაგ. ინფორმაციის მიწოდება იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც უნდა განიხილონ; ფაქტებისა და იდეების მოკრება; საჯარო მოსმენები და ფორუმები; გაერთიანებული კომიტეტები და სამუშაო ჯგუფები.]

2. **ვარიანტების მოხაზვა და ანალიზი**
[მაგ. მინიმალური სტანდარტების დადგენა საჯარო კონსულტაციებისათვის; პოლიტიკის პროექტების და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფა; ფოკუს-ჯგუფებისა და საჯარო შეხვედრების ჩატარება, ექსპერტებისა და სხვა დაინტერესებული პირების მოზიდვა.]

3. **პოლიტიკის განსაზღვრა**
[მაგ. პოლიტიკურ გამოწვევებთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და წინადადებების/პროექტების მისაწვდომობის უზრუნველყოფა; საჯარო მოსმენები; მოქალაქეთა ჟიური; ბიუჯეტის მონაწილეობრივი შედგენა.]

4. **პოლიტიკის იმპლემენტაცია**
[მაგ. ღია და გამჭვირვალე ტენდერები; მიწოდებისთვის სტრატეგიული პარტნიორობის დაგეგმვა და განვითარება; პოლიტიკის ბენეფიციარების მიერ მიწოდებაში ჩართულ პროფესიონალთა ტრენინგი.

5. **მონიტორინგი და განხილვა**
[მაგ. გამოხმაურებების, ჩივილებისა და მადლობების გამოყენება; რეგულარული შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან; საექსპერტო კვლევები და შედეგების ანალიზი მიზნებთან კავშირში; პოლიტიკის მიმოხილვა საკომიტეტო შეხვედრების, საექსპერტო კონსულტაციების, საჯარო დებატების მეშვეობით.]

სესიის გეგმა: მცირე ჯგუფების სავარჯიშო — ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების შესაფერისი მოდელის შემუშავება

აირჩიე სცენარი

1. თქვენ ცდილობთ, შექმნათ ახალი სერვისი ჩვილებისა და მცირეწლოვანი ბავშვების მშობლების დასახმარებლად, რომლებიც გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან;

2. თქვენ ამუშავებთ ახალ პოლიტიკას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შორის უმუშევრობის მაღალი დონის აღმოსაფხვრელად;

3. თქვენ აანალიზებთ ადგილობრივ საავტობუსო სერვისს, რათა დაგეგმოთ გაუმჯობესება, რაც წაადგება ადგილობრივ ეკონომიკას და საზოგადოებას. მეზობლად განლაგებულია ქარხანა, ციხე, საავადმყოფო და რამდენიმე სკოლა.

აქტივობა (45 წუთი)

1. გადაწყვეტილების მიღებისა და კომუნიკაციის პროცესები სხვა-დასხვა ჯგუფებში ჩამოაყალიბეთ. განსაზღვრეთ, ვის ჩართავთ და რა ნაბიჯებს გადადგამთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

2. მონაწილეებმა უნდა გამოსახონ ეს პროცესი დაფაზე და მოემზადონ პროცესის დეტალებში აღსაწერად, ამასთან, იმსჯელონ მათ მიერ გაკეთებული არჩევანის შესახებ.

დისკუსია (45 წუთი)

1. შესთავაზეთ თითოეულ ჯგუფს, გაუზიაროს მისი შეთავაზებული პროცესი სხვა ჯგუფებს და მოისმინოს საპასუხო რეაქცია;

2. დააჯამეთ, რა სარგებლებზე და ეჭვებზე ილაპარაკა თითოეულმა ჯგუფმა;

3. სთხოვეთ ჯგუფს, შეიტანოს ცვლილებები მის შემოთავაზებულ პროცესში, გამოთქმული ეჭვების პასუხად;

4. შეამოწმეთ ჯგუფური კონსენსუსი შესწორებულ პროცესთან მიმართებაში.

შეხედეთ საკითხს ფართოდ, შემდეგ მიიღეთ გადაწყვეტილება

ინფორმაცია –>	დისკუსია –>	გადაწყვეტილება –>	გადახედვა
კვლევა	გაანალიზება		
იდეები	ვარიანტების ტესტირება		

სესიის გეგმა — როგორ იგეგმება და შემუშავდება პოლიტიკა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის

- ეს გაკეთებულია ნაციონალურ/ადგილობრივ დონეზე?
- მასზე პირველ რიგში გავლენას ახდენენ ნაციონალური თუ ადგილობრივი პროგრამები?
- მასზე ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკის შემმუშავებლები თუ სამთავრობო მოხელეები?
- ეს საგანგებო ჩარევაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თუ მეინსტრიმინგის განხორციელებასთან უფრო ფართო მიდგომის ნაწილია?
- ვინ და როგორ აფინანსებს ამას?
- სავარაუდოდ, რომელი განსხვავებული ინტერესთა ჯგუფები ჩაერთვებიან ამ პოლიტიკაში ან მოექცევიან მისი გავლენის ქვეშ?
- როგორია ვადები?
- ეს სიახლეა თუ ეფუძნება რაღაცას, უკვე არსებულს?
- სხვა

სესიის გეგმა — როდის და როგორ ჩაატაროთ კონსულტაციები

რა რაოდენობის ინფორმაცია ესაჭიროება ადამიანებს; რამდენად დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ნააზრევში; რამდენი უნდა ითათბირონ ვიწრო წრეში, ვიდრე ნააზრევს საჯაროდ განსახილველად გამოიტანენ; როგორ დაარწმუნებენ მენეჯერებს/უფროს ადამიანებს მსჯელობის მნიშვნელობაში, როგორ უდგებიან დისკუსიების წამოწყებასთან დაკავშირებულ რისკებს გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა საფეხურებზე.

სესიის გეგმა

როგორ უზრუნველყოთ, რომ ჯგუფს, რომლის ჩართვასაც ცდილობთ, მკაფიოდ აუხსენით მათი როლის თქვენეული ხედვა და განუმარტეთ, თუ რატომ გსურთ მათი ჩართვა? ასევე, გააკეთეთ მინიშნებები, როგორ გადაწყდეს, თუ ვინ იქნება ჩართული, რა ეტაპზე, რატომ და როგორ უზრუნველვყოთ, რომ ერთზე მეტ ჩართვაში მიიღონ მონაწილეობა.

სესიის გეგმა

შეგიძლიათ ჩართოთ კონკრეტული იარაღი/სესიის გეგმა თქვენთვის საჭირო რესურსების დაგეგმვისთვის, ასევე იმის დაგეგმისთვის, თუ როგორ უზრუნველყოთ კოორდინირებული მიდგომა? როგორ ადგენთ გადაწყვეტილების მიღებასთან ინკლუზიური მიდგომის ბიუჯეტს და რა დრო გჭირდებათ ამისათვის?

ნიმუში — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის გავლენის შეფასება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის გავლენის შეფასების ნიმუში

პოლიტიკის დასახელება

ნაბიჯი 1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის გავლენის შეფასების (DEIA) განხილვა

პოლიტიკის/ფუნქციის დასახელება:

წამყვანი მრჩეველი:

პროცესის დაწყების თარიღი:

პროცესის დასრულების თარიღი:

კ1. ჩატარდა თუ არა სკრინინგი იმის გასარკვევად, რომელი დარღვევების მქონე ჯგუფებისთვისაა პოლიტიკა განკუთვნილი?

დიახ — სკრინინგი ჩატარდა ☐ მონიშნეთ, თუ მისაღებია

სკრინინგის ვადები:

არა — სკრინინგი არ ჩატარებულა ☐ მონიშნეთ, თუ მისაღებია

კ.2 რა არის პოლიტიკის ძირითადი მიზნები, მისწრაფებები და შედეგი? თქვენ გარკვეული უნდა იყოთ იმაში, თუ რას გვთავაზობს პოლიტიკა: რის მიღწევას იმედოვნებთ? ვინ მიიღებს ამით სარგებელს?

მიზნები:
მისწრაფებები და შედეგი:
ვინ ისარგებლებს:

კ3. პოლიტიკის რომელი ასპექტები/აქტივობები ეხება კერძოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობას? ამ საფეხურზე თქვენ არ მოგეთხოვებათ შესაძლო გავლენების ჩამოთვლა, უბრალოდ, მონიშნეთ სფეროები.

აქტივობა/ასპექტი

კ4. მონაცემების შეგროვება

ჩამოთვალეთ ხელმისაწვდომი მონაცემები და კვლევები, რომელთა გამოყენება შეიძლება სხვადასხვა დარღვევების მქონე ჯგუფებზე გავლენის განსასაზღვრად.

ხელმისაწვდომი მონაცემები – გავლენის განსასაზღვრად

კ5. მონაცემთა ნაკლებობა

გესაჭიროებათათ თუ არა დამატებითი ინფორმაცია, რათა გაზომოთ შესაძლებლობა და/ან გავლენის მასშტაბი?

არა: გადადით მე-6 კითხვაზე.

დიახ: გთხოვთ, ახსნათ, როგორ შეავსებთ ნაკლებობას.

მონაცემთა ნაკლებობა	როგორ მოიპოვებთ მონაცემებს?	პასუხსიმგებელი ჯგუფი ან პიროვნება და ვადები

კ6. ჩართულობა და კონსულტაციები

შენიშვნა: როგორ მოიზიდავთ დაინტერესებულ პირებს შეფასების პროცესში? ჩართვის დონე დამოკიდებულია პოლიტიკის ხასიათზე. ამან უნდა მოგვცეს იდენტიფიცირებული მახასიათებლების შესახებ ინფორმირებული აზრის ჩამოყალიბების საშუალება, ასევე გავლენის შეფასების შესაძლებლობა. გათვალისწინებული უნდა იყოს დაინტერესებულ პირთა აზრი არასასურველი გავლენის თავიდან აცილების ყველაზე ეფექტიანი მეთოდების შესახებ. კონსულტაციების და ჩართვის შემდეგ შესაძლოა, საჭირო გახდეს თქვენეულ დასკვნებთან მიბრუნება და გადაწყვეტილებების გადახედვა.

ჩატარებული კონსულტაციები, ვისთან, როდის და როგორ:
კონსულტაციებიდან მიღებული გამოხმაურების შეჯამება:
შეკითხვა: საპასუხო მოქმედება: შეკითხვა: საპასუხო მოქმედება: შეკითხვა: საპასუხო მოქმედება:
მითითება ამ კონსულტაციების რომელიმე ნაბეჭდ ჩანაწერზე ამ შეფასებასთან ერთად გამოსაქვეყნებლად
როგორ გაგრძელდება დაინტერესებულ პირებთან თანამონაწილეობა?

ნაბიჯი 2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის შედეგებისა და გაუმჯობესების პერსპექტივის შეფასება

გადახედეთ სფეროებს, რომლებიც მესამე შეკითხვაში განსაზღვრულია, როგორც შშმ პირთა თანასწორობასთან დაკავშირებული (და სხვა სფეროებსაც, რომლებიც მონაცემების შეგროვების ან ჩართულობის ეტაპებზე განსაზღვრეთ) და აღნიშნეთ ისინი ქვემოთ მოცემულ გრაფაში.

კ7. თქვენ მიერ შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რა გავლენებია მოსალოდნელი (თუკი არის)? გამოიყენეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ფაქტებისა და მიმართულებ(ებ)ის დოკუმენტირებისათვის.

კ8. რა შეგიძლიათ მოიმოქმედოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის შესაძლებლობის გასაძლიერებლად? გთხოვთ, ქვემოთ აღნიშნოთ.

ნაბიჯი 3. თქვენი პოლიტიკის გაძლიერება

რა შეიძლება გაკეთდეს აღმოჩენილი გავლენის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად? გამოიყენეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გაძლიერებისთვის განკუთვნილი თქვენი აქტივობის ჩასაწერად.

აქტივობა/ ასპექტი	კონკრეტული დარღვევის მქონე ჯგუფი, თუ კავშირშია	პოტენციალი/ რეალური გავლენა	აქტივობა გავლენის აღმოსაფხ-ვრელად ან შესასუსტებლად

კ9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის შემდგომი გაძლიერების პერსპექტივები

ნაბიჯი 4: მონიტორინგი და გადახედვა

კ10. მონიტორინგის რა მექანიზმები გაქვთ ხელთ თქვენი პოლიტიკის რეალური გავლენის შესაფასებლად?

ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია მონიტორინგის შესახებ გამოყენებული იქნება იმის დასადასტურებლად, რომ პოლიტიკა სათანადოდ იქნა გატარებული:

გთხოვთ, მიუთითეთ გადახედვის თარიღი ამ შეფასების განახლების დასასრულებლად.

თარიღი:

ნიმუში: შეზღუდული შესაძლებლობის და სხვა თანასწორობების მონაცემთა შეგროვებისათვის

გართიანებული სამეფოს თანასწორი შესაძლებლობის მონიტორინგის ფორმის ნიმუში

ჩვენ მოწოდებულნი ვართ, შევარჩიოთ, შევინარჩუნოთ და განვავითაროთ მუშა ძალები, რაც აისახება მრავალფეროვანი საზოგადოების (რომელსაც ჩვენ ვემსახურებით) ყველა დონეზე. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ დავაკვირდეთ და გავაანალიზოთ ინფორმაცია მრავალფეროვნებაზე, რათა დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენი საკადრო პროცესები სათანადოა, გამჭვირვალე, ხელს უწყობს თანაბარი შესაძლებლობის შექმნას პერსონალისათვის და არ გააჩნია უარყოფითი გავლენა არცერთ ცალკეულ ჯგუფზე.

თქვენი მხრიდან თანამშრომლობა და ზუსტი მონაცემების მოწოდება არა მარტო უზრუნველყოფს, რომ ჩვენ ვასრულებდეთ ჩვენს იურიდიულ ვალდებულებას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, დაგვეხმარება ისეთი პოლიტიკისა და პროცესების ფორმირებასა და დანერგვაში, რაც მოიზიდავს და შეგვინარჩუნებს მრავალფეროვან, ნიჭიერ და მოტივირებულ კადრებს. ამ ფორმაში მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციალურია და გამოყენებული იქნება მხოლოდ სტატისტიკური შეფასებისათვის. ის მიუწვდომელი იქნება ნებისმიერი ისეთი პირისთვის, ვინც სელექციის პროცესში უშუალოდაა ჩართული. ინფორმაცია არ იქნება გამოქვეყნებული ან გამოყენებული იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს პირის იდენტიფიცირება.

სქესი მდედრობითი * მამრობითი *

ხართ თუ არა დაქორწინებული ან თუ იმყოფებით სამოქალაქო ურთიერთობაში? დიახ * არა *

ასაკი 16–24; 25–29; 30–34; 40–44, 45–49; 50–54; 55–59; 60–64; 65+
ვამჯობინებ, არ გავამხილო *

როგორ აღწერთ თქვენს ნაციონალურ იდენტობას?
ინგლისელი * უელსელი * შოტლანდიელი * ჩრდ. ირლანდიელი *
ბრიტანელი * სხვა * ვამჯობინებ, არ გავამხილო *

რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებით?
ეთნიკური წარმომავლობა არ შეესაბამება ნაციონალობას, დაბადების ადგილს ან მოქალაქეობას. ეს არის ჯგუფი, რომელსაც თქვენ, როგორც პიროვნება, აკუთვნებთ თავს. გთხოვთ დაადასტუროთ თქვენი ეთნიკური წარმომავლობა შესაბამისი მონიშვნით.

თეთრი
ინგლისელი * უელსელი * შოტლანდიელი * ჩრდ. ირლანდიელი *
ბრიტანელი * ბოშა ან ირლანდიელი მომთაბარე *
სხვა თეთრი წარმომავლობა *

შერეული/შედგენილი ეთნიკური ჯგუფები
თეთრი და შავკანიანი კარიბიელი *
თეთრი და შავკანიანი აფრიკელი * თეთრი და აზიელი *
სხვა შერეული წარმომავლობა *

აზიელი/აზიელ–ბრიტანელი
ინდოელი * პაკისტანელი * ბანგლადეშელი *
ჩინელი * სხვა აზიური წარმომავლობა *

შავკანიანი/აფრიკელი/კარიბიელი/შავკანიანი ბრიტანელი
აფრიკელი * კარიბიელი *
რომელიმე სხვა შავკანიანი/აფრიკელი/კარიბიელი *

სხვა ეთნიკური ჯგუფები
არაბი * რომელიმე სხვა ეთნიკური ჯგუფი *
ვამჯობიბებ, არ გავამხილო *

თვლით თუ არა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ხართ?

დიახ * არა * ვამჯობიბებ, არ გავამხილო *

ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მოგვაწოდებთ, გამოყენებული იქნება მხოლოდ მონიტორინგისათვის — თუ გესაჭიროებათ „გონივრული მორგება“, მისდიეთ დამატებით, ცალკე გამოყოფილ პროცესს. ჩვენ გადავდგამთ ნებისმიერ გონივრულ ნაბიჯს თქვენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა ტიპის დარღვევა აღგენიშნებათ?

მენტალური ჯანმრთ. პრობლემა *
დასწავლის შეზღუდვის ქონა *
სმენითი დარღვევები *
ფიზიკური/მობილობის *
ვიზუალური/მხედველობის დარღვევები *
ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემა *
სხვა *

თქვენი სექსუალური ორიენტაცია?

ჰეტეროსექსუალი *
გეი მამაკაცი *
გეი ქალი/ლესბოსელი *
ბისექსუალი *
ვამჯობინებ, არ გავამხილო *
სხვა *

თქვენი რელიგია ან რწმენა?

არცერთი *
ბუდისტი *
ქრისტიანი *
ჰინდუ *
იუდეველი *
მუსლიმი *
სიკჰი *
სხვა რელიგია *
ვამჯობიბებ, არ გავამხილო *

ამჟამინდელი სამუშაო რეჟიმი?

სრული სამუშაო დღე *
არასრული სამუშაო დღე *
ვამჯობიბებ, არ გავამხილო *

როგორია თქვენი დასაქმების ფორმა?

არანაირი *
საფეხურებრივი საათები *
სემესტრული საათები *
მცოცავი ცვლები *
სახლში მუშაობა *
მცოცავი გრაფიკი *
შეთავსება *
წლიური სამუშაო დრო *
შეკვეცილი საათები *
სხვა *

გაკისრიათ თუ არა მზრუნველის ვალდებულება? თუ დიახ, მონიშნეთ ყველა შესაბამისი პასუხი

არა
მთავარი მზრუნველი ბავშვზე/ბავშვებზე (18 წელს ქვემოთ)
მთავარი მზრუნველი შშმ ბავშვზე/ბავშვებზე
მთავარი მზრუნველი შშმ მოზრდილზე (18+)
მთავარი მზრუნველი ხანშიშესულებზე (65+)
დამხმარე მზრუნველი
ვამჯობიბებ, არ გავამხილო

ამ ფორმის შევსებით თქვენ ჩვენ, როგორც დამქირავებლებს, დაგვეხმარეთ, უკეთ გავაცნობიეროთ, როგორ უზრუნველვყოფთ თანასწორ შესაძლებლობებს ყველასათვის.

მადლობა ამ ფორმის შევსებისათვის.

IV ნაწილი

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღებაში

შესავალი

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (სსო, რომლებსაც ზოგჯერ არასამთავრობო ორგანიზაციებად ან ასო–დ მოიხსენიებენ), მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა ორგანიზაციებს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების დაცვასა და განვითარებაში.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები გახლავთ ნებაყოფ-ლობითი, თვითმართვადი ორგანიზაციები, რომლებიც ყალიბ-დებიან იმისათვის, რომ განახორციელონ მათი დამაარსებლებისა და წევრების არაკომერციული მიზნები.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ძირითადი ქმედე-ბები კონცენტრირებულია ისეთ ფასეულობებზე, როგორიცაა სო-ციალური სამართლიანობა, ადამიანის უფლებების დაცვა, დემო-კრატია და კანონის უზენაესობა. მათი მიზანია ამ ფასეულობების ხელშეწყობა და ხალხის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ადამიანთა დიდი რაოდენობის ჩართვით აყალიბებენ ღია, დემოკრატიულ საზოგა-დოებაში მონაწილეობის გადამწყვეტ კომპონენტს.

ის ფაქტი, რომ მრავალი ამ ინდივიდთაგან ამავე დროს ამო-მრჩეველია, ხაზს უსვამს შემავსებელ დამოკიდებულებას წარმო-მადგენლობით დემოკრატიასთან.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ, გადა-წყვეტილებების მიღების პროცესებს ცოდნისა და დამოუკიდებე-ლი ექსპერტიზის სარგებელი შესძინონ. ამის გაცნობიერებამ გა-ნაპირობა ადგილობრივი, რეგიონული და ქვეყნის მთავრობების, მათ შორის, საერთაშორისო ინსტიტუტების, მიერ სამოქალაქო

საზოგადოების ორგანიზაციების კომპეტენციისა და ექპერტიზის გამოყენება პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაში.

პარტნიორობა, დიალოგი, ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება

იმისათვის, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და საჯარო მოხელეებს შორის სხვადასხვა დონეებზე კონსტრუქციული ურთიერთობა ჩამოყალიბდეს, საჭიროა მოქმედება შემდეგი საერთო პრინციპების მიხედვით:

მონაწილეობა

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აგროვებენ და მიმართულებას აძლევენ მათი წევრების, მომხმარებელთა ჯგუფებისა და დაინტერესებულ მოქალაქეთა მოსაზრებებს. ამით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გადამწყვეტი წვლილი შეაქვთ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც ამკვიდრებს თანასწორობას, ურთიერთგაგებას და პოლიტიკური ინიციატივის ხანგრძლივობას. ამ პრინციპის წინაპირობა გახლავთ, რომ მონაწილეობის პროცესი იყოს ღია და ხელმისაწვდომი, დაფუძნებული მონაწილეობისთვის განსაზღვრულ, შეთანხმებულ პარამეტრებზე.

ნდობა

ღია და დემოკრატიული საზოგადოება დაფუძნებულია პატიოსან ურთიერთობაზე მოქმედ პირთა და სექტორთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და საჯარო ხელისუფლებას განსხვავებული როლები ენიჭებათ, მათი საერთო მიზანი, რომელიც ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება გახლავთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს მიღწეული, თუ იგი დაფუძნებულია ნდობაზე, გამჭვირვალობაზე, პატივისცემასა და ურთიერთსანდოობაზე.

ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

საზოგადოების ინტერესების სარგოდ მოქმედება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საზოგადო ხელისუფლებისაგან მოითხოვს გახსნილობას, პასუხისმგებლობას, გარკვეულობას, ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.

დამოუკიდებლობა

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აღიარებული უნდა იყონ დამოუკიდებელ ორგანოებად, რომელთაც მოეპოვებათ საკუთარი მიზნები, გადაწყვეტილებები და საქმიანობა. მათ უფლება აქვთ, დამოუკიდებლად იმოქმედონ და დაიცვან ხელისუფლებისაგან განსხვავებული პოზიციები; ამავე დროს, შესაძლებელია, იმავე ხელისუფლებასთან სხვა საკითხებში თანამშრომლობდნენ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობაში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის, რომლებიც არ არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციები, აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის პირთა ჩართვა, იმისდა მიუხედავად, მიმდინარეობს ეს პროცესი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფარგლებში თუ თავად ეს საზოგადოებები გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო მოხელეთა მიერ არიან ჩართული.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გადაწყვეტილების მიღების პროცესში თავიდანვე უნდა იყვნენ ჩაბმული და მონაწილეობას უნდა იღებდნენ დაგეგმვისა და პროექტირების ეტაპებზე.

გამოწვევები

ტრადიციულად, შეზღუდული შესაძლებლობის პირები მცირედ იყვნენ ჩართული (ან საერთოდ არ იყვნენ ჩართული) იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათ ცხოვრებაზე აისახებოდა. შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბევრ ადამიანს არ გააჩნია თავდაჯერებულობა და უნარი იმისათვის, რომ მნიშნელოვნად ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და საჯარო ხელისუფლებას აქვს კონკრეტული პასუხისმგებლობა იმისა, რომ ეს დაბრკოლებები დაძლიონ.

როგორ შემიძლია ჩავერთო მონიტორინგსა და ანგარიშგებაში?

კონვენციაში (მუხლი 33) აღნიშნულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ორგანიზაციები ჩართული უნდა იყვნენ კონვენციის მონიტორინგში. ეს ნაწილი აწესებს, თუ როგორ შეიძლება მასში ჩართვა — განსაკუთრებით, „ჩრდილოვანი ანგარიშების“ დაწერის გზით. ორგანიზაციებს ამ ანგარიშების გაგზავნა შეუძლიათ „გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტში“, რათა აცნობონ იმის შესახებ, თუ რა წარმატებებს მიაღწია (ან არ მიაღწია) მთავრობამ „კონვენციის“ განხორციელების მხრივ.

თქვენ ასევე შეგიძლიათ, იგივე მიდგომა გამოიყენოთ „არაოფიციალური ანგარიშგებისთვისაც“ — მაგალითად, შეგიძლიათ, დაწეროთ მოხსენება ადგილობრივ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე და იგი ადგილობრივ პოლიტიკასა და მომსახურებებზე გავლენის მოსახდენად გამოიყენოთ. აგრეთვე, შეგიძლიათ დაწეროთ ეროვნული მოხსენება შემდგომი ან უმაღლესი განათლების შესახებ და გამოიყენოთ კონვენციაში აღნიშნული უფლებები იმისათვის, რომ აჩვენოთ, თუ რამდენად არის დაცული შეზღუდული შესაძლებლობის სტუდენტთა უფლებები.

საბაზო ინფორმაცია: მონიტორინგი და ანგარიშგება

„გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტი შედგება 12 ექსპერტისაგან, რომელთა მიზანია, თვალყური ადევნონ, თუ რას აკეთებენ კონვენციის განსახორციელებლად ის სახელმწიფოები, რომელთაც უკვე რატიფიცირებული აქვთ იგი. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტი დიდ როლს ასრულებს იმაში, რომ სახელმწიფოები მუდმივად პასუხისმგებელნი იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტს არ შეუძლია, დააძალოს ხელისუფლებას მისი რეკომენდაციის განხორციელება, მთავრობებს არ სურთ, რეპუტაციია შეელახოთ და ხშირად ითვალისწინებენ ამ რეკომენდაციებს. ვინაიდან ქვეყნებმა იციან, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მათი ქმედებები საჯაროა და სისტემატურად ექცევა საერთაშორისო ყურადღების ქვეშ, მათ უწევთ, რეალური ქმედებების განხორციელებაზე კონცენტრირდნენ.

2011 წლის ივნისში და მას შემდეგ ყოველი ოთხი წლის განმავლობაში გაერთიანებულმა სამეფომ უნდა ჩააბაროს ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტს. ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებს (როგორიცაა „თანასწორობისა და ადამიანის უფლებების კომისია“ და სხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციები) შეუძლიათ „ჩრდილოვანი“ ანგარიშების შეტანა. ასეთ მოხსენებებს „ალტერნატიულ“ ან „პარალელურ“ ანგარიშებსაც უწოდებენ — ამ სახელმძღვანელოში ჩვენ მათ „ჩრდილოვან ანგარიშებად“ მოვიხსენიებთ.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტი, ჩრდილოვანი ანგარიშების გარდა, თვალყურს ადევნებს მთავრობის ანგარიშებსაც. კომიტეტი აფასებს, რამდენად ასრულებენ მთავრობები კონვენციით დაკისრებულ ვალდებულებებს. ამისათვის ის მნიშვნელოვნად ეყრდნობა ჩრდილოვან ანგარიშებს.

ყველა მტკიცებულების გადახედვისა და მინისტრების გამოკითხვის შემდგომ გამოიცემა „დასკვნითი დაკვირვებები“, რომლებიც აყალიბებენ კონკრეტულ რეკომენდაციებს ხელისუფლების ქმედებისათვის. ჩრდილოვანი ანგარიშები მნიშვნელოვანი იარაღია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის პირებმა შეიძლება გამოიყენონ მოსანიშნად, თუ სად შეიმჩნევა პროგრესი და სად ჯერაც არ არის დაცული შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებები. ეს ნაწილი განიხილავს ანგარიშგების პროცესს და ხსნის, თუ როგორ შეგიძლიათ ჩაერთოთ ხელისუფლებისა თუ ჩრდილოვანი მოხსენების ანგარიშში — ან როგორ შეადგინოთ საკუთარი ანგარიში.

შემთხვევის შესწავლა: რა შეიძლება შეცვალოს ანგარიშგებამ?

მართლმსაჯულების კომიტეტი წარმოადგენს მცირე ნებაყოფლობით ორგანიზაციას, რომელიც მონიტორინგს უწევს ადამიანთა უფლებების დაცვას ჩრდილოეთ ირლანდიაში. 1990-იან წლებში მას უნდოდა, შეეწყვიტა პატიმრობაში მყოფი, შეიარაღებული დაჯგუფების მიერ ჩადენილ ძალადობაში ეჭვმიტანილი პირების უფლებების დარღვევა. ამ ადამიანებს დაჰკითხავდნენ ადვოკატების გარეშე, დააპატიმრეს სამართლიანი სასამართლო მოსმენის გარეშე და უქვემდებარებდნენ უხეშ ფიზიკურ მოპყრობას.

მოცემული მიზნის მისაღწევად მართლმსაჯულების კომიტეტმა გამოიყენა ანგარიშგების პროცესი წამების საწინააღმდეგო კონვენციის შესაბამისად. ეს პროცესი მათ დაეხმარა საქმის გახმაურებაში და გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებაზე ზეწოლის მოხდენაში. როცა (1991, 1995 და 1998 წლებში) გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლება წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წინაშე წარსდგა, მართლმსაჯულების კომიტეტმა აწარმოა დეტალური და მაღალხარისხიანი ანგარიშგება, დაესწრო კომიტეტის სხდომებს და მოკლედ გააცნო მის წევრებს არსებული ვითარება, თითოეული შემთხვევის მაგალითზე.

მართლმსაჯულების კომიტეტის წარმომადგენელმა პოლ მაგეანმა განაცხადა: „კომიტეტის თითქმის ყველა რეკომენდაციას, რაც ამ წლებში გააკეთა ჩრდილოეთ ირლანდიასთან დაკავშირებით, უშუალოდ ჩვენ მიერ გაკეთებულ წარდგინებებში შეიძლება მიაკვლიოთ. გადაჭრილია ძირითადი კონკრეტული ამოცანები და საერთო მიზანი მიღწეულია. ჩვენი აზრით, ამ ტაქტიკის გამოყენებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა გაერთიანებული სამეფოს და კერძოდ, ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის ქმედებაზე ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმდინარე შეიარაღებული დაჯგუფების მიერ ჩადენილ ძალადობაში ეჭვმიტანილ პატიმრებთან დაკავშირებით“.

როცა მთავრობა პირველ ანგარიშს სწერს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის კომიტეტს, უნდა მოახსენოს შემდეგი:

- რამდენად და რა მასშტაბით გამოიყენებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მათთვის კონვენციით მინიჭებულ უფლებებს (თანდართული სტატისტიკა უნდა შეიცავდეს მონაცემებს სქესის, ასაკის, დარღვევის ტიპის, ეთნიკური წარმომავლობის და სხვა კატეგორიების შესახებ);
- რა პოლიტიკა, სტრატეგიები და კანონები შემოიღეს კონვენციის თითოეული უფლების რეალიზებისათვის. მათ უნდა თქვან, რა რესურსები გამოარჩიეს მათ მხარდასაჭერად და რა წარმატებებს მიაღწიეს;
- მიიღებული აქვთ თუ არა სრულყოფილი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით;
- რა სისტემებია შემოღებული წინსვლის მონიტორინგისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თითოეული უფლების რეალიზაცია; ამას უნდა ერთვოდეს დეტალური აღწერა, თუ როგორ მოხდება ამ წინსვლის შეფასება;
- როგორ არის დაცული კონვენციით მინიჭებული თითოეული უფლება გაერთიანებული სამეფოს კანონით და დეტალური ინფორმაცია იმ კანონების შესახებ, რომლებიც რიყავენ ან

სხვებზე უარეს მდგომარეობაში აყენებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს;
- როგორ უნდა მიაღწიონ სამართლიანობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, თუ დაირღვა კონვენციით მინიჭებული მათი უფლებები;
- არსებობს თუ არა კონვენციით განსაზღვრული უფლებების რეალიზაციის ხელისშემშლელი ბარიერები, რომლებიც მათ კონტროლს არ ექვემდებარება, და დეტალური აღწერა იმ ნაბიჯებისა, რომლებიც ამ ბარიერების დასაძლევად გადაიდგმება.

თქვენ გაქვთ მონიტორინგში მონაწილეობის უფლება

მთავრობებმა უნდა ჩართონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ორგანიზაციები კონვენციის განხორციელების მონიტორინგის პროცესში. გარდა ამისა, მათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მონაწილეობა უნდა მიაღებინონ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის კომიტეტისთვის განკუთვნილი მოხსენებების შეგროვებაში.

რაიმე საკითხში ჩართულობა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ კონსულტაციის გაცემას ამ საკითხზე. ეს ნიშნავს, მიიღოთ ძალაუფლება, თავიდანვე გავლენა იქონიოთ მოვლენების მიმდინარეობაზე და იმუშაოთ მთავრობასთან, როგორც თანასწორმა პარტნიორმა. ჩართულობა უნდა იყოს:
- წინასწარ დაგეგმილი;
- კოორდინირებული;
- სრულად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური;
- მრავალფეროვანი; მრავალ სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უნდა შეეძლოს მონაწილეობის მიღება სხვადასხვა ფორმით;
- შინაარსიანი; ადამიანებს გარკვევით უნდა აუხსნან, რას მოელიან მათგან, რა შედეგებს მიიღებენ; უნდა აგრძნობინონ, რომ მათი ცოდნა სათანადოდ აღიარეს; და

- გავლენიანი: ნათლად უნდა ჩანდეს, თუ როგორ იმოქმედა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოსაზრებებმა და პრიორიტეტებმა სამომავლო გეგმებზე.

უმნიშვნელოვანესი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წვლილი და ჩართულობა. ამის გარეშე, შეუძლებელი გახდება, სათანადოდ გაიზომოს ან შეფასდეს პროგრესი, ან შემუშავდეს უკეთესი პოლიტიკა, კანონები და გეგმები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების ოფისი კოორდინირებას გაუწევს პროცესის მონიტორინგს და ანგარიშგებას მოახდენს ვესტმინსტერის მთავრობის წინაშე, აგრეთვე იმუშავებს შოტლანდიის და უელსის მთავრობებთან იმ სფეროებში, რომლებზეც ისინი პასუხს აგებენ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების ოფისი სიამოვნებით გაეცნობა თქვენს მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ რა სახით ისურვებდით ჩართვას ან, თქვენი აზრით, როგორ ახორციელებს გაერთიანებული სამეფო კონვენციას. საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია მე-4 თავში. ასრულებს რა მთავრობასთან კონვენციის კოორდინაციის ფუნქციის ნაწილს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების ოფისი სამთავრობო დეპარტამენტებს მოუწოდებს, ჩაერთონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხებში. მრავალ სამთავრობო დეპარტამენტს უკვე ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მრჩეველთა საკუთარი ჯგუფები. თუმცა, როგორ გამოიყენებენ ამ ჯგუფებს ან როგორ ჩართავენ სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, უფრო ცხადი გახდება, როცა მთავრობის მიერ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტის წინაშე მოხსენებით წარდგომის თარიღი მოახლოვდება.

შოტლანდიის მთავრობის შემადგენლობაში არსებული თანასწორობის აპარატი კოორდინირებას უწევს შოტლანდიაში შესაბამისობის და პროგრესის შესახებ ანგარიშის გასაკეთებლად

საჭირო ინფორმაციას. თუ ცხოვრობთ შოტლანდიაში, კარგი იქ-ნებოდა, ამ საქმიანობაში ჩართულიყავით.

ასევე, თუ ცხოვრობთ უელსში, ალბათ, გაქვთ შესაძლებლობა, ითანამშრომლოთ უელსის საპარლამენტო მთავრობასთან. თანა-სწორობის, მრავალფეროვნების და ჩართულობის განყოფილება იმუშავებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და უელ-სის საპარლამენტო მთავრობის ყველა დეპარტამენტთან, რათა განახორციელოს კონვენცია და თვალყური ადევნოს პროგრესს.

შოტლანდიის და უელსის მთავრობები მონაწილეობას მიიღებენ გაერთიანებული სამეფოს ანგარიშში, რათა შეაფასონ მათი ვალ-დებულებების სფეროში მიღწეული პროგრესი. გაერთიანებული სამეფო გააკეთებს ერთიან ანგარიშს, სადაც შევა გაერთიანებუ-ლი სამეფოს და დელეგირებული მთავრობების მიერ კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებული ღონისძიებები.

თანასწორობის და ადამიანთა უფლებების კომისია და შოტლანდი-ის ადამიანთა უფლებების კომისია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვადასხვა გზით რთავენ მონიტორინგის პროცესში. მათ ჩაატარეს ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის მქო-ნე პირებისთვის, რათა გაერკვიათ მათი პრიორიტეტები და თანა-სწორობის და ადამიანთა უფლებების კომისიამ რჩევების მისა-ღებად შეარჩია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რე-ფერენტული ჯგუფი მთელი ბრიტანეთის მასშტაბით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ორგანიზაციები მოწვეული იქნებიან, რათა მონაწილეობა მიიღონ ბრიტანეთში კონვენციის განხორციელების შესახებ ჩრდილოვანი ანგარიშის შედგენაში.

მაგრამ არ დაელოდოთ, სანამ მოგიწვევენ მონაწილეობის მისა-ღებად! ქვემოთ მოცემულია, რის გაკეთება შეგიძლიათ დაუყოვ-ნებლივ დაიწყოთ თქვენ, როგორც ცალკეულმა პირმა ან როგორც ჯგუფის ნაწილმა.

როგორც ცალკეულ პირს, თქვენ შეგიძლიათ:

- გადახედოთ მე-2 თავში მითითებულ უფლებებს. გაიაზროთ, რას ნიშნავს თქვენთვის თითოეული ეს უფლება და მათგან რომელია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. გაქვთ თუ არა ეს შესაძლებლობები თქვენს ცხოვრებაში? რა დაგეხმარებათ ამ უფლებების პრაქტიკაში გამოსაყენებლად? მაგალითად, თუ არ მუშაობთ, მაგრამ გინდათ მუშაობა, იფიქრეთ: რა არის უდავოდ სასარგებლო თქვენთვის? ხელს რა გიშლით? თუ რამე უნდა შეცვალოთ, რას შეცვლიდით?
- დაწერეთ ან ფირზე ჩაიწერეთ თქვენი აზრები და შემდეგ სხვებს გაუზიარეთ. შეგიძლიათ მათი გაგზავნა თანასწორობის და ადამიანთა უფლებების კომისიაში ან სხვა კომისიებში, შეზღუდული შესაძლებლობის საკითხების ოფისში (თუნდაც, შოტლანდიის მთავრობაში ან უელსის საპარლამენტო მთავრობაში — გააჩნია, რა საკითხია და სად ცხოვრობთ) ან შეზღუდული შესაძლებლობის რომელიმე ეროვნულ ორგანიზაციაში, როგორიცაა გაერთიანებული სამეფოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭო ან უელსის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭო. ეს მათ დაეხმარება იმის გარკვევაში, თუ რა კეთდება კარგად და დამატებით რის გაკეთებაა საჭირო. თქვენგან მიღებული მონაცემები მათ შეიძლება საკუთარ ანგარიშში გამოიყენონ.

როგორც ჯგუფს, თქვენ შეგიძლიათ:

- შეაგროვოთ მონაცემები თქვენი წევრების გამოცდილებისგან. მეორე თავიდან ამოარჩიეთ ის უფლებები, რაც მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება და სთხოვეთ, მოგითხრონ ნებისმიერი ბარიერის შესახებ, რომელსაც წააწყდნენ და გამოთქვან მოსაზრება, რა დაეხმარებოდათ საკუთარი უფლებების განხორციელებაში.
- გამოიყენეთ ეს მონაცემები **გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანთა კომიტეტისთვის კონვენციის შესახებ „ჩრდილოვანი ანგარიშის“ შესაქმნელად** ან დაალაგეთ მო-

ნაცემები (მოაწესრიგეთ შესაბამისი მუხლების მიხედვით) და გაუგზავნეთ თანასწორობის და ადამიანთა უფლებათა დაცვის კომისიას, შოტლანდიის ადამიანთა უფლებათა დაცვის კომისიას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების ოფისს ან შეზღუდული შესაძლებლობის ნაციონალურ ქსელს, რომელშიც ხართ ჩართული ან იცით მის შესახებ. ეს მონაცემები მათ შეიძლება საკუთარი ანგარიშისთვის გამოიყენონ.

- მოითხოვეთ თქვენი დეპუტატის (ინგლისი/ბრიტანეთი), შოტლანდიის პარლამენტის დეპუტატის (შოტლანდია) ან პარლამენტის წევრის (უელსი) ნახვა, რათა იმსჯელოთ თქვენს მიგნებებზე. მათ შეიძლება შეარჩიონ ზოგიერთი საკითხი და დაიწყონ ზეწოლა ხელისუფლებაზე მოქმედების მოთხოვნით. თუ არ იცით, როგორ შეიძლება ამის გაკეთება, თქვენი დახმარება შესაძლოა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ნაციონალურმა ორგანიზაციამ შეძლოს.
- სამწუხაროდ, ეს მექნიზმები საქართველოს არ აქვს, შესაქმნელია.

რატომ უნდა ჩაერთოთ ჩრდილოვანი ანგარიშის შედგენის პროცესში?

უბრალოდ, ეს ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა იმისათვის, რომ კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ცხოვრებაში დადებითი ცვლილებების შესატანად გამოიყენოთ.

მაშინაც კი, როცა მთავრობები თვითკრიტიკულნი არიან, მათი მოხსენებები გაეროს კონვენციების დანერგვის შესახებ ხშირად ვარდისფერ ფერებში ხატავს ადამიანის უფლებების დაცვის სიტუაციას და ხშირად ეს სურათი არ შეესაბამება არსებულ რეალობას. სწორედ ამიტომ, გაეროს მონიტორინგის კომიტეტები მოუწოდებენ ნებაყოფლობით ჯგუფებს, მათ საკუთარი ანგარიშები მიაწოდონ. ისინი ამ ანგარიშებს იყენებენ რეალური პროგრესის შეფასებისთვის და იმის გადასაწყვეტად, თუ რა ხარვეზები

და პრობლემებია და სად არის საჭირო შემდგომი ქმედებები. ჩრდილოვანი ანგარიშები მათ ეხმარება, დაგეგმონ, რა კითხვა დაუსვან თითოეულ მთავრობას. ხანდახან ისინი იყენებენ მოხალისეთა ჯგუფების რეკომენდაციებს, რათა ცვლილებები შეიტანონ საკუთარ „დასკვნით დაკვირვებებში“.

მოხსენების წერა ეხმარება მოხალისე ორგანიზაციებს, შეაგროვონ მონაცემები და გამოარკვიონ, რის გაკეთებაა საჭირო კონვენციისეული უფლებების რეალიზაცისათვის.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტი შეადგენს რეკომენდაციებს („დასკვნით დაკვირვებებს“), რათა მიუთითოს მთავრობას, რა ნაბიჯები უნდა გადადგას კონვენციის შესასრულებლად. თქვენ შეგიძლიათ ამ რეკომენდაციების გამოყენება მთავრობის ასამოქმედებლად, მასზე ზეწოლის მოსახდენად. გარდა ამისა, როცა მთავრობა თავის შემდგომ მოხსენებას წარადგენს, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტს მისგან ჩატარებული ღონისძიების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღების მოლოდინი ექნება. თქვენ შეგიძლიათ, თქვენი შეფასება ჩრდილოვან ანგარიშში წარადგინოთ.

ჩრდილოვანი ანგარიშის დაწერის სახელმძღვანელო

ქვემოთ მოცემულია ჩრდილოვანი მოხსენების დასაწერი მოკლე სახელმძღვანელო. სრული სახელმძღვანელო შეგიძლიათ იხილოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო ალიანსის ვებგვერდზე (დეტალები იხილეთ მე–4 ნაწილში).

გამოიყენეთ ეს სახელმძღვანელო, თუ წარმოადგენთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯგუფს, რომელიც უფრო დიდი ჯგუფის მიერ ჩრდილოვანი ანგარიშის შედგენას უწყობს ხელს, ან თუ ხართ მოხალისე ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებს და გაეროსთან საკონ–

სულტაციო სტატუსის მქონეა. გარდა ამისა, **თქვენ მისი გამოყენება შეგიძლიათ, თუ გსურთ კონვენციის საფუძველზე არაოფიციალური ანგარიშის შედგენა თქვენს საკამპანიო მუშაობაში გამოსაყენებლად.** უბრალოდ, შეცვალეთ „გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტი", მაგალითად, „საკითხთა კომიტეტის საბჭოთი" ან „ჯანდაცვის სახელმწიფო მომსახურების საბჭოთი". „მთავრობის" ნაცვლად წაიკითხეთ „საბჭო" ან, მაგალითად, „პოლიციის ორგანო".

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტი ამბობს, რომ მას დიდი სურვილი აქვს, მიიღოს ანგარიშები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისგან ან მათი ორგანიზაციებისგან. თუმცა კარგი აზრია ერთად მუშაობა, რათა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტმა წასაკითხად მეტისმეტად ბევრი ანგარიში არ მიიღოს – სხვა მრავალი ქვეყანაც სწერს მას ანგარიშებს. ანგარიშს, რომელიც ბევრი ადამიანის მოსაზრების გამომხატველი იქნება, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტი მეტი ალბათობით წაიკითხავს და ზემოქმედების მეტი ძალაც ექნება.

შეგიძლიათ, მთავრობის ანგარიშის ნახვის გარეშე შეადგინოთ საკუთარი ანგარიში ან იგი მთავრობის ანგარიშზე პასუხის სახით დაწეროთ. ორივე სასარგებლო იქნება.

როგორ უნდა წარიმართოს პროცესი

I ეტაპი: გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტის ვებგვერდზე ნახეთ პროცესი, გრაფიკები და ჩატარებული ღონისძიებები (იხილეთ მე-4 ნაწილი). გაითვალისწინეთ, რომ გაერთიანებული სამეფოს ანგარიში კომიტეტს 2011 წლის ივნისამდე უნდა გაეგზავნოს. თუ, მაგალითად, თქვენ ადგილობრივ ანგარიშს სწერთ საკითხთა კომიტეტს თქვენს ადგილობრივ საბჭოში, გაარკვიეთ, როდის იკრიბება ეს საბჭო და როდის უნდა გაუგზავ-

ნოთ ანგარიში, რომ დროული იყოს და იგი შეკრებაზე განიხილონ.

II ეტაპი: მოიფიქრეთ, თუ ვისთან უნდა იმუშაოთ, რომ ანგარიში დაწეროთ. მაგალითად, მიუხედავად იმისა, დიდ ორგანიზაციას წარმოადგენთ თუ მცირე თვითადვოკატირებულ ჯგუფს, კარგი იქნებოდა, სხვა ჯგუფებსაც დაკავშირებოდით და გეკითხათ, უნდათ თუ არა თქვენთან მუშაობა.

III ეტაპი: ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება თქვენი მოხსენება და როგორ ააგებთ მას.

- მოიფიქრეთ, კონვენციის რომელი უფლებებია ყველაზე შესაბამისი და მნიშვნელოვანი თქვენთვის და მათზე გაამახვილეთ ყურადღება (დაიხმარეთ ამ სახელმძღვანელოს მე-2 ნაწილი). დარწმუნდით, რომ იმ სფეროზე ამახვილებთ ყურადღებას, რომელსაც თქვენს ჯგუფში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები თავისთვის ყველაზე მნიშვნელოვნად თვლიან;
- ყურადღება მიაქციეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, აგრეთვე იმას, თუ რამდენად სარგებლობენ ეს ადამიანები კონვენციით მინიჭებული უფლებებით. უნდა გამოიყენოთ რეალური მონაცემები. მონაცემები შეიძლება მიიღოთ გამოკითხვების შედეგად, კვლევების ანგარიშებიდან, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიდან და გაზეთების სტატიებიდან. გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ ჩართოთ შემთხვევების შესწავლა (case study) — რეალური შემთხვევები იმისა, თუ რა გავლენას ახდენს კონკრეტული პრობლემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე;
- ცხადად განმარტეთ, რა წინააღმდეგობები არსებობს და რა კავშირში არიან ისინი კონვენციაში მოცემულ უფლებებთან;
- თუკი მთავრობა ან სხვა საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი ამა თუ იმ სფეროში კარგ საქმეებს აკეთებს, ეს აუცილებლად აღნიშნეთ. თუ არაფერი გაკეთებულა, ამის შესახებაც განაცხადეთ;

- გაეცით კონკრეტული რეკომენდაციები, თუ რა ცვლილებებია მოსახდენი. თუ გინდათ, რეაგირება მოახდინოთ სიძულვილის დანაშაულზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ, მარტო იმის თქმა, რომ მთავრობამ მეტი უნდა გააკეთოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ჩადენილ სიძულვილის დანაშაულთან საბრძოლველად, საკმარისი არ არის. იფიქრეთ კონკრეტულ ქმედებაზე, რომელიც შეიძლება განახორციელონ სხვადასხვა ორგანოებმა, როგორიცაა დაქვემდებარებული ადმინისტრაციები, იუსტიციის სამინისტრო, სამეფო პროკურატურა, პოლიცია, ადგილობრივი საბჭოები ან საბინაო ამხანაგობები.
- მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ, მთავრობის რომელმა ნაწილმა უნდა მოახდინოს ეს ცვლილებები. თქვით, როგორ აპირებთ ჩართვას ცვლილებების განხორციელებაში;
- თუ არსებობს რაიმე ინფორმაცია ან მონაცემები, რომელიც ძალიან ვრცელია თქვენი ანგარიშის ძირითად ნაწილში ჩასართავად, მაგრამ თვლით, რომ მისი წაკითხვა სასარგებლო იქნება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტისათვის, ბოლოში დანართად დაამატეთ.

IV ეტაპი: ახლა კი დაწერეთ ანგარიში! დაიცავით clear print guidelines ბეჭდვის სტანდარტი, რათა ის უმრავლესობისთვის მისაწვდომი იყოს. არ დაგავიწყდეთ მარტივი ინგლისურის და მოკლე წინადადებების გამოყენება. არ მიმართოთ ჟარგონს ან აბრევიატურას, რომელიც უცხო იქნება კომიტეტისათვის წევრებისთვის. გახსოვდეთ, რომ კომიტეტის ბევრი წევრის პირველი ენა ინგლისური არ არის და რომ ისინი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელნი არიან, ამიტომ შესაძლოა არ იცოდნენ, თუ როგორ მუშაობს ბრიტანეთის ხელისუფლება. გამოიყენეთ დანომრილი პარაგრაფები. იყავით ლაკონიური.

V ეტაპი: წააკითხეთ თქვენი მოხსენება რამდენიმე თქვენთვის სანდო ადამიანს, რათა მათ შენიშვნებზე დაყრდნობით გააუმჯო-

ბესოთ იგი. დაფიქრდით, თუ არიან ჯგუფები, რომლებიც მის მხარდაჭერას ისურვებდნენ და, თუ ეს შესაძლებელია, მიიღეთ ნებართვა მათი ლოგოს დასამატებლად. აგრეთვე იზრუნეთ, რომ თქვენი ანგარიში რამდენიმე მისაწვდომ ფორმატში გაფორმდეს.

VI ეტაპი: დაბეჭდეთ მოხსენება და გაუგზავნეთ შესაბამის მხარეებს.

VII ეტაპი: თვალყურის დევნება. თუ მოხსენებას უგზავნით ადგილობრივ კომიტეტს, ეცადეთ, დაესწროთ სხდომას. თუ გსურთ კომიტეტის სხდომაზე დასწრება, კომიტეტის სამდივნოში გაარკვიეთ ამის შესაძლებელობა. უდავოდ სასარგებლო იქნება კომიტეტის წევრების წინასწარ ნახვა. თუ შესაძლებელია, სთხოვეთ შეხვედრა სხდომის დაწყებამდე მოკლე მსჯელობისთვის.

საჯაროობა: არ დაგავიწყდეთ თქვენი მოხსენების ასლის განთავსება ვებგვერდზე. შეგიძლიათ, შეადგინოთ თქვენი ანგარიშის პრეს-რელიზი და ასლები თქვენს წევრებს დაურიგოთ.

ჩრდილოვანი ანგარიში: როგორ ხდება მისი ორგანიზება ავსტრალიაში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების ავსტრალიის ფედერაციამ ძალები გააერთიანა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სხვა ორგანიზაციებთან, რათა შეედგინა კოორდინირებული ჩრდილოვანი ანგარიში ავსტრალიის მთავრობის მიერ კონვენციის შესრულების შესახებ.

მათი აზრით, ერთობლივი მუშაობა ეფექტიანი გზა იქნება იმის უზრუნველსაყოფად, რომ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტმა ყოველმხრივი წარმოდგენა შეიქმნას, თუ რა მდგომარეობაა ამჟამად ავსტრალიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მხრივ. მათ პროექტს მიუძღვნეს სპეციალური ვებგვერდი, რომლის

მეშვეობითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მათ გაუზიარებენ თავიანთ რეალურ გამოცდილებასა და მოუთხრობენ, კონვენციით მინიჭებული უფლებების გამოყენების რა პრობლემები ექმნებათ. ვებგვერდი იხილეთ: www.disabilityrightsnow.org.au შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პირებს შეუძლიათ, გამოიყენონ ანგარიში ვებგვერდიდან იმისათვის, რომ აღრიცხონ საკვანძო საკითხები კონვენციის თითოეული უფლების შესაბამისად და მაგალითები — დარღვევების სამომავლო ნუსხისთვის.

გახსოვდეთ — გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ვალდებულ-ია, სხვა კონვენციებზეც წარადგინოს ანგარიში. მათ შორისაა ბავშვთა უფლებების კონვენცია, ქალთა დისკრიმინაციის აღ-მოფხვრის კონვენცია და რასობრივი დისკრიმინაციის აღმო-ფხვრის კონვენცია. ამ ანგარიშებში უნდა განიხილებოდეს შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პირებიც. თქვენ შეგიძლიათ იმ-უშაოთ ქალთა, ბავშვთა ან ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებთან, რათა უზრუნველყოთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხები შეტანილი იყოს მათ ჩრდილოვან ანგარიშებში ყველა ამ კონვენციის მიმართ.

როგორ გავასაჩივრო კონვენციის დარღვევა?

გაეროს დონეზე, ფაკულტატური ოქმი საშუალებას აძლევს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტს, გაეცნოს გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ შეზღუდული შესა-ძლებლობის მქონე პირების უფლებათა დარღვევების როგორც ცალკეულ შემთხვევებს, ისე სისტემატურ დარღვევებს.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას სასამართლოში ვერ მიიყ-ვანთ მხოლოდ კონვენციის დარღვევის მიზეზით, ეროვნულ ან ადგილობრივ დონეზე არსებობს არაერთი გზა კონვენციის გამო-საყენებლად თქვენი შემთხვევის მხარდასაჭერად — სულერთია, მთავრობას უპირისპირდებით თუ სხვა საჯარო ხელისუფალს. ეს შეიძლება მოხდეს:

- როცა თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ საკითხს, რომელიც თქვენს წინაშე წამოიჭრა, ფარავს კანონის სხვა ნაწილი, რაც პირდაპირ აღსასრულებელია გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებში (მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის აქტი ან თანასწორობის კანონმდებლობა);
- როცა თქვენ ჩივიხართ საჯარო ხელისუფლის წინააღმდეგ შიდა პროცედურების ან ისეთი მაკონტროლებელი ორგანოების მეშვეობით, როგორიცაა ზრუნვის ხარისხის კომისია ან სახალხო დამცველი.

ეს ნაწილი გვიხსნის, როგორ უნდა იჩივლოთ, თუ თვლით, რომ თქვენი უფლებები დაირღვა.

I ეტაპი: უთხარით ამის შესახებ თქვენთვის სანდო ადამიანს: ეს შეიძლება იყოს მეგობარი, ნათესავი, ადვოკატი ან კოლეგა სამსახურიდან. გაარკვიეთ, რა ხდება არასწორად, თქვენს რომელ უფლებებს შეეხნენ და რის შეცვლა გინდათ. თუ დარწმუნებული არ ხართ, ესადაგება თუ არა კონვენცია თქვენს სიტუაციას, არ შეუშინდეთ რჩევის კითხვას. თუ თქვენ წინაშე წამოჭრილ პრობლემას არად აგდებენ სამსახურში ან მაშინ, როცა მომსახურების მიღებას ცდილობთ, შესაძლოა, შესაბამისი ორგანო არღვევს თქვენთვის კანონმდებლობით მონიჭებულ თანასწორობის უფლებებს. ეროვნულ შეზღუდული შესაძლებლობის ჯგუფთან ან საკონსულტაციო სააგენტოსთან გასაუბრება დაგეხმარებათ გაარკვიოთ, კონვენციის რომელი უფლებები შეესაბამება თქვენს სიტუაციას და თქვენი რომელიმე სხვა უფლებებიც ხომ არ ირღვევა.

II ეტაპი: თავდაპირველად შეეცადეთ, პრობლემა მის შემქმნელ ადამიანთან ან ორგანოსთან მოაგვაროთ. არსებობს მრავალი მაგალითი, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ადამიანის უფლებების არგუმენტებს იყენებენ და საჯარო ხელისუფლებისგან ცვლილებებს ითხოვენ. მოცემული მაგალითების სანახავად იხილეთ მე-4 ნაწილი.

III ეტაპი: თუ შედეგს ვერ მიიღებთ, დაინტერესდით გასაჩივრების პროცედურით. საჯარო ხელისუფლების ყველა ორგანოს გააჩნია გასაჩივრების პროცედურები. ყველა დამქირავებელს უნდა ჰქონდეს გასაჩივრების პროცედურა დაქირავებულთათვის.

IV ეტაპი: თუ ეს საკითხს ვერ გადაჭრის, შეგიძლიათ სცადოთ, მიწეროთ ან დაუკავშირდეთ თქვენს დეპუტატს, შოტლანდიის პარლამენტის წევრს ან საკრებულოს წევრს. მათ შეიძლება თქვენი სახელით წერილი მისწერონ საჯარო ხელისუფლების ორგანოს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯგუფიც შეიძლება გამოვიდეს თქვენი სახელით. პრობლემა ზოგჯერ შესაძლოა ამით გადაიჭრას.

V ეტაპი: შეიძლება გსურდეთ სამართლებრივი ზომების გამოყენება, მაგრამ წინასწარ რჩევა სთხოვეთ თანასწორობის და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას ან „დამატებითი ინფორმაციის“ სექციაში განთავსებული სიიდან რომელიმე ორგანიზაციას. სამართლებრივი ქმედების განხორციელება შეიძლება ძალიან ძვირი და რთული იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

- თქვენ ძალიან მცირე შემოსავალი გაქვთ და სამართლებრივი დახმარება გეკუთვნით (სამართლებრივი დახმარება ნიშნავს მთავრობის მიერ თქვენი იურიდიული ხარჯების დაფარვას). თქვენ არ გეკუთვნით სამართლებრივი დახმარება, თუკი ეს დასაქმებასთან დაკავშირებული საქმეა.
- თანასწორობის და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას ან სხვა ორგანოს სურვილი აქვს, მხარი დაუჭიროს თქვენს საქმეს (კომისიას აგრეთვე შეუძლია, მხარი დაუჭიროს ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ სხვა შემთხვევებს, რომლებიც თანასწორობის კანონმდებლობას დაქვემდებარებულ პრობლემებს წამოჭრიან — მაგრამ ქვემოთ იხილეთ, სხვა რა ძალაუფლება აქვს მას ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ სამოქმედოდ).

თუ გინდათ, სასამართლო საქმე აღძრათ, ეს უნდა იყოს ადამიანის უფლებების დაცვის აქტს ან თანასწორობის კანონს დაქვემდებარებული შემთხვევა. თქვენ ვერ აღძრავთ სასამართლო საქმეს კონვენციის თანახმად, მაგრამ უდავოდ შეგიძლიათ კონვენციის გამოყენება თქვენი პოზიციის გასაძლიერებლად.

უნდა გამოარკვიოთ, ადამიანის უფლებების დაცვის აქტისა და თანასწორობის კანონის რომელი უფლებებია ხელყოფილი თქვენს შემთხვევაში. შემდეგ გაეცანით კონვენციის შესაბამის მუხლს (მუხლებს), რათა ნახოთ, რას ამბობს იგი თქვენს უფლებებზე ამ სფეროში, და ეს თქვენს არგუმენტში გამოიყენეთ. თქვენს იურიდიულ წარმომადგენელს უნდა შეეძლოს ამ საკითხების გარკვევა — თუ ვერ გაარკვიეს, ეს საკითხი მასთთან ერთად უნდა წამოწიოთ.

მაგალითის შესწავლა: კონვენციის გამოყენება თქვენს საჩივარში

პრათიბჰა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან იღებდა ბინაზე მოვლის მომსახურებას. მისი საჭიროება ძლიერ ინტენსიურია. ქალი ითხოვს საჭიროებების ხელმეორედ შეფასებას, რადგან გრძნობს, რომ მეტი დახმარება სჭირდება. ადგილობრივი ხელისუფლება თანხმდება, რომ მისი საჭიროებები გაიზარდა. მათი თქმით, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების ერთადერთი შესაძლებლობა აქვთ: პრათიბჰა სპეციალიზებულ სახლში უნდა გადავიდეს. მათი ბიუჯეტი მწირია და, როგორც ამბობენ, ბინაზე მოვლის უზრუნველყოფა ძალიან ძვირი დაუჯდებათ. პრათიბჰა დარწმუნებულია, რომ თავის სახლში უნდა დარჩენა. იგი ძალიან აქტიურია თავის თემში, უამრავი მეგობარი ჰყავს და ბევრი ინტერესი აქვს.

სხვა კანონებთან ერთად, პრათიბჰას შეუძლია კონვენციის გამოყენებაც, რათა ადგილობრივი ხელისუფლება აიძულოს, რომ მისი სახლში დარჩენა უზრუნველყონ.

მას შეუძლია ამტკიცოს, რომ:

- ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლი ავალდებულებს ადგილობრივ ხელისუფლებას, პატივი სცეს მის უფლებას პირად, ოჯახურ ცხოვრებაზე. ამ უფლებაში შედის მეგობრების ყოლა, სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა და დასვენება. როცა ადამიანები სპეციალიზებულ სახლში გადადიან, ისინი შეიძლება მოსწყდენ მეგობრებს და საქმიანობის ფართო სპექტრს, რომელშიც ჩვეულებრივ მონაწილეობენ საკუთარ სახლში ცხოვრებისას. ეს უფლება პიროვნების გონებრივი და ფიზიკური კეთილდღეობის დაცვასაც ეხება. პრათიბჰა დარწმუნებულია, რომ დეპრესიაში ჩავარდება, თუ მოწყვეტენ ჩვეულებრივ გარემოს და დაკარგავს დამოუკიდებლობას.
- გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის მე-19 მუხლიდან ნათლად ჩანს, რომ ქალს უფლება აქვს, აარჩიოს, სად და ვისთან ერთად იცხოვროს. იქ წერია, რომ მას უფლება აქვს, იცხოვროს თემში და იძულებით არ უნდა გადაიყვანონ რაიმე განსაკუთრებულ საცხოვრებელ პირობებში, მაგალითად, თავშესაფარში. ამით მისი პოზიცია გაძლიერდება.
- თანასწორობის ვალდებულების თანახმად, ადგილობრივ ხელისუფლებას აგრეთვე აქვს ვალდებულება, ხელი შეუწყოს შესაძლებლობათა გათანაბრებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ეს ვალდებულება ეკისრებათ მაშინ, როცა გადაწყვეტილებებს იღებენ ცალკეული პირების შესახებ. თავშესაფარში გადასვლით ქალი დაკარგავს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს ყველაფერში, რაშიც ამჟამად მონაწილეობს. მას შეუძლია შეახსენოს ხელისუფლებას ამის შესახებ და შეეკითხოს, ჩაატარეს თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თანასწორობაზე ზემოქმედების შეფასება. შეუძლია ითხოვოს, გაუზიარონ, რასაც გამოარკვევენ, ან მოითხოვოს შეფასების ჩატარება და მისი ჩართვა პროცესში.

თუ ბავშვი ხართ — ყოველ ქვეყანაში არსებობენ ბავშვებზე და ახალგაზრდებზე პასუხისმგებელი ოფიციალური პირები, რომლებსაც მათი ინტერესების დაცვა ევალებათ. შეგიძლიათ, თქვენს პრობლემებთან დაკავშირებით მათ მიმართოთ.

როგორ შეუძლია თანასწორობის და ადამიანთა უფლებათა დაცვის კომისიას, გაუმკლავდეს ადამიანთა უფლებათა დარღვევებს?

თანასწორობის და ადამიანთა უფლებათა დაცვის კომისიას შეუძლია:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მისცეს უფასო რჩევა და ინფორმაცია მათი უფლებების დაცვის შესახებ დახმარების ხაზის მეშვეობით და, ზოგ შემთხვევაში, მხარი დაუჭიროს ცალკეულ სასამართლო საქმეებს;
- ჩაატაროს კვლევა, უზრუნველყოს სწავლება ან გადამზადება;
- ჩაატაროს მოკვლევები, გამოძიებები და შეფასებები;
- თუ არის ადამიანთა უფლებების დარღვევის აღკვეთის საჭიროება, საჯარო დაწესებულების (მაგალითად, საკრებულოს ან სამთავრობო დეპარტამენტის) წინააღმდეგ აღძრან სასამართლო საქმე, რასაც „სასამართლო განხილვა“ ეწოდება;
- ჩაერიოს სხვა ადამიანების მიერ დაწყებულ სასამართლო საქმეებში, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვას ეხება. ეს ნიშნავს, რომ კომისიას შეუძლია, სასამართლოს მისცეს ექსპერტის რჩევა.

როგორ შეუძლია დახმარების გაწევა შოტლანდიის უფლებათა დაცვის კომისიას?

შოტლანდიის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას შეუძლია:

- ჩაერიოს შოტლანდიის სასამართლოებში მიმდინარე სასამართლო საქმეებში ექსპერტის რჩევის მისაცემად;
- წამოიწყოს მოკვლევა შოტლანდიის საჯარო ხელისუფლებაში და მოკვლევის ფარგლებში შეამოწმოს დაკავების ადგილიც;

- ჩაატაროს კვლევა, გაწიოს კონსულტაცია ან უხელმძღვანელოს, ასწავლოს ან ტრენინგი ჩაუტაროს;
- განიხილოს და ცვლილებების რეკომენდაციები მისცეს შოტლანდიის კანონის ნებისმიერ სფეროში ან შოტლანდიის საჯარო ხელისუფლების პოლიტიკასა და პრაქტიკაში.

თუკი ახორციელებთ სამართლებრივ საქმეს, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა დაცვას და კონვენციას, აცნობეთ კომისიებს ამის შესახებ:

- თუ მათ შეუძლიათ ჩარევა სასარგებლო არგუმენტებით;
- იმისათვის, რომ მათ ჰქონდეთ მტკიცებულება, რომელსაც გამოიყენებენ, რათა მთავრობას ურჩიონ, თუ რა ღონისძიება უნდა ჩაატაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად.

თუკი ბრიტანეთში იღონეთ ყველა შესაძლო ხერხი კომპენსაციის მისაღებად და სამართალს ვერ მიაღწიეთ, იფიქრეთ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტში გასაჩივრებაზე.

როგორ უნდა შეიტანოთ საჩივარი გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტში?

ფაკულტატური **ოქმი** აწესებს კომუნიკაციის პროცედურებს და გამოძიების პროცედურას. **კომუნიკაციის პროცედურა** საშუალებას აძლევს ხალხს, პეტიცია წარუდგინონ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კომიტეტს, თუ სჯერათ, რომ დაირღვა კონვენციით მინიჭებული მათი უფლებები და მათ გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებში კომპენსაციის მიღების ყველა რესურსი ამოწურეს.

გამოძიების პროცედურა საშუალებას აძლევს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კომიტეტს, ჩაატაროს გამო-

ძიება, როცა მიღებული აქვს სანდო ინფორმაცია კონვენციით განსაზღვრული უფლებების მძიმე ან სისტემატურ დარღვევაზე.

კონვენციის თანახმად, თქვენი უფლებების დარღვევის შესახებ შეგიძლიათ იჩივლოთ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კომიტეტში, თუ:

- თქვენ ხართ (სავარაუდო) მსხვერპლი. თუ თავად მსხვერპლი არ ხართ, მაშინ ნებართვა უნდა გქონდეთ, მსხვერპლის სახელით იმოქმედოთ;
- საჩივარი მთავრობის წინააღმდეგ არის მიმართული. იგი ვერ აღიძვრება სხვა ხელისუფალთა წინააღმდეგ, მაგალითად, თქვენი საბჭოს წინააღმდეგ. თუ თვლით, რომ უელსის სა-პარლამენტო მთავრობა ან შოტლანდიის მთავრობა არღვევს კონვენციას, თქვენ მაინც გაერთიანებული სამეფოს მთავრობას უნდა უჩივლოთ, თუმცა უმჯობესი იქნება თავდაპირველად გა-მოიყენოთ ჩივილის სხვა ხელმისაწვდომი მექანიზმები, მათ შორის, მიმართოთ სახალხო დამცველს;
- საჩივარი კარგად უნდა იყოს დასაბუთებული. ეს ნიშნავს, რომ გჭირდებათ მტკიცებულება ადამიანთა უფლებების დარღვევის შესახებ. დარღვევა აშკარად უნდა იყოს კავშირში კონვენციის ერთ ან მეტ მუხლთან;
- საჩივარი არ ეწინააღმდეგება კონვენციაში მოცემულ პრინ-ციპებს და უფლებებს. თქვენ უკვე გამოიყენეთ ბრიტანეთში არსებული სამართლებრივი დაცვის ყველა შესაძლო საშუალება, მაგრამ უშედეგოდ;
- ბრიტანეთში არ არსებობს კანონი, რომელიც ძალაში შეიყვანს კოვენციის ამა თუ იმ კონკრეტულ უფლებას. მაგალითად, ბრი-ტანეთში არ არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც მთავრო-ბა ვალდებულია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უზრუნველყოს შესაბამისი საცხოვრებელი სტანდარტებით და ადაპტირებული სახლით. მაგრამ, თუ თქვენთვის განკუთვნილი ყველა სარგებლის და გრანტის მოთხოვნის შემდეგაც კი, მაინც გაჭირვებული ხართ ან აშკარად შეუსაბამო საბინაო

პირობების გამო ცხოვრობთ გარემოში, რომელიც თქვენი ღირსების შელახვას იწვევს — ასეთი სიტუაციის დროს საჩივარი შეიძლება წარედგინოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტს“, ვინაიდან მთავრობამ საკმარისი არ გააკეთა, თქვენი უფლება შესაბამის საცხოვრებელ პირობებზე (მუხლი 28) რეალობად ექცია.

საჩივრის შეტანისთვის არსებობს სხვა მნიშვნელოვანი წესები:

- საკითხი, რომლის შესახებაც ჩივით, უნდა იყოს მომხდარი ან გაერთიანებული სამეფოს მიერ კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ ან, თუკი პრობლემა რატიფიკაციის თარიღამდე (2009 წლის 8 ივნისამდე) წამოიჭრა, უნდა გრძელდებოდეს იმ დროისთვისაც, როცა საჩივრის შეტანა გინდათ;
- თქვენ არ შეგიძლიათ ანონიმური საჩივარის შეტანა (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა განაცხადოთ, ვინ ხართ);
- ეს საკითხი ადრე არ უნდა იყოს განხილული გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის კომიტეტის მიერ;
- ეს საკითხი არ უნდა იყოს უფლებების დაცვის სხვა რომელიმე საერთაშორისო ორგანოს (მაგ. როგორიცაა ევროპული სასამართლო ან ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო) განხილვის საგანი.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც უნდა გახსოვდეთ:

1. სანამ გადაწყვეტთ, გამოიყენებთ თუ არა ფაკულტატურ ოქმს, რჩევისთვის წინდაწინ ყოველთვის მიმართეთ თანასწორობის და ადამიანის უფლებათა კომისიას ან შოტლანდიის ადამიანის უფლებათა კომისიას. მათ შეუძლიათ, გირჩიონ, რამდენად შესაბამისია ეს საქმე გასასაჩივრებლად და, თუ არ არის, რა უნდა იღონოთ;

2. შეეცადეთ, გაიგოთ სხვა ადამიანების შესახებ, რომელთაც იგივე პრობლემა შეეხოთ. საჩივრის შეტანა შეუძლია ადამიანთა ჯგუფსაც და ცალკეულ ადამიანებსაც. ალბათ, უფრო ადვილი იქნება, თუ ჯგუფი იქნებით და ერთმანეთს გაუწევთ მხარდაჭერას.

დაუკავშირდით შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანთა ორგა-ნიზაციებს ადგილობრივად ან საერთაშორისო მასშტაბით, მათ შეიძლება ინფორმაცია მოეპოვებდეთ სხვა ადამიანებზე, ვისაც თქვენი პრობლემა შეეხო.

როგორ შეიძლება დაგვეხმაროს თანასწორობის და ადამიანთა უფლებების კომიტეტი?

კომისია მონდომებულია, განავითაროს თავისი მუშაობა ფაკულ-ტატურ ოქმებთან დაკავშირებით. კომისიას შეუძლია, დაეხმარ-ოს მომჩივანს ფაკულტატურ ოქმებთან დაკავშირებით, რათა მომზადდეს წერილი ან პეტიცია გაეროს შეზღუდული შესაძლებ-ლობის მქონე პირთა კომიტეტში წარსადგენად — მაგალითად, დაეხმაროს საჭირო საბუთების და მისაწოდებელი მასალის მომზადებაში. ამ სახელმძღვანელოს ბოლოს იხილეთ საკონტაქტო ინფორმაცია, რათა გაარკვიოთ, თუ რა გზით იქნება შესაძლებელი მათთან დაკავშირება.

დავუშვათ, თქვენი საჩივარი შეესაბამება ყველა კრიტერიუმს და მიიღეთ რჩევა, იმოქმედოთ — როგორ გაასაჩივრებთ?

თქვენ დაგჭირდებათ, საჩივარს წერილობითი ფორმა მიცეთ და გაუგზავნოთ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტს. ინფორმაცია საჩივრის შეტანის შესახებ მოწოდებული იქნება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტის ვებგვერდზე.

შემდეგ რა ხდება?

თუ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტი მიიღებს თქვენს საჩივარს, იგი მთავრობისგან მოითხოვს რეაგი-რებას. შემდგომ კომიტეტი შეიკრიბება დახურულ კარს მიღმა და გადაწყვეტს, რა კვლევები ჩაატაროს.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტი ორივე მხარეს გადასცემს საკუთარი რეკომენდაციების ასლს, რეზიუმე კი მის წლიურ ანგარიშში შევა.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტის დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება არ იყოს მაიძულებელი ძალის მქონე, მაგრამ მორალური წონა აქვს, რადგან მთავრობებს არ მოსწონთ, როცა მიუთითებენ, რომ შეცდნენ, და, როგორც წესი, შეეცდებიან შეცდომების გამოსწორებას. ამან შეიძლება აიძულოს მთავრობა, მიიღოს ახალი კანონმდებლობა, შეცვალოს პოლიტიკა ან ფული მოიძიოს პრობლემის მოსაგვარებლად.

შემთხვევის შესწავლა: საჩივრების პროცედურის გამოყენება ქალთა წინააღმდეგ ძალადობის დასაძლევად

2004 წელს ორმა ავსტრიულმა ქალთა ორგანიზაციამ სარჩელი შეიტანა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელი კონვენციის (CEDAW) შესაბამისად, ორი ქალის, საჰიდეს და ფატმას, სახელით. ორივე ქალი ქმრებმა მოკლეს მათთვის განმეორებითი შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ. ორივე ქალმა ავსტრიის ოფიციალურ პირებს აცნობა სხვადასხვა ძალადობრივ შემთხვევათა შესახებ, ვერ მიიღო სათანადო მხარდაჭერა და საბოლოოდ მოკლული იქნენ. ქალთა ჯგუფები ამტკიცებდნენ, რომ ავსტრიის სახელმწიფომ საკმარისი არ იღონა ამ ორი ქალის სიცოცხლის გადასარჩენად, რითაც დაირღვა მათთვის CEDAW-ით მინიჭებული უფლებები.

CEDAW-ის კომიტეტი მათ დაეთანხმა. 2007 წლის აგვისტოში მან დაასკვნა, რომ ავსტრიამ ვერ შეძლო ქალთა სიცოცხლის დაცვა, და გასცა მკაფიო რეკომენდაციები, თუ რა უნდა იღონოს ავსტრიამ მომავალში ქალთა უფლებების მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად. შედეგად, შემოიღეს მთელი რიგი ახალი პოლიტიკური ზომები და საკანონმდებლო რეფორმის პროცესი ავსტრიელი ქალების ძალადობისგან დასაცავად მართლაც რომ გააქტიურდა. (3)

როგორ დავაწყებინოთ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტს ადამიანთა უფლებების დარღვევის შემთხვევის გამოძიება?

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტს შეუძლია, გამოძიება დაიწყოს ნებისმიერი ქვეყნის (რომელმაც რატიფიკაცია გაუკეთა „კონვენციას“ და მის ფაკულტატურ ოქმს) მიერ კონვენციის უხეში ან ფართოდ გავრცელებული დარღვევების შემთხვევებზე. „ფართოდ გავრცელებული“ ნიშნავს, რომ დარღვევები გავლენას ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბევრ ადამიანზე და/ან წააგავს მიზანმიმართული პოლიტიკის ნაწილს. კომიტეტს დასჭირდება სავარაუდო დარღვევების უტყუარი მტკიცებულება, სანამ გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა გამოძიების ჩატარება. პიროვნებებს და ორგანიზაციებს შეუძლიათ მტკიცებულების მიწოდება ან „ინდივიდუალური საკომუნიკაციო პროცედურის“ გამოყენება იმისათვის, რომ უფლებების ასეთი დარღვევის შესახებ გაეროს კომიტეტს აცნობონ.

თუ ფიქრობთ, რომ არსებობს კონვენციის უფლებების უხეში ან ფართოდ გავრცელებული დარღვევები, რომელიც გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის კომიტეტმა უნდა გამოიძიოს, უნდა:

- იმუშაოთ შეზღუდული შესაძლებლობის სხვა ჯგუფებთან და ადამიანთა უფლებების ეროვნულ კომისიებთან ერთად უფლებების დარღვევის დეტალური მტკიცებულების შესაგროვებლად; და
- გამოძიების ჩატარების თხოვნით, მისწეროთ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტს.

უნდა შეამოწმოთ, მოინდომებს თუ არა თანასწორობის და ადამიანის უფლებების კომიტეტი ან შოტლანდიის ადამიანის უფლებების დაცვის კომისია, მათ ნაცვლად ჩაატაროს გამოძიება. მიიღეთ მათგან რჩევა, საჭიროა თუ არა, გამოძიება გაერომ ჩაატაროს.

სხვა კონვენციების ფარგლებში წარმოებული გამოძიებების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს შეიძლება ადამიანის უფლებების შელახვის შეწყვეტის და ცვლილებების დანერგვის ეფექტიანი ხერხი იყოს.

როგორ ჩავრთოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფართო სპექტრის ჩართვა, რათა გამოცდილებების და სიტუაციების რაც შეიძლება დიდი არჩევანი იყოს წარმოდგენილი. ეს, მაგალითად, ნიშნავს სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების, პოპულაციაში წარმოდგენილი ყველა ასაკისა და ეთნოსის წარმომადგენლების, სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური წარსულის და განსხვავებული ოჯახური სტატუსის მქონე ქალებისა და მამაკაცების (და, სადაც საჭიროა, ბავშვების) ჩართვას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების უმრავლესობა ერთ კონკრეტულ ჯგუფზეა ორიენტირებული — მაგალითად, ადამიანებზე, რომლებსაც ერთი რომელიმე სპეციფიური დაზიანების გამოცდილება აქვთ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და საჯარო ხელისუფალთ ესაჭიროებათ ორგანიზაციათა ფართო სპექტრის ჩართვა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაწყვეტილების მიღებაში ჩასართავად ჯერ ისინი უნდა დაარწმუნოთ იმაში, რომ ნამდვილად ექნებათ ხმის უფლება მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში.

ინფორმაციის გასავრცელებლად მნიშვნელოვანია მედიასაშუალებების ფართო სპექტრის გამოყენება. მაგალითად, გაზეთები ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საშუალებაა ხანდაზმულებს შორის,

ხოლო ახალგაზრდებს შორის ყველაზე მეტი გავლენა სოციალურ ქსელებს აქვს.

მედიასაშუალების შერჩევისას გაითვალისწინეთ იმ ჯგუფის თავისებურებები, ვისაც გსურთ, რომ მიწვდეთ.

მიაწოდეთ იმფორმაცია სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ, მათი წევრების ჩასართავად ამ პროცესში.

შეაგროვეთ მოსაზრებები, საჭიროებები, პრიორიტეტები და შესაბამისად შეადგინეთ გეგმა. ეს შეიძლება მოახერხოთ ღიაცისქვეშა ღონისძიებების, მრგვალი მაგიდის დისკუსიების, ფოკუსჯგუფების, თემის კრებების და სხვ. მეშვეობით. ასეთ დისკუსიებში შინაარსიანი წვლილის შესატანად, მონაწილეები უნდა ერკვეოდნენ განსახილველ საკითხებში და ესმოდეთ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე შედეგები. სასარგებლო იქნება იმ შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების ჩართვა, ვინც განხილული სფეროს სპეციალისტია, აგრეთვე მათი, ვისაც შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანად ყოფნის ცოცხალი გამოცდილება აქვს და სურს და შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს განხილვებსა და გადაწყვეტილებებში.

ფოკუს-ჯგუფები წარმოადგენს ეფექტიან გზას შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების გამოცდილებების და მოსაზრებების გასაგებად კონკრეტულ საკითხზე, იქნება ეს კანონმდებლობის ახალი ნაწილი, სტრატეგია თუ სამოქმედო გეგმა. ფოკუს-ჯგუფები კარგ შესაძლებლობას აძლევენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, აცნობონ თავიანთ წევრებს კონკრეტული საკითხის შესახებ, წამოჭრან ღია დისკუსია და შეაგროვონ პირველადი ინფორმაცია, რომელსაც ჩაუტარდება ანალიზი და გამოყენებული იქნება სხვადასხვა გზით (მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წვლილის გამოყენება

რეკომენდაციების შემუშავებაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოსაზრებების წარდგენა პრეს-კონფერენციების დროს და სატელევიზიო პროგრამებში და ფოკუს-ჯგუფებისგან მიღებული შედეგების გაცნობა პირდაპირ გადაწყვეტილების მიმღებთათვის ლობირების შეხვედრების დროს).

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუ როგორ მოხდა მათი წვლილის გამოყენება, რა ღონისძიებები განხორციელდა ფოკუს-ჯგუფთან მუშაობის შედეგად და რა პროგრესი გაკეთდა.

საუკეთესო საშუალება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ორგანიზაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვის გზას დაადგება, არის თანამშრომლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ჩართულობის სტრატეგიის შემუშავებისას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საუკეთესო ექსპერტები არიან სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვის საკითხში, განსაკუთრებით ადგილობრივად. ისინი შეძლებენ რჩევების მიცემას თემის წევრებთან დასაკავშირებელი ისეთი ქსელებისა და მეთოდების თაობაზე, რომლებიც სხვა შემთხვევაში შეიძლება ყველას გამორჩენოდა.

შეხვედრების სტრუქტურირება მონაწილეობის წარმართვისთვის

შეხვედრების, მრგვალი მაგიდების დისკუსიების, პრეზენტაციების და სხვათა მიზანი, ფორმატი და წაყვანის სტილი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მონაწილეთა შესაძლებლობაზე, წვლილი შეიტანონ დისკუსიაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ასეთ ღონისძიებებში სრულად ჩართვის შესაძლებლობის მისაცემად ზოგჯერ უნდა დავივიწყოთ ტრადიციული მეთოდი და სანაცვლოდ გამოვიყენოთ უფრო მოქნილი მიდგომა, რომელიც მოგვცემს თავისუფალი, სპონტანური დისკუსიების საშუალებას და დამატებით დროს ინტერაქტივისთვის.

თანამშრომლობა შეზღუდულ შესაძლებლობებზე ორიენტირებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის ხელისშემშლელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის სუსტი თანამშრომლობა და ერთიანობა. შეზღუდულ შესაძლებლობებზე ორიენტირებულ სამოქალაქო საზოგადოებას აქვს პოტენციალი, გაზარდოს საკუთარი გავლენა, ეფექტიანობა და კომპეტენცია სტრატეგიული თანამშრომლობის გზით.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს სხვადასხვა შესაძლებლობა და ექსპერტული ცოდნა მოეპოვებათ, მაგრამ ძირითადად საერთო მიზნებს იზიარებენ. თუმცა, იმის ნაცვლად, რომ ითანამშრომლონ და საერთო მიზნების მისაღწევად ერთმანეთის შესაძლებლობები შეავსონ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხშირად ერთმანეთს ეჯიბრებიან და ერთსა და იმავე საქმეს აკეთებენ, ბევრი მნიშვნელოვანი რამ კი გაუკეთებელი რჩებათ.

როცა საქმე გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენას ეხება, ძალა ერთობაშია. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა გაიაზრონ, რომ რთულია და ზოგჯერ შეუძლებელიცაა გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა, როცა მარტო მოქმედებ. მაშინაც კი, როცა არსებობს აზრთა სხვადასხვაობა სასურველი შედეგების ან ზეგავლენის მეთოდების შესახებ, ჩვეულებრივ, მოიპოვება საკმარისი რაოდენობის საზიარო შეხედულებები და ერთიანობით მიღებული სარგებელი გადაწონის კომპრომისით გამოწვეულ დანაკარგებს. გარდა ამისა, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლები და, კერძოდ, მთავრობები ხშირად მოიმიზეზებენ ამ უთანხმოებას, რათა არ შეცვალონ პოლიტიკა იმ მიმართულებით, რაც შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების უფლებების დაცვას დაეხმარებოდა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომ-ლობა არა მარტო აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლს და გავლენას, არამედ სხვადასხვა სა-მოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცოდნისა და გამო-ცდილების გაზიარების საშუალებასაც იძლევა. არსებობს სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ბევრი გზა, რაც გააადვილებდა, მიღწეული იქნეს საერთო მიზანი: გადაწყვეტილების მიღების პროცესი ინკლუზიური იყოს.

1. ჩაებით თანამშრომლობის არსებულ ქსელში;
2. დაამყარეთ თანამშრომლობა კონკრეტული მიზნით;
3. სხვა ორგანიზაციებთან ერთად განახორციელეთ ერთობლივი პროექტები.

მტკიცე პარტნიორობა შემავსებლობაზე არის დამყარებული, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს განსხვავებული შე-საძლებლობები მოეპოვებათ ან წარმოადგენენ სხვადასხვა ჯგუ-ფებს, მაგრამ ერთიანი მიზნები აქვთ. ასეთი პარტნიორობა იძლევა შესაძლებლობის მუდმივ გაძლიერებას და ყველა პარტნიორის-თვის მოაქვს სარგებელი. იგი არ წარმოადგენს „პარტნიორობას პარტნიორობის გულისთვის“, არამედ ესაა პარტნიორობა, რომე-ლიც აძლიერებს მისი წევრების შესაძლებლობებს.

პარტნიორობის დამყარებისას შეარჩიეთ ორგანიზაციები მსგავსი მისიით და სტრატეგიული ამოცანებით. მკაფიოდ განსაზღვრეთ, რა სარგებელს მიიღებენ ორგანიზაციები და როგორ დაეხმარება ეს გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედების საქმეს. უზრუნველ-ყავით სხვადასხვა ექსპერტული ცოდნის და გამოცდილებების მქონე ორგანიზაციების ჩართვა. ნუ უგულებელყოფთ ახლად დაარსებული მცირე ორგანიზაციების ძალას, განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების და მოშორებულ ადგილებსა და რეგიონებში მოქმედი ორგანიზაციებისას. ზოგ შემთხვევაში მნიშვნელოვანია თანამშრომლობა სამოქალაქო

საზოგადოების იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც არ არიან ორიენტირებული შეზღუდულ შესაძლებლობებზე. მაგალითად, როცა დაგეგმილია გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების საგანმანათლებლო შესაძლებლობებზეც აისახება, გონივრული იქნება თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების ისეთ ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების უფლებებზე, და განათლებაზე ორიენტირებულ უფლებათა დამცველ ორგანიზაციებთან.

არსებობს მნიშვნელოვანი კითხვები, რაც უნდა გავითვალისწინოთ, მაგ: გვაქვს თუ არა „ფასეულობების თანხვედრა" პოტენციურ პარტნიორებს შორის? რა როლს შეასრულებს თითოეული პარტნიორი თანამშრომლობის ფარგლებში? შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე ორიენტირებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან პარტნიორობის ჩამოყალიბებისას და ნებისმიერი სახის პარტნიორობისათვის უმნიშვნელოვანესია თითოეული წევრის როლის განსაზღვრა. უზრუნველყავით, რომ ამოცანები და ვალდებულებები პარტნიორ წევრებს შორის ისე იყოს განაწილებული, რომ თითოეულ პარტნიორს საშუალება ჰქონდეს, აკეთოს ის, რაც საუკეთესოდ გამოსდის. გრძელვადიანი პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად აგრეთვე საჭიროა უკვე არსებულ ურთიერთობებზე დაყრდნობა.

ეფექტიანი კომუნიკაცია თანამშრომლობის ფარგლებში

თანამშრომლობის წარმატებული მიმდინარეობისათვის უნდა დაინერგოს ეფექტიანი კომუნიკაციის და ინფორმაციის გავრცელების მეთოდები. ეფექტიანი კომუნიკაცია აძლიერებს ნდობას თანამშრომლობის ფარგლებში და აძლიერებს კოორდინაციას და თანამშრომლობას პარტნიორ წევრებს შორის. ამ მიზნისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს რიგი საკომუნიკაციო მეთოდებისა.

მათ შორის, ყველაზე მარტივი არის ადრესატების საზიარო ჩამონათვალი (shared mailing list), რაც შეიძლება ყოველდღიური ინფორმირებისათვის მოიხმარებოდეს. მოხერხებულია საერთო ვებგვერდის ქონა, სადაც თითოეული პარტნიორი შეძლებს, გააზიაროს ინფორმაცია მათ ღონისძიებებზე. ამით უზრუნველ-ყოფილი იქნება ეფექტიანი კომუნიკაცია პარტნიორებსა და ინდი-ვიდუალურ შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებს შორისაც. ინფორმაციის გაზიარების სხვა საშუალებებში შეიძლება შევიდეს რეგულარული საპარტნიორო შეხვედრები.

თანამშრომლობა გადაწყვეტილებების მიმღებებთან

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის გადაწყვეტი-ლების მიღებაზე გავლენის მოხდენის შემადგენელი ნაწილია თანამშრომლობა ყველა დონის (ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ) გადაწყვეტილების მიმღებთან. ამგვარად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მოქმედებენ, როგორც მოკავშირე-ები და არა როგორც გადაწყვეტილების მიმღების ოპონენტები, და მრავალ სიტუაციაში ეს უფრო სასარგებლო პოზიციაა. რაც შეეხება თანამშრომლობას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა მოძებნონ ხერხი და მთავრობა დაარწმუნ-ონ, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანა-მშრომლობა სასარგებლოა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ყველაზე ძლიერი მხარე არის მათი ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სფეროში. მთავრობას ეკისრება გადაწყვეტი-ლებების ჩამოყალიბების ვალდებულება, მაგრამ მას ხშირად არ გააჩნია ის ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ, რაც აქვთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

გადაწყვეტილების მიმღებებთან თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალება გახლავთ შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე საკონსულტაციო ჯგუფების შექმნა, რომლებიც გახდებიან გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების თანმხლები ჯგუფები ან მჭიდროდ ითანამშრომლებენ მათთან.

მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში ამ ბოლო წლებში პოლიტიკის განმსაზღვრელთა საკონსულტაციოდ შეიქმნა რიგი სტრუქტურებისა, რომლებიც მთლიანად ან თითქმის მთლიანად შედგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისაგან. მათ შორისაა:

- თანასწორობა 2025 – ცენტრალური ოფიციალური მრჩეველი ორგანო მინისტრებისთვის;
- შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების ტრანსპორტის საკონსულტაციო კომიტეტი;
- შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების უფლებების დამცავი ჯგუფი, რომელსაც მოჰყვა შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების უფლებათა კომისია (2000 წლიდან 2007 წლამდე) (და გაერთიანდა თანასწორობის და ადამიანთა უფლებების ერთობლივ კომისიაში, რომელსაც 2007 წლიდან აქვს განსაკუთრებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების კომიტეტი);
- „ექსპერტები გამოცდილების შედეგად“, რომელიც არეგულირებს ჯანდაცვას და სოცუზრუნველყოფას, როგორც ეროვნული დადგენილი მარეგულირებელის, მზრუნველობის ხარისხის კომისიის, ნაწილი;
- კომუნიკაციების მარეგულირებლი „ოქსფემის“ საკონსულტაციო კომიტეტი ხანდაზმული და შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების საკითხებში – მუშაობს ხელმისაწვდომი ტელეკომუნიკაციით უზრუნველყოფაზე;
- დამოუკიდებელად ცხოვრების სტრატეგია და დამკვირვებელი ჯგუფი;
- დამოუკიდებელი ცხოვრება შოტლანდიაში;
- შეზღუდული შესაძლებლობის მოძრაობის ალიანსი.

სომხეთში მსგავსი საკონსულტაციო ჯგუფები არსებობს შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნულ და რეგიონულ კომისიებში. ერთ-ერთი ყველაზე აქტიური კომისია არის ერევნის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომისია.

გავლენა დამოკიდებულებასა და ქცევებზე

ბევრჯერ არასწორი მიდგომა და ქცევა, უხერხულობიდან დაწყე-ბული შეცოდებით, ზიზღით და აგრესიით დამთავრებული, მნიშვნე-ლოვან კვალს ტოვებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებზე. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მნიშ-ვნელოვანი როლი აქვთ ამ დამოკიდებულების შეცვლაში. მათ ამის გაკეთება სხვადასხვა გზით შეუძლიათ — მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არმქონე ადამიანებს შო-რის ურთიერთობის ხელშეწყობით, შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების აქტიურ მონაწილეებად და ლიდერებად გამორჩევით, მედიაში დადებითი წარმომადგენლობის უზრუნველყოფით, მი-თების გაქარწყლებით და ინფორმირებით.

ზოგადი რჩევები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაწყვეტილებების მიღების და სხვა პროცესებსა თუ ღონისძიებებში აქტიურად ჩა-საბმელად აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ქცევის წესების დაცვა. სწორი ქცევა შეზღუდული შესა-ძლებლობის მქონე პირებთან წინაპირობაა ეფექტიანი ურთი-ერთობისთვის, ეს კი მათი ჩართულობის გადამწყვეტი ფაქტორია.

ნუ ივარაუდებთ

ეს ყველაზე მნიშვნელოვანი რჩევაა, როცა შეზღუდული შესა-ძლებლობის მქონე პირებთან გაქვთ ურთიერთობა. ყველა ჩვენგანის მსგავსად, მხოლოდ თავად შეზღუდული შესაძლებლ-

ობის მქონე პირებს შეუძლიათ, განსაჯონ, რის გაკეთების უნარი აქვთ და რისი არა, ან როგორ ურჩევნიათ, რომ ეპყრობოდნენ. თუ არ ხართ დარწმუნებული, როგორ მოიქცეთ კონკრეტულ სიტუაციაში, უბრალოდ ჰკითხეთ იმ ადამიანს, ვისთანაც გაქვთ საქმე. არ ივარაუდოთ, რომ ადამიანს არ შეუძლია მონაწილეობის მიღება რომელიმე ღონისძიებაში ან არ შეუძლია რამის გაკეთება მხოლოდ იმიტომ, რომ მას შეზღუდული შესაძლებლობა აქვს. მათ მაგივრად ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას.

პატივი ეცით პირად სივრცეს

არ შეეხოთ ან არ მიეყუდოთ ადამიანის ეტლს, „სკუტერს“, „ვოქერს“ ან სხვა დამხმარე მოწყობილობას. შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისათვის მათი მოწყობილობა პირადი სივრცის ნაწილია. თავზე არ გადაეყუდოთ ეტლში მჯდომ ადამიანს იმისათვის, რომ ხელი ჩამოართვათ ვინმეს, და ეტლით მოძრავ ადამიანს არ სთხოვოთ, თქვენი ნივთები დაიჭიროს. სავსებით მიუღებელია ადამიანისთვის თავზე ხელის გადასმა. მოერიდეთ შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანისთვის მკლავებში ხელის ჩავლებას: ზოგი ადამიანი (ვინც ჯოხით ან ყავარჯნით გადაადგილდება) წონასწორობას მკლავებით იცავს და მკლავებში ჩავლებამ, მიუხედავად თქვენგან დახმარების სურვილისა, შეიძლება წააქ–ციოს ის.

ჰკითხეთ, სანამ დაეხმარებით

არასოდეს ჩათვალოთ, რომ ადამიანს სჭირდება დახმარება მხოლოდ იმიტომ, რომ მას შეზღუდული შესაძლებლობა აქვს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დამოუკიდებლები არიან და უნდათ, რომ ექცეოდნენ, როგორც დამოუკიდებელს. ადაპტირებულ გარემოში მათ თავი ყოველგვარი დახმარების გარეშე გააქვთ. თუ საჭიროა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობა თვითონ გთხოვთ დახმარებას. შესთავაზეთ

თქვენი დახმარება მხოლოდ მაშინ, როცა აშკარაა, რომ ადამიანს იგი სჭირდება. მზად იყავით იმისათვის, რომ შეიძლება დახმარებაზე უარი მიიღოთ. თუკი თქვენს შეთავაზებას მიიღებენ, ჰკითხეთ, როგორ მოიქცეთ, ყურადღებით მიყევით ინსტრუქციებს, თორემ დახმარების განზრახვით შეიძლება ადამიანი საფრთხეში ჩააგდოთ. მაგალითად, თუ ეტლს სახელურებით ან ფეხის დასადგმელით ასწევთ, შეიძლება ეტლს ნაწილი მოძვრეს და ადამიანი იქიდან გადმოგივარდეთ.

ადამიანს პირდაპირ მიმართეთ

როცა ეკონტაქტებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, თვალი გაუსწორეთ, უშუალოდ მას მიმართეთ და არა მის თანმხლებს, დამხმარეს ან ჟესტების ენის თარჯიმანს, ვინც შეიძლება მას ახლდეს. ისე ესაუბრეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს.

როგორც ყველა სხვა ადამიანს, არც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს სიამოვნებს პირადი ინფორმაციის გაზიარება. თუ სრულიად უცხო ადამიანი მათ შეზღუდულ შესაძლებლობებზე დაუწყებს ლაპარაკს, ჩათვლიან, რომ მათში ხედავენ შეზღუდულ შესაძლებლობას და არა — ინდივიდს. თუმცა ადამიანის გაცნობის შემდეგ მათი უმრავლესობა არ არის წინააღმდეგი, ისაუბროს საკუთარ შეზღუდულ შესაძლებლობებზე.

საუბრის ხელშესაწყობად ისე მოთავსდით, რომ მოსაუბრის თვალის დონეზე იმყოფებოდეთ. როცა რამდენიმე წუთზე მეტ ხანს ესაუბრებით ადამიანს, თქვენც სკამი გამოიყენეთ ან, თუ ეს შესაძლებელი არ არის, ცოტა მოშორებით დადექით. იგივე პრინციპი ეხება საუბარს სხვა მჯდომარე ადამიანებთან.

როდესაც ადგილს სთავაზობთ მოძრაობაშეზღუდულ ადამიანს, გახსოვდეთ, რომ სახელურებიანი სკამები უფრო ადვილი გამოსაყენებელია.

უსინათლო ადამიანები და დაქვეითებული მხედველობის მქონე ადამიანები

სანამ დაელაპარაკებით ან შეეხებით უსინათლო ადამიანს, თავი წარუდგინეთ მას; თუ საჭიროა, გააცანით თქვენი როლი: მისაღების თანამშრომელი, ღონისძიებების ჩამტარებელი, თანაკურსელი და ა.შ. როცა ჯგუფთან ერთად ხართ, ეს ადამიანი გააცანით სხვებსაც.

თუ უსინათლო ადამიანი პირველად არის მოცემულ ადგილას, შესთავაზეთ შენობის გასაცნობი ტურის ჩატარება.

როცა ხართ უსინათლო ადამიანის თანმხლები, ხელი არ ჩაავლოთ მას, არამედ თავად შესთავაზეთ თქვენი მკლავი, რადგან ხელკავის გაყრით შეიძლება წონასწორობა დააკარგვინოთ. ერთი ნაბიჯით გაუსწარით წინ, ისე, რომ არ დაგჭირდეთ მისი მოქაჩვა და ამით მისი საფრთხეში ჩაგდება.

თუკი ადამიანს მეგზური ძაღლი ახლავს, იარეთ ძაღლის მეორე მხარეს, მიუთითეთ ისეთ წინააღმდეგობებზე, როგორიცაა საფეხურები, ტროტუარის ნაპრალები, გუბეები, დაკიდებული ან კედლიდან გამოშვერილი საგნები (ვთქვათ, ნათურები და სარეკლამო დაფები). მიეცით კონკრეტული გაფრთხილებები. თუ დაიყვირებთ „ფრთხილად!“, ეს ვერ მიახვედრებს ადამიანს, რას უნდა გაუფრთხილდეს: სრიალა იატაკს თუ მბრუნავ კარს.

როცა უსინათლო ადამიანი გეკითხებათ მიმართულებას, შეეცადეთ ძალიან კონკრეტული და არავიზუალური ახსნა მისცეთ.

შესთავაზეთ უსინათლო ადამიანებს, წაუკითხოთ წერილობითი ინფორმაცია, როგორიცაა მენიუ და ნიშნები.

როცა თანხას აწვდით, დაასახელეთ თითეული კუპიურა, რათა იცოდეს, რომელი რომელია.

ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანები

ყრუ ან სმენადაქვეითებული ადამიანების ყურადღების მისაპყრობად შეეხეთ ამ ადამიანს ან ხელი დაუქნიეთ.

როდესაც ყრუ ადამიანს ჟესტების ენის თარჯიმნის დახმარებით ესაუბრებით, უცქირეთ და ესაუბრეთ პირდაპირ ამ ადამიანს, და არა — მის თარჯიმანს. მაგალითად, ჰკითხეთ: „რას ფიქრობთ, როგორ უნდა მოვიქცეთ ამის შემდეგ?“ იმის მაგივრად, რომ უთხრათ თარჯიმანს: „შეეკითხეთ მას, რას ფიქრობს, როგორ უნდა მოვიქცეთ ამის შემდეგ“.

თუკი ჟესტების ენის თარჯიმანი არ გახლავთ, თვალი გაუსწორეთ ადამიანს და ესაუბრეთ გარკვევით, ბუნებრივად და ნელა, რათა გაარკვიოთ, შეუძლია თუ არა ადამიანს ტუჩების მოძრაობის წაკითხვა. გახსოვდეთ, რომ ყველა ყრუ ადამიანს არ შეუძლია ტუჩების მოძრაობის კითხვა. ის ადამიანები, ვისაც ეს ეხერხება, ჩვეულებრივ, ყურადღებას მიაქცევენ თქვენი სახის გამომეტყველებას და ჟესტების ენის სხვა გამოხატულებას, იმისათვის, რომ უკეთ გაარკვიონ, რას ეუბნებით. გამოიჩინეთ ყურადღება და საუბრის დროს სახე შუქისკენ მიმართეთ, პირი არ დაიფაროთ ხელით, სიგარეტით, საკვებით ან რამე სხვა საგნით. ულვაშები კარგად შეიკრიჭეთ. ყვირილი არაფერში გამოგადგებათ. სამაგიეროდ, შეიძლება გამოდგეს ჩანაწერები.

თუ ადამიანი ვერ იგებს, რას ამბობთ, უმჯობესია წინადადების შეცვლა, ვიდრე გამეორება.

ყრუ ადამიანებს სხვადასხვა სახით ურჩევნიათ ურთიერთობა და კომუნიკაციის სტილების ფართო სპექტრი აქვთ. იმ ადამიანების უმეტესობა, ვინც ზრდასრულ ასაკში დაკარგა სმენა, არ იყენებს ჟესტების ენას. ამ ადამიანებისთვის წერილობითი კომუნიკაცია, შესაძლოა, ურთიერთობის ყველაზე სასურველი საშუალება იყოს

— მაშინ, როცა ბევრი ყრუ ადამიანი მხოლოდ ჟესტების ენით შედის კონტაქტში და შეიძლება კითხვა არც შეეძლოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ნუ მოჰყვებით ვარაუდებს სმენადაკარგული ადამიანის კომუნიკაციის სტილის შესახებ. თავად მას ჰკითხეთ, რა არის მისთვის უფრო მოსახერხებელი. მაგალითად, როცა აპირებთ ყრუ ადამიანების მოწვევას ტრენინგზე, წინასწარ გაიარეთ მათთან კონსულტაციები, რათა გადაწყვიტოთ, მოიწვიოთ ჟესტების ენის მცოდნე წამყვანი თუ ჩაატაროთ ტრენინგი, რომელიც წერილობით კომუნიკაციას გულისხმობს.

არ იყვიროთ. ყრუ ადამიანისათვის ეს ვერაფერს შეცვლის, ხოლო თუკი ადამიანი იყენებს სმენის აპარატს, ყვირილი დაამახინჯებს თქვენს სიტყვებს, რადგან აპარატი მორგებულია ხმის ჩვეულებრივ სიძლიერეზე.

მეტყველების ხარვეზის მქონე ადამიანები

ყურადღებით მოუსმინეთ, როცა ესაუბრებით მეტყველების დარღვევების მქონე ადამიანს. თქვენ უნდა ამხნევებდეთ მას, და არა უსწორებდეთ. გამოიჩინეთ მოთმინება და არ ეცადოთ, ილაპარაკოთ იმ ადამიანის მაგივრად, ვისაც მეტყველების დარღვევები აქვს. როცა საჭიროა, დასვით მოკლე კითხვები, რომლებზეც საკმარისია მოკლე პასუხების გაცემა ან თავის დაკვრა თუ გაქნევა.

თანამშრომლობა საინფორმაციო საშუალებებთან

იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავენ გავლენის მოხდენას გადაწყვეტილების მიღებაზე, მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია. ეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში, მასობრივი საინფორმაციო საშუალება არა მარტო ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების

დადებითი იმიჯის განვითარებას, არამედ შეუძლია, ითამაშოს მოკავშირის როლი მათი უფლებების დაცვის საკითხში და დაეხმაროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენაში. მნიშვნელოვანია მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ჩართვა თქვენს ყველა ღონისძიებაში, რომელიც გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. მასობრივი საინფორმაციო საშუალება წარმოადგენს ნეიტრალურ გუნდს, რომელსაც უნარი შესწევს, ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე სხვადასხვა ეტაპზე: პრობლემის ამოცნობის, რეკომენდაციების შემუშავების, გადაწყვეტილების მიღების, გადაწყვეტილების განხორციელების, გადაწყვეტილების შეფასების და ა.შ.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის ხელისშემშლელი პირობებიდან ერთ-ერთი გახლავთ შეზღუდული შესაძლებლობის საკითხების გაშუქებაში მედიის არასაკმარისი უნარიანობა. სომხეთის ტელევიზიის ახალი ამბების არხები, რომლებიც აშუქებენ საკითხებს შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით, და სომხეთში გადაღებული ფილმები ადეკვატურად არ ასახავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიტუაციას. ეს უარყოფითად აისახება საზოგადოების მიერ შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირთა აღქმაზე და ახალ ბარიერს უქმნის მათ ჩართულობას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მედიაპორტრეტი გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიმღებებზე ისევე, როგორც დანარჩენ აუდიტორიაზე. თუკი გადაწყვეტილების მიმღებებს აქვთ სტერეოტიპები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ, ისინი გადაწყვეტილებებსაც სტერეოტიპების საფუძველზე იღებენ და მათში არ არის გათვალისწინებული შშმ პირების რეალური უნარები და მოსაზრებები.

თანამშრომლობის ნაკლებობა სამოქალაქო საზოგადოების ორგა-ნიზაციებსა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებს შორის არის ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, რის გამოც მედიარეპორტაჟები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ან მათთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ასეთი მწირია. სომხეთის შე-ზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე მომუშავე სამოქალა-ქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს შორის ურთიერთობა ხშირად პირად კონტაქტებს უფრო ემყარება, ვიდრე პროფესიულ თანამშრომლობას.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისთვის თანამშრომლობის შეთავაზებისას მნიშვნელოვანია იმ სარგებლის ხაზგასმა, რაც საინფორმაციო საშუალებებმა შეიძლება მიიღონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით: ვრცელი საინფორმაციო მასალა, ახალი იდეების წყარო, ექსპერტული ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების შესაბამისი საკითხების სფეროში, საკითხის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა მხრიდან მიღების შესაძლებლობა, ინფორმაცია პრობლემების და მათი შესაძლო მოგვარების შესახებ. თანამშრომლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომხიბვლელი მხარე არის ის, რომ საინფორმაციო საშუალებები სამოქალაქო საზოგადოების ორ-განიზაციებთან თანამშრომლობით უფრო მიმზიდველს გახდიან თავიანთ პროგრამებს შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებ-ისათვის, გაიფართოვებენ მაყურებელთა წრეს და აიმაღლებენ რეიტინგს.

ეფექტიანი გავლენა: როგორ მივიღოთ ის, რაც გვინდა?

რას ნიშნავს გავლენის მოხდენა?

როცა ვინმეს მოსაზრებას, მიდგომას, გადაწყვეტილებებს, აღქ-მას და რწმენას ვცვლით — ამით ჩვენ ზეგავლენას ვახდენთ მათზე. ხშირად ეს გულისხმობს თქვენი სიტყვების და საქციელის

დახვეწილ მორგებას, იმ გავლენის გაცნობირებით, რაც გაქვთ სხვა ადამიანზე.

ანუ ეს თქვენი თავის და სხვა ადამიანების შეცნობას და გაგებას ნიშნავს. ამ უნარების წყალობით თქვენ შეგიძლიათ, დაძრათ მოვლენები, მიიღოთ თანხმობა ან ვინმეს აზრი შეუცვალოთ და, რაც მნიშვნელოვანია, თქვენ ამის მიღწევა შეგიძლიათ მათი იძულების, მათზე ზეწოლის და იმის კარნახის გარეშე, თუ რა გააკეთონ — სხვათა შორის, მეტი შანსია, მიზანს მიაღწიოთ, თუ ამას არ გააკეთებთ. მოკლედ, ეს არის საღი აზრის გამოყენების, მაღალ დონეზე კომუნიკაციის უნარის და დახვეწილი თამაშის გეგმის კომბინაცია.

რატომ მოვახდინოთ ზეგავლენა?

როდესაც ვინმეს ვარწმუნებთ რამეში — იქნება ეს რესურსების გამოყოფის თხოვნა, მხარდაჭერის მოპოვება პოლიტიკის გასატარებლად, დადებითი სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბება თუ კოლეგებისა და მომხმარებლების მხრიდან პატივისცემის მოპოვება — ჩვენ ვიყენებთ ზეგავლენის უნარს.

ჩვენ ხშირად გვჭირდება რაღაცის მიღება იმ ხალხისაგან, ვისზეც უშუალო გავლენა არ გვაქვს და ვისაც შესაძლოა ჩვენგან განსხვავებული შეხედულებები მოეპოვება. უფრო დემოკრატიული და მონაწილეობრივი სტილი მრავალ ორგანიზაციასა და კულტურაში ცვლის ურთიერთობების დინამიკას და იძლევა ზეგავლენის მეტ საშუალებას.

ზოგჯერ სათავეში მყოფი ადამიანი კი არ არის ყველაზე გავლენიანი, არამედ ის, ვინც იცის, როგორ უნდა მოახდინოს ზეგავლენა სათავეში მყოფ პიროვნებაზე (ან მასზე, ვისაც ფული აქვს).

ზეგავლენის ოთხი უნარი

ზეგავლენის უნარები, გარკვეულწილად, წარმოადგენს სათანადოდ მოხმარებულ ინტერპერსონალურ და საკომუნიკაციო უნარებს.

უნარი 1. მოსინჯვა და მოსმენა

აქტიური მოსმენა და სასინჯი კითხვების დასმა წარმოადგენს კომუნიკაციის კლასიკურ სტილს ისეთ სფეროებში, როგორიცაა გასაუბრებების ჩატარება და შეფასება. ისინი განკუთვნილია იმისათვის, რომ ადამიანები ჩართოს დისკუსიაში, წააქეზოს თქვენ მიერ შეთავაზებული არგუმენტების გასაანალიზებლად და დასაფიქრებლად, თუ რას მოუტანს მათ თქვენი შეთავაზება. რაც უფრო მეტს უსმენთ ადამიანს, მეტია ალბათობა იმის, რომ ეს ადამიანი მოგისმენთ თქვენ.

თუ ვინმეს კითხვას დაუსვამთ, სავარაუდოდ, პასუხსაც მიიღებთ. ასე რომ, ჩაერთეთ დიალოგში: თქვენგან საუბარს ჯობს, კითხვები დასვათ. ეს დისკუსიის წონასწორობას მცირედ წაანაცვლებს და მეორე მხარეს უფრო აქტიურად ჩართავს მასში. თანამოსაუბრე, სავარაუდოდ, უფრო კომფორტულად იგრძნობს თავს საუბარში, რომელშიც მას წამყვანი როლი ეკისრება. ეს შეგაძლებინებთ, უკეთ გააკონტროლოთ ტემპი და მიმართულება, აგრეთვე მოგცემთ ძალიან მნიშვნელოვან მოსაფიქრებელ დროს, რაკი ჩვენ უფრო სწრაფად ვფიქრობთ, ვიდრე ვსაუბრობთ.

დასვით ღია შეკითხვები, რათა გაიგოთ მეორე ადამიანის შეხედულებები (მაგალითად: როგორია თქვენი განწყობა ამ შემოთავაზების მიმართ?) და დახურული შეკითხვები, როცა კითხვას სვამთ ფაქტებზე და ამოწმებთ, რამდენად სწორად გაგიგეს (მაგ.: საკმარისად გასაგებად ავხსენი?). აქტიურად მოუსმინეთ და იმაში დასარწმუნებლად, რომ თანამოსაუბრეს სწორად გაუგეთ, დასვით ჩამაღრმავებელი კითხვები, რომლებიც გაგონილის თქვენეულ

გააზრებას გააჟღერებს (მაგ.: თქვენ ორჭოფობთ ამ საკითხთან დაკავშირებით?). თუ თანამოსაუბრე არ გეთანხმებათ, დაძლიეთ დავის სურვილი და დასვით შეკითხვები, რათა უკეთ გაიგოთ მისი მოსაზრება.

თუ არ გეთანხმებიან, ჯობია, მოისმინოთ განსხვავებული აზრი, რათა შეძლოთ მისი გადალახვა. თქვენ უკეთ გაიგებთ მეორე მხარის შეხედულებებს და შეგეძლებათ, თქვენი იდეები მათთვის მისაღები სახით შესთავაზოთ.

უნარი 2. ურთიერთგაგების დამყარება

ეს ნიშნავს, სხვა ადამიანის რეგისტრში მოექცეთ, თქვენი ტემპი და ინტენსივობა მისას მოარგოთ. თუ გასაგებად გამოთქვამთ, რა მიმართულებით მიგყავთ საუბარი, ამით თანამოსაუბრის ყურადღებას მიიპყრობთ და უფრო იოლად გააგებინებთ, რას გულისხმობდით ნათქვამით. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ ვინმესთან განიხილავთ მის მიერ გაწეულ მომსახურებას, რომელიც არადამაკმაყოფილებელი იყო და ჩივილები მოჰყვა. როგორ უნდა დაამყაროთ და აწარმოოთ ურთიერთობა ისე, რომ თქვენს საუბარს დადებითი შედეგი მოჰყვეს?

„მიმართულების ჩვენება“ წარმოადგენს მეთოდს, რომელსაც შეიძლება გაუცნობიერებლადაც მიმართოთ, მაგრამ შეიძლება, მრავალმხრივ ეფექტიანი იყოს, თუკი მას მარჯვედ გამოიყენებთ. მისი დახმარებით შეიძლება:

- ცხადი გახადოთ, თუ რის თქმას აპირებთ, რათა თანამოსაუ-ბრეები მზად იყვნენ ამისთვის, და დაეხმაროთ, ყურადღება გაამახვილონ იმაზე, თუ რას გულისხმობთ (*მაგ. ნება მომეცით, შემოგთავაზოთ; ან: ახლა მოვლენებს განზრახ გავმუქებ...*). ეს იპყრობს მოსაუბრის ყურადღებას და აქეზებს ამ საკითხზე საკუთარი შეხედულების გასაანალიზებლად;

- რთული საკითხის გამოთქმის შერბილება, რაც ცხადყოფს, რომ რომ გესმით საკითხის მტკივნეულობა და პატივს სცემთ თანამოსაუბრის გრძნობებს (*მაგ.: მინდა ერთ მტკივნეულ საკითხს შევეხო*);

- გარკვეული კომენტარი გაუკეთოთ დისკუსიას, დაუმატოთ დისკუსიის მსვლელობის აღწერა (*მაგ. მოდით ვნახოთ, კარგად თუ მესმის თქვენი აზრი მომხდარის შესახებ*).

რეგულირება (სტიმულაცია) ეხება თქვენი პროგრესის შეფასებას იმის შემოწმებით, თუ მეორე ადამიანმა როგორ გაიგო ნათქვამი. ეს შეიძლება მოხდეს ზემოთაღწერილი კითხვების დასმის მეთოდის გამოყენებით ან იმის გააზრებით, თუ რა მოგიტანათ ამ საუბარმა. შეამოწმებთ, გაიგო თუ არა ნათქვამი მეორე მხარემ და თან გაამყარებთ ურთიერთგაგების საფუძველს მათი გამეორებით.

უშედეგო იქნება, ეცადოთ, მეორე მხარე აიყოლიოთ თქვენი აზროვნების ტემპში. თქვენ უკვე გააზრებული გაქვთ ის, რის ახსნასაც ლამობთ, მეორე მხარეს კი — არა. მხოლოდ იმას მიაღწევთ, რომ მოსაუბრე ვერ მოჰყვება თქვენს მსჯელობას და, დაბნეული, უკან ჩამოგრჩებათ. თუ თქვენ გატაცებული ხართ რამე საკითხით ან აუცილებლად გჭირდებათ თანხმობის მიღება, იოლია, მეტისმეტად სწრაფად გაიჭრათ წინ. ზემოთ მოყვანილი მაგალითის მსგავსად, თუ საუბარს შეტევით დაიწყებთ, შესაძლოა, თავდაცვითი და უარყოფითი პასუხი მიიღოთ.

წარმატება ნიშნავს, დაარწმუნოთ სხვა ადამიანი თქვენი თვალსაზრისის სისწორეში, ისე, რომ ხელი შეუწყოთ, მათ გაიაზრონ თქვენი არგუმენტები. რის მიღწევას ცდილობდნენ? როგორ შეიძლებოდა უკეთესი შედეგის მიღება?

ძალიან მნიშვნელოვანია ენის სწორად შერჩევა. უარყოფითი ან ზედმეტად ოფიციალური ენა გავლენას იქონიებს დისკუსიის ტონზე

და ხელს შეუშლის სასურველი კონტაქტის დამყარებას. ყოველ-თვის შეიძლება, თქვათ „და“ „მაგრამის“ ნაცვლად, რათა საკითხი დაძრათ აზრთა სხვადასხვაობის ზონიდან და თავი აარიდოთ არასასურველ ჩიხს.

„მენტორული“ სიტყვები: „უნდა“, „საჭიროა“ ხალხს აღიზიანებს, რადგან არავის სიამოვნებს, როცა მიუთითებენ, რა უნდა იფიქრონ ან გააკეთონ.

უნარი 3. გასაღება

„ზეგავლენა“ თითქმის იმავე მეთოდებს იყენებს, რასაც გასაღება. მოვაჭრეები ცნობილი არიან უნარით, დაგარწმუნონ ისეთი რამის შეძენის აუცილებლობაში, რაც არ გინდათ. სინამდვილეში ისინი ცდილობენ, დაგანახონ კავშირი მათ პროდუქტსა და თქვენს საჭიროებებს შორის. ანუ, გავლენა მოახდინონ თქვენზე, რათა შეიძინოთ პროდუქტი. ტაქტიკა მდგომარეობს იმაში, რომ გაარ-კვიოთ, რა არის მნიშვნელოვანი მეორე მხარისთვის და დისკუსია მათთვის მიმზიდველი და საჭირო საკითხებისაკენ მიმართოთ.

უნარი 4. დამაჯერებლობა

დამაჯერებლობა ლამის აგრესიულობის სინონიმიად აღიქმება. სინამდვილეში კი ეს არის კონტროლირებული ქცევა, სასურველი მიზნის მისაღწევად კარგად დაგეგმილი და გააზრებული. დაბეჯითებით მიწოდების უნარი აძლიერებს დამაჯერებლობას და ზრდის ზეგავლენას. გარკვეულ სიტუაციებში მოხვედრისას ჩვენმა პიროვნულმა თვისებებმა, სტილმა და ჩვეულმა აზრებმა და რწმენ-ამ შეიძლება უარყოფითი ან თავდაცვითი რეაგირება გამოიწვიოს. დაბეჯითებით მიწოდება ნიშნავს ამ ავტომატური რეაგირების დაძლევას და გეგმის მიხედვით მოქმედებას.

ეს აგრეთვე ნიშნავს, იყოთ პირდაპირი და მკაფიოდ გამოხატოთ სათქმელი, არ გადაუხვიოთ საკითხს და იყოთ ლაკონური. შეეცადეთ, ყველაფერი შეესაბამებოდეს იმ პოზიციას, რომლის დაფიქსირებასაც ცდილობთ. როცა საქმე გართულდება, „გაფუჭებული ფირფიტის“ ტექნიკა, რაც ერთისა და იმავეს რამდენჯერმე გამეორებას ნიშნავს, დაგეხმარებათ სიმშვიდის შენარჩუნებასა და ყურადღების გამახვილებაში. იგი აგრეთვე დაგეხმარებათ, არ გადაუხვიოთ კურსიდან მოსაუბრის მხრიდან ემოციური ზეწოლის ან მანიპულაციის გამოყენების შემთხვევაშიც, თქვენ შეგეძლებათ, აუღელვებლად დაუბრუნდეთ ხოლმე თქვენი აზრის გამოხატვას.

აგრეთვე უმჯობესი იქნება, გაითვალისწინოთ მეორე მხარის ქცევა (რასაც ხედავთ და გესმით), ვიდრე პიროვნული თვისებები, დამოკიდებულებები და მოლოდინები, რომლებიც, თქვენი აზრით, მოსაუბრეს შეიძლება ჰქონდეს (რასაც ვარაუდობთ). დაბეჯითებით მიწოდება ემყარება იმ თვისებებს, რომლებსაც სხვაში ვაფასებთ — პირდაპირობას და ტოლერანტობას. ასე რომ, სავარაუდოდ, ადამიანები ჩვენშიც იმავეს დააფასებენ და უფრო ნდობით მოგვისმენენ.

„ზეგავლენის მოსახდენი“ ფრაზეოლოგიური წიგნი და მეთოდოლოგია

ზოგიერთი საჭირო ფრაზა და მეთოდი:

- „როგორი განწყობა გაქვთ ამ შემოთავაზებისადმი?“
- „რა საკითხები გაწუხებთ ამასთან დაკავშირებით?“
- „დამეხმარეთ, გავიგო, ეს რა პრობლემას გიქმნით“.

არ გამოიყენოთ ისეთი „გამაღიზიანებელი ფრაზები“, როგორიცაა: „თქვენდამი პატივისცემით“, „გავიგონე, რაც თქვით“, „მოდით, რეალისტურად მივუდგეთ“ და „გონივრულ რამეს ვამბობ“. ყველა მათგანი საპირისპირო რეაქციას იწვევს.

დაეთანხმეთ, როცა კი შეგიძლიათ. ძნელია, დაუპირისპირდე ადამიანს, რომელიც გეთანხმებათ.
https://djpq486bn1tnp.cloudfront.net/wp-content/uploads/2013/07/Online-Campaigning-Handbook-Public_Zone.pdf

კამპანიის იარაღი

მოკლედ რომ განვსაზღვროთ, კამპანიის წარმოება ნიშნავს ცვლილებების შეტანას კანონებში, პოლიტიკაში, გონებაში, მოსაზრებებში.

ჩვენ ყველას გვიგრძვნია, რა შთაგონებით გვავსებს ადამიანი, რომელიც ანთებულია რაიმე იდეით. კამპანიის წარმოებაც იგივეა. თქვენ შეძლებთ, ენთუზიაზმით აანთოთ საკუთარი გუნდის წევრები, ქუჩაში გამვლელები ან ძალაუფლების მქონე ადამიანები, თუ მცოდნე, ენთუზიაზმით აღსავსე და მიზანდასახული ხართ.

მომხდარი ამბების გაზიარება და უსამართლობის ხაზგასმა ინტენსიურ შთაბეჭდილებას მოახდენს ხალხზე, ისინი მოინდომებენ, სხვებსაც შეატყობინონ ამბავი და დაიწყებენ მოძრაობას ცვლილებების განსახორციელებლად.

ჯგუფის შექმნა

არცერთ ჩვენთაგანს არ შესწევს უნარი, ყველაფერს თვითონ გაუმკლავდეს. უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენს ჯგუფში გაერთიანებული არიან სათანადო ცოდნის, უნარის და კამპანიისათვის საჭირო დროის მქონე ადამიანები. საჭიროებისამებრ აიყვანეთ ახალი წევრებიც.

შედეგიანი შეკრებების ჩატარება

კარგი შეკრება უნდა იყოს:

- ხელმისაწვდომი
- მეგობრული
- ეფექტიანი
- ორგანიზებული
- მოტივირებული
- მოქმედებაზე ორიენტირებული

დღის განრიგი დაგეხმარებათ, უზრუნველყოთ ყველა საჭირო საკითხის განხილვა. დაწერეთ სამოქმედო გეგმა და ძირითადი გადაწყვეტილებები, რაც გამოგადგებათ მომდევნო შეკრებისას და დაეხმარება იმ ხალხს, ვინც ამ შეკრებას არ ესწრებოდა. გადაუნაწილეთ სამოქმედო გეგმის პუნქტები იმ ადამიანებს, ვისაც სურს მათი შესრულება და დათანხმდება შესრულების ვადებს. დარწმუნდით იმაში, რომ ყოველი შეხვედრის შემდეგ ერთი და იგივე ხალხი არ იყოს დასაქმებული!

უზრუნველყავით, რომ ყოველ შეკრებას ჰქონდეს მკაფიო მიზანი. შეადგინეთ გეგმა, რომელიც დაგეხმარებათ ამ მიზნების მიღწევაში. ეს არის ეფექტიანი მეთოდი, რათა შეკრებები იყოს მასტიმულირებელი და სასარგებლო. შეეცადეთ, გარკვეული დრო დაუთმოთ „გართობის მიზანსაც“.

კამპანიის ღონისძიებების დაგეგმვა

ნებისმიერი ღონისძიების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს დაგეგმვა. თავიდანვე დაახარჯეთ დრო და ფიქრი — ეს წარმატების მეტ შანსს მოგცემთ და უფრო სასიამოვნოს გახდის მთელ პროცესს.

მკაფიოდ დასახეთ თქვენი მიზნები:

გარკვევით იცოდეთ ის საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც გინდათ იმოქმედოთ — შეგიძლიათ თუ არა ის ერთი ფრაზით ან წინადადებით ჩამოაყალიბოთ?	იცოდეთ, რას მოიმოქმედებთ ამ საკითხთან მიმართებაში (მაგ. საჯარო შეხვედრა ადგილობრივ დეპუტატთან).	გააზრებული გქონდეთ, თუ როგორ უკავშირდება თქვენი ქმედება ამ პრობლემის მოგვარებას (მაგ. დეპუტატების დარწმუნება იმაში, რომ საკითხს ლობირება გაუწიონ შესაბამის მინისტრებთან).

როდესაც გეგმავთ რაიმე ღონისძიებას, გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი:

- აამაღლებს თუ არა ეს საზოგადოების ინფორმირებულობას?
- შეესაბამება თუ არა კამპანიის მთავარ იდეას?
- დაეხმარება თუ არა ჯგუფის მიერ საკითხის უკეთ გაგებას?
- დაარწმუნებს თუ არა იმათ, ვის ხელშიც არის ცვლილებების შეტანის ძალაუფლება?
- შეძლებთ მის ჩატარებას?
- მიიზიდავთ თუ არა ამით ადგილობრივ ან ეროვნულ გაზეთს და დააინტერესებთ თუ არა მკითხველებს?
- შესაძლებელი იქნება თუ არა მონაწილეობის მიღება ჯგუფის ბევრი წევრისათვის?
- არსებობს თუ არა შესაძლებლობა, ითანამშრომლო სხვებთან უფრო ფართო თემში?

დაგეგმვის ჩამონათვალი

- მოაწყვეთ იდეის ჯგუფური განხილვა — ეს არის ყველას ჩართვის კარგი მეთოდი და შეიძლება სახალისოც იყოს;
- დააკონკრეტეთ თქვენი იდეები შემდეგ შეკრებამდე და გადაწყვიტეთ, ვინ რა ფუნქციას აიღებს თავზე;

- დათქვით ვადები, ამის შედეგად ყველას ეცოდინება, რა და როდის უნდა გააკეთოს;
- განსაზღვრეთ საჭირო დრო და სავარაუდო ხარჯი — გექნებათ საჭირო რესურსები?
- დასახეთ პრიორიტეტები. ზოგი ამოცანა უფრო მნიშვნელოვანი (და დროზე დამოკიდებული) იქნება, ვიდრე სხვები;
- იფიქრეთ თქვენი იდეის ტექნიკურ მხარეზე — ჯანმრთელობა და უსაფრთხოება გათვალისწინებულია?
- დაზღვევა დაგჭირდებათ?
- დაუბრუნდით საწყის მიზნებს: სწორ გზაზე დგახართ მათ მისაღწევად? თქვენი პრიორიტეტები ხომ არ შეცვლილა?

განახორციელეთ ჩანაფიქრი

- სწორად დაგეგმეთ შეხვედრების დრო: გაითვალისწინეთ ღონისძიების დათქმულ თარიღამდე დარჩენილი ვადა;
- ეფექტიანად გამოიყენეთ შეკრების განრიგი: იყავით ლაკონური, მიჰყევით ქმედებების ჩამონათვალს და დანიშნეთ შემდეგი შეკრების თარიღი;
- გადაანაწილეთ ფუნქციები. მნიშვნელოვანია დელეგირება: ხალხის ჩართვით მათ აგრძნობინებთ, რომ მონაწილეობას იღებენ საქმის წარმატებით შესრულებაში;
- გათვალეთ ღონისძიების წარმატებაზე;
- შეაფასეთ, არის თუ არა საჭირო, ვინმემ პროექტის მენეჯერის როლი აიღოს თავზე;
- იფიქრეთ თქვენი იდეის ტექნიკურ მხარეზე — ჯანმრთელობა და უსაფრთხოება გათვალისწინებულია?
- თუ საჭიროა, მოითხოვეთ დახმარება — რჩევისათვის მიმართეთ თანამშრომლებთან საკონტაქტო პირს;
- ღონისძიების შემდეგ შეაფასეთ იგი: ეს დაგეხმარებათ, შემდეგი ღონისძიება უკეთ ჩაატაროთ;
- არ დაგავიწყდეთ, იზეიმოთ წარმატება.

ეფექტიანი კომუნიკაცია

პრესრელიზის, ბროშურის ან ვებგვერდის დაგეგმვისას იფიქრეთ შემდეგზე:

რა არის ინფორმაციის ამ ნაწილის მიზანი?
- რის რეკლამირება ან ხელშეწყობა გინდათ?
- რა გინდათ აცნობოთ აუდიტორიას ან შედეგად მათგან რა ქმედებას მოელით?
- გამოყენებული იქნება თუ არა ეს სხვა მასალებთან კავშირში?

რომელია თქვენი სამიზნე აუდიტორია?
- რა იციან უკვე?
- სად და როგორ ნახავენ მასალას?

რის თქმა გინდათ?
- როგორ გამოხატავთ სათქმელს: ვიზუალურად თუ წერილობით?
- როგორია სათანადო სტილი და ხმის ტონი (მაგ. მხიარული, მიმზიდველი, საქმიანი)?

რა ინფორმაცია უნდა ჩართოთ?
- მაგალითად, ღონისძიების ჩატარების თარიღი და ადგილი, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ.

როგორია კომუნიკაციის საუკეთესო საშუალება?
- რა თანხა გაქვთ გათვალისწინებული მასალისათვის?
- რომელი იქნება რეკლამის განთავსების საუკეთესო ადგილი?
- დაფიქრდით აფიშების, ბუკლეტების, სავიზიტო ბარათების ან ვებგვერდის გამოყენებაზე.

როგორ შექმნით მას?
- მაქსიმალური ზეგავლენის მოსახდენად მასალა უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული, მარტივი და ცხადად გამოხატავ–

დეს სათქმელს;

- გამოიყენეთ მკაფიო ფორმატი და შრიფტი;
- გამოსახულებები შთამბეჭდავია?
- თქვენს ჯგუფში ვინმეს ეხალისება გრაფიკული დიზაინის კეთება?
- იფიქრეთ ფერადი ბეჭდვის ღირებულებაზე. ღირს თუ არა ამის გაკეთება?
- კამპანიის მასალის წარმოებისას გაითვალისწინეთ გარემოს ინტერესები. მასალა ყოველთვის დაბეჭდეთ ორმხრივად და, თუ ეს შესაძლებელია, მეორადი მოხმარების ფურცელზე.

თქვენი ღონისძიებების რეკლამირებისათვის სცადეთ ფეისბუქ-ჯგუფის შექმნა. შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი კოლექტიური გვერდი დისკუსიების გასამართად და ღონისძიებების გამოსაცხადებლად.

უზრუნველყავით, რომ მკაფიო და დამაინტერესებელი სახელწოდება გქონდეთ.

ფეისბუქზე რეკლამირება კარგი გზაა ხალხის მოსაზიდად თქვენს ღონისძიებებში მონაწილეობისთვის. შესაძლოა, ეს არ იყოს საუკეთესო მეგზური ბევრი იმ ადამიანისთვის, ვინც რეალურად დაესწრება ღონისძიებას, მაგრამ გამოსადეგია, თუ გინდათ ინფორმაციის ფართო აუდიტორიაში გავრცელება.

სისტემატური ურთიერთობა გქონდეთ წევრებთან ისე, რომ ხშირი შეტყობინებებით არ შეაწუხოთ — თქვენ გჭირდებათ, ისინი ინფორმირებული და მზადმყოფნი იყვნენ და არა — გაღიზიანებულები.

გამოიყენეთ თქვენი კოლექტიური გვერდის კედელი, რათა კავშირი დაამყაროთ თქვენს ძირითად ვებგვერდთან და გააზიაროთ შესაბამისი ვიდეოები და ბლოგები იუთუბიდან.

ტვიტერი

ტვიტერი შეიძლება ძალიან ეფექტიანი იყოს. თუ სათანადოდ გამოიყენებთ, ეს მშვენიერი გზაა ფართო აუდიტორიისთვის ინ–ფორმაციის უფასოდ მისაწოდებლად. იგი აგრეთვე მოხერხებული საშუალებაა მსოფლიო და ადგილობრივი მოვლენების თვალის სადევნებლად.

გირჩევდით შემდეგს:

- სანამ დაიწყებდეთ, წაიკითხეთ ტვიტერის მოკლე ინსტრუქცია „როგორ“ და დრო დაუთმეთ მის გარჩევას.
- გამოიწერეთ (follow) ბევრი ადამიანის გვერდი — იზრუნეთ, რომ რეგულარულად გქონდეთ მათთან შეხება და მოახდინოთ განახლებები.
- უბრალოდ კი არ გაყიდოთ: თქვენს მიმდევრებს მიაწოდეთ სასარგებლო ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ჯერ არ გაუგიათ.

იუთუბი

იუთუბის გამოყენება საუკეთესო გზაა, ინტერნეტში მოახვედროთ თქვენ მიერ ჩატარებული ღონისძიებები.

ბლოგი

ბლოგები წარმოადგენს საუცხოო მედიასაშუალებას როგორც სამომავლო გეგმების, ისე ჯგუფის წარმატებული ღონისძიებების გასაზიარებლად.

შეგიძლიათ, თქვენი ჯგუფისათვის შექმნათ ბლოგი და რიგრიგობ–ით დაწეროთ შეტყობინებები. იგი აგრეთვე იქნება თქვენი ჯგუფის ქსელური ბაზა, სადაც ხალხს შეეძლება თქვენი ფოტოების ნახვა, თქვენი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის წაკითხვა და თქვენი

საკონტაქტო ინფორმაციის შეტყობა. უზრუნველყავით ბლოგის ხშირი განახლება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პოპულარობა დაეცემა.

ამ მისამართებიდან შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ უფასო პროგრამა საკუთარი ბლოგის შესაქმნელად: wordpress.com, blogger.com, და typepad.com.

ყოველთვის უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

- თქვენი ბლოგის მიზანი — რისთვისაა იგი მოწოდებული: საკითხის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად? დებატების აღსაძვრელად? სამოქმედოდ გამოსაწვევად?
- თქვენი აუდიტორია – რამდენად მცოდნე და აქტიურად მონაწილეა იგი? თუკი თქვენი აუდიტორიისათვის კამპანიის გამართვა და განვითარება სიახლეს წარმოადგენს, ფრთხილად უნდა იყოთ, არ დატვირთოთ იგი რთული დეტალებით და სპეციფიური ტერმინებით;
- და პირიქით, თუკი თქვენი აუდიტორია სპეციალისტების და საქმეში ჩახედული ადამიანებისგან შედგება, შესთავაზეთ შესაბამისი ბლოგი;
- თქვენი ტონი — თქვენს დაწერილში უნდა ჩანდეს, ვინ ხართ და რით ხართ შთაგონებული. იყავით, როგორიც ხართ, და განავითარეთ საკუთარი უნიკალური სტილი, მაგრამ იზრუნეთ, რომ მეგობრული, არაოფიციალური და მიმზიდველი იყოთ. გახსოვდეთ: ბლოგი საუბარია და არა დისერტაცია;
- სარჩევში გამორჩეული — დარწმუნდით, რომ სათაური ყურადღებას იპყრობს. ძებნის პროგრამები, სარჩევის განაწილების სტანდარტული სისტემის მიმწოდებლები და ბლოგის აგრეგატორები ხშირად აჩვენებენ მხოლოდ სათაურს და თქვენი ბლოგის ძალიან მცირე ნაწილს.
- გაარეკლამეთ იგი — აზრი არ აქვს საუცხოო ბლოგის დაწერას, თუ მას არავინ წაიკითხავს. განათავსეთ თქვენი ბლოგი სოციალურ ქსელებში. ყველა ელექტრონულ გზავნილში ჩასვით

ბმული. ინტერესის გამოწვევის მეორე გზაა სხვა ბლოგერებთან კომუნიკაცია და მათ ჩანაწერებზე კომენტარის გაკეთება. საკუთარ თავს რეკლამირება გაუკეთეთ თქვენი პროფილის გვერდზეც — მკითხველები დაინტერესდებიან, ვინა ხარ და რას აპირებთ.

- შევსება და თანმიმდევრულობა — რაკი მკითხველები გაგიჩნდათ, საჭიროა მათი შენარჩუნება. ასე რომ, რეგულარულად განათავსეთ ჩანაწერები და ყოველთვის უპასუხეთ კომენტარებს. სცადეთ, თქვენს ნამუშევარში ჩართოთ ფოტოები და ვიდეოები და უზრუნველყოთ ბმულები ახალ ამბებთან და სხვა საინტერესო და შესატყვის ინფორმაციასთან, რასაც ქსელში მოიპოვებთ.
- შეუერთდით ჯგუფს — ბლოგერების თემი (bloggers are a community). გაიცანით თქვენი მოკავშირეები და მოწინააღმდეგეები. არ აქვს მნიშვნელობა, აქებთ და ხელს უწყობთ თუ იწვევთ და ეჯიბრებით მათ: მეგობრების შეძენით ან დებატების გამართვით თქვენს ბლოგს საინტერესოს გახდით და შეიძლება დამატებითი მკითხველებიც შეიძინოთ.

საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვება

ღონისძიებები

გამოფენების ჩატარება კარგი გზაა ინფორმაციის განსათავსებლად, ჯგუფის წევრების მუდმივად ადგილზე ყოფნის საჭიროების გარეშე. თუმცა გამოფენის მომზადებისათვის საჭირო გახდება უფრო მეტი დაგეგმვა, მასალის მომზადება და დიზაინის უნარები, ვიდრე სხვა ღონისძიებების დროს.

აუცილებელია, გამოფენას ახლდეს ინფორმაცია კამპანიის შესახებ, დეტალური აღწერით, თუ როგორ შეუძლია ვინმეს უფრო აქტიურად ჩაერთოს, ქმედებების განხორციელების პოტენციური გზებისა და ჯგუფის საკონტაქტო დეტალების მითითებით.

საჯარო შეხვედრები

საჯარო შეხვედრები ქმნიან ყველასთვის მისაწვდომ ფორუმს თქვენი კამპანიის შეტყობინებების გასავრცელებლად. დამსწრეებისთვის ხმის მიწვდენის გარდა, საჯარო შეხვედრები მედიის ყურადღების მიქცევის საუკეთესო საშუალებაა.

მათი საშუალებით გეძლევათ შესაძლებლობა, ერთად შეკრიბოთ მომხრეები და შექმნათ იმპულსი და საერთო საქმის კეთების შეგრძნება.

შეკრების ადგილი და გამომსვლელები

შეკრებისთვის შეარჩიეთ სათანადო ზომის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მოსახერხებელი და ყველასათვის ცნობილი ადგილი. გადაწყვიტეთ, რამდენი გამომსვლელი გჭირდებათ, რაზე და რამდენ ხანს უნდა ისაუბრონ მათ. დარწმუნდით, რომ მათ წინასწარვე შეატყობინეს, თუ რას მოელიან მათგან, როგორია კამპანიის მიზნები და რის თქმას აპირებენ სხვა გამომსვლელები.

თავმჯდომარე, ძირითადად, მართავს კრებას და პასუხს აგებს მის დროულად დაწყებასა და დამთავრებაზე, თვალყურს ადევნებს, რომ გამომსვლებები ჩაეტიონ მათთვის გამოყოფილ დროში და დარბაზს კითხვების დასმისკენ მოუწოდებს.

საჯაროობა

იზრუნეთ პოპულარიზაციაზე! საჯარო კრებებს ბევრი ხალხი უნდა დაესწროს. იზრუნეთ, რომ ჯგუფის წევრებს და საკონტაქტო პირებს საკმარისი დროით ადრე შეატყობინოთ. რეკლამა გაუკეთეთ კრებას საზოგადოების, მოკავშირეებისა და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციების წინაშე.

შემთხვევების შესწავლა

შემთხვევის შესწავლა გაერთიანებულ სამეფოში — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობა

გაერთიანებულ სამეფოში სახელმწიფო ორგანიზაციები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შემთხვევის შესწავლა სომხეთში

2013 წელს სომხეთის მთავრობამ შეიმუშავა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჯგუფების განმარტების მოდელი, რომელიც უსარგებლო იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ორგანიზაციები გამორიცხული იყვნენ პოლიტიკის შემუშავების პროცესიდან, ამის შედეგად მიღებულ მოდელს ჰქონდა გარკვეული სირთულეები. იგი აგებული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე არსებული სტერეოტიპის მიხედვით და არ ითვალისწინებდა სომხეთის რეალობას, კერძოდ — სოციალურ-ეკონომიკურ ლანდშაფტს.

მოდელთან დასაპირისპირებლად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ „უნისონი“ გამართა კამპანია მის წინააღმდეგ. თავდაპირველად შეიქმნა მიზნობრივი ჯგუფები, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მონაწილეობას მიიღებდნენ კამპანიაში, რომლის მიზანი იყო გავლენის მოხდენა გადაწყვეტილების მიღებაზე.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოდელს სხვადასხვა გავ-ლენა აქვს სხვადასხვა კატეგორიის დარღვევებზე, შეიქმნა ცალკეული მიზნობრივი ჯგუფები, სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიხედვით (ერთი ჯგუფი იყო მხედველობის დარღვევების მქონე, მეორე — სმენის დარღვევების მქონე, მესამე — მოძრაობის დარღვევების მქონე და მეოთხე — სხვა სახის დარღვევების მქონე პირებისათვის).

შედეგად, შეგროვდა უაღრესად სპეციფიური და პირველადი ინფორმაცია. მიზნობრივ ჯგუფებში მონაწილე შეზღუდული შესა-ძლებლობის მქონე პირებმა, მოტივირებულებმა იმ ფაქტით, რომ მათ აზრს ითვალისწინებენ, აიღეს ინიციატივა, მოდელის შესახებ დისკუსია გაემართათ ტელევიზიის მეშვეობით.

მიზნობრივ ჯგუფებში მიმდინარე დისკუსიების საფუძველზე „უნი-სონმა“ შეიმუშავა რეკომენდაციები და წარუდგინა ისინი შესაბამის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს.

ვინაიდან რეკომენდაციები ემყარებოდა ექსპერტების აზრს და თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გამოცდი-ლებას, ისინი მეტად საიმედო იყო და ხელმძღვანელობა იძულე-ბული გახდა, გაეთვალისწინებინა ისინი. მიზნობრივი ჯგუფების მონდომებამ, სატელევიზიო გადაცემამ და შემუშავებულმა რეკო-მენდაციებმა ნაყოფი გამოიღო და მოდელი ამოღებული იქნა კანონპროექტიდან.

შემთხვევის შესწავლა სომხეთის მაგალითზე — სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შენება; სომხური ქსელი დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებთან დაკავშირებით, სომხეთის კანონმდებლობის გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის პირების უფლებათა კონვენციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად, სომხეთის ხელისუფლებამ შეიმუშავა კანონპროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და სოციალური ჩართვა“. იგეგმება, რომ მან შეცვალოს არსებული კანონი სომხეთში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური დაცვის შესახებ, რომელიც 1993 წელს იქნა მიღებული. კანონპროექტი შემუშავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ან მათი ორგანიზაციის მონაწილეობის გარეშე, შედეგად, ხარვეზებიანი და შეუსაბამო გამოვიდა.

ამის მიზეზი დიდწილად იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არაეფექტიანი სტრატეგიული ურთიერთთანამშრომლობა.

2013 წელს, თანამშრომლობის მოცემული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, დაარსდა *დამოუკიდებლად ცხოვრების სომხური ქსელი*, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების და დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობის გაზრდის ხელშესაწყობად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წინაშე მდგომი სირთულეების განსაზღვრის, შეფასების, მათი რეალისტური დაძლევის გზების და მათი პრაქტიკაში განხორციელებისათვის.

დამოუკიდებლად ცხოვრების სომხური ქსელი ჩამოყალიბდა ურთიერთმხარდაჭერის საფუძველზე: სხვადასხვა ცოდნის, გამოცდილების, შესაძლებლობის და სამოღვაწეო სფეროს მქონე ორგანიზაციები გაერთიანდნენ საერთო მიზნის მისაღწევად: ხელი შეეწყოთ სომხეთში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვისთვის.

დამოუკიდებლად ცხოვრების სომხური ქსელი მოიცავს დარღვევებზე სპეციალიზებულ ორგანიზაციებს, როგორიცაა სომხეთის ყრუთა კავშირი და სომხეთის უსინათლოთა ასოციაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებების დამცავი ორგანიზაციები (მაგ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ცენტრი პრკუტიუნი) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლების ორგანიზაციები (მაგ. სმენადაქვეითებული ბავშვების დედების კავშირი ჰავატი).

დამოუკიდებლად ცხოვრების სომხური ქსელის მიერ ჩატარებულ ერთობლივ ღონისძიებათაგან პირველი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვა კანონპროექტში არსებული ხარვეზების და შეუსაბამობების აღმოსაჩენად, რაც გულისხმობდა შემოთავაზებული კანონპროექტის შესწავლას, რეკომენდაციების შემუშავებას და გადაწყვეტილებების მიმღებებზე ორიენტირებულ ადვოკატორულ კამპანიას.

კანონპროექტის დეტალურად შესწავლის უზრუნველსაყოფად თავიდან იგი გადაეგზავნა *დამოუკიდებლად ცხოვრების სომხური ქსელის* ყველა წევრს და შეგროვდა მათი გამოხმაურებები. შემდგომ, *დამოუკიდებლად ცხოვრების სომხურმა ქსელმა* მოაწყო კრება კანონის, მისი ხარვეზების და შეუსაბამობების შესასწავლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად. *დამოუკიდებლად ცხოვრების სომხური ქსელის* ყველა წარმომადგენელი მონაწილეობდა დისკუსიაში, რომლის დროსაც გამოკვეთეს გარკვეული პრობლემები და შეიმუშავეს რეკომენდაციები. კრების დროს *დამოუკიდებლად ცხოვრების სომხური ქსელის* წევრებმა აგრეთვე განიხილეს სტრატეგიები გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე გავლენის მოსახდენად და საკუთარი რეკომენდაციების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად.

დამოუკიდებლად ცხოვრების სომხურმა ქსელმა ერთ ადამიანს დაავალა სარეკომენდაციო წერილის შედგენა დისკუსიის შედე-

გების მიხედვით. წერილი გაეგზავნა შესაბამის ხელისუფალს და ორგანიზებული იქნა თანმიმდევრული ადვოკატორული კამპანია, რაც ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაწყვეტილების მიღებაში ჩართვას და მათგან გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის უზრუნველყოფას.

შემთხვევის შესწავლა სომხეთის მაგალითზე

იმისათვის, რომ გაევრცელებინათ ინფორმაცია იმ ფაქტზე, რომ მერიის მიერ აგებული პანდუსები არ შეესაბამება გაეროს კონვენციის მოთხოვნებს და მათი აგებით ქალაქის ადაპტირებულობა არ გაზრდილა, მრავალმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობს, ერევნის მერია არაერთხელ გააკრიტიკა სხვადასხვა საშუალებით (ფლეშ-მობით, საჯარო სამსახურის განცხადებებით, პრესკონფერენციებით და სხვა.)

2013 წელს მანამდე ჩატარებული ღონისძიებების გამო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ზეწოლით ერევნის მერიამ გადაწყვეტილება მიიღო, პანდუსების მშენებლობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღებაში ჩაერთო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და გადაწყვეტილებების მიმღებთა შორის დაპირისპირება თანამშრომლობით შეიცვალა.

თანამრომლობის პლატფორმად შეარჩიეს ერევნის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომისია. კომისია შედგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხებზე ორიენტირებული სამოქალაქო საზოგადოების მრავალი ორგანიზაციისაგან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

ორგანიზაციებისაგან და ერევნის მერიის შესაბამისი დეპარტამენ-ტის ხელმძღვანელებისაგან (განათლება, სოცუზრუნველყოფა და ა.შ.). მას კოორდინირებას უწევს პირველი ვიცე-მერი კამო არეიანი. როცა საჭიროა, კომისიის კრებებზე დასაწრებად სხვადასხვა ოფიც-იალურ პირებს იწვევენ.

მერიამ მოთხოვა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წევრებს წარედგინათ რეკომენდაციები პანდუსების დაყენების-თვის საჭირო ადგილების შესახებ.

კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგა-ნიზაცია უნისონმა განახორციელა ყველაზე მნიშვნელოვანი ქუჩ-ების მონიტორინგი და წარადგინა იმ ადგილების ჩამონათვალი, სადაც აუცილებელია პანდუსების დაყენება. უნისონმა ამ ადგი-ლებზე იმსჯელა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ერთადაც, რათა უზრუნველეყო მათი მონაწილეობა ამ პროცესში. რეკომენდაციები წარედგინა მერიას, მათი უმრავლესობა გაით-ვალისწინეს და ჩართეს 2014 წლის სამშენებლო ბიუჯეტში.

გარდა ამისა, უნისონმა მერიას წარუდგინა შესაბამისი სახელ-მძღვანელო მშენებლობის სტანდარტების შესახებ. 2014 წელს აგებული პანდუსების მონიტორინგი განხორციელდა 2014 წლის მაისში. შედეგად გაირკვა, რომ გათვალისწინებული იქნა სამო-ქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციები და ახ-ლადაშენებული პანდუსები გამოსადეგია.

შემთხვევის შესწავლა გაერთიანებული სამეფოს მაგალითზე — „დავძლიოთ უხერხულობა“

„დავძლიოთ უხერხულობა“ სამოქალაქო საზოგადოების ორგა-ნიზაცია სკოუპის (Scope) მიერ ჩატარებულ კამპანიაა. ეს ორგანი-ზაცია იყენებს იუმორს იმისათვის, რომ ხალხს დაეხმაროს იმ

დისკომფორტის დაძლევაში, რომელსაც ისინი გარკვეული შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პირებთან შეხებისას გრძნობენ.

ეს არის მოკლემეტრაჟიანი ფილმების მთელი სერია, რომლებსაც უჩვენებენ კინოთეატრებში და ტელევიზიაში. მათი ნახვა ინტერ-ნეტითაც შეიძლება.

შემთხვევის შესწავლა გაერთიანებული სამეფოს მაგალითზე — „ცვლილების დროა“

„ცვლილების დროა“ წარმოადგენს ინგლისში არსებულ ყველაზე დიდ პროგრამას ფსიქიკური სტიგმის და დისკრიმინაციის დასა-ძლევად. ფსიქიკური დაავადებები (მათ შორის — დეპრესია, შფოთვა, ბიპოლარული აშლილობა და შიზოფრენია) გავრცელებული პრო-ბლემებია, მაგრამ მათი მქონე ათი ადამიანიდან თითქმის ცხრა ამბობს, რომ მათ გამო განიცდის სტიგმას და დისკრიმინაციას.

„ცვლილების დროა“ ეხმარება ყველას ფსიქიკურ დაავადებასთან დაკავშირებული უარყოფითი დამოკიდებულების დაძლევაში.

შემთხვევის შესწავლა სომხეთის მაგალითზე — შეზღუდული შესაძლებლობის უარყოფითი პორტრეტი

მედიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უარყოფ-ით წარმოჩენასთან საბრძოლველად, სამოქალაქო საზოგადო-ების ორგანიზაცია უნისონმა თავდაპირველად ჩაატარა ვიდეო-პროდუქციის მონიტორინგი, რათა გამოევლინა მედიის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წარმოჩენისას დაშვებული შეცდომები, აგრეთვე შეეფასებინა, თუ რამდენადაა მედია დაინტერესებული შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავ-შირებული საკითხების გაშუქებით.

შერჩეულმა და გადამზადებულმა გუნდმა მონიტორინგი ჩაუტარა ეროვნული ტელევიზიის არხების ახალი ამბების რეპორტაჟებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: არჩევნების კამპანია და არჩევნების გაშუქება, ჟესტების ენის გამოყენება ან არგამოყენება, კორექტული და არაკორექტული ტერმინოლოგიის გამოყენება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმოჩენის კორექტულობა და არაკორექტულობა და სხვ. მსგავსი მეთოდოლოგია გამოიყენეს ვიდეოპროდუქციის მონიტორინგის დროსაც. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგი ჩაუტარდა არა მარტო იმ მასალას, რომელიც მთლიანად ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს. მაგალითად, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ვიდეორეპორტაჟზე ახალი ან განახლებული შენობის (სკოლა, მაღაზია, კულტურული ცენტრი და ა.შ.) გახსნის შესახებ, რათა გაერკვიათ, რამდენად შეეხო ჟურნალისტი ეტლით მოსარგებლე ადამიანის შენობაში შეღწევის შესაძლებლობის თემას; პარტიების პოლიტიკური რეკლამის მონიტორინგისას შეაფასეს, ახლდა თუ არა ჟესტების ენა ან სუბტიტრები ამ რეკლამებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაისინჯა ყველაზე პოპულარული ტელე- და ვიდეომასალა მიუხედავად იმისა, ნაწილობრივ/სრულიად ეხებოდა იგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს თუ არა.

ჩაიწერეს რეპორტაჟების შესაბამისი ფრაგმენტები, შეირჩა ყველაზე გამოსადეგი ფრაგმენტები და შეიკრიბა ერთ ვიდეოპრეზენტაციაში, რომელიც აჩვენეს ვიდეომონიტორინგის შედეგებთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე.

ვიდეომონიტორინგს და პრესკონფერენციას მოჰყვა რიგი სემინარებისა მედიასპეციალისტების (ჟურნალისტების, რედაქტორების, ოპერატორების, ახალი ამბების წამყვანების, რეჟისორების ჩათვლით) მონაწილეობით. სემინარებზე განხილული იქნა ტერმინოლოგიის, სტერეოტიპების, ვიდეოგადაღებების როლის, სტატისტიკის, სმენადაქვეითებული ადამიანების უფლებების თემები,

სატელევიზიო შოუებში თუ პირდაპირ ეთერში ჟურნალისტების როლის საკითხები და ა.შ. სემინარები ძალიან ეფექტიანი და საინტერესო იყო, რაზეც მეტყველებს მონაწილე ჟურნალისტებისგან მიღებული დადებითი გამოხმაურება და შემოთავაზებები სამომავლო თანამშრომლობაზე.

შემთხვევის შესწავლა სომხეთის მაგალითზე — ნათქვამის სწორად გაგება

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს უფლება არ ქონდათ გამოეყენებინათ ტერმინები „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი“ და „ადამიანი შეზღუდული შესაძლებლობებით“, რომლებიც, მათი პროფესორების აზრით, ამ სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთათვის შეურაცხმყოფელად ჟღერდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ საკურსო ნამუშევრის ან დისერტაციის წერისას ეს სტუდენტები, მხარდაჭერისა და ინფორმაციისათვის, მიმართავდნენ „უნისონს“, როგორც წამყვან ორგანიზაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებს შორის. სტუდენტებთან კომუნიკაციის დროს „უნისონის“ ექსპერტებმა წამოჭრეს საკითხი არასწორი ტერმინოლოგიის შესახებ.

სტუდენტები ვალდებულები იყვნენ (პროფესორების მოთხოვნით), გამოეყენებინათ „განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირები“, „შეზღუდული უნარის მქონე პირები“ და მსგავსი ტერმინები/გამონათქვამები. თუმცა მსგავსი ტერმინები შეიძლება ნებისმიერ ადამიანს შეეხოს, მიუხედავად იმისა, აქვს მას შეზღუდული შესაძლებლობა თუ არა. „შეუზღუდავი“ უნარების მქონე ადამიანი არ არსებობს. არასწორი ტერმინოლოგიის გამოყენებამ არასწორი აზრი ჩამოაყალიბა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უნარებზე და, შედეგად, ისინი გამოირიცხნენ ცხოვრების გარკვეულ სფეროებში თანასწორობის საფუძველზე მონაწილეობიდან.

გარდა ამისა, ასეთმა პროფესორებმა უგულებელყვეს პრინციპი „არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე“, რომლის მიხედვითაც, საუკეთესო ექსპეტები შეზღუდული შესაძლებლობის სფეროში თვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების წარმომადგენელი ორგანიზაციები არიან.

თავდაპირველად ჩვენმა ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს იმ სტუდენტებთან მუშაობაზე, ვინც მიმართა „უნისონს“. შესაბამისი განმარტებების, სავარჯიშო/თამაშების (მაგ. „გვითხარით რამე თქვენ თავზე იაპონურად“, „გთხოვთ, შეადაროთ სხვადასხვა ბავშვების საჭიროებები“) მეშვეობით მათ დაარწმუნეს სტუდენტები, რომ ზემოთხსენებული სტერეოტიპური გამოთქმები შეიძლება შეეხოს ნებისმიერ ადამიანს და სავალდებულო არ არის, რომ ასახავდეს შეზღუდულ შესაძლებლობებს. გარკვეული უნარი ყველა ადამიანს აქვს შეზღუდული და ნებისმიერ ადამიანს შეიძლება სჭირდებოდეს რაიმე განსაკუთრებული. სანაცვლოდ, სტუდენტებმა ისწავლეს „შეზღუდული შესაძლებლობის“ ან „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების“, როგორც ყველაზე შესაბამისი და დამახასიათებელი ტერმინების, გამოყენება. და ბოლოს, რაც მნიშვნელოვანია, ეს ტერმინები (და არა მარტო ეს) გამოიყენება გაეროს კონვენციაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ და სომხეთის კანონმდებლობაში. გადამზადების შემდეგ სტუდენტებმა გააცნობიერეს, რომ მხოლოდ ამ ტერმინებს აქვთ სწორი შესაბამისობა შეზღუდულ შესაძლებლობასთან და საუკეთესოდ გამოხატავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ სპეციფიურ საკითხებს.

თუმცა, ამის შემდეგ „უნისონის“ გუნდმა დაასკვნა, რომ ტერმინოლოგიის გამოყენების საკითხს ესაჭიროება უფრო ყოვლისმომცველი მიდგომა, მათ შორის — მუშაობა აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტების უფრო ფართო ჩართვა. ხარვეზის გამოსასწორებლად „უნისონმა“ ჩაატარა შესაბამისი სემინარი „ენა

და სტერეოტიპები“, სადაც დეტალურად განიხილეს შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია (ორივე: მართებულიც და უმართებულოც). სემინარისთვის გამოიყენეს შემდეგი რესურსები: კომპიუტერი, ციფრული პროექტორი, სალექციო დაფა და ბეჭდვითი მასალები.

სემინარისთვის შეარჩიეს ადაპტირებული შენობა, რადგან მონაწილეებს შორის იყვნენ ადამიანები, ვინც ეტლით გადაადგილდებიან. გარდა ამისა, ადაპტირებული დაწესებულების შერჩევას საგანმანათლებლო მნიშვნელობაც ჰქონდა: იგი აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ შეზღუდვები, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აწყდებიან, ძირითადად არაადაპტირებული გარემოს შედეგია. თუკი შეიქმნება თანაბარი შესაძლებლობები, ნებისმიერი ადამიანი შეძლებს სრულ მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებაში. „უნისონის“ მფლობელობაში არსებული საკუთრება, რომელიც სრულად არის ადაპტირებული გადაადგილების, მხედველობის და სხვა დაქვეითების მქონე ადამიანებისათვის, კარგი მაგალითია ტრენინგის მონაწილეთათვის, რომელიც აჩვენებს, რომ მათ მიერ ადრე გამოყენებული ტერმინოლოგია არ ასახავს რეალობას.

იმის გათვალისწინებით, რომ სოციოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები არიან პროფესიონალები, ვისაც ყველაზე ხშირად აქვს საქმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და მათ ოჯახებთან და სწორედ ეს კურსდამთავრებულები ატარებენ შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ კვლევების უმეტესობას, ამ პროფესიონალების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის ტერმინოლოგიის სწორად გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. სოციალურმა მუშაკებმა უნდა გამოიყენონ ტერმინოლოგია, რომელიც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებში საკუთარი თავის პატივისცემის ზრდას, მათ წინ გადაშლილი შესაძლებლობის გაცნობიერებას; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც საკუთარ თავს აღიქვამენ „პიროვნებად

შეზღუდული უნარებით“ უფრო ხშირად ხდებიან გამორიცხვის საგანი, მათთან შედარებით, ვისაც არ გააჩნია ასეთი სტერეოტიპული შეგრძნება.

გადამზადებას მრავალმხრივი შედეგი ჰქონდა, რადგან გადამზადებულები არიან მომავალი პროფესიონალები, ვისაც საქმე ექნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე. გარდა ამისა, ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო მდგრადი თანამშრომლობის ჩამოყალიბებას უნივერსიტეტსა და არასამთავრობო ორგანიზაციას შორის, რომელიც მოიცავს არა მარტო ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ჩართვასთან დაკავშირებულ სხვა თემებსაც.

შემთხვევის შესწავლა სომხეთის მაგალითზე — საკუთარი ინტერესების დაცვა

ერთ ერევნელ ქალბატონს მინიჭებული ჰქონდა მეორე ჯგუფის ინვალიდობის მუდმივი სტატუსი. 2012 წლის სექტემბერში იგი ყოველგვარი ახსნა–განმარტების გარეშე მიიწვიეს სოციო–სამედიცინო ექსპერტიზის კომისიაზე, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალბატონის ჯანმრთელობა გაუარესდა მას შემდეგ, რაც მას ინვალიდობის ჯგუფი განუსაზღვრეს, კომისიამ გადაწყვიტა, მისი ინვალიდობის მე–2 ჯგუფი შეეცვალა მე–3–ით. ამით დააკარგვინეს რიგი პრივილეგიებისა, რომლებიც მე–2 ჯგუფის ინვალიდობის შესაბამისად ეკუთვნოდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები ხშირად რომ არ ეთანხმებიან კომისიის გადაწყვეტილებებს, ეს ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა, ამ შემთხვევაში, კომისიამ უდავოდ დაარღვია კანონი საკუთარი წინა გადაწყვეტილებების შეცვლით.

საკითხის ყოველმხრივი შესწავლის და შესაბამის პროფესიონალებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ გაირკვა, თუ ნამდვილად

რა მიზეზი იდგა კომისიის გადაწყვეტილების უკან. იგივე დაემართა დაახლოებით 100-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს, რომელნიც, მათთვის მინიჭებული მუდმივი ინვალიდობის სტატუსის მიუხედავად, მიიწვიეს კომისიაზე და დაუდაბლეს ინვალიდობის ჯგუფი. შემდგომი შემოწმების შედეგად გაირკვა, თუ რა ნიშნის მიხედვით მოხდა ეს ყველაფერი: ყველა „მსხვერპლს" ჰყავდა ჯარში გაწვევის ასაკის მქონე ვაჟიშვილი. სომხეთის კანონმდებლობის მიხედვით, ყველა 18 წლის ასაკის მამაკაცი ჯარში უნდა წავიდეს. 1-ლი და მე-2 ჯგუფის ინვალიდების დედისერთა შვილები კი სამხედრო ვალდებულებისგან თავისუფლდებიან.

ამ შემთხვევაში საკუთარი ინტერესების დაცვა დაიწყეს პეტიციის დაწერით ყველა იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანის სახელით, რომელთა ინვალიდობის ჯგუფიც უკანონოდ შეცვალეს. გარდა ამისა, ზემოთხსენებულმა ქალბატონმა შეისწავლა და გააანალიზა კომისიის ღონისძიებების მარეგულირებელი კანონები. არასამთავრობო ორგანიზაცია „უნისონის" იურიდიული პერსონალი დაეხმარა ქალბატონს სათანადო ციტატების მოძიებაში და განცხადებების შედგენაში, აგრეთვე შესაბამისი იურიდიული კონსულტაციები გაუწია მთელი პროცესის განმავლობაში. შემთხვევის გასახმაურებლად გამოიყენეს საინფორმაციო საშუალებები. იგი ეროვნულმა ტელევიზიამაც გააშუქა. „უნისონის" თანამშრომლობა მასმედიასთან გამოიყენეს სატელევიზიო პროგრამის ორგანიზებისათვის.

საკითხს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ერთი ადამიანის წარმატებული ადვოკატირება დადებითად აისახებოდა იმ 100 ადამიანზეც, რომელთა უფლებებიც იმავე სახით დაირღვა. საინფორმაციო საშუალებების დაინტერესებამ ამ საქმით და მედიის მიერ მისმა ინტენსიურმა გაშუქებამ (სტატიები, ახალი ამბები, განხილვები თოქ-შოუებში) მოტივაცია გაუზარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, დაეცვათ საკუთარი ინტერესები. ამავდროულად, კომისიის თანამშრომლები მიხვდ-

ნენ, რომ მოქალაქეები მზად იყვნენ, ორგანიზებულად და კომ-პეტენტურად ებრძოლათ საკუთარი ინტერესების დასაცავად.

საინფორმაციო საშუალებებმა ისეთი ხმაური ატეხეს კომისიის სფეროში არსებული უკანონობის შესახებ, რომ გამოიცვალა მისი ძალიან მაღალი დონის პერსონალი. კერძოდ, გაათავისუფლეს თანამდებობიდან კომისიის თავმჯდომარე.

შემთხვევის შესწავლა საქართველოს მაგალითზე — კოალიციის „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ჩამოყალიბება

საქართველოში არასამთავრობო სექტორი თავდაპირველად 90-იან წლებში ჩამოყალიბდა. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების პირველი არასამთავრობო გაერთიანებები/კავშირები. უნდა აღინიშნოს, რომ ყრუთა და უსინათლოთა სოციალური გაერთიანებები, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ჯერ კიდევ 1930 წელს არსებობდა, მაგრამ ეს დახურული ორგანიზაციები მათივე დაცული საწარმოებით და ქალაქში არსებული კომპაქტური დასახლებებით გამოცალკევებულ ცხოვრებას ეწეოდა და არავინ ცდილობდა ამ ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციას. 1930 წლის 20 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო სტანდარტული წესები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის თანაბარი უფლებების მისანიჭებლად, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოს მხრიდან. ამ ფაქტმა იმპულსი მისცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. 1995 წელს ჩატარდა პირველი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებმა. 1998 წელს ჩამოყალიბდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ორგანიზაციების პირველი

არარეგისტრირებული გაერთიანება. ეს ადამიანები ითხოვდნენ მათი უფლებების რეალიზაციას და არა – პასიურ დახმარებას. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ბრძოლა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის უფრო დიდ მასშტაბებს იძენს და ფართო საზოგადოების ყურადღების საგანი ხდება. დადებითი ცვლილებები შესამჩნევია, მაგრამ ნელა და რთულად მიმდინარეობს.

1998 წელს ჩამოყალიბდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ორგანიზაციების პირველი არარეგისტრირებული გაერთიანება, რომელიც მუშაობდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან დაკავშირებულ საკითხებზე. 2004 წელს ეს ორგანიზაცია დარეგისტრირდა და დაარსდა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ (www.disability.ge). მასში გაერთიანებულია 25 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს. კოალიციის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ იგი აერთიანებს ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა სახის შეზღუდვებზე: მხედველობითი, სმენითი, ფიზიკური (ეტლის აუცილებლობა), ინტელექტუალური, ფსიქოლოგიური, ქრონიკული დაავადებები და სხვ. ამ ორგანიზაციებს შორის არის შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების მშობლების მიერ დაარსებული ორგანიზაციებიც. კოალიცია წარმოადგენს საქართველოში დაარსებულ ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელმაც მიაღწია რეალურ ცვლილებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის საკითხში. კოალიციის პრიორიტეტი არის „არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე“ და პირველივე დღიდან იბრძვის იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებმა მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მიზნის მისაღწევად კოალიციამ ჩაატარა ქუჩის აქციები, აქციები ისეთი რადიკალური ფორმით, როგორიც არის შიმშილობის აქცია, რათა ხელისუფლება

ეიძულებინა, გაეთვალისწინებინა მათი კონსტიტუციური უფლებები: ჰქონდეთ ადაპტირებული გარემო/ინფრასრუქტურა, დამოუკიდებლად მოძრაობის/გადაადგილების შესაძლებლობა და დამოუკიდებელი არჩევანის უფლება ცხოვრების ყველა ასპექტში.

კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის" აერთიანებს ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემებზე, პატივს სცემს სხვა ადამიანების განსხვავებულობას, უნიკალურობას და, როგორც გარემოს ადაპტირების ნაწილს, ინფორმაციას მისაწვდომ ფორმატში გასცემს (ბრაილის შრიფტი, სურდოთარგმანი). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის მოღვაწე ორგანიზაციების მიერ წარმოებული ვრცელი საინფორმაციო აქტივობის მიუხედავად, საქართველოში პრობლემად რჩება არაადაპტირებული გარემო/ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციის და ალტერნატიული მეთოდების შემუშავების სიმწირე, განათლების ხელმისაწვდომობა და სხვა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მხარდამჭერმა მოძრაობამ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან რთული გზა გაიარა, მათ შორის, აწარმოა ქუჩის აქციები თუ კონსტრუქციული დიალოგი მთავრობასთან. 1995 წელს ბრიტანული ორგანიზაცია ოქსფამის მხარდაჭერით საქართველოში ჩატარდა პირველი კონფერენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მონაწილეობით. მიიღეს დეკლარაცია და 1995 წელს შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების წარმომადგენელი პარლამენტის წევრი გახდა. იმავე წელს მიიღეს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სოციალური დაცვის შესახებ. 1998 წელს დაარსდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების არარეგისტრირებული კავშირი „ინვალიდთა საკორდინაციო საბჭო" და, მთავრობის გადაწყვეტილებით, მისმა წევრმა ორგანიზაციებმა 1998-2000 წწ მიიღეს ეკონომიკური სარგებელი, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა, განეხორციელებინათ სოციალური, კულტუ-

რული და შემოქმედებითი პროგრამები საქართველოში არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის.

- ამ პერიოდში თბილისის ტროტუარებზე გაკეთდა 600 პანდუსი;
- ქალაქში შემოიტანეს 16 ადაპტირებული ავტობუსი;
- დაარსდა ამპუტანტ ფეხბურთელთა 6 საფეხბურთო გუნდი და 4 პარა-კალათბურთის გუნდი, ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატები;
- ეტლით მოსარგებლე ადამიანებმა დალაშქრეს მყინვარწვერი (მთის მწვერვალი კავკასიაში);
- გაიხსნა სოციალური საწარმოები, სადაც დასაქმდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები;
- ამუშავდა პროგრამა — ბანაკი „ვიქტორია“, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს ასწავლიდა ეტლის გამოყენებას, ტრენინგი 60-მა ეტლით მოსარგებლე ადამიანმა გაიარა;
- 2000 წელს გაუქმდა არსებული შეღავათები, რამაც გამოიწვია შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტი. შედეგად, 2002 წლის 8 მაისს, საქართველოს პრეზიდენტის №255 ბრძანების თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდასაჭერად დაარსდა ეროვნული საკოორდინაციო საბჭო. სახელმწიფო ბიუჯეტში შევიდა პუნქტი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სოციალური ინტეგრაციისკენ მიმართული პროგრამების დასაფინანსებლადაა განკუთვნილი.

2002 წელს დაარსებული საბჭო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მომხდარი ხელისუფლების შეცვლის შედეგად აღარ ფუნქციონირებდა. ამან გამოიწვია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ სამოქალაქო პროტესტის უკიდურესი ფორმის — შიმშილობის — გამოყენება ომბუდსმენის ოფისთან და სახელმწიფო კანცელარიასთან. 3 დეკემბერს, შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირების საერთაშორისო დღეს, სამართალდამცავმა ორგანოებმა დაარბიეს ქუჩის აქციები, რასაც საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან უარყოფითი გამოხმაურება და სოლიდარობის გამოცხადება მოჰყვა.

2004 წელს, კოალიციას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და ორგანიზაციას „Save The Cildren" დახმარება გაუწია აშშ-ის განვითარების სააგენტო USAID-მა პროექტით „თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის". ამ პროექტის საქმიანობამ შედეგად მოიტანა ძირეული ცვლილებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოძრაობის განვითარებაში.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა:

- 2008 წლის 2 დეკემბერს პარლამენტმა შეიმუშავა და მიიღო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის" კონცეფცია. მთავრობამ პირველად აღიარა და გაახმოვანა პრობლემები, რის შედეგადაც დაისახა გეგმა მათ მოსაგვარებლად;
- კონცეფციის საფუძველზე, 2009 წლის 15 დეკემბერს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, დაარსდა სამთავრობო საკოორდინაციო საბჭო, რომელიც იმუშავებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- იმავე დღეს პრემიერ-მინისტრმა დაამტკიცა 2009-2012 წწ სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების ინტეგრაცია;
- 2012 წლიდან საბჭო მუშაობს რეგულარულად;
- 2013 წელი გამოცხადდა საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების წლად, რამაც გამოიწვია რიგი დადებითი ცვლილებები;
- კოალიციის ინიციატივით, შემუშავდა 2014-2016 წწ სამთავრობო სამოქმედო გეგმა, თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად;

- მიიღეს ნორმები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ადვილად მისაწვდომი ინფრასტრუქტურის ასაგებად;
- 2013 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უფლებების დაცვის შესახებ გაეროს 2006 წლის კონვენციის რატიფიცირება;
- 2014 წელს კოალიციის ინიციატივით და აშშ-ს განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით მუშაობა დაიწყო კანონზე „შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა“.

მიუხედავად იმისა, რომ 1998-2000 წწ დაინერგა ბევრი სასარგებლო პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის, ამ პროგრამებს სპონტანური ხასიათი ჰქონდა, რადგან არ მიჰყვებოდნენ ამა თუ იმ გენერალურ გეგმას ან სტრატეგიას, რის გამოც ვერ შეიძინეს სტაბილურობა. მთავრობას არ გააჩნდა საერთო ხედვა და სტრატეგია, ამიტომაც ყველაფერი, რაც მიღწეული იყო, დაიშალა და დავიწყებას მიეცა. ამ ფაქტის გათვალისწინებით, კოალიციამ პრიორიტეტად დაისახა სტრატეგიული გეგმის შემუშავება სამთავრობო დონეზე, რასაც მიაღწიეს. ამჟამად სირთულეს წარმოადგენს მიღებული გეგმის განხორციელების მონიტორინგი და კონტროლი.

შედეგების მონიტორინგი შესაძლებელია რაოდენობრივი მახასიათებლების (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე რამდენმა ადამიანმა მიიღო სპეციალური სარგებელი, გაიუმჯობესა არსებული მდგომარეობა, მიიღო საჭირო ნივთები, დახმარება, სოციალური მომსახურება და სხვა) და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით: რამდენად შეესაბამება ჩატარებული იურიდიული ცვლილებები კონვენციის მოთხოვნებს და რამდენად იწვევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების პირობების გაუმჯობესებას; რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანია სამუშაოზე აყვანილი ან მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში; რამდენად ითვალისწინებს მთავრობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების აზრს და სხვ.

შემთხვევის შესწავლა უკრაინის მაგალითზე – გაეროს კონვენციის ხელმოწერა და რატიფიკაცია

2007-2009 წწ ჩატარდა საინფორმაციო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის ხელმოწერას და რატიფიკაციას (უკრაინის მიერ), აგრეთვე – ფაკულტატური ოქმის ხელმოწერას. ამ კამპანიის ინიციატორი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ნაციონალური ასამბლეა (115 SCO). ამ კამპანიის დროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ჩაატარეს მრგვალი მაგიდის დისკუსიები, პრეს-კონფერენციები, სემინარები და ფორუმები, რომლებშიც ჩართული იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ექ-სპერტები შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებში და ჟურ-ნალისტები უკრაინის 27 რეგიონიდან. მთელი ღონისძიება მი-მართული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებების გაეროს კონვენციის (ამიერიდან UNCRPD) შესახებ ინფორმაციიის ფართოდ გავრცელებისკენ.

გაეროს უკრაინის ოფისის მხარდაჭერით, UNCRPD ითარგმნა უკ-რაინულად, დაიბეჭდა ბრაილის შრიფტით და მომზადდა ადა-პტირებული ვერსია სკოლის ბავშვებისთვის, გაკვეთილებზე გამოსაყენებლად. პრაქტიკული სახელმძღვანელო კონვენციის შესახებ ითარგმნა უკრაინულად, დაიბეჭდა და დაურიგდა საპარ-ლამენტო კომიტეტებს, ასევე – რეგიონულ საბჭოებს. შეგროვდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების 3000-ზე მეტი ხელმოწერა კონვენციაზე და ფაკულტატურ ოქმზე ხელის მოწერის მხარდასაჭერად და გადაეგზავნა უკრაინის პრეზიდენტს. მოიწვიეს პრესკონფერენციები საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლების ჩასართავად და საზოგადოების ინფორ-მირებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების პრობლემების შესახებ.

საერთაშორისო ფონდ „რენესანსის“ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ნაციონალური ასამბლეის მხარდაჭერით, უკრაინაში ჩატარდა ადამიანის (და განსაკუთრებით) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უფლებების დაცვის მონიტორინგი. შედეგები წარედგინა საზოგადოების ფართო მასებს, ხელისუფლებას და მედიას. უკრაინის პარლამენტში ჩატარდა კომიტეტთაშორისი მოსმენები მონიტორინგის შედეგებზე. კანონებსა და რეგულაციებში შესატანი ცვლილებების განხილვაში ჩართული იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

სოციალური პოლიტიკის სამინისტრომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად მოამზადა ეროვნული მოხსენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სტატუსის შესახებ უკრაინაში.

უკრაინის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ნაციონალურმა ასამბლეამ გაეროს უკრაინის ოფისთან, ასევე ხანდაზმულთა, ვეტერანთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უკრაინის საპრლამენტო კომიტეტთან ერთად ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „სამოქალაქო საზოგადოების როლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის დანერგვაში“. მასში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ექსპერტებმა.

გადაწყვეტილებების მიღებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა სამოქალაქო საზოგადოებების ჩართვის ზუსტმა დაგეგმვამ ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე, აგრეთვე საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენამ შესაძლებელი გახადა დადებითი შედეგების მიღწევა.

2008 წელს ხელი მოეწერა როგორც კონვენციას, ისე მის ფაკულ-ტატურ ოქმს და 2009 წლის 16 დეკემბერს უკრაინის პარლამენტმა ამ საერთაშორისო დოკუმენტის რატიფიცირება მოახდინა.

შემთხვევის შესწავლა უკრაინის მაგალითზე — ხელშეწყობის კომიტეტების დაარსება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ნაციონალური ასამ-ბლეა (ამიერიდან ასამბლეა) 2001 წლიდან ცდილობს, მოაგვაროს უბარიერო გარემოს შექმნის პრობლემა, რისთვისაც დაიწყო პროგრამა სახელწოდებით „უკრაინა ბარიერის გარეშე". 2003 წელს ასამბლეამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამო-ქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად ლობირება გაუ-წია უკრაინის მინისტრთა კაბინეტის დებულებას საზოგადოებრივ და საცხოვრებელ შენობებთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უბარიერო მისასვლელების მოწყობის შესახებ პროგრამის დამტკიცებაზე, ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივას მოუსმინა და მხარი დაუჭირა ხელისუფლებამ. ამას მოჰყვა რიგი მარეგულირებელი დოკუმენტების მიღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო საზოგადოების ორ-განიზაციების აქტიური ჩართულობით, რამაც საკანონმდებლო დონეზე აიყვანა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე ადამიანების საცხოვ-რებელი გარემოს ყველა სფეროში მობილურობის პრინციპი.

დანერგვის პროცესში ასამბლეამ მიიღო გამოცდილება ხელმისა-წვდომობის პრობლემების მოგვარებაში და უნივერსალური დი-ზაინის შექმნაში, ითანამშრომლა რა აშშ-ს, კანადისა და მრავალი ევროპული ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორთან. სწორედ ამ მიზეზით, ასამბლეა სცნეს, როგორც უკრაინის პრეზიდენტის №900/2005 და №1228/2007 განკარგულებების შემუშავების და გამოყენების საგანი. ამ დოკუმენტებში გათვალისწინებულია

ხალხის გავლენა უბარიერო საზოგადოების შექმნის პროცესზე მრჩეველი ორგანოების — **ადაპტირების კომიტეტების** — მეშვეობით.

ასეთი სტრუქტურის დაარსებამ ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აქტივისტების ქსელის შექმნას მთელი უკრაინის მასშტაბით. ამ ქსელმა თავის თავზე აიღო მრჩევლის რამდენიმე ფუნქცია, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, აგრეთვე — ყოველ ცალკეულ თემში. დღეს ასამბლეის წარმომადგენლები, ისევე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, არიან ხელშეწყობის კომიტეტების წევრები შესაბამის სამინისტროებსა და დეპარტამენტებში, რეგიონულ და ქალაქის ადაპტირების კომიტეტებში.

ადაპტირების კომიტეტის მთავარი მიზნებია: საზოგადოებრივი კონტროლის უზრუნველყოფა და განხორციელება, პროექტების შეთავაზება აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის და ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატისთვის, ბიზნესებისთვის, უწყებებისა და ორგანიზაციებისთვის, რომლებიც პასუხისმგებლები არიან გადაადგილების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის უბარიერო გარემოს შექმნაზე; ანალიტიკური და მრჩეველობითი დახმარების გაწევა მათი კომპეტენციის ფარგლებში; შეზღუდული გადაადგილების უნარის მქონე ადამიანების მხარდაჭერა და მათი უსაფრთხო სიცოცხლისათვის საჭირო გარემოს შექმნა; ჩარჩო-შემოთავაზებების შექმნა მობილობაშეზღუდულ ადამიანებთან დაკავშირებული დებულებების და სტანდარტების გასაუმჯობესებლად; ადგილობრივ ხელისუფლებასთან ეფექტიანი თანამშრომლობის ხელშეწყობა მობილობაშეზღუდული ადამიანების გარემოსთან უბარიერო წვდომის შესაქმნელად.

ადაპტირების კომიტეტების დაარსება წარმოადგენს ნოვატორულ ნაბიჯს უკრაინის პოლიტიკაში შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის პრობლემების მოგვარების სფეროში.

ადაპტირების კომიტეტების დაარსება და ეფექტიანი ფუნქციონირება წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითს. ეს თანამშრომლობა მოწოდებულია ხელმისაწვდომი გარემოს შექმნისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-9 მუხლის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სხდომის გეგმა: მცირე ჯგუფების სავარჯიშო — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვა და არჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ახალი კორპორატიული ბრენდის შემუშავება. მან განვითარების არცერთ ეტაპზე არ გაითვალისწინა შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების საჭიროებები. როგორი შეიძლება იყოს შედეგი?

[მანამდე, სანამ დაიბეჭდება პირველი საბუთი ახალი ბრენდით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თანამშრომელი, რომელიც ხელისუფლებაში მუშაობს, გამოხატავს წუხილს ახალი შრიფტის, მისი ზომის და გამოყენებული ფერადი ტექსტის არაადაპტირებულობის გამო. საკითხი გადაეცემა კომუნიკაციების დირექტორს, რომელიც იძულებულია, აღიაროს, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხია. ორგანიზაცია იძულებულია, ბრენდის შექმნის პროცესი სულ თავიდან დაიწყოს, რაც საგრძნობი და არააუცილებელი ხარჯია.]

ორგანიზაციამ შეცვალა კომპანია, რომელიც ტაქსით ემსახურებოდა, და გადაწყვიტა გაეთვალისწინებინა, რა გავლენა ექნე-

ბოდა ამ გადაწყვეტილებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებზე. ეს გულისხმობს გასაუბრებასაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან, რომლებიც ტაქსებს რეგულარულად იყენებდნენ. რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას?

[შეფასებამ გამოავლინა აუცილებლობა, რომ ტაქსის ნებისმიერ კომპანიას ჰქონდეს ადაპტირებული მანქანების დიდი პროცენტული რაოდენობა და ჰყავდეს თანაშრომლები, რომლებიც მომზადებული იქნებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანსაწორუფლებიანობის საკითხებში. ორგანიზაციამ შეიმუშავა კრიტერიუმი ახალი მომსახურე კომპანიისათვის, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ხელმისაწვდომობა. ყველა თანამშრომელმა არჩია ახალი მომსახურე კომპანია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა იგრძნეს, რომ მათ ყურს უგდებენ.]

V ნაწილი

[საერთო და ქვეყნისთვის სპეციფიკური]

აქტიური მოქალაქეები — ბრიტანეთის საბჭოს უკრაინაში ვებ-გვერდი: http://www.britishcouncil.org.ua/en/programmes/society/citizens-participation

კარგი პრაქტიკის კოდექსი გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობისათვის - ევროსაბჭო: http://www.coe.int/t/ngo/code_good_prac_en.asp

ესექსის კონტროლის უფლება: http://www.essex.gov.uk/Health-Social-Care/Care-for-Adults/Staying-Independent/Right-to-Control/Pages/Default.aspx

ჩართულობის მაგალითები: http://www.equalityhumanrights.com/advice-and-guidance/public-sector-equality-duty/case-studies/case-studies-consultation-involvement/

მოქალაქეთა მონაწილეობის სახელმძღვანელო ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში - ბრიტანეთის საბჭო უკრაინაში: http://www.britishcouncil.org.ua/en/programmes/society/citizens-participation

ინკლუზიური მოწყობის ინსტრუმენტარიუმი: http://www.inclusivedesigntoolkit.com/betterdesign2/

ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავება: http://odi.dwp.gov.uk/inclusive-policymaking/index.php

INDYSPACE - მსოფლიოს ახალგაზრდა შშმპ აქტივისტების საკონტაქტო სივრცე: http://indyspace.org/

ჩართულობა და თანაწარმოება - შშმპ საკითხთა ოფისი: http://odi.dwp.gov.uk/involving-disabled-people/co-production.php

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობა“ - შშმპ საკითხთა ოფისი: http://odi.dwp.gov.uk/docs/reso/idp-intro.pdf

განათება, კამერა, დავიწყეთ! - შშმ პირთა თანასწორობის ხელშეწყობა საჯარო სექტორში: http://www.equalityhumanrights.com/uploaded_files/EqualityAct/PSED/radar-ded_acc.pdf

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა პირთა რეკომენდაციები ევროპის საბჭოს და მის წევრ ქვეყნებს - ევროსაბჭო: http://vimeo.com/43637110

გაეროს კონვენცია:
http://www.equalityhumanrights.com/human-rights/our-human-rights-work/international-framework/un-convention-on-the-rights-of-persons-with-disabilities/

„ვინ არის ჩემკენ" - ვიდეო მოკავშირეებზე და იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ მათ, მხარი დაუჭირონ ინკლუზიურ განათლებას. ვიდეოს ავტორები: ინკლუზიური განათლების ალიანსი და ჩართულობის მომხრე მშობლები ახალგაზრდა პირებთან (3-25) და მათ მშობლებთან ერთად.
http://www.youtube.com/watch?v=AuAjxJ-cE9k

გაეროს შშმპ კონვენცია: ძირითადი დოკუმენტები და რესურსები

UN Enable: გაეროს ვებგვერდი მთლიანად ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციას. ეს ვებგვერდი აგრეთვე შეიცავს კონვენციის და ფაკულტატური ოქმის სრულ ტექსტს, აგრეთვე — როგორც უცვლელ ინგლისურ, ასევე გამარტივებულ ვარიანტსაც.
http://www.un.org/disabilities/

კონვენციის სახელმძღვანელო პარლამენტართათვის იხილეთ აქ: **http://www.un.org/disabilities/default.asp?id=212**

უფლებების რეალობად ქცევა: კომისიის მიერ შექმნილი წიგნი, რომელშიც შესულია კონვენციის ტექსტი. ის შეგიძლიათ მიიღოთ

კომისიის ცხელი ხაზის მეშვეობით ან ჩამოტვირთოთ მათი ვებგვერდიდან.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR) უზრუნველყოფს ინფორმაციის მოწოდებას გაეროს შშმპ კომიტეტის და მისი მონიტორინგის და ანგარიშგების პროცედურების შესახებ. აგრეთვე აქვს სახელმძღვანელო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგი". ვებგვერდზე აგრეთვე შეგიძლიათ იხილოთ საჩივრების ფორმა. **http://www2.ohchr.org/english/bodies/treaty/CCD.htm**

OHCHR-მა გამოაქვეყნა რამდენიმე სახელმძღვანელო და მონაცემები კონვენციების და გაეროსთან მუშაობის შესახებ. **http://www.ohchr.org/EN/PublicationsResources/Pages/Publications.aspx**

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

საფოსტო ყუთი: CRPD secretariat, UNOGOHCHR, CH-1211 Geneva 10, Switzerland: crpd@ohchr.org

http://www2.ohchr.org/english/bodies/crpd/index.htm

მისამართი: Palais Wilson, 52 Rue des Pâquis, 1201, Geneva, Switzerland

ტელეფონი: +44 (0)1229179703.

გაეროს ეკონომიკის და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტი (გაეროსთან „საკონსულტაციო სტატუსის" შესახებ ინფორმაციის მისაღებად) Chief, NGO Branch One United Nations Plaza, Room DC1-1480, New York, NY 10017, USA

ტელეფონი: +44 1 212 963 8652,

ფაქსი: +44 1 212 963 9248

ngobranch@un.org

http://esango.un.org/paperless/Web

კონვენციის სახელმძღვანელოები და ინსტრუმენტარიუმი

ბევრმა ევროპულმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ შეიმუშავა

კონვენციის სახელმძღვანელო და ინსტრუმენტარიუმი. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

შშმპ საერთაშორისო გაერთიანება (DPI) არის შშმ პირთა ორგანიზაციების საერთაშორისო ქოლგა-ორგანიზაცია. მათი მიზანია, ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს სრულყოფილი მონაწილეობის, შესაძლებლობის თანასწორობის და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მეშვეობით. მათ შეიმუშავეს განხორციელების ინსტრუმენტარიუმი.
http://www.icrpd.net/implementation/en/aboutus.htm

იხილეთ მათი სახელმძღვანელო თემაზე: ვორქშოპის ორგანიზება კონვენციის შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად.
http://v1.dpi.org/lang-en/resources/topics_detail?page=953№_Sample_agenda.

ევროპის შშმპ ფორუმი არის ევროპის შშმპ და ეროვნული შშმპ ორგანიზაციების ქოლგა-ორგანიზაცია. მათ ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ურთიერთობს კონვენცია ევროკავშირთან.
http://www.edf-feph.org/Page_Generale.asp?DocID=13854&thebloc=13857

მათ ვებგვერდზე აგრეთვე ნახავთ ევროპის შშმპ ორგანიზაციათა საკონტაქტო ინფორმაციას:
http://www.edf-feph.org/Page_Generale.asp?DocID=10906&id=1&namePage=about&langue=EN

საერთაშორისო შშმპ ალიანსი (IDA) არის საერთაშორისო შშმპ ორგანიზაციების ქსელი, რომელიც ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის ეფექტიან განხორციელებას. მათ ვებგვერდზე აგრეთვე შეგიძლიათ იხილოთ ინფორმაცია შშმპ ორგანიზაციების პროფესიული გაძლიერების და კონვენციის შესახებ. www.internationaldisabilityalliance.org

იხილეთ IDA-ს სახელმძღვანელო ჩრდილოვან ანგარიშგებაზე: **http://www.internationaldisabilityalliance.org/projects-and-events/guidance-document-on-parallelreporting/**

ავამუშაოთ! კარგი პრაქტიკის გაცვლის და მსოფლიოში შშმ პირების სიღარიბის, სოციალური ჩაგვრის და დისკრიმინაციის დასრულების ხელშეწყობა.
http://www.makingitwork-crpd.org/

თანასწორობის და ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გამოსცა სახელმძღვანელო **ქალების წინააღმდეგ ყოველგვარი ძალადობის აღმოფხვრის კონვენციის** შესახებ.

ინგლისის ბავშვთა უფლებების ალიანსი უზრუნველყოფს ინფორ-მაციის გავრცელებას **ბავშვის უფლებების გაეროს კონვენციის** შესახებ, კამპანიის ჩატარების ინსტრუმენტარიუმის ჩათვლით.
http://www.crae.org.uk/rights/uncrc.html

დანართი

IDEAS პროექტის შესახებ

IDEAS არის თანასწორი და პასუხისმგებელი საზოგადოების ინკლუ-ზიური გადაწყვეტილებების პროექტი, რომელსაც აფინანსებს ევ-როკომისია და ბრიტანეთის საბჭო.

პროექტი აერთიანებს მონაწილეებს სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოდან, ლიბანიდან, იორდანიიდან, უკრაინიდან და გაერთიანებული სამეფოდან.

IDEAS-ის მთავარი ფუნქცია არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციების როლის გაძლიერება და პროფესიული განვითარება, რათა მათ იმუშაონ ადგილობრივ ხელისუფლებებთან და უკეთ მოახდინონ შშმ პირთა ინტერესების წარმოჩენა პოლიტიკის შემუშავების პროცესში და უკეთ გაიაზრონ და დაიცვან მათი უფლებები.

საერთაშორისო კანონმდებლობის შესახებ

საერთაშორისო კანონმდებლობა ეფუძნება ადამიანის უფლებათა პრინციპებს, არადისკრიმინაციას, უკეთეს ხელმისაწვდომობას, საკუთარი გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლებას, შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხს, ამას-თან ერთად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გან-სხვავებულობის პატივისცემას და ადამიანებისა და კაცობრიობის მრავალფეროვნების გამოხატულების ნაწილად მათ აღიარებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის პრინციპები არის სტანდარტი საერთაშორისო სტრუქ-ტურისთვის.

არსებობს გაეროს კონვენციის 8 ძირითადი პრინციპი, ესენია:

ა. ადამიანის ღირსების პატივისცემა.

ბ. არადისკრიმინაცია: პირდაპირი დისკრიმინაცია (ცხადი) და არაპირდაპირი დისკრიმინაცია (ფარული), კავშირებზე დაფუძნებული.

   გონივრული მისადაგება: „ეს გულისხმობს იმ აუცილებელ მოდიფიკაციებს და მისადაგებებს, რომელიც საჭიროა კონკრეტულ შემთხვევებში, იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შეძლონ ძირითადი ადამიანის უფლებების და თავისუფლებების თანასწორად მიღება“.

გ. საზოგადოებაში სრული და ეფექტიანი ინტეგრაცია:

   1. ეს არის საშუალება და მიზანი.
   2. საშუალება: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვა მათი პრობლემების განხილვაში, სადაც ისინი იმუშავებენ ხელისუფლებასთან, როგორც საკუთარი უფლებების დამცველები.

დ. განსხვავებულობის პატივისცემა და შშმ პირების მიღება ადამიანთა მრავალფეროვნების და ადამიანური ბუნების ნაწილად;

ე. შესაძლებლობათა თანასწორობა.

ვ. ხელმისაწვდომობა.

   - წარმოადგენს მიზანს და საშუალებას.
   - ის არის მიზანი იმ პროცესის და მექანიზმის კუთხით, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აძლევს საშუალებას, იცხოვრონ გარემოში, რომელშიც არ ხვდებათ დაბრკოლებები, გახდნენ ხილვადი და მოახდინონ საზოგადოებაში ინტეგრირება. სერვისების და დაწესებულებების ადაპტირებულობის გაზრდა ამ დაწესებულებების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით განვითარების, დაგეგმვის და აღჭურვის მეშვეობით.
   - პროდუქციის, მონაცემების, პროგრამების და სერვისების ისეთი დაგეგმარება, რომ მათი მოხმარება შეეძლოს რაც შეიძლება მეტ ადამიანს სპეციალიზირებული ადაპტაციის და მორგების გარეშე.

ზ. მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობა.
თ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის გამორჩეული უნარების და საკუთარი ინდივიდუალურობის შენარჩუნების უფლების პატივისცემა.

ა) ადამიანის თანდაყოლილი ღირსებისა და მისი ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემა, საკუთარი არჩევანის გაკეთების თავისუფლებისა და პიროვნების დამოუკიდებლობის ჩათვლით

„თანდაყოლილი ღირსება“ ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი ღირებულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღირსება პატივცემულია, მათი გამოცდილება და მოსაზრებები დაფასებულია. „ინდივიდუალური ავტონომია“ გულისხმობს საკუთარი სურვილისამებრ მოქცევის და საკუთარი არჩევანის თავისუფლად გაკეთების შესაძლებლობას.

ბ) არადისკრიმინაცია

ეს არის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონის მთავარი პრინციპი და გულისხმობს როგორც პრიდაპირი (ცხადი), ასევე არაპირდაპირი (ფარული) დისკრიმინაციისგან დაცვას. კონვენციაში დისკრიმინაცია გულისხმობს: „ყველანაირ განსხვავებას, გამორიცხვას ან შეზღუდვას შეზღუდული შესაძლებლობის ქონის საფუძველზე, რომლის მიზანი ან შედეგია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან სხვა სფეროებში, ადამიანის ყველა უფლების და ფუნდამენტური თავისუფლების სხვების თანასწორად აღიარების, რეალიზების ან სარგებლობის ხელის შეშლა ან მათი უარყოფა. ეს მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმის ჩათვლით“.

გონივრული მისადაგება „გულისხმობს საჭირო და შესაბამისი ცვლილებების და შესწორებების შეტანას მოცემული გარემოების საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც არ იქცევიან დისპროპორციულ ან გადამეტებულ ტვირთად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ სხვებთან თანასწორად ადამიანის ყველა უფლებით და ფუნდამენტური თავისუფლებით სარგებლობის ან მათი გამოყენების უზრულყოფის მიზნით" (კონვენციის მე-2 მუხლი).

გ) საზოგადოებაში სრული და ეფექტიანი ინტეგრაცია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობა და სოციალური ჩართულობა უზრუნველყოფს მათი, როგორც საზოგადოების თანასწორი წევრების, დაფასებას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები ითვლება სოციო-ეკონომიკური განვითარების განუყრელ ნაწილად. ეს საჭიროებები არ ითვლება „განსაკუთრებულად". სრული და ეფექტიანი მონაწილეობის და სოციალური ჩართულობის კონ-ცეფცია ებმის უნივერსალური მოწყობის კონცეფციას (კონვენ-ციის მე-2 მუხლი) და ფიზიკური და სოციალური გარემოს ადა-პტირებულობას. მონაწილეობის და ჩართულობის პრინციპი არის საშუალებაც და მიზანიც. ის არის საშუალება იმ კუთხით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა უზრუნველყოფს მათი პრობლემების გაჟღერებას და შემდეგ მოგვარებას. ის აგრეთვე არის მიზანიც, იმ კუთხით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით, სახელმწიფოსთან და ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, მათ ეძლევათ საშუალება, შეიმუშაონ და შესთავაზონ გადაწყვეტა იმ პრობლემებსთვის, რომლებიც მათ აღმოაჩინეს.

დ) განსხვავებულობის პატივისცემა და შშმ პირების მიღება ადამიანთა მრავალფეროვნების და ადამიანური ბუნების ნაწილად

ეს პრინციპი აღიარებს განსხვავებული ადამიანების მიღებას ურთიერთგაგების და პატივისცემის საფუძველზე. მთელი რიგი აშკარა ან უჩინარი განსხვავებების მიუხედავად, ყველას აქვს ერთნაირი უფლებები და ღირსება.

ე) შესაძლებლობათა თანასწორობა

ეს პრინციპი აღიარებს საზოგადოებაში პირობების ხელმისაწვდომობას, რათა პატივი ეცეს განსხვავებას; საზიანო პირობების აღმოფხვრას; უზრუნველყოფს ქალების, კაცების, ბიჭების და გოგონების სრულ და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრებაში.

ვ) ხელმისაწვდომობა

ხელმისაწვდომობის პრინციპი ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, იცხოვრონ დამოუკიდებლად და მიიღონ აქტიური მონაწილეობა ცხოვრების ყველა ასპექტში. სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ იგივე წვდომა გარემოსთან, ტრანსპორტთან, ინფორმაციასთან და კომუნიკაციასთან, მათ შორის — საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან და სისტემებთან, აგრეთვე სხვა სერვისებთან თუ საშუალებებთან, როგორიც აქვს დანარჩენ მოსახლეობას.

ზ) მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობა

ეს პრინციპი აღიარებს, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია, მაგალითად, ყველას აქვს ერთნაირი უფლება და პასუხისმგებლობა; არ არსებობს არანაირი შეზღუდვა ან პრივილეგია სქესის მიხედვით; თანასწორ პირობებში იმყოფებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და მამაკაცები; არანაირი სქესობრივი დისკრიმინაცია.

თ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის განვითარების პროცესში მყოფი უნარების პატივისცემა და საკუთარი ინდივიდუალურობის შენარჩუნების უფლების პატივისცემა

ეს პრინციპი აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიერ უფლებების და თავისუფლებების მიღებას ისევე, როგორც ამას იღებს ნებისმიერი სხვა ადამიანი; ბავშვის ძირითადი ინტერესების დაცვას; საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობის უფლების მინიჭებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, რათა მათ თავისუფლად შეძლონ ასაკის და სიმწიფის შესაბამისად საკუთარი მოსაზრების გამოხატვა იმ საკითხებზე, რაც მათ ეხებათ.